

JK 2130 /2
2024

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეცეპტი

31

2024



ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

არაჰი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამეცნიერო-
ჭავჭავაძის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

31

2024

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე
ლია ზაზაშვილი
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
მაია ქუჭჩიშვილი
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

მდივანი: ზაირა გელაძე

მენეჯერი: შუშუნა დემეტრაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024

ISSN 2346-836X

აკაკი თევზაძე

დავიბადე, 1950 წლის 5 აგვისტოს, ვანის რაიონის სოფელ ქაგან-ჭყვიშში, ვსწავლობდი მთისძირის რევანლიან სასწავლებელში, შემდეგ სოფელ შუამთის საშუალო სკოლაში. 1967 წელს წარჩინებით დავასრულე აღნიშნული სკოლა და ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. გავიარე რა სწავლების სრული კურსი, /1972 წ./ მუშაობა დავიწყე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერმუშაკად. გარკვეული წვლილი შევიტანე გალაკტიონ ტაბიძის 1919 წელს დასტამბული წიგნის „არტისტული ყვავილების“ განმეორებით გამოცემაში, რომელსაც თანდართული აქვს ამ კრებულში შესული ლექსების რითმათა სიმფონიალექსიკონი. მალე მეუღლესთან, მარინა ჯიქიასთან ერთად, მშობლიურ რაიონს დავუბრუნდი. ვიმუშავე სხვადასხვა დაწესებულებებში. ვიყავი: გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი, ვანის №76-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელით დარგში, შემდგომ მთისძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. ბოლოს მაინც მუზეუმს დავუბრუნდი, არ მომასვენა გალაკტიონისა და ტიცციანის ლექსის ყვილიმა. 25 წელზე მეტი პირნათლად ვიმსახურე უფროს მეცნიერმუშაკად. 1980 წელს ტიცციან ტაბიძის სახლ მუზეუმი გაიხსნა და გამგე-დირექტორად დამინიშნეს. 1985 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ტიცციან ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი საექსპოზიციო დარბაზი, რომლის მოწყობასა და გამართვაში მე და მეცნიერთანამშრომელ გიორგი ჟღენტს საკმაოდ დიდი წვლილი მიგვიძღვის. 1989 წელს გალაკტიონ და ტიცციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმების გენერალურ დირექტორად დამანიშნაურეს. სიამაყით მიიწა განვაცხადო, რომ მეც სხვებთან ერთად, ღირსეული წვლილი შევიტანე ხსენებული მუზეუმების კულტურული აღმშენებლობის საქმეში, რისთვისაც 1999 წელს ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს. მუზეუმიდან წასვლის შემდეგ, ეს იყო 2004 წელი, კვლავ ვაგრძელებ შემოქმედებით საქმიანობას. ამჟამად ვარ ვანის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის სპეციალისტი. მაქვს გამოსაცემად მომზადებული წიგნი - „ვანელი ავტორმთქმელები“.



12539

2010 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად ამირჩიეს. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მაშინ არ იყო იოლი მწერალთა კავშირის წევრად გახდომა.

დღესდღეობით მაქვს გამოცემული ხუთი პოეტური კრებული: „სინათლის ტოტი“ /1987წ./, „ადილდი, სულის მდინარე!“ /1990წ./, „მთვარეული მირაჟები“ /2006წ./, „რობაიები“ /2013წ./, „ვარდს შემოგხარი საედემოსა“ /2013წ./, 2014 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის ფრიად პრესტიჟული ლიტერატურული პრემიით - გალაკტიონ ტაბიძის პრემიით დამაჯილდოვა, რამაც, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა, ახალი შტაგონებების ცეცხლით აღმანთო.

ამასთან დაკავშირებით შუამთის კულტურის სახლში ჩატარდა ჩემი პოეზიის გრანდიოზული საღამო, რომელიც არაჩვეულებრივად ნაიყვანა შეუდარებელმა მზია ზვიადაძემ. ამავე წელს, სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად, მეც ამირჩიეს ვანის საპატიო მოქალაქედ. ღმერთმა ნუ მომაკლოს მშობელი ხალხის გულის სითბო და სიყვარული. წლების მანძილზე სათავეში ვედექი გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმთან და რაიონული გაზეთ „განთიადის“ რედაქციასთან 1974 წელს დაარსებულ ვანის ლიტერატურულ-შემოქმედებით გაერთიანება „საჩინოს“ ვებლ-მძღვანელობდი. ამ გაერთიანებამ ბევრი სახელოვანი პოეტი, მწერალი გამოიყვანა სამოღვაწეო ასპარეზზე. ამჟამად გაერთიანება სრულ განახლებას მოითხოვს, ახალი ძალებით შევსებას. გვინდა, ახალგაზრდა პერსპექტიული შემოქმედი ჩავუყენოთ სათავეში. 2022 წელს ამირჩიეს ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად, გადმომეცა აკადემიის დიპლომი №182.

რობაიები

უზენაესო, მუხლმოდრეკით
გვედრი ამასა:
ძალგიძს, მაქციე ერთი-ასად,
ერთი-სამასად,..
თუმც მთლად ლამაზად ვერ ვიცხოვრე,
ბევრიც შეგცოდე,
ვიცი, შემინდობ და მალირსებ
სიკვდილს ლამაზად.

დგანან მტირალა ტირიფები
და თავს იხრიან
ობოლ საფლავთან – საფლავს რუხი
მტვერი მიჰყრია...
ბედნიერია და ათასგზის
უფრო ნეტარი --
წარმავლობაზე ვისაც წუთით
არ უფიქრია.

უყვარდეს მოძმე – ღვთისნიერი
კაცის წესია,
გესმის ცოდვილნი ჯოჯოხეთში
რარიგ კვნესიან?!
ბოროტების წილ ვინ მოგაგებს
ნეტავ სიკეთეს,
მას რას მოიმკი – რაც არასდროს
დაგითესია?

თავზე უკეთესს სხვა მოკეთეს
შემწედ ვის ელი?!
ეშმაკს არ სძინავს, უნდა იყო
ფხიზლად, ფხიზელი...
ვით მუმლი მუხას, ირგვლივ მტრები
შემოგხვევია,
ბრძოლა გმართებს და არ სიმშვიდე
დარბაისელის.

დადიხარ ასე გაბლენძილი,
გულღრძო, ცბიერი,

კეთილშობილის მანტიით და
ბრძენის იერით,
თუგინდ გადაგყვე, გადაგაკვდე –
არ დამიფასებ,
კაცის კი არა – შენ არც ღმერთის
ხარ მაღლიერი!

მეაღერსება უნაზესი
ჰერას თითები,
თვალეები მშვენი – ნალვლიანი
შავი ტიტები
ისე საყვარლად შემომცქერის,
შემომლიმილებს –
ვერ დავივიწყებ ვერაფრით და
ვერასდიდებით.

კაცობრიობას არ ეტყობა
ხნე და ასაკი,
ადამის ძირძველ, ცოდვილ მოდგმას
და ჩვენ გასაგისს –
ნეტავ, როდიდან ესმის მწველი
შაშვის გალობა?
ბუღბუღლის სტვენა, თუ კრუალი
ხიდან ვასაკის?!.

თხემით ტერფამდე როს ვერ შეგვძრავს
მშვენება ქალის,
ვერ აგვახანძრებს ბაგე მწველი – მარწყვის და ლალის,
ჯანი გავარდეს – რალას ვაქნევთ ასეთ სიცოცხლეს?!
რას გვავაგლახებს, ეჰ, დაუდგეს
სიბერეს თვალი!

ლაყვარდს აღმური მოსდებია
ცეცხლის ენებად,
თვალწარმტაცია ბუნება და
შენი მშვენებაც,
ისე ალალებს გარეშემოს
და მახალისებს, -
ვერც კი ვინატრებ უკეთესი
დღის გათენებას.

დამბადებელო, სიცოცხლისა
მომეც დღე დიდი!..
ცაზე წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით
როგორც პეტიტიტ,
დანერილია ბედი ჩემი
განაჩენივით,
ო, რად შემყარე სიყვარულის
ბნედა ბედიითი.

ვუცქერ სულთმოზრდავს, ჯოჯოხეთურ
იმის წამებას,
ნუგეშის სიტყვაც ველარ ვუთხარ,
ენა დამება...
წუთისოფელი, მართლაც, ერთი
ამოსუნთქვაა,
ერთი მოხუჭვა თვალის - ერთი
დახამხამება.

გადაბუგული, ვით უდაბნო
ცხელი საჰარის,
გული რად კენესის? - შეპარვია

სევდა ჭაღარის;
მადლობა ზენარს, გაგაჩინა
ჩემდა ნუგეშად:
ტანაშოლტილი, თვალმაისა,
თვალგასახარი!

სოფლისთვის ოფლის ერთი წვეთიც
თუ დააქცია,
შესძრავს ქვეყანას – სიხარბემ ხომ
ლორად აქცია,
სულ მთლად ხელიდან წასული და
სულით მახინჯი,
მართლაც უებრო მომხვეჭელი
და თვალთმაქცია.

მამებლური, აბა, როგორ
გიძღვნა ტირადა,
სულდგმულობ მგლური კანონებით,
იქეც პირატად, –
იმედნეული ბედმა დღეს თუ გაგანებვირა,
ხვალ მოგისროლებს უსათუოდ
თავდაყირადა!

მუცელს არ ვალხენ – ზეციერზე
ვფიქრობ მამაზე,
და რწმენით ვივსებ იდუმალი
სულის თამასებს,
გულგამოჭმული დარდებისგან
ვერ გავხალისდი
და ვერც ტანჯული ეს ცხოვრება
გავილამაზე.

მას ჟამსა შინა, შენ ჩემს გულში
თუ გედო ბინა,
დღეს თვალში ცრემლი განშორების
სევდისფრად ბრწყინავს...
რომელი უფრო ნეტარია? –
ის – ვინაც უყვართ?
თუ ვისაც უყვარს, იფერფლება
უჩუმრად ვინაც?!

მიმწუხრის დღეებს – მზის ცრემლებით
ნანერ ბალადებს,
შენ შემოგწირავ! – არც ტრფიალში
ვარ მოძალადე...
ტურფავ, რაც შენთვის ყვავილწული
მომირთმევია –
სულაც არ მინდა მიითვალო
როსმე ვალად ეს.

რომ პოეტების ვიყო მეფე –
მეფურ ნადიმებს
მეც ხომ გავწევდი, ძალს, შეწევნას, –
უფალს ვხადი მე...
ამოცისკარდი, მრისხანეო
ბედის ვარსკვლავო,
რალას აყოვნებ? რად წარმიკვეთ,
ნეტავ, რად – იმედს?!

ბნელ სივრცეს კანრავს
შემზარავი ყმუილი ძაღლის,
გულს ლახვარივით რომ ესობა –

ბრძოლებით დაღლილს...
პოეტის სახელს, ან დიდებას
რა თავში ვიხლი,
როცა ტრფიალით გათანგული
თავს კედელს ვახლი?!

მიყვარხარ, კარგო! – გრძნობით სავსე
სიტყვას ორადორს
ჩურჩულით გეტყვი: მიმაჩნიხარ
ცათა სწორადო...
შენა ხარ ჩემი სულისდგმა და ბუდესოფელი,
ფიქრთა სავანე – მისამხარი
და ელდორადო.

ამდენმა დრტვინვამ, არითმულმა
გულის ამ ძვრებმა,
ისე დამქანცა, სადაცაა
სული გამძვრება...
დაე, უფლისა სიყვარულში
ჰპოვონ ნუგეში,
ჩემებრ უიღბლო, უნუგეშო
ტრფობით დამწვრებმა.

ყოვლის სანყისი წყალიაო –
აზრი თალესის
წყალს გავატანე, ვენდე სიტყვას
გრძნობით ალესილს, –
რამეთუ პირველ იყო სიტყვა...
და იყო ღმერთი,
მაშ, რას დამაკლებს ჟამთა სრბოლა
უცხენმალესი?!

გიორგი ბაქრაძე

გიორგი ბაქრაძე საბავშვო თეატრალური წრის „აკვარიუმი“ წამყვანი მსახიობი და არაერთი ფესტივალის საუკეთესო ნომინაციის მფლობელია, ცეკვავს, მღერის და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა, მოზარდისათვის ბევრად მაღალი აზროვნებით წერს და აზროვნებს.

ჩემი დაუინებული მოთხოვნა იყო, რომ გიორგის დედას, ბავშვობიდან აღიარებულ პოეტსა და გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის“ რედაქტორს, ეკა ბაქრაძეს შვილის ლექსები გამოექვეყნებინა. ამის საფუძველი კი გიორგი ბაქრაძის სათქმელის გულწრფელობამ და სიღრმისეულად გადმოცემამ მომცა. ფეხბედნიერი ყოფილიყოს გიორგის პოეტური დებიუტი.

ის ჯერ მხოლოდ 17 წლის არის.

*მზია ხეთაგური, მწერალი, საზოგადო მოღვაწე,
ნმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი.*



თუ გიფიქრიათ, რატომ მოგვწონს ჩვენ ხელოვნება? ან რატომ ვეტრფით დარდით სავსე ლექსებს, ნახატებს? ბეთჰოვენს ვუსმენ, – ჩემი თავი რად მაგონდება? ანდა, ვან გოგთან ჩემი სევდა რატომ ღალადებს? ადრე თუ დედა მიმღეროდა ტკბილ იავნანას და სიმღერის დროს, წამში უმალ მეძინებოდა, ახლა რად ვფიქრობ? რა ამოხსნის ამ ამოცანას?! ის ამოცანა, ამდენ ხანს რომ მერკინებოდა... რა არს ცხოვრება? რისთვის გავჩნდით? ან რისთვის ვხმებით? ვიოლინო ვართ ჩვენ, სიკვდილი, ალბათ არს ხემი, და ვკვდებით, ვკვდებით მოცარტი არ გავანაწყენოთ, რომ დანეროს და ააჟღეროს კვლავ რექვიემი. ბევრი სიცელქით, ჩემს ეზოში რომ ვიღლებოდი, ღამით კი ----- საამო ძილი, ახლა თენდება, დარდისაგან კიდევ ავთროთოლდი,

გვერდით კი მიცდის, საუცხოო სევდით შექსპირი.
მსახიობი ვარ, ბევრი როლი გავითავისე,
დრამას ვალმერთებ, კომედია თითქოს მზიზღდება,
რადგან ხანდახან ცხოვრებაში ხარ ცუდად ისე,
რომ გალიმება უნებლიედ დაგავინყდება.
რადგან სამყარო უნდობელი და საზარელი
ყალბ იმედებით მომხიბლავს და კვლავ მომატყუებს,
მეც აღარ დამრჩა ქვეყნად არსად გზა წასასვლელი,
როლს ვითამაშებ, მანამ ბედი ღმერთს არ მარგუნებს.
თუ გიფიქრიათ, რატომ მოგვწონს ჩვენ ხელოვნება?
მე მიფიქრია: ტკივილით ვართ ბევრნი აღვსილი,
მას ჩვენი სახით მეგობარი სულ ეყოლება,
რადგანაც სევდა ხელოვნების არის ნაწილი.

დავხუჭავ თვალებს, ავფრინდები ჩემს სასახლეში,
გავყვები ქარებს, ჯადოსნური ყვავილით ხელში.
ნუ გაიოცებთ, დიახ! მქვია მე მეოცნებე,
ნუ გეშინიათ, ოცნებებში არ ვიკარგები.
იცით? სასახლე იისფერად მე გადავღებე
და მის კედლებში მე ოდესღაც დავბინავდები
ღრუბლებშიც ავალ, მე ვიქნები ლურჯი ფრთოსანი,
დავაკვირდები დედამინას და დაჩაგრულებს,
გამახსენდება მოიმედე, როგორც მგოსანი,
ლურჯი ფრინველი, ყველა დარდს რომ უკან აბრუნებს.
ღრუბლებს ვაძინებ, თვალს დავხუჭავ, გამეღიმება,
დილით კი, ისევ ამაქვეყნად გამეღვიძება.

იისფერი სათუთია და მომხიბვლელი,
 სხვა ფერებისგან გამორჩეული, ნაზი, საამო,
 ჩემთვის თითქოსდა არის ეული...
 თითქოს ატკინეს, გაუცრუეს მას იმედები,
 მაგრამ არ ბრაზობს, მხოლოდ ოდნავ შეკრთა, ოდნავ ათრთოლდა
 და მას არ უყვარს, ვერ მიიღოს ის, სხვა ფერები,
 რადგან სხვა ფერში ჰარმონია სადღაც ააღდა.
 უცნაურია, თან ლამაზი, თვალის მომჭრელი...
 თითქოს განყნარებს გაგიჟებულს, შმაგს და სევდიანს,
 არ გავშორდები, არ ვიქნები მისგან წამსვლელი,
 მის ალში მნახავთ მე გადამწვარს, თანაც, ფერფლიანს.

იჯდა ქუჩაში ემპათი სული,
 თვალს ადევნებდა შავბნელ სხეულებს,
 ქალაქი თვლემდა, ბინდგადაკრული,
 ქალაქი ანმყოს უფრო ართულებს...
 ნეტავ, არსებობს ისეთი დანა? –
 ემპათებმა რომ ჯიბით ატარონ
 და სადაც წავლენ, შავბნელ სხეულებს
 სულსა და გულზე გადაატარონ!..
 ყვირილის ხმაში, ცრემლის ქალაქში
 რეგვენს უპყრია სკიპტრა ოქროსი,
 ნათელს ვერ ვხედავ ვერცერთ მათგანში,
 მხოლოდ და მხოლოდ მოჩანს ქაოსი!..
 ჩაგრული ხალხი ცხოვრობს ამქვეყნად,
 მათი სხეული ეულად დრტვინავს,
 ზოგიც ვერ უძლებს ამ წუთისოფელს
 და ზემოთ, ცაში დაეძებს ბინას...
 და... განაგრძობდა ქალაქი ქვითინს,
 მასზე დარდების ქარები ქროდა,
 იქ კი, ქუჩაში, ემპათი სული
 ქალაქს ტკივილებს თანაუგრძნობდა.

აყვირდა ღამის ორი საათი,
 სილუეტებმა დაიწყეს ცეკვა,
 ცრემლით აივსო გულის კალათი,
 მეც ქვეცნობიერს დავუწყე ქეჩვა.
 მთრთოლვარე ჭერი დამყურებს თავზე,
 მის მოშორებას ელდისგან ვბედავ,
 მორიელის გესლს შევიგრძნობ ტანზე,
 გამოსავალი არ არის ელდა...
 იატაკის ქვეშ ღამის ალქაჯი,
 ვითომ ქალწული, მტეხავს მტეხი ქვით,
 ტირანი გახდა ჩემი დარაჯი,
 მიყურებს, მიღრენს ცოფიანივით.
 მდარაჯობს, რათა არსად გავიქცე,
 რომ არ დავტოვო ჩემი ოთახი,
 სიჩუმე უკრავს ფუგას საყვირზე,
 კუშტად თითს მიქნევს აჩრდილი ბახის...
 გარედან ისმის ნიავის გლოვა,
 შენ რაღას ტირი, თავისუფალო?
 შენმა სულმა ხომ სილადე ჰპოვა
 და გახდა ცელქი, უკიდევანო?
 ჩემი სარკმელიც გადამავიწყდა,
 ჩემს ბოდვას მთელი ღამე რომ უსმენს,
 გონება ქვესკნელს შიგნით დამინდა
 და მორიელი მიმატებს ნაკბენს.
 ძალას მოვიკრებ, გავასწრებ ტირანს,
 უცნობ ხილვებით გზააბურდული,
 ოთახის კართან მიეყვები მიზანს
 და გავფრინდები, როგორც შურდული...
 გავშორდი ოთახს, ვარ აივანზე,
 ოდნავ დავმშვიდდი, აღარავინ მკლავს,
 ფლეიტის სიო ხმას გაინაზებს,
 ჩემი ნაღველიც გავატანე კვამლს.

ორიც შესრულდა, სამი დაიწყო,
ფიქრი დავუშვი – ხმალი და ფარი,
გაბრუებული, ოთახს შევედი,
დავწევი, შვებით ძილს მივეც თავი.

თოვლის ფანტელებს დაჰყოლია ნატიფი ცრემლი
და ნება-ნება თავს მახვევენ უცხო კაეშანს...
და, რახანია, თოვლო, მე შენს მოსვლას მოველი,
რადგან ვიცი, რომ შენ მაჩუქებ ლექსის წერის შანსს.
დედამინაზე შენი თეთრი სული დასახლდა,
ყოველ შენს ფანტელს მე მიგზავნი ფაფუკ ფიქრებად
და ხეებს შენი სანუკვარი რისხვა დაატყდა,
მთებსაც კი მისწვდი, დაეფინე მარგალიტებად.
ამ სილამაზეს როცა ვუმზერ, შენსავით ვდნები,
შენი კაშკაში ემუქრება ჩემი თვალის ქრილს,
ასე მგონია, ჩემს გულისთქმას უსიტყვოდ ხვდები,
ასე მგონია, კარგად იცი, ჩეს სულს რაც უჭირს.

წახდა სამყარო, ფერთა გამა უფერულდება,
ცის თაღზე ტირის დაღვრემილი ნამგალა მთვარე,
ტრადიციულად, უიმედო დილა თენდება,
ტრადიციულად, უიმედომ, ცრემლები ვღვარე.
ძალზედ აცივდა, – სეზონისთვის შეუფერებლად,
სიო უხვად ქრის, ჰაერი კი მთლად დახშულია,
როგორ მოვიქცე ამ სიცივის ასარიდებლად?
როგორ ავუხსნა სხეულს ჩემსას, რომ ზაფხულია?
ძილს როგორ მივცე ჩემი თავი, როცა ვიცი, რომ
ნორჩი ბიჭები საცხოვრებლად ცაში მიდიან,
როცა ვიაზრებ, რომ სიკვდილი დაძრწის ამქვეყნად
და ამ სიკვდილთან გამალებით, ვიცი, იბრძვიან.
რადგანაც ბორგავს ჩემი სული, ზემგრძნობიარე,



ქარის ფრთას ვუსმენ, იქნებ დარდი გაანიავოს,
 ეგებ სევდის ხმა გადაფაროს, ხმა მგლოვიარე,
 სულთმობრძავივით აღმოხდება ბედკრულ სამყაროს...
 ქარმაც დაბერა, ჩაუქროლა ჩემს ეზოს კედლებს,
 (სულ სადღაც როგორ გეჩქარება, თავქარიანო?)
 და, როცა გაცდა ეულად მდგარ სევდიან ვერხვებს,
 დაიგრიალა „რამდენს უძლებ, ადამიანო?!“

შეუჩერებელ დროის კანონებს
 გვერდით მივყვები კვლავინდებურად,
 სამყაროს ბედი მუდამ მალონებს
 და თვალს ვადევნებ გარინდებულად.
 ისევ ვიხსენებ მილეულ ზამთარს,
 წარსულში ფუჭად გავლილ ნაბიჯებს,
 ფიქრს შევამატებ ფიქრების დავთარს
 და სინანულის ვალებ კარიბჭეს.
 ჩემი ოთახის კედლებიც გრძნობენ,
 ფიქრს რა ქაოსი შემოხვევია,
 რად ვიმსახურებ, არ ვიცი, მაგრამ
 ჩანს, ეს ქაოსი განაჩენია!..
 ალბათ, ვგიჟდები, ალბათ, ცხოვრების
 სასტიკი ნყოფა მარქმევს ამ სახელს
 და ჩემს გულისთქმას, ყველგან რომ თან მდევს,
 ღამით ვუყვები სიზმრების სარკმელს...
 და მისმენს ისიც, ჩემსავით დარდობს,
 ღამის სინათლით ანათებს ფარდას
 და სიფაქიზით საამოდ მარდობს,
 როცა პოეტურ ძაფებით მქარგავს.
 მერე, მეც, ისევ, თითქოსდა მშვიდად,
 მოქარგულ სამოსს მჭიდროდ მოვირგებ,
 გამოვიყენებ სარკმელს მოტივად
 და ფიქრთა კრებულს ბრძოლას მოვუგებ.

მე ჩემთვის ვფიქრობ, გულში ვინატრებ
ლალ ბედისწერას, ცელქ თეთრ თოლიას
და ვერ ვეშვები ძილის წინ ფიქრებს,
ვერც სიგარეტის მელანქოლიას.

დღე იწურება და არემარეს
ენვევა ლამის მსუბუქი ლანდები
და თან მოჰყვება ცეცხლივით მწველი
და ყინულივით ცივი დარდები.
შემოაბიჯეს, სტუმრად არიან,
დაუპატიჟებელ სტუმრად,
ურჩი ბავშვივით ჯიუტად ბღავიან,
დაიღლებიან და სდუმან.
შეხედე, თითქოს აქ გადმოსახლდნენ,
მაგრამ არც ცხოვრობდნენ არსად,
ჩემში შემოსახლდნენ,
გრიგალს თავს მავლებენ,
ერთ ფიქრს მიჩვენებენ ასად...
არ იღლებიან, არც ბეზრდებათ,
არიან ენერგიით სავსე.
ვცდილობ, დავემალო, მაგრამ ვხედავ,
რომ ისევ მადგანან თავზე. —
– თქვენ საიდან ხართ? საიდან მოხვედით?
ანდა საით მიდის თქვენი გზები?
ალკოჰოლს ჰგავხართ, თრობის ეფექტი გაქვთ,
სულსა და სხეულში სწრაფად იჟლინთებით,
მერე ზღაპრებს ამსხვრევთ, ტკივილების ხეს რთავთ
და მეც, უკვე, ვხედავ, ძალზედ მალე ვთვრები.
დაგიმსხვრევიათ ეს ჩემი ზღაპარიც,
მინასთან გაასწორეთ არემარე!..
ჩემი დანგრეული სიყვარულის კორპუსს
ჭრილობებს ნაზად უხვევს თეთრი მთვარე.
სახურავზე არ ხტიან სიზმრის კატები,

ქუჩის მუსიკოსიც აღარ უკრავს მაჟორს,
იმედგაცრუებულნი დადიან მხატვრები
– ფერებში ნახატს ვერ ვხატავთო...
ნახატს ფერებში როგორ დახატავ,
როცა ამისთვის გჭირდება ფერი...
გარშემო რა არის? – მხოლოდ მტვერი.
ზღაპარს უსათუოდ სჭირდება შველა,
– მიშველე, ანგელოზო, ბნელაა!
დროც გადის ნელა...
ანგელოზმა ყველა გაჭირვებულს თბილი
სიყვარულის საბანი დააფარა
და, მაშინ როცა თვითონ გაუჭირდა,
შეკითხვა გამიჩნდა: ვინმე დაეხმარა?
იგი, დაცემული, ტერფებით მიეჯაჭვა ნაპრალებს,
მისი გული როგორ, როგორ კანკალებს...
შეხედე, ჩიტებს სტკივათ,
შეხედე, გადაყარეს სიხარულის ლამაზი,
ლურჯი ბარათები,
უკვე დავიღალე, გაუსაძლისია,
ჩემო ანგელოზო,
შენ აღარ წამოდგები?
ცოტაც დამაცადეო –
მითხრა ანგელოზმა,
ძალას მოვიკრებ და ისევ წამოვდგები...
დღეები მიდიან... მე კი ყოველ დილით
დაცემულ ანგელოზს ველოდები.

ნატალი ვარდიე

სტუდენტობის წლები მიიწურა, თითებზე ვითვლი, რამდენი დღე დამრჩა იქამდე, სანამ საბოლოოდ გავიხურავ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძიმე კარს, მოგონებებითა და საინტერესო, მრავალფეროვანი გამოცდილებით ხელსავეს...

სტუდენტობის პირველი დღე თავისებურად ჰგავდა დაბადებას... თუ პირადობას დაფუჯვრებით, ზუსტად 2002 წლის 23 ოქტომბერს დავიბადე, ქალაქ ახალციხეში. ჩემი აზრით კი, თითქმის 22 წლის წინ ქვეყანას მოვევლინე და დავინყე იმ ისტორიის წერა, რომელსაც ხშირად ვერც კი ვიაზრებდი.



2008 წელს, როგორც ქვეყნის, ასევე ჩემს პირად ისტორიაში ერთიანად შეიცვალა რაღაც, ორივესთვის დარეკა სრულიად ახალმა და აქამდე უცნობმა ზარმა... აგვისტოს თვეში ქ. ახალციხის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე გავხდი, სადაც განველე კიდეც 12 წელი.

2020 წელს მსოფლიომ ცხოვრების ახალ რელსებზე იწყო გადასვლა და მეც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შევაფარე თავი. 14 სექტემბერს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ამავე პერიოდში გავაცნობიერე, რომ „შეპყრობილი“ ვიყავი წერის სურვილით და კარი გაზეთის რედაქციაში გამიღეს, დღეს უკვე დიდი მონივნებით დავატარებ „რედკოლეგიის წევრის“ მანტიას.

2008 წლისა და ამ დროს მომხდარი გარდამტეხი მოვლენების შედეგად, დღემდე ამაყად ვატარებ ნარჩინებული სტუდენტისა და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცის სტატუსს.

იყო და არც კი იყო რა...

ალბათ ამ ისტორიას დიდი და ფართო აღწერა უნდა, იმდენად დიდი და გაშლილი, რომ მან შეძლოს ადამიანთა სულამდე მისასვლელი გზის გაკვალვა. მან უნდა შეძლოს ზამთრის სიცივეში გაყინული გულის გაღლობა, აბზაცების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ძაფის გადაბმა, ლოგიკური კავშირის მოძებნა, კითხვებზე პასუხის გაცემა და, რაც ყველაზე მთავარია, მან უნდა შეძლოს...

ნეტარი ყოფიერების განმავლობაში არცერთი წელი არ გამოუტოვებია, მუდამ განსაკუთრებულად, დიდი ზარ-ზეიმით, სიმღერითა და ამალლებული განწყობით ეგებებოდა. ყოველივე ის, რისთვისაც ასე იღწვოდა საზოგადო თვალსაზრისით, სხვა არაფერი იყო, გარდა რამდენიმე ლამაზი საათისა, თუმცა მისი აღქმა და შეფასება სულ სხვაგვარი, თვალისმომჭრელი, ნატიფი და ფერადი იყო. ადამიანი თავისებური, მიკერძოებული და სუბიექტურია და შესაბამისად ისიც არ არღვევდა მიღებულ, ჩამოყალიბებულ სტანდარტებსა და დაუწერელ ადათებს.

მზადების პერიოდსა და პროცესს უშურველად დაჰყვებოდა ახლობელ-მეზობელთა ფრაზა: მეტი საქმე რატომ არ გაქვს, ასე რატომ დელავ ამისთვის, ნუთუ სამყაროსა და შენს ცხოვრებაში მეტი ღირებული არაფერი ხდება?! პირველად სწყინდა, არ იყო მარტივი ძვირფასი ადამიანებისგან გულსაკლავი სიტყვების მოსმენა. პატარა, სიყვარულის მფეთქავ ორგანოს ლახვარივით ესობოდა ის არაერთგზის გაზეპირებული, გაცვეთილი და უშინაარსო სიტყვები, რომელთაც კვლავაც ჰქონდა საკმარისი ძალა – გავლენა მოეხდინა, დაენგრია და ბევრი მწუხარება დაეტრიალებინა გონებაში. ქმნიდა, აკეთებდა, იღწვოდა, ამ დღის მნიშვნელობა განუზომელი იყო მისთვის, თუმცა საყვარელ და ძვირფას ადამიანებს მაინც არ შეეძლოთ მისი გაგება. ესეც წმინდად ადამიანური და ბუნებრივი მოვლენა იყო.

უსაშველოდ სტკიოდა ამ სიტყვების მოსმენისას გული. იყო პერიოდი და დრო, როცა ალონებდა და ამძიმებდა ეს ორიოდ ფრაზა. იმდენად მძიმე იყო ასატანად, არ იცოდა, სად ან ვისთან ენახა ნუგეში. უჭირდა გაეგო და მოეძებნა გარემო, სადაც გაუგებდნენ, მიიღებდნენ, არ განიკითხავდნენ და პატივს სცემდნენ ისეთს, როგორიც იყო, თავის ჭეშმარიტ თუ მცდარ მოსაზრებებთან ერთად. მოსმენა, მიღება, გაგება, თითქოსდა მეტად პრიმიტიული და მარტივი მოთხოვნები, მისთვის იმაზე შორს იყო, ვიდრე დედამიწიდან მთვარემდე, თვალისთვის განუზომელი მანძილი. ზედმეტად მიუწვდომელი და რთული იყო ამგვარი სივრცისა და

ადამიანის დანახვა. ადამიანთა გარემოცვაში მყოფს უჭირდა თავისი ადამიანის პოვნა. დღეები, თვეები და წლები ერთმანეთის მიყოლებით აუჩქარებლად მიიზღაზნებოდა. სეზონებთან ერთად ხალხი და მოგონებებიც ერთერთს ცვლიდა, ადგილს უთმობდნენ იმ ამოუხსნელს, გარდაუვალსა და უთქმელს, რაც მათ შემდეგ მოიცავდა არნახულ სივრცეს. ცვლილებებსა და დროსთან ერთად ხელებზე კანი დაჭმუჭნულ ქალაქს უფრო და უფრო ემსგავსებოდა, მაგრამ არსებითად მაინც არაფერი არ იცვლებოდა.

საკუთარ „მესთან“ ხანგრძლივი ჭიდილისა და ბრძოლის შემდეგ, ღრმა ფიქრებში ნასული თავს გამოუტყდა. ეს იყო აღიარება და აღსარება, რომელშიც დაფარული და მისთვისვე გაუგებარი რამ იმალებოდა. ხანგრძლივი ფიქრისა და გაურკვევლობის შემდგომ, თავისდა უნებურად სარკის წინ დადგა, საკუთარ სუნთქვას ყური მიუგდო, პირთან მოსული ნერწყვი გადაყლაპა, პატარა რგოლმა ყელის დაკლავილი ლაბირინთი გაიარა, ხორხიც ჩაიარა და კუჭში ძილისთვის გაემართა.

ღამნახი არავინ ჰყავდა, თუმცა კი მეტად საინტერესო რამ გამოკვეთილიყო ოთხ კედელს შორის – თრთვილივით გამჭირვალე და ნათელი სახე გაშეშებოდა, გარეგნულად ბევრი არაფერი ემჩნეოდა, ჩუმად იდგა, დუმდა. რამდენიმე წუთი ცოცხალ მიცვალებულად იქცა, დადუმებული, გაშეშებული და მდუმარე ფეხზე მდგომი ძალიან წააგავდა ადამიანის სილუეტს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ თავადაც უჭირდა გაეხსენებინა, რა მოხდა, თითქოს ტრანსში ან რამე კიდევ უფრო უარესში იმყოფებოდა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ცვილის ფიგურას მიმსგავსებული ნელა სუნთქავდა.

თითქოს შესმატკბილებული მოწინებითა და შიშით, ბაგე ნელა გახსნა, ჰაერის ბუშტები ალივლივდა მის პირთან. დრო იყო, გრძნობდა, ყველაფერი კვლავ წესრიგში, სიმეტრიულად დგებოდა. ხმა ამოიღო, ჩუმად შეჰღალადა საკუთარ თავსა და კიდევ ვიღაც სხვას, იღუმალს: რას გაუგებ ადამიანებს, განა ასე ხელალებით მარტივია მათი სიტყვისმილმა ჩანაფიქრისა თუ დაფარული აზრის გაგება? ვაი, რომ არა. გაგება იმაზე ბევრად რთულია, ვიდრე ამას ჩემს სახეზე გადაპენტილი ქალარა მკარნახობდა მთელი ამ დროის

განმავლობაში. ეპ, ჩემო მეგობარო, ჩემო მოხუცო მეგობარო, ასაკი გემატება და გულუბრყვილობაც ისევე მოიწვევს, როგორც განუცვალების დღე. გულწრფელი, წლებით დაბეჩავებული ადამიანის ღიმილი შეაგება სარკის მიღმა მდგარ მოხრილ მოხუცს. მეორე კუთხეში მდგომამაც მოკრძალებული ღიმილით უპასუხა, თვალებში ცრემლის წვეთები კიაფობდა, ორი ჭაღარა ერთროულად ებრძოდა ცრემლებს. თუმცა თვალის გუგის გარშემო შეგუბებული ტბები თავისთვის იყო, არავის ანუხებდა და არც დაშრობას ლამობდა. პატარა ცრემლის წვეთები მთელი ცხოვრების დარდსა და მოახლოებული დღის ბედნიერებას ერთიანად იტევდა საკუთარ თავში. იმას კი თავიდანვე კარგად უწყობდა, რომ ასეთები იყვნენ ადამიანები და ალბთ ასეთი იყო თავადაც. ის ერთი შეხედვით სხვებისგან არაფრით გამორჩეული, ჩუმი და უთქმელი მოხუცი იყო, რომელსაც უმეტესად ვერ უგებდნენ და ყველაზე საინტერესოც სწორედ ეს იყო.

გულში მალულად გაივლებდა ხოლმე, ხო, ხო, ნამდვილად ასეთები ვართ და ასეთები არიან - თუ მათ არ გადახდათ თავს ვერც გაიგებენ და არც ეცდებიან რომ გაიგონ, აბა, ამის მერე მერა უფლება მაქვს, რომელიმეს ჩემი ამბის გაგება, გულთან მიტანა ან მასზე დუმილი მოვთხოვო, თუნდ ვთხოვო მაინც? არანაირი, ამის არანაირი უფლება არ გამაჩნია. თავისსავე აზრებს დაეთანხმებოდა, მოიწონებდა, შეაფასებდა, გადასინჯავდა, თავს დაუქნევდა. ტანსაცმელს შეისწორებდა, შეათვალაიერებდა, ხომ ყველაფერი რიგსა და წესრიგში მაქვსო და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელებდა წელიწადის ყველაზე დიდი დღისთვის მზადებას

ესმოდა ყველაფერი, სწორედ ამიტომ იყო, რომ დღეში რამდენჯერმე ხელს მძიმედ ჩაიქნევდა და ამონასუნთ ჰაერს ოხვრით ამოაყოლებდა ნაჩვევ ფრაზას, რას ვიზამთ, მათაც ასე ესმით ცხოვრებაო. ეს იყო და ეს, მრავლისმთქმელი ღიმილი გაუნათებდა სახეს, კიდევ ერთხელ მოიწმენდდა თვალზე მომდგარ ცრემლს. მიტოვებულ საქმეს, უკვე მერამდენედ, კვლავ სათავეში ჩაუდგებოდა. ამგვარი ფიქრის შემდეგ ფანჯარაში გაიხედავდა, თითქოს ციურ სხეულებსა და კიდევ უფრო შორს მყოფთ ატყობინებდა, მოვრიჩი, მოვიშორე ფიქრები და მზად ვარ საქმეს შევუდგეო. ყველაფერი ისევ ლამაზად, კოხტად და შესანიშნავად იყო. ცაზე

გამოსახულ, ამოსვირინგებულ მზეს, ან მთავრეს შეჰლიმებდა, დროც არ უნდა ყოფილიყო რომელიმე მაინც მღეროდა და ახალი დღის ამბებს ნელი დუდუნით ყვებოდა... ყოველი გათენებული და დაღამებული დღე უფრო და უფრო აახლოებდა მასთან

წლის ნანატრი დღე ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დგებოდა. მზის ალიონზე მზის პირველი სხივების გამოჩენიდან შფოთავდა და ღელავდა, საოცარი რამ ელოდა წინ... აუხსნელად ძლიერ უყვარდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა სხვებისთვისაც გაენდო ამ სპეციაკი და წმიდა სიყვარულის არსი. ბევრისთვის ის საკუთარი საკრარულობით გამოირჩეოდა, ზოგისთვისაც კი მისტიურობისა და განზოგადებული ძალის მატარებელი იყო. მოსალამოვდა თუ არა, ბოლომდე გამოალო ფანჯარა, ზამთრის ცივი, სუსხიანი ჰაერი ჩაისუნთქა და წინასწარ გამზადებული, ყალიბში ჩამოსხმული, ლამაზი ორნამენტებით გაფორმებული სანთელი ღია სარკმლის შუაში დადო, ასანთის გრძელი ღერით ცეცხლი მოუკიდა, პირველივე ღერი აინთო. ნათელმა ღიმილმა სახე გაუნათა, ბაგე გაუპო, ალი მის გაცისკროვნებულ თვალებს მეტ სიკეთესა და სიღიადეს მატებდა. ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ამგვარი წამიერი რეაქციით აღიარებდა, რომ კინალამ ჩაუქრა პირველივე, მისდა გასაკვირად, წარმატებით ანთებული ღერი. სანთელი უკვე აენთო, ასანთი ჩააქრო. გაელიმა, თუმცა მხოლოდ საკუთარ თავსა და ფიქრებზე, რომელიც დღენიადაგ თან დაჰყვებოდა - ხან ართობდა, ხანაც ამძიმებდა.

სახლში საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებული, არაერთი, ნაირფერი და გემრიელი კერძის სუნი იდგა. არომატები ერთმანეთში ირეოდა და თავბრუდამხვევი შედევრის სახით ევლინებოდა სასუნთქ ორგანოს. ხის, ქვისგან შექმული, ფანჯრის ჩარჩოდან იანვრის პირველი კვირის თოვლის სურნელი იპარებოდა. ფარდა გაასწორა, ნოემბრის ფოთოლივით დამჭკნარ ხელებზე დაიხედა და ისევ ნაღველით აევსო გული. მიუხედავად შინაგანი უთქმელი, გაუქრობელი და უკურნებელი ნაღველისა, ახსოვდა, რომ დარდისა და სევდის ადგილი აღარ იყო, მათთვის საკმარისზე მეტი დრო დაეთმო და წლებიც სწორედ მათთან ბრძოლაში გაეტარებინა. მათ უკვე საკმარისზე მეტი მიეღოთ და შეენივთათ.

სულში ემოციები უკრავდნენ და სხვადასხვა რიტმის მქონე მელოდიაზე ერთობოდნენ. თითოეული მათგანი წინასწარ მომზადებულ ნომერს ასრულებდა. ცოტა დამშვიდება სცადა, გრძნობები მოთოკა, გაიხსენა ცხოვრების მთავარი სიტყვები და თავს შეახსენა, რომ დრო მხოლოდ სიყვარულისთვის უნდა დაეთმო. თავისი არსებობა სიყვარულისთვის მიეძღვნა და არავითარ შემთხვევაში არ დაეტოვებინა ადგილი ტკივილისა და სულიერი მარტოობისთვის. სიყვარული იყო ერთადერთი რამ, რისთვისაც ცხოვრება ღირდა. ერთადერთი გრძნობა, რომლის გამოც ღმერთმა ადამიანებს თავისი ერთადერთი ძე მოუფლინა. ამ ყოველივესთან ერთად კი ეს იყო მიზეზი, რის გამოც ზეიმობდა ამ დღეს. მის სულში უფალი ისევე ჭეშმარიტად, მშვიდად და უბრალოდ იშვა, როგორც ბეთლემში. გავლილი წლები მჭიდროდ, ერთმანეთზე დანყობილი აგურებივით მრავლდებოდა, მალდებოდა და იზრდებოდა, თუმცა მის პარალელურად ყველაფერი როდი იცვლებოდა. ზოგიერთი რამ თავის მარადიულ საბურველში რჩებოდა და მშვიდად ელოდა, როდის უხმობდნენ მას.

სულში უთქმელი ბედნიერება ჩასახლებოდა, სულ ორიოდე ფრაზას იმეორებდა ტუჩების ნელი მოძრაობით, ბუხართან ნელა, სვენებითა და რამდენიმე მეტრის გავლის გამო უსაშველოდ დაღლილი მივიდა. გაუჭირდა მძიმე ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ მთავარი იყო, რომ შეძლო, საკმარისზე ძლიერი იყო იმისათვის, რომ ამგვარ რამეებს დანებებოდა. ფარდაც გასწორებული იყო, სკამებიც ლამაზად იდგა, სახლიც ალაგებული და განკრიალებული ჩანდა. ძვირფასი თუ უბრალო ნივთები ერთიანად კაშკაშებდა სანთლისა და დაბურული ნათურის შუქზე. დაბალი, რამდენიმე წლის წინ მუხის ხისგან გამოთლილი სკამი მიიწია ახლოს, ასაკითა და შრომით გათანგული ფეხები კიდევ უფრო მოხარა, მხრები ოდნავ შესამჩნევად აუკანკალდა, თავისსავე მუხლებს დაეყრდნო და დაჯდა, ფეხები წინ გაშალა. მუხლები მოხარა, კიდურის ზედა და ქვედა ნაწილი შეერთდა. რამდენიმე წამის შემდეგ ხის სიმეტრიულად დანყობილი ნატეხებიდან მოზრდილი მორი ამოარჩია, ის ჩამწვარი ხეების წითელ ნაკვერცხლებს ზემოდან დაადო, ცეცხლმაც მალევე აიტაცა, ჩამოცხა. არ იყო რთული ამ მომხიბვლელი სივრცის გათბობა. პატარა, სადად გადანყვეტილი ოთახი

ზაფხულობით მისაღების, ხოლო ზამთრობით, სამზარეულო-სადი-
ნების, ფუნქციას ერთად ითავსებდა. მისი საცხოვრებელი არც
ზომითა და არც მედიდურობით არ გამოირჩეოდა. წინა საუკუნის
მოკრძალებული, კოხტა, სიძველის მიუხედავად, ამაყად მდგომი
სახლი თეთრი მოხუცის სრული ანარეკლი გამხდარიყო.

ერთადერთი საქმელა დარჩენოდა, ამ დღის ბოლო აკორდი,
დაგვირგვინება, ერთის დასასრული და მეორეს დასაწყისი... თბი-
ლი, ღუნღულა საბანი კიდევ უფრო გადასწია, მოაცილა სანოლის,
კუთხე გადაკეცა. გამთბარ სანოლში მშვიდად ჩაეშვა, ჩაიძირა,
სულ მთლად დაჩიავებულიყო, დაპატარავებულიყო. მისი სითეთრე
დამხვდურ ფერებს შეერია და საინტერესო, ზამთრისა და ღლესას-
წაულისთვის შესაფერისი კონტრასტი შეიქმნა. ამ ხატებრივი
ჯადოსნობისგან მხატვარი, ფოტოგრაფი და იქნებ მწერალიც კი,
ბევრ საინტერესო რამეს შექმნიდა, გამოძერწავდა და დახატავდა.
ხმაურიან ყოველდღიურობაში მეტად იშვიათი იყო ასეთი მელან-
ქოლიური რამ. მოხუცის ნაცრისფრი საღამურის მიღმა იყო რა-
ღაც, რაც კაშკაშებდა და გარემოს ანათებდა, საერთო მდუმარებას
არ არღვევდა, თუმცა ელვის პატარა ნაპერწკლები მაინც ბევრს
ამბობდა.

სანთელი ნელა, რუდუნებით იღვენთებოდა და თავის წილ
ქეშმარიტებას ჰაერში აფრქვევდა. ღია ფანჯრიდან ღუპატიჟე-
ბელი სტუმრის შემოდრომას არ უფრთხობდა. მისი სიმშვიდის გაკრ-
თობა არავის და არაფერს ძალუნდა. დიდი ხანი გასულიყო მას
შემდეგ, რაც ყველა ცოცხალი არსება მისი ყოველდღიურობის თა-
ნამოზიარე გახდა. სოფლის განაპირა, ტყის მომიჯნავედ მცხოვ-
რებს ბუნების წიაღში თავისი ადგილი ეპოვა და მისთვის შეეფა-
რებინა თავი. ღია ფანჯრიდან ნიავი შემოდოდა, თუმცა არც
გაციებისა ეშინოდა, განა როგორ შეიძლებოდა ამგვარ დიდებულ
ღღეს რამე ცუდი მომხდარიყო, ამას ქვეცნობიერის დონეზეც კი
ვერასგზით ვერ დაუშვებდა. ყველაფერი ლამაზი, ფერადი და
სიცოცხლით სავსე იყო, არაფერი არ არღვევდა ღამეულ სიმშვი-
დეს. რაც საჭირო იყო, გააკეთა, მოამზადა, დაიხარჯა, სცადა,
ახლა დასვენებისა და მოსვენების დრო იყო, მოხუცი თავის ზმა-
ნებებთან მარტო დარჩენილიყო, ზმანებებთან რომელიც ბევრი

ვერაფრის მქნელი და მაქნისი იყო, თუმცა მათი არსებობა მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობას ატარებდა

სასთუმალზე თავის დადებიდან მალევე ჩათვლიმა. ბოლოს დროს მარტივად იძინებდა, აღარ უწევდა ხანგრძლივი ფიქრი იმაზე, რამდენი, ღობეზე გადამხტარი ცხვრის თვლა მოუწევდა ათი საათიდან შუა ღამემდე, იმ მიახლოებით დრომდე, რა დროშიც ახერხებდა ჩაძინებას. თავისებური ღამის რუტინა ჩამოუყალიბდა, ჯერ ფიქრობდა და ამიტომ ვერ იძინებდა. მისი შემხედვარე, ადამიანი მარტივად დაიჯერებდა სამყაროს ტვირთის დიდი ნაწილი მისთვის მოუხვევიათ მხრებზე, უკითხავად, უთქმელად და უნდოდ გაუბედეს, იგრძნეს და გაიმეტეს ამ სიმძიმისთვის, მდუმარე მოხუციც, ყველასგან დაჩაგრული და დაბეჩავებული, ახლა ცდილობს, პატიოსნად გააართვას თავიო. ცხოვრების მაღალ ქონგურებზე გამოკიდებულს მეტი აღარ დარჩენოდა რა.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა კუნაპეტ, ბნელ ღამეებს შავთეთრ ბინდში ათენებდა. მისი ასაკისა და ნატანჯი სულისთვის ყოველი ღამე იმდენად რთულად გადასატანი და დასაძლევია იყო, რომ ბოლოს უკვე მიღებული გამოცდილება არ აძინებდა. გამოვლილი და გადატანილი არ აძლევდა საშუალებას სულ რამდენიმე საათით მაინც გამხდარიყო მარადიული ძილის მხევალი, დანებებოდა საათის ისრების წიკნიკსა და დროის მდინარებას. ტრაგიკული იყო იმის გაცნობიერება, რომ წელიწადის 365 და იშვიათად 366, დღე არ იყო საკმარისი მისი სულიერი სიმშვიდის მოპოვებისა და დასვენებისათვის. ამიტომ ახლა თავადვე უკვირდა თავისივე შეცვლილი ნირის, გულში მოკრძალებით ფიქრობდა, ალბათ ჩემი გარდაცვალების დღე ახლოვდებდა და ამგვარად მატყობინებს, მამზადებს სამყარო სხვანაირი, დაუდგომელი ხვალისდელი დღისთვისო, თუმცა ცდებოდა. მის პიროვნებაში მიღებული გამოცდილების ათასგვარი, ვარიაციული მოვლენები ენაცვლებოდა ერთმანეთს. თითოეული მათგანი პირველობას ითხოვდა, არ ნებდებოდა და მასაც უჭირდა დაძინება, არ იყო მარტივი, ყველა ფიქრის წვერს თავისი სართავისთვის მიეგნო. ბოლოს ისევ ადამიანობის კანონს დაუბრუნდა დაძლია შფოთი, ნერვიულობა, ნუხილი, დარდი და დამსახურებული საჩუქრის მსგავსად მისმა ბუნე-

ბამაც სიმშვიდე ჰპოვა, იხილა დასასრული. ლალად გადაინაცვლებდა ხოლმე ძილის სამყაროში, ფერადი სიზმრებით მოოჭვილ გარემოში, სადაც ყველაფერი განსხვავებული და სახეცვლილი იყო, ჭეშმარიტი, რეალურ სამყაროსთან შედარებით.

ზოგი პაპათი მიმართავდა, ზოგიც ძიათი, თითქოსდა მისი ნამდვილი სახელი ყველას დავიწყებოდა, მხოლოდ ეს ორად ორი რამ იყო, რაც ადამიანთა მოდგმას მისთვის ემეტებოდა. იმდენად გულწრფელი და ნამდვილი ღიმილი ჰქონდა, ნებისმიერს აატირებდა. ბავშვებს იგი განსაკუთრებით უყვარდათ, ამიტომ მათ უკეთ ესმოდათ ერთმანეთის. უფროსებმა მათი ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება უბრალოებას მიანერეს და ამ საკითხზე ფიქრს საბოლოოდ მიანებეს თავი. თუმცა მიზეზი იქნებდა სულაც სხვა რამ იყო, ადამიანი ხომ უცნაური და მეტად თავისებურია, სამყარო ზოგისთვის წალმა ტრიალებს, ზოგისთვისაც უკუღმა, თუმცა ამაზე რთული გასაგები ის არის, ვისთვის რას ნიშნავს წალმა და რას უკუღმა.

ფერადი სიზმრების კორიანტელი მალევე დაატყდა თავს, ცხადშიც ყველაფერს ფერადს ეტანებოდა. ერთადერთი ნათელი, რასაც გაურბოდა თოვლის თეთრი და სპეტაკი ფიფქები იყო. მისახვედრად და გასაგებად მეტად რთული იყო ადამიანის ენას გადმოეცა – ეზიზღებოდა თუ აშინებდა სამყაროში გამეფებული ეს თეთრი სიჩუმე. დღესასწაულის აუხსნელი სიყვარულის მსგავსად არც ის არ იცოდა არავინ, რატომ გაურბოდა ამ ნათელს ასე.

დღისა და ღამის ამბები მისთვის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან, მუდამ ეფიქრებოდა ერთზეც და მეორეზეც, ძილშიც ის მადლიერების გრძნობა გაჰყვა, რომელიც დღისით მისი მაცოცხლებელი ძალა იყო. მათთან, მთიან ფერდობებზე თვეების განმავლობაში გრძელდებოდა დითთოვლობა, ხალხს არათუ გარეთ სიარული, საკუთარი ეზოდან გამოსვლაც კი უჭირდა. ერთადერთი ეს, ფიფქივით თეთრი და გაზაფხულივით მღუმარებით შემოსილი მოხუცი არ გამოთქვამდა უკმაყოფილებას შენელებული, ადგილზე გაყინული ცხოვრების გამო. ასეთ დღეებში სახლს იქეთ ყოფნა არათუ უბრალოდ არ უყვარდა, არამედ მთელი თავისი არსებით სძულდა. ამის მიზეზიც ამოუხსნელი იყო...

მონადინებული, ყოჩალი ახალგაზრდები არად აგდებდნენ ბუნების ამ დამანგრეველ ძალას და ერთად შეჯგუფებულები ყოველ დილით მხრებით მიაპობდნენ წინა ღამით დაგროვილ ნამქერს. როცა ხეებთან შიშნარევად მიყუყულ სახლს შეამჩნევდნენ, მზადებას იწყებდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ადიოდნენ სახლის საზურავზე, ყოველდღიური, სამხიარულო და სასიამოვნო რუტინა მათი დღის განუყოფელ და აუცილებელ, ყველაზე ღამაზ ნაწილს წარმოადგენდა. სახურავს წინა ღამით მოსული, ციდან მიძიმედ დაშვებული თოვლისგან ათავისუფლებდნენ. საკვამურის გარშემო მორებს გაასუფთავებდნენ. ცალკეულ დეტალებს ხელს შეავლებდნენ და როცა ყველაფერს იდეალურთან მაქსიმალურად ახლოს მიიყვანდნენ, მანათობელი სახურავიდან დიდ, ღრმა თოვლში ხტებოდნენ, თითქოს ახლად გაღვიძებულები, ღუზის გარეშე პირდაპირ ზეციდან ბუმბულის საბანში უნდა ჩაეშენენ და ღრმა ოკეანეებისაკენ მაქსიმალური სისწრაფით გაცურონო. მათი ხმაური და ჟრიაბული, არა მარტო სოფელს, არამედ რაიონსაც უხშობდა სმენას. ხშირად ხეებიც მხარს უბამდნენ და ერთთავად ყრიდნენ ტოტებზე ასხმულ თეთრ, ნაქარგ სამოსელს. ერთი შეხედვით ამ უბრალო და მარტივ საქმეში, ყველა ერთიანდებოდა. ყველა, ერთი ადამიანის, ერთი მოხუცის გარშემო იყრიდა თავს. თითქოს მასში იყო რალაც ღვთიური, სხვა ადამიანებისგან გამორჩეული, სუფთა, წმინდა და შეურყენელი, თითქოს მის სულში ღმერთს დაედო მარადიული ნავსაყუდელი.

ახალგაზრდების გულმოდგინე შრომა ბავშვებს ერთთავად დაუმატებდა ხოლმე საქმეს, თუმცა ეს ნათელი არსებები არც წუხილს და არც დაღლას არ იმჩნევდნენ. თავიდან მოხუცს რცხვენოდა, უხსნიდა და არწმუნებდა, რომ მათი ვალდებულება არ იყო დახმარებოდნენ, თუმცა განა ვალდებულება რა სალაპარაკო იყო, აქ ყველა ყველაფერს მხოლოდ სიამოვნებით აკეთებდა.

მისდა ბედად ყველაზე დიდი თოვლი სწორედ იმ ჯადოსნური დღესასწაულის პერიოდს ემთხვეოდა, რომელსაც ვერ ხსნიდნენ. სასწაული იყო ეს აბა, განა რა შეიძლებოდა რქმეოდა სხვა. ოო, როგორ უხარებდა ეს ფაქტი გულს. მართალია, არ ესმოდათ მისი სიხარული, მაგრამ ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად გაეზიარებინათ და მიეღოთ გაცემული, მათკენ მიმართული, ემოციები და

გრძნობები. მისთვის ბავშვები და ახალგაზრდები იმ განზოგადებული სისპეტაკის მატარებლები იყვნენ, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა ზედმეტი სიტყვებისა და კითხვების გარეშე ელიარეზინათ ის, რაც ამ, თითქმის, უკვე საუკუნეს მიღწეული ადამიანისთვის მეტად ძვირფასი გამხდარიყო. უყვარდა ეს დამთხვევა, რადგან სხვა დღეებისგან განსხვავებით არათუ უბრალოდ ერთად ხვდებოდნენ ამ დღეს, არამედ ბევრს ჟრიაშულობდნენ და ხალისობდნენ. უსიტყვოდ ესმოდათ ერთურთის, მუდამ სასურველ სტუმრებს ტრადიციად ჰქონდათ, წინკარშივე ფეხებს ისე ისუფთავებდნენ ლაპლაპი გაჰქონდა რეზინის ჩექმას. ესეც პატივისცემის გამოხატულება იყო, ცდილობდნენ, საკუთრივ მათთვის ნაცნობ ქრილში წარმოედგინათ და დაეხატათ სიყვარულის ყველაზე სათნო და ლამაზი პირმშო – ზრუნვა, მოფრთხილება და პატივისცემა. სახლის კართან მისულები ფუმფულა ჩუსტებში ჩაადგამდნენ ფეხს. ანაზდად ეფლობოდნენ ზღვასავით მოლივლივე სქელ, დიდ ხალიჩაში, რომელიც მართლაც ზღვისა თუ ოკეანის ფერებში გადაეწყვიტათ. სადილისთვის მაგიდას ბუხართან წევდნენ, მხოლოდ ამ ერთადერთ, ნახატებით გამდიდრებულ სახლშიღა შემორჩენილიყო ეს, კედელში კოხტად გამოყვანილი ფიგურებიანი მინაშენი. დაღამდა, ყველა საქმე მოამთავდა, დაიძინა, თავისი არსება ბნელეთის ანგელოზებს უბოძა დიღამდე, ეძინა... ვინ იცის, მერამდენე მოგონებასა თუ სიზმარს შეჰკლიმოდა მისი ოდნავ გაპოხილი ბაგე, თვალებიც ღრმად და სწრაფად დაცურავდნენ უძირო ზღვაში დაკატრგული თევზებივით.

ღამეული ზმანებებიც დღის განმავლობაში მომხდარის გაგრძელება იყო. მშვიდად ეძინა, არც ბორგავდა, არც ადამიანის არსებობის რამენაირი კვალი იგრძნობოდა ოთახში, წლებს, კედლებსა და გარემოს იმდენად შეესისხლხორცებინა, იმდენად გამხდარიყო ამ ყოველივეს ნაწილი, რომ იქ სულიერის არსებობის დაჯერება ჭირდა. ჩნდებოდა კითხვა – მართლა ეძინა ადამიანს? მისი გონება მშვიდად ხარშავდა და რთავდა ნაცნობსა და უცნობ, ახლახანს გამოგონილ, ამბებს. სახეზე ღიმილი გამოესახა, ძველი ამბები სიზმრად მოსულიყვნენ მასთან, თავს ახსენებდნენ და არ ტოვებდნენ. ნათელი, მშვიდი ღამე იყო, სულში დიდი ზეიმი ქონდა, კიდევ ერთი წელი შესრულებულიყო, რაც ლოდინით ცხოვრობდა,

რა იყო ეს დღე, ან რატომ უყვარდა ასე განსაკუთრებულად? მიზეზი ძალზედ უბრალო და ადვილად გასაგები იყო – უყვარდა, რადგან, როცა ღამის თორმეტს ერთი წუთით გადასცდებოდა და ახალი, ბედნიერი დღის, შემობრძანება იგრძნობოდა ჰაერში, მასთან ის მოდიოდა, ვინც ყველაზე ძვირფასი, ნათელი და სანუკვარი იყო, ვის გვერდით ყოფნისთვისაც ერთი ცხოვრება საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ ამბისა და მთლიანად ისტორიის ალქიმიამ მეტად მარტივი და ნათელი იყო – თოვლმა საყვარელი ადამიანი სამუდამოდ წაართვა, ხოლო შობამ დაუბრუნა, წელიწადში ერთხელ, ერთი დღე ყველაფერი თითქმის ზუსტად ისეთივე ხდებოდა, როგორც ადრე იყო. ადრე, მაშინ, როცა ცხოვრება მშვენიერი, ხოლო ყოფიერება ასატანი იყო...

ცალსახა და ნათელი აცდენა ამბებს შორის. ის, ხომ ადამიანია და ადამიანურ, არეულ და უსახურ სიზმრებს ხედავდა, ხან თავს მიადგებოდა, ხან ბოლოდან გააგრძელებდა შუაში განწყვეტილს. სულ ერთხელ დაიძინა და ნახა სიზმარი ღამაზე სახლზე, ახდენილ ოცნებებსა და უპირობოდ მიმღებ ადამიანებზე. ისეთ მოსიყვარულე არსებებზე, რომელთაც არ ესმით, თუმცა არც განიკითხავენ, არ განსჯიან, არ აფერისტობენ, არ იტყუებიან და არ თამაშობენ. ერთხელ დაიძინა და მაშინაც შეძლო სიზმრად ენახა ის, რაც იყო და რაც არც კი იყო...

იყო და არც კი იყო რა, რადგან აშკარა და მეტად ნათელი გამხდარიყო, რომ რაღაც სხვაგვარად უნდა ყოფილიყო, აი, რა, ჯერ თავადაც ვერ გაეგო ღრმა სიბერისკენ წასულ, ყველაზე ნათელი და ნამდვილი ღიმილის მქონე მოხუცს.

01.07.2023 – 08.09.2023



- მოხვედი?! - რიტორიკული, ჰაერისთვის ნათქვამი უფრო იყო ეს კითხვა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ადამიანისთვის განკუთვნილი.

კარი გაიღო, მაღალმა, ახოვანმა და მოხდენილმა კაცმა გადმოაბიჯა ვინრო, პატარა, საღებავ აცლილ ზღურბლს. მისი გრძელი, მხრებზე მოსხმული პალტო სათუთად ეხებოდა იატაკს, თითქოს ფრთხილობს, საყვარელს შემთხვევით არ ატკინოსო. ახალშესულმა დამხვდურს გაუღიმა, თქმით არაფერი უთქვამს, თითქოს გაკვეთილზე დააგვიანა და ახლა მასწავლებლისგან დასჯას ელოდა, წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. დამხვდურმა შეიფერა, დასასჯელის სიჩუმე, ჩათვალა, სამართლიანი, საყვედურის მიღებას ელოდებო და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, სახეზე სიბრაზე და ირონია ერთნაირად დასთამაშებდა, რალაც მნიშვნელოვნის სათქმელად ემზადებოდა.

დახუთულ, მზით განათებულ ოთახში დაძაბულობა და უხერხულობა იგრძნობოდა, ჰაერი არ იძვროდა. თავი მაღლა ასწია, ღრმად ჩაისუნთქა და ხანგრძლივი მონოლოგისთვის მოემზადა, ახალმოსულიც მზად იყო, მოესმინა და აეტანა ყველაფერი, რასაც მისთვის გამოიმეტებდნენ, რამდენიმე წუთი კიდევ დასჭირდა სანამ საუბარს, უფრო სწორად, როგორც ამგვარ სიტუაციაზე, თავადვე ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ჭეშმარიტ დიალოგსა და სჯაბაასს დაიწყებდა. აუცილებელი და მასთან ერთად პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, მოერგო სიტუაციის შესაბამისი ხმის ტემბრი, დაეღაგებინა სათქმელი და მიეღო გაბრაზებული, იმედგაცრუებული და მრავლისმთქმელი სახე.

სულ მალე, რამდენიმე წამში უკვე მზად იყო და დაიწყო:

- მოხვედი, დღეს მოხვედი, მაგრამ გუშინ არ გამოჩნდი, არ მოხვედი და იმაზე მეტად მატკინე გული, ვიდრე ბევრი ვარჯიშის შემდეგ გამოსდით ხოლმე ეს - ცოტათი დაცხრა, ისე აღარ ცახცახებდა, წარბებიც აღარ მიუგავდა ირაოზე გაფრენილი არწივის ფრთებს, ნაირფერი ბუმბულები ძირს დაეშვა და ახლა წამწამებ-

თან გააბა მუსაიფი. „მომარაგებული“ ჰაერი საკმარისი არ გამოდ-
გა, მონოლოგი შუა გზაზე განწყდა, ამაზე კი დანალვლიანდა ცოტა,
მაგრამ ცხადია, არც ეს, არ შეიძინია.

- მართალია, მოვედი დღეს და არ მოვედი, ან, როგორც შენ
ამბობ, არ გამოვჩნდი გუშინ, მაგრამ იცი, რა იყო ამის მიზეზი?...

- თავის გამართლების მცდელობა არ ეთქმოდა, ეს უფრო გარ-
დაუვალი საჭიროებით განპირობებული პასუხი იყო, რომელიც
მნიშვნელოვანი, ძვირფასი და ამასთან აუცილებელი იყო.

- რა იყო?! რა, თქვი, რა იყო! ამოშაქრე და მითხარი მეც.
ჯერ მოუსვლელობით დამტანჯე და ახლაც მოხვედი, თუმცა
სდუმხარ! - იშვიათად თუ ენახა ვინმეს ის ასეთი განრისხებული
და გაბრაზებული, ელვარე თვალებიდან ბრაზისა და წყენის მწველ
ნაპერსკლებს ყრიდა, მეტწილად ყოველთვის მშვიდი, სამაგალი-
თო, სანიმუშო ქცევით გამოირჩეოდა, ახლა კი თითქოს, თუმცა
რალა თითქოს, ფაქტია, მოსული, ნაგვიანები ახალგაზრდა სტუმ-
რის ქცევამ ისე გააბრაზა, წონასწორობა დააკარგვინა, მდგომა-
რეობიდან გამოიყვანა.

როგორც ხდება ხოლმე, მძიმე სირცხვილის გრძნობა შიგნიდან
ხრავდა, მაგიდას ხელი ისე ძლიერ დაკრა თავადაც რომ არ ელო-
და. გამწარდა, იმდენად მწველი ტკივილი იგრძნო, ეგონა, მთელს
ხელის გულზე ცეცხლი მომედოო. თვალებიდან კვლავ მანათობელ
ელვებს ყრიდა, ვერ მშვიდდებოდა. ამგვარი ქმედება მისთვის
შეურაცხყოფა უფრო იყო, ვიდრე უბრალოდ უხერხული სიტუა-
ცია. უხერხული სიტუაცია ბევრად მარტივად გამოსწორდებოდა
და მოგვარდებოდა, ეს კიდევ უფრო სხვა იყო, რალაც სხვა, გაუ-
გებარი და გადმოუცემელი. გუნება-განწყობილებას სხეულმაც
მხარი აუბა, პერანგი და ძალიან მოჭერილი პულოვერი ეცვა,
ახლახანს წამოზრდილი მუცელი ოდნავ უჭიმავდა სამოსს ყელის
მიდამოში, სახეზეც აღმური მოსდებოდა, მიხატულივით პატარა
ყურები სულ მთლად ცეცხლისფერ თმას შერეოდა. ადამიანის ხა-
ტებიდან მულტიფილმის სილუეტს ემსგავსებოდა, ნელ-ნელა იცვ-
ლებოდა, ქრებოდა და იკარგებოდა საკუთარი ემოციების ტყვეო-
ბაში მყოფი.

- არ მისმენ, არ მისმენ და არ ცდილობ, გაიგო ჩემიც, და-
ჯექი და დავედები მეც, გეტყვი, რად არ გამოვჩნდი, თუმცალა



საკმარისი არ გამოდ-
 დანაღვლიანდა ცოტა,
 ედი, ან, როგორც შენ
 ა იყო ამის მიზეზი?...
 მოდა, ეს უფრო გარ-
 სუსხი იყო, რომელიც
 აღებელი იყო.

ქრე და მითხარი მეც.
 რაც მოხვედი, თუმცა
 ასეთი განრისხებული
 ზისა და წყენის მწველ
 ის მშვიდი, სამაგალი-
 ა კი თითქოს, თუმცა
 ახალგაზრდა სტუმ-
 დააკარგვინა, მდგომა-

ის გრძნობა შიგნიდან
 ავადაც რომ არ ელო-
 გრძნო, ეგონა, მთელს
 დან კვლავ მანათობელ
 არი ქმედება მისთვის
 იდ უხერხული სიტუა-
 ვად გამოსწორდებოდა
 იყო, რალაც სხვა, გაუ-
 ყობილებას სხეულმაც
 ელი პულოვერი ეცვა,
 ჭიმავედა სამოსს ყელის

მიხატულივით პატარა
 ეროდა. ადამიანის ხა-
 ბობდა, ნელ-ნელა იცვ-
 არი ემოციების ტყვეო-
 ბობ, გაიგო ჩემიც, და-
 გამოეჩნდი, თუმცალა

ვიცი, გესმის, გამიგებ. მიხვდები ჩემს გუშინდელ მოსვლას მოუსვენ-
 ლელობა სჯობდა. - სახე დამშვიდებული და ღრმად დადარღინწ-
 ბული ჰქონდა, ემოციებს იშვიათად გამოხატავდა, თუმცა ყოველ-
 თვის ზედმეტად ბევრს და ზედმეტად ღრმად გრძნობდა ყველა-
 ფერს. ამჯერადაც ასე იყო, თუმცა ძველი მეგობარი ახლა იწყებდა
 დამშვიდებას და ჯერ მისი მოსმენისთვის ვერ მოეცალა. - ასეთი
 იყო ის, მშვიდი, განონასწორებული, წყნარი, თითქოს სამოსიც
 პატრონს დამსგავსებოდა და იდუმალ განაგრძობდა პალტოს ბო-
 ლოები რხევას.

- გინდა მოგისმინო? ჰოდა, აჰა, გისმენ, მაგრამ შენ არ შე-
 გიძლია გაიგო, რა დაშავდა იმით, რომ არ მოხვედი, არ შეგიძლია
 გაიგო, რა მოხდებოდა, თუ მოხვიდოდი, შენ მე მაკლდი, მაკლდი
 მე და გვაკლდი მთელს საზოგადოებას. და ეს, ძვირფასო, ეგოზმი
 არ არის, ეს გულწრფელი აღიარება, გულის ტკივილი, სევდა და
 ნალველია, თუმცა კი შენ გაიგებ ამას?! - პასუხი ზუსტად არსე-
 ბული მდგომარეობის შესაბამისი იყო, ცივი, უგრძნობი, ემოციური
 და ტკივილით სავსე.

- მაგრამ მე ვიცი, რატომ არ მოვედი, რა იყო მიზეზი და
 დიახ, ვიცი, რა მოხდებოდა, თუ მოვიდოდი. და კი, ვიცი, მესმის,
 რაც იგრძენი, რადგან ყოველ მეორე დღეს მეც ამას ვგრძნობ -
 რალაც ჯადოსნურ წრეზე სიარულს ჰგავდა მათი საუბარი, ორივე
 თავის აზრზე იყო და ორივეს რალაცის ახსნისა და გაგების სურ-
 ვილი ჰქონდა. ორივე ნუხდა და ორივე განიცდიდა, ნალველი ქონ-
 დათ და თითქოს ებრძოდნენ კიდეც მას, თუმცა არ შეეძლოთ ერთ-
 მანეთის გაგება, ესეც უშედეგო იყო. ადრე უსიტყვეოდ ესმოდათ
 ერთმანეთის, მათი მეგობრობა ზედმეტ წინადადებებსა და ბგე-
 რებს არ საჭიროებდა, თუმცა არსებულმა უთქმელმა ბარიერმა
 სიტყვებიც გააუფასურა და აზრი დაუკარგა ყოველგვარ ახსნას.

- ჰო, ხედავ, ჩუმად ვარ. დავმშვიდდი და დაეჯექი, ახლა
 გაიხადე შენც ეგ შენი გრძელი პალტო და დაკიდე სადმე. სადამდე
 უნდა იყო ასე უიშვლო გამომეტყველებითა და მხრებზე ჩამო-
 კიდებული აუნონელი დარდივით ჩამოღვევითილ სახით ფეხზე? -
 სიმშვიდისკენ მიდიოდა მისი აზობოქრებული და აზვირთებული
 პიროვნების უტყვეო მხარე.

- დავჯდები. დავჯდები და მოგიყვები, გიამბობ ჩემი სიმძიმისა და გუშინდელი სულიერი ავადობის ამბავს. თავად ჩემზე უკეთ იცი, გუშინ საღამოზე სულ ღირსეული და წარმოსადეგი ხალხი იყო, მხოლოდ ისეთებმა მოიყარეთ თავი, ვინც იცოდით პოეზიის ფასი და მნიშვნელობა... - ერთ ტონალობაში, მშვიდად და მიმტვევებელი ტონით საუბრობდა, თითქოს კიდევ ერთხელ არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ მისი მიუსვლელობით არაფერი არ დაშავებულა.

- მერე, მერე რა, რისი თქმა გინდა ამით, განა შენ არ იყავი მათ შორის? თუ საკუთარ თავს ვერ ხედავ და არ მოაზრებ მავ ხალხის რიგებში? - ველარ მოითმინა, პირობა დაარღვია, გააწყვეტინა და აღშფოთებულმა ხელების ქნევით, გაცხარებით, დაინყო საუბარი. ჰაერში ფიგურების ხაზვის შემდეგ მოპასუხეს შეხედა სახეზე. ისევ მარტივად დაამშვიდა, მისი სახის უთქმელმა სევდამ, აიძულა კალაპოტში მოექცია თავისი გრძნობები და კიდევ ერთხელ გაეხსენებინა ის ღრმა მეგობრობა, რაც ამ ორ პიროვნებას აკავშირებდა ერთმანეთთან, პატივისცემა კვლავ პირვანდელ ნიშნულთან მივიდა. პირი მაგრად მოკუმა და განყვეტილი საუბრის მოსასმენად მოემზადა. ხელით ანიშნა, გააგრძელო, თვითონ კი ორივე ხელის თითები მჭიდროდ გადააჯვარედინა. სხეულის ენა თავისას საუბრობდა, პირი დუმდა.

- კარგი, გავაგრძელებ მაშინ. ცხადია, მეც თქვენს რიგებში მოვიაზრებ საკუთარ თავს და სწორედ ამიტომ არ მოვედი გუშინ საღამოს თქვენთან. თქვენ იცით პოეზიის ფასი და ცალსახად იცით სიყვარულის ფასიც, მე არ ვგულისხმობ ყველა სახისა და გვარობის სიყვარულს, მე ვგულისხმობ იმ სიყვარულს, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოვიდეს და რომელიც ჩემთან ჯერ არ მოსულა... ეს არის საქმე, მე ვერ შევწვდი იმას, რაც... - კარზე გაბმული კაკუნი გაისმა და საუბარი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, გაუწყდა. გაუწყდა ისე, რომ დაკარგა გაგრძელების ყოველგვარი სურვილი. უუხ, როგორი მძიმე და დამთრგუნველი იყო ყოველივე ეს...

- მობრძანდით! - მთელი ჰაერი მუცლიდან ამოუშვა, ისეთმა ომახიანმა ბგერებმა გააყრუა გარემო, თავადაც შეცბუნდა. ღრმა

სავარძელში იჯდა, არ შერხეულა, არც გამოძეგვლევა შეუძლებელია, თვალები იყო ერთადერთი, რომელიც ამბობდა, რაოდენ უნდოდა მოსმენა და როგორ ნუხდა მოულოდნელი და უდროო შენუხების გამო, თუმცა რას იზამდა, არსებობდა გადაუდებელი და მოუშორებელი, მტანჯველი ვალდებულებები. ხმაში ერთიანად ეტყობოდა დაღლა, მობეზრება და გაღიზიანება, უსაშველო იმედგაცრუებასთან ერთად. ცხადი იყო, ამ საუბრის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ არსებობდა. კარი გაიღო და დამდნარი სანთელივით ფერმკრთალი გოგონა შემოვიდა ოთახის სიღრმეში. ეს მისი, მთავარი რედაქტორის შვილი იყო და მას, როგორც ამბებისა და ხალხის კარგად მცოდნეს, შესანიშნავად ესმოდა რაოდენ დიდი და მოსაწყენი საუბრის ატანა მოუწევდა, თუმცა ამასთან ერთად, არც სხვა გზა და ალტერნატივა არ ესახებოდა, ვერ ხედავდა სხვა გზასა და საშველს. მეგობარს თვალი ჩაუკრა, უხეიროდ ჩარიგებულ-ჩანყობილი კბილები გამოაჩინა, აქაოდა ღიმილით დაგემშვიდობოო. მეტი გულითადობისთვის თავი დაუქნია, ხელი ჩამოართვა და გაისტუმრა.

გრძელი პალტო კვლავ დაენაფა იატაკის ალაპლაპებულ ზედაპირს და მიუბრუნდა ძველი ამბის თხრობას, ასეთი იყო მათი აუხსნელი, გამოუცნობი და თავისებური რომანტიკა, ასეთი იყო მისი სიყვარული და დუმილი უსულო საგნის, რომელიც ხშირად ყველა ცოცხალზე მეტად სულიერი იყო.

ერთი წავიდა, ერთი დარჩა. ამბავი დაუსრულებელ მარადისობად იქცა, იქცა ისე, თითქოს არც არასდროს დაწყებულა, არავის უფიქრია, არავის განუცდია, არავის უნახავს და არავის შეუგრძნია. მთელი ეს ისტორიაც ასე დასრულდა, დასრულდა უპასუხოდ, ბევრი კითხვითა და გამაყრუებელი სიჩუმით. რადგან კაცი არ მივიდა საღამოზე...

25.11.2022

ახალგაღვიძებულზე ქუთუთოებმა გასული ღამის სიმძიმე და სირთულე შემახსენეს, ზანტად მიკვროდნენ ერთმანეთს და უსაშველო სინითლისგან გავარვარებული შანთივით კრთოდნენ... თვალები დავახამხამე თუ არა, ნამნამზე დაკიდებულმა მძიმე ცრემლმა ჩამოგორება დაიწყო, მისი დროც მოაწურულიყო, ვერ უარვყოფდი, ისეც დიდხანს უცდიდა თავის რიგს, ხოლო უსაშველო ლოდინის შემდეგ გაირინდა, საკუთარი არსებობა ჩემთან ერთად თავადაც დაივიწყა. საბოლოო წერტილამდე მიღწევისათვის დიდი დრო არ დასჭირვებია, მალე გასცდა ლოყას, ბალიშის რბილ ზედაპირზე მძიმედ დაეცა და მის სირბილეში შთაინთქა. პატარა მრგვალი ლაქა დააჩნდა ხავერდის ზედაპირს, რაც კიდევ ერთი გამოძახილი იყო იმისა, რომ გუშინ თავს გადამხდარი ამბავი სამუდამოდ დარჩებოდა ჩემში და გონებას უახლოეს მომავალში მაინც არ დატოვებდა. ახალი ისტორია დაიწერა ჩემი პიროვნების სულის წიაღში... არსებულ მდგომარეობას სრულად აღვიქვავდი და ერთადერთი, რისიც უპირობოდ მნამდა იყო ის, რომ აუცილებლად ძლიერი უნდა ვყოფილიყავი, არ მქონდა დანებებისა და უძლეურობის უფლება, მე უნდა შემძლებოდა!

პირველად განცდილმა შოკმა გადამიარა, ნელა ავნიე თავი, დასიებული თვალების ფეთქვას ვგრძნობდი, შუბლზე ჩამოყრილი თმა გავისწორე, ცრემლებისგან დალაქავებულ ბალიშს ისევ დავხედე, თითქოს მასზე იდუმალი, დაშიფრული კოდის ამოკითხვას ვლამობდი, ვერ გავარჩიე, ერთი შეხედვით მასზე ნიშანდობლივი არაფერი იყო, ამოვიოხრე, როდის დამთავრდებოდა ეს ყოველივე, არ ვიცოდი. თითქოს მთელი მარადისობა გავიდა მას შემდეგ, რაც გონებაში განგაშის ზარმა შემატყობინა, გათენდაო, არადა კედელზე ჩამოკიდებული, ძველი, მძიმე საათი გუგუნით გოდებდა, რომ სულ რაღაც ათი წუთი იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩემი მზერა ახალი დღის დილის სხივებით აღივსო.

თავს ვაიძულე და ლოგინიდან მძიმედ ავდექი, ფეხის ფეხთან მიტანა მიჭირდა, მდგომარეობა იმაზე ბევრად რთული იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა, ძალიან დიდ ძალისხმევად მიჯდებოდა თითოეული ჩასუნთქვა თუ ნაბიჯი, თუმცა დანებებას არ ვაპირებდი,

საკუთარი თავის ფასიცა და ძალაც ვიცოდი, უპირობოდ მწამდა შევძლებდი.

ნელი სიარულით ოთახი გადავკვეთე, სააბაზანოს კარის გაღებას მთელი საციცოცხლო ენერგია დავახარჯე, წამის მეასედში ვიფიქრე, შეიძლება ვერ შევძლო-მეთქი, მაგრამ ეს აზრი მალევე უკუვაგდე და ძლიერად მივანეჭი, ოთახში შევედი, ქოქოსის კბილის პასტისა და შამპუნის მოტკბო სუნი ერთიანად ვიგრძენი, ახალმა სურნელმა კიდევ უფრო დამახვია თავბრუ. სააბაზანოში ვიყავი, ესეც შევძელი, გამომოვიდა. დამძიმებული თავი მალლა ავნიე, სარკეში ჩავიხედე, ის, რაც იქ დავინახე, გადმოუცემელია... ნანახით ავფორიაქდი, დავიძაბე, ისევ ტკივილმა და დაღლამ ერთიანად გამკენწლა, როგორ მინდოდა პარალელურ, სხვა რეალობაში გამეღვიძა, ახლა ერთადერთ ხსნად ეს არარსებული და მასთან ერთად შეუძლებელი, განუხორციელებელი იდეა მესახებოდა. გული ნელა ფეთქავდა მკერდში, ისიც დალლილიყო, ჩემს მსგავსად ისიც ამ ყველაფრის გაძლებასა და გადატანაზე იყო... ხელსაბანს ჩამოვეყრდენი, ფიქრისა და მომხდარის გადახარშვისთვის დრო მჭირდებოდა.

ასაკოვანი საათი ისევ ნიკნიკებდა, ყველასა და ყველაფერს დარდი გასჯდომოდა ძვალსა თუ რბილში, ცვლილებების სანყისი იწყებდა დაბადებას.

გარეთ გახედვა მიძნელდებოდა, აივანზე გასვლისთვისაც აღარ მყოფნიდა საციცოცხლო რესურსი. კვლავ, ნეტარებით აღვსილმა, სანოლს მივაშურე, ახლა ყველაზე სწორი ეს იყო, დაწოლა, დასვენება, უკუნ სიბნელეში გადაბარგება. თვალის ქუთუთოები ერთმანეთს ეწებებოდა, წამწამები ერთმანეთში იხლართებოდა და ძილის მორევში გადასაშვებად მექაჩებოდა, მაგრამ იქ რა მელოდა, რამე უკეთესი, თუ იმაზე უარსი, ვიდრე იმ მომენტში ხდებოდა, არ ვიცოდი... დაწოლამდე საათის ღილაკი გავთიშე, ისრების ნელ, ჩუმ მოძრაობასთან ერთად თითქოს დროც გაჩერდა... მძიმე, მუქი ფარდები ჩამოვაფარე, ხმის ჩამხშობი მოვმართე და ნეილონის ერთადერთი ნათურა ჩავაქრე, სრული უძრაობა და სიმშვიდე გამეფდა მომცრო ზომის ოთახში. ბუმბულის მძიმე საბანი ფრთხილად მოვაცილე სანოლის კიდეც, ჯერ კუთხეზე ჩამოვჯექი, შემდგომ უფრო ახლოს მივიწინე, თითქოს მივენდე და უფლება მივეცი

ჩემზე გაბატონებულიყო. პოზა რამდემჯერმე შევიცვალე და მალე გრძელი, დიდი სანოლის შუაში მოვთავსდი, ფუმფულა საბანი ყელამდე ავიტანე, ახალი ბალიში, რომელიც საიდან გაჩნდა, არ ვიცოდი, თავქვემ ამოვიდე, გამაკანკალა...

მზერა ქერის დაზოლილ ნახატებს მივაპყარი, მასში ისეთ რამე ვხედავდი, რაც რეალურად ალბათ არც კი არსებობდა, სუნთქვა მეკვროდა, ოფლის წვეთები ნელ-ნელა ფარავდა ჩემს სხეულსა და სახეს, გონება გამეყინა, ველარ ვფიქრობდი, აზროვნებაც მიჭირდა ვერც რამე ხელშესახებასა თუ საგრძნობს აღვიქვამდი. თვალები დამეხუჭა, სიჩუმეს შევერიე, ახალი ბალიში და ბუმბულის საბანი ჩემს არსებობას კითხვის ნიშნის ჩრდილქვემ აყენებდა.

თვალები დამეხუჭა, ჩამეძინა, ან გავითიშე, თავქვემ დიდი ზომის ბალიში მედო, რომელიც ალბათ ცრემლთა ახალი ნაკადის მოწმე გახდებოდა ახალ, სუსხიან დილას. თვალები დამეხუჭა...

29.11.2023.

გამოღვიძება

- როგორც ასეთი, საკუთარ ტკივილზე საუბარი ყოველთვის დიდ სისუსტედ მიმაჩნდა, ამიტომ ახლაც თავს შევიკავებ რამე ნიშანდოვლივის თქმისგან - ვუთხარი და მხრებში ამაყად გავიმართე, სულის წიაღში რაღაც მენვოდა... ვგრძნობდი, სწორედ ჩემი, ესოდენ უდრეკი და ამაყი ღუმილი იყო მთავარი სისუსტე, ჩემი ყოფისა თუ არსებობის ნეტარ მანძილზე.

- ჰმმმ... - მისი უნდო გამოხედვა, მალლა ანეული წარბი და ღუმილი იმაზე მეტს მეტყველებდა, ვიდრე თავად ფიქრობდა, მისი ნათქვამი გავიგე, ვიგრძინი და დავეთანხმე კიდევ, თუმცა პიროვნების მრავალმხრივობიდან გამომდინარე ყველაფრის აღიარებასა და აბსოლუტურ გულწრფელობას არ ვაპირებდი, საკუთარ პოზიციაზე კვლავაც ურყევად ვიდექი.

- არ მეთანხმები? უნდო დამოკიდებულება გემჩნევა, გატყობ, რაღაც გეეჭვება, მითხარი, პირდაპირი და გაბედული იყავი ნუ დამალავ - ვუპასუხე ყოველგვარი აგრესიისა და გაღიზიანების

გარეშე. ხვდებოდა კი, რომ მნიშვნელოვანი იყო მისი აზრი და პასუხი ჩემთვის, როგორც წესი, ამას ძალიან რთულად იგებენ და ხვდებიან ხოლმე?

- იმდენად ყველაფერში გარკვეული, დარწმუნებული და ვიტყვოდი, გათვითცნობიერებული ხარ, აბა, რაღაში გჭირდება ჩემი, უბრალო მოკვდავის აზრი, ან კი რა შემიძლია გითხრა მე მაშინ, როცა თავადვე ყველა კითვაზე პასუხი იცი? - გული მომიკლა... ახლა მე აღარ მქონდა სათქმელი, ვდუმდი, ხანგრძლივი დუმილი ჩამონვა ჩვენს შორის არსებულ მცირე მანძილზე. ვიცოდი, უპასუხოდ ვერ დავტოვებდი.

- ხო, მართალი ხარ, მართალი - ვუპასუხე. მან ჩემს ხმაში გაჟღერებული წყენის ტონები იგრძნო, მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა, ალბათ მობოდიშებას ეცდებოდა, მაგრამ განა შეიცვლებოდა ამით რამე?!

- მოდი, ჩაგეხუტო, ხო, ვიცი, ძალიან ძლიერი ხარ, უბრალოდ მინდა, უფრო გახსნილი იყო ჩემთან. მე ნამდვილად ვარ ის, ვისთანაც არ გჭირდება თავის მოჩვენება. ნამდვილი, ხელშესახები, ხორციელი და ცოცხალი ვარ, მენდე... - საგრძნობლად გაბუტული თვალებით შემომხედა, ჩახუტების მისეული სურვილი ნრფელი იყო, თუმცა მე კვლავაც ვერ ვგრძნობდი იმავე სურვილს, მოზომილი ნაბიჯი გადავდგი, უკან დავიხიე, დისტანცია გავზარდე, მოვერიდე...

- ბოდიში, არ შემიძლია - ვგრძნობდი, მის წინაშე ჩემი ამ ქცევით ძალიან ვაშავებდი და ამის გამო ვწუხდი, მაგრამ არ შემეძლო, საკუთარი თავისთვის ამ დონეზე დამეტანებინა ძალა.

- კარგი - გამიღიმა, ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და ჩამეხუტა, გულში ჩამიკრა, ძლიერად მომეხვია, ფიზიკურად და სულიერად ერთიანად გამათბო. ამამალლა, რწმენა და იმედი ჩამისახა გულის წიაღში.

- მადლობა... - ძლივს გასაგონად ამოვილულულე, ხმა ხორხისმიერი ბგერების იდუმალ გამოძახებას ჰგავდა.

- შენ მადლობააა. რა კარგია, რომ ასეთი ხარ. - სახეზე ხელები მომხვია, შემომხედა, შემათვალისწინებდა და ისევ ჩამეხუტა. მიცნობდა, ის ნამდვილად და უპირობოდ მიცნობდა, იცოდა, ბუ-

ტია არა, თუმცა მგრძნობიარე, ზომიერად მეტადაც კი, ვიყავი, ამიტომ მისმა სიტყვებმა გული ძლიერ მატკინა, ჩემში არსებული სინათლე ერთიანად ჩააქრო.

– მიხარია, რომ მყავხარ – ამის თქმაღა მოვახერხე, დანარჩენი მის გულს უნდა ეგრძნო, მჯეროდა, რომ გრძნობდა კიდევ.

– იცი, მე მესმის შენი. – ოდნავ მოშორებით დადგა, სკამისკენ მიმითითა, ხის მოგრძო სკამზე დაესხედით. თვალებში ჩავხედე და მივუხვდი, რასაც გულისხმობდა.

– მართლა? – ვკითხე გაუბედავად.

– ჰოომ, მართლა, მართლა, აბა, ხო არ მოგატყუებ, ხო არ გეტყოდი, მესმის–მეთქი, რომ არ მესმოდეს?! – გამიღიმა, მისმა მშვიდმა ღიმილმა სიმშვიდე მომგვარა.

– ოოჰ, არ ვიცი, არ ვიცი... ბოდიში, უბრალოდ მგონი ცოტა არეული ვარ ამ ბოლოს – თავი ვიმართლე, თუმცა მართლა დაბნეული კი ვიყავი, თითქოს დროდადრო საკუთარ თავს ვკარგავდი და მის ხელახლა პოვნაში გარშემო მყოფ ადამიანებს ვაზიანებდი.

– ხომ, არაუშავს, მესმის, ბოდიშები და ახსნა ნამდვილად არ არის საჭირო, სამაგისოდ მოვახერხე შენი მიღება, შემოძლია გაგიგო, გიცნობ, მესმის. – ხელი ხელზე დამადო, გამამხნევა.

– ეეჰ... – ამოვიოხრე, ველარაფრის თქმას ველარ ვახერხებდი.

– მე ვიცი, ვიცი... გიჭირს მენდო და მომიყვებ ყველა ის ტკივილი, რაც განგიცდია, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ნდობის საფუძველი ნამდვილად გაქვს, ბევრი იმედგაცრუების მიუხედავად, გახსოვდეს, რომ შეგიძლია ხელები გაშალო, გადახტე და გნამდეს, რომ დაგიჭერენ. უპირობოდ გჯეროდეს, რომ დაგიჭერ, თუნდაც ამისთვის საკუთარი თავის დაკარგვა დამჭირდეს. შეგიძლია დამეყრდნო და გქონდეს ჩემი, შენ გვერდით ყოფნის იმედი. მე ამას არა მარტო სიტყვით გეუბნები, არამედ საქმით დაგიმტკიცებ. რაც, როგორც მივხვდი, აქამდე ვერ მოვახერხე, თუმცა არა უშავს, გამოვასწორებთ, ამასაც ვუშველი... თან, მერე ხომ იცი, შეგვიძლია, ერთად ვიტყვი. – მომეხვია. ერთად ტირილში ვიცოდი, რასაც გულისხმობდა, ესეც გავიგე, ჩუმად ჩამეღიმა.

– კი, კი, ვიცი, ეგ ნამდვილად ვიცი. – ახლა უფრო გაბედულად გამეღიმა, საპასუხოდ მეც ხელები მოვხვით. თვალები დავხუჭე, გავირინდე.

მზემ ფარდებს შორის დარჩენილ სივრცეში შემოანათა, თვალებზე მომელამუნა, გამომელვიდა... სიზმარი ყოფილა, ლამაზი და ჯადოსნური, მაგრამ სიზმარი... კინალამ დამავინყდა, რომ რეალობაში ასეთი რაღაცები არ არსებობს, ჩვეულებრივ ასეთი ადამიანები არ არიან. ყოველდღიურობაში უპირობოდ მიმღები ხალხი არ არსებობს, ეს დიდი ხანია ვიცი... ესეც სიზმარი ყოფილა...

თვალები ფართოდ გავახილე, სიზმარი, ნეტარი ოცნება და ფერადი გრძნობები ერთიანად დამთავრდა, გაქრა...

ყოველთვის იმდენად ძლიერი ვიყავი, რომ საკუთარ პრობლემებსა თუ ტკივილზე არასდროს არავისთან არ ვსაუბრობდი... განა არ მინდოდა საუბარი, უბრალოდ არ მქონდა სისუსტის უფლება...

ესეც სიზმარი ყოფილა, სიზმარი, სადაც...

გამელვიდა და ეს გაღვიძება მეტკინა...

ძლიერი ვიყავი და არ მქონდა უფლება სისუსტე გამოემეკლინა...

გამომელვიდა და ავდექი...

ესეც სიზმარი ყოფილა...

გამომელვიდა და მე ავდექი...

ამტკივდა და მე გავუძელი...

03.12.2023

გამოიღარა?!

მოყოლისთვის მზად ვარ და მასთან ერთად იმისთვისაც, რომ შეიძლება მოსმენის სურვილი არავის ჰქონდეს, თუმცა რას ვიზამთ, ხდება ხოლმე... ამდენად, ვინყებ. მოგონებების სარდაფის ოთახის კარი შევალე და მის ჩამუქებულ ატმოსფეროში ფეხი შევადგი, მრუდე სივარდილეში მეტად საინტერესო და საოცარი რამ დამხვდა, მისი მშვენიერება მალევე შევიგრძენი და ჩემმა გონებამ კიდევ ერთხელ შთანთქა, ხელახლა გააზრება მომინდა იმის, რაც ერთხელ უკვე განმეცადა და აღმექვა... განა მართალი არ არის, ყოველი დიადი რამ გენიალური, თუ, მარტივიანო, რომ იტყვიან

ხოლმე – აი, ისეთი მოვლენის დახასიათება რომ უნდათ, რაც არც
თუ ისე ხშირად გვატყდება თავს და მაინც გვაგინყდება – ამგვარი
რამის გადმოცემა მინდოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს კონ-
კრეტულად რომელი იქნება, მთავარი ხომ ისტორიის სინათლისა
და სიღრმის აღწერაა? თუ დავფიქრდები და ამასთან, გულწრფე-
ლიც ვიქნები, მომიწევს ვაღიარო, რომ საქმე ასე მარტივად არ
არის და თავს გადახდენილი ამბავიც იმდენადვე დიადი იყო, რამ-
დენადაც ამას მისი სიმარტივე იტევდა. ყველაფერი გენიალური
ხომ მარტივია, ხოდა ასე იყო ესეც, მარტივი და გენიალური, ორი-
ვე ერთად, ერთ არსებაში, დღესა და ქრონომეტრაჟში მოთავ-
სებულყო.

ხის მორყეული, ანჯამებზე გაჭირვებით მიმაგრებული კარი
ღია დამხვდა, ჩავფიქრდი, წამიერმა გრძნობამ გამიტაცა, მაგრამ
მალევე გამოვერკვიე და შელახულ ნაფოტზე შეხება გადავიფიქრე,
ჩემი სულიერი სიმძიმის დამატება ზედმეტი იქნებოდა. ინსტიქ-
ტურად ძირს დავიხედე მაღალ ზღურბლზე საღებავი აქერცლი-
ლიყო, თუმცა მისთვის ჯერ არ ეცალათ და კიდევ, ალბათ ოც-
დაათიოდე წელი არავინ არ იყო მისი მიმხედი. უპატრონოდ,
სიმარტოვეში დარჩენილი ადამიანები რომ გაირინდებიან და ბო-
ლოს თავიანთი არსებობა თავადვე ავინყდებათ, ზუსტად ასე იყო
ამ ზღურბლის სიცოცხლის ფეთქვის ანარეკლიც, ჩუმი, უხმო,
მარტოსული და სევდიანი. ადამიანი ვერ იტყოდა რამდენი წლის
განმავლობაში, რამდენი ფეხსაცმლის ძირი შეხებია მას, ან სულაც
რომელი ხის გაუბედურებული ტოტის მონაგარი იყო ეს პატარა,
ამჟამად გაცვეთილი, შელახული და შემალღებული, ორი ოთახის
გამმიჯნავი ნატეხი. თუმცა თავის მოვალეობას ღირსეულად და
ღვანლმოსილად ასრულებდა, ერთი ნახეთქიც კი არ ჰქონია.
მტვერი დასდებოდა მისი არსებობის აჩრდილს.

ათასი აზრის გაელვებისა და ნახევარ წამში მილიონი ფიქრის
უარყოფის შემდეგ ოთახში ფეხი შევდგი, არც იატაკი არ იყო უკე-
თეს მდგომარეობაში, ზოგიერთ ადგილას რამდენჯერმე გადაღე-
ბილი ფენა ინდივიდუალურად მოჩანდა, მათი დანახვა თვალის-
თვის მეტად მარტივი და უსიამოვნო იყო. ადგილ-ადგილ საერთოდ
ალარ შემორჩენილიყო ფერადი სითხე და უფერო იატაკიც გან-
წირული სიშმაგით სდუმდა. ასეთი რამ მართლა არსებობს –

განწირული, შმაგი დუმილი, მაგრამ იმდენად საშინელებაა, რომ ადამიანმა, ან წარმოდგენაზე არ უნდა იფიქროს, ან არადაც თუ გონების სარკმელში შეუშვებს, საკუთარი თვალით უნდა იხილოს. თქვენ გაგდანყვიტეთ, მე ვერ ჩავერევი, ისედაც ზომაზე და სასურველზე მეტი სტრესი მივიღე იმით, რაც იქ მისწვდა ჩემს მზერას.

გარემო სიძველის კვალი იგრძნობოდა, ნესტის სუნი არ წვავდა ცხვირს, თუმცა კედლები ნგრევის პირას იყო, სიბერისა და დრომოჭმულობის ამ ქაოტურ სამყაროს გვირგვინად ახალგაზრდა, მორცხვი მწერალი ევლინებოდა. მწერალი მე ვუწოდებ, თორემ მსოფლიო აღიარებამდე ჯერ ძალიან დიდი და ეკლიანი გზის გავლა ელოდა, რომელზეც უწყოდა თუ არა, არ ვიცი. იგი ოთახის კუთხეში მორიდებით იჯდა, დუმდა, უბრალოდ დუმდა, ყოველგვარი მეტაფორისა თუ ეპითეტის გარეშე. მისი ეს მდგომარეობა ყველაზე ბუნებრივი და ნამდვილი რამ იყო მთელს ამ ქაოსში... შესულს ემოციებისა და მიღებულის დამალვა მიჭირდა, მინდოდა, ყველაფერი ერთიანად მეთქვა, ერთ სიტყვასა თუ წინადადებაში ჩამეგია და მასაც ეგრძნო. მოტრიალდა, დამინახა, ვერ ვიტყვი, გაიღიმა თუ არა, თითქოს კუმტად შეკრულ სახეზე რთულად შესამჩნევი გაოცება ემჩნეოდა, მივხვდი, ჩემს ხილვას არ ელოდა.

ვერ უარვყოფ, დავიბენი მისი გაფითრებული და დაძაბული სახის ხილვისას, მეტად მოულოდნელი იყო ეს სურათი ჩემთვის. შემეძლო, წარმომედგინა ყველა და ყველაფერი, გარდა იმისა, რაც იქ დამხვდა, მაგრამ განა ესეც ყოველთვის ასე არ ხდება ხოლმე?, გაყინულ გონებაში რაც არ უნდა ვხატოთ, ვწეროთ და ვქმნათ მერე მაინც მისი საპირისპირო ცოცხლდება ჩვენს თვალწინ, შემდეგ გვიჭირს აღიარება, თუმცა ფაქტი მაინც ფაქტად და უცვლელად რცება, რადგან ასეა.

შევვდი, ჩემი გაშეშებული მზერა უცებ ორმა მანათობელმა და ელვარე ვარსკვლავმა მიიპყრო. ორივე ისე კიაფობდა, ისე კაშკაშებდა, იმხელა ცეცხლს აფრქვევდა გარემო, იტყოდით ახლა ყველაფერს დანვავს, ცეცხლის ალში გახვევს და დაფერფლავსო, თითქოს ეს გარდაუვალი დასასრული უნდა ყოფილიყო ყოველივე ზემო ხსენებულისა...

- აბააა, ნაიკითხე? - მკითხა ალელვებით. თვალეში ჩამდგარი, უთენია, აისზე ამოსული მზე ისევ ენთო, მისი სინათლე ყველა კუთხესა და კუნჭულს სწვდებოდა, ანათებდა და სიცოცხლის ძალას სძენდა. ნამდვილად დიადი რამ იყო.

- როგორ შეიძლება არ წამეკითხა? - მთრთოლვარე ხმით ვუპასუხე. ვიგრძენი ნაკლებ საგრძნობი, უმნიშვნელო გაცეცხვებაც მეტყობოდა ხმაში. პატარა, მხრებში მოხრილი და დადარდინებული არსება ერთიანად ასხივებდა ბედნიერებას, მთელი სამყაროს სამყოფი მშვენიერება ეტეოდა მის ორ მრგვალ, წყლის წვეთივით მკრთალ ანარეკლში. ადამიანი მარტივად დაიჯერებდი ორივე ცალკეული, ცოცხალი არსებაა ხოლო მათთან მიაღწეობა და შეხება ისეთივე ნამდვილი და რეალური, როგორც დრომოჭმულ ზღურბლზე ფეხის დაბიჯებააო.

- ხომ, არ ვიცი... არა, ვიცი, რომ მართალი ხარ, უბრალოდ... მაპატიე, ცოტა დაბნეული ვარ, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე... თუმცა შეიძლება, არც იცოდე... ბოდიში, ააჰ... ვერც კი შემოგთავაზე დაჯექი-მეთქი... - ის ისევ განაგრძობდა ნერვიულობასა და შფოთვისას. დაბნეული საუბრობდა, შიგა და შიგ კრთებოდა. ვერ გამეგო, რა სჭირდა, ან ასეთი ემოციით რატომ უყურებდა აღნიშნულ საკითხს, შეიძლება ეს ჩემთვის იყო ესოდენ მარტივი და თვად სულ სხვაგვარად ხედავდა. ყველაფერი გულის ფეთქვასავით სწრაფად იცვლებოდა, ერთადერთი მისი მოციმციმე თვალეები რჩებოდა უტყვი და ცოცხალი.

- რატომ ღელავ? - ვკითხე და მომლოდინე მზერა მივაპყარი, სკამზე კომფორტულად ველარ იჯდა, ხელეებს აკანკალებულ მუხლებზე ნერვიულად ათამაშებდა.

- არ ვიცი, უბრალოდ ეს ისეთი... - სიტყვა გაუნწყდა, სათქმელი ველარ დაამთავრა. ცრემლების ნიაღვარი გადმოასკდა, გაფითრებული ლოყები დაუსველდა. თითქოს უბრალოდ კი არ ტიროდა, არამედ, ორი უშველებელი ჩანჩქერიდან წყალი დიდი სისწრაფით ეშვებოდა და დამდგარ გუბურაში ჩასაყვინთად, მარადიული სიყვარულის საპოვნელად ემზადებოდა, თავს არ ზოგავდა, ბოლომდე იბრძოდა. ვერაფერს ვხვდებოდი, მე მისი არ მესმოდა და ამაში არც ახალი და არც გასაკვირი არ იყო არაფერი. ხშირად მისი სამყარო იმდენად „მისეული“ და განსხვავებული იყო, რომ

ბევრი მცდელობის მიუხედავად მიუწვდომელი და შორეული რჩე-
ბოდა არა მარტო ჩვენთვის, არამედ თავად მისთვისაც კი. ხშირად
თავადაც ვერ აეხსნა და ვერ გამოეძებნა ამ ყოველივესთვის პასუ-
ხი. ეს ერთადერთი ქვეშარიტება, რეალობა, შედეგი და მოცემუ-
ლობა იყო, რომელსაც შეიძლება ჰქონდა პასუხი, მაგრამ ჯერ
უპასუხოდ, უთქმელად და იღუმლად რჩებოდა.

არაერთხელ მიცდია ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ
უშედეგოდ, ყოველი მცდელობა, სურვილიცა და მცდელობაც
წყლის ნაყვა იყო... აქ მისთვის იმის სათქმელად მოვედი, რომ
განცდილის გადმოცემა მოკვდავთა სიტყვებით შეუძლებელი იყო,
თუმცა მან კიდევ ერთხელ – ენით აუხსნელი რამის გამოცდა
„მაიძულა“. მტანჯავდა მისი ღვარღვარა ცრემლების ხილვა და
ხმადაბალი, თუმცა სულამდე მისული ქვითინი. მისი მხრების
სინქრონულ მოძრაობაში სულიერი ტანჯვა იკვეთებოდა და იმის
თქმა, მოსმენილით აღფრთოვანებული ან მოხიბლული ვიყავიო,
შეუძლებელია. ვდუმდი, ვუყურებდი, ვებვებოდი, თუმცა ვერ ვფიქ-
რობდი, მიჭირდა... სიმართლე რომ ითქვას, ვერც მის ტკივილს
ვგრძნობდი, ჩემთვის მისი განცდები ძალიან უცხო და შორეული
იყო, არ შემეძლო მისი შინაგანი სამყაროს გამოძახილის გაგება.

წამოვედი... ხმის ამოღების არც სურვილი და არც ძალა აღარ
მქონდა. ვხედავდი და ვტკბებოდი, რა მშვენიერი იყო დუმილი და
ცხელ ასფალტზე მძიმედ დაშვებული წვიმის წვეთი, აქერცლილ
იატაკზე გადმოღვრილი, კოკამკამე, მღვრიე ცრემლები გამახ-
სენდა ოჰ... მეც ამეტირა.

მოლოდინები ლამაზი, ბროლის კოშკივით ჩამომემსხვრა თავ-
ზე, დავმძიმდი... ჩემი პირადი, სუფთა, კრიალა და ნრფელი
წვეთები ცისას ერთვოდა და საერთო, საინტერესო სანახაობას
ქმნიდა. ძირს დაცემისას ერთმანეთისგან აღარ გაირჩეოდა,
დედამინის ამ თხელ ნაჭერზე ჩუმ მთლიანობად ქცეულიყო პატარა
თეთრი წვეთები. თვალები ძირს დავხარე, დავაკვირდი, ერთ
არსად ქცეულიყვნენ, ერთმანეთში გადაზრდილიყვნენ და
ყველაფერი დაევიწყებინათ, გზას მიჰყვებოდნენ, ხსნასა და
სივრცეს, თავისუფლებას ეძებდნენ, თავისუფლებას ჩვენც ვეძებ-
დით, მაგრამ ვერ გვეპოვა...

საინტერესოა, როგორ შეიძლება ადამიანი ასეთი მგრძობიარე იყოს? ან საერთოდ რას გრძობდა? რატომ დაეცა მუხლებზე მოკვეთილივით, რატომ შემოიხვია ორივე ხელი სხეულზე? რატომ არ სურდა მისი სახე დამენახა? რატომ აირჩია მარტოობა? რატომ არიდებდა თავს დარდის გამხელას? რას ვერ იტყვდა მისი გული? რას უტრიალებდა მისი გონება? რა ჰქონდა ასეთი სულის წიაღში? ან რატომ ვიყავი ასე მე?

ფეხს ავუჩქარე, ყველასა და ყველაფრისგან გაქცევა მინდოდა, უსაშველოდ დავღლილიყავი, სუნთქვა მიჭირდა, ყოფიერების ატანა მიძიმდა...

გზაში მიმავალი შემთხვევით დანახულ მოჭრილი ხის კუნძს დავეყრდენი, ხუთიოდე წუთი გავჩერდი და კვლავ გზა განვაგრძე. ვსველდებოდი, სამოსიდან წყალი კლდებზე მომდინარე წიაღვარით მიცოცავდა, გარშემო ველარაფერს ვამჩნევდი.

წინ მივდიოდი, თუმცა სად არ ვიცოდი. გზას მივყვებოდი და სადმე ვინმე თუ მელოდა, არც ეგ ვიცოდი.

ყველაფერი იმდენად მარტივი იყო, რამდენადაც გენიალური, რადგან ყველაფერი გენიალური მარტივია და არა პირიქით...

მოგონებების ოთახიდან გამოვედი, კარი გამოვიხურე, კლიტით დაგვეტე და საკუთარ თავს დავპირდი, რომ იქ აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ შევიდოდი.

05.12.2023.

ადრე?

„ადრე, მაშინ, აი, იმ დროს, ახლა გახსენებაც რომ ჭირს და თითქმის კი არა, უპირობოდ აღარაფერი დარჩა მისგან, გარდა ამბების, ისტორიებისა და მტკივნეული, უსაშველოდ ღრმა მოგონებებისა... ჩუმად ვიხსენებ და ვკრთები, მაგრამ გპირდები სევდამორეული თავგადასავალის თითოეულ აბზაცს თავს მოვუყრი და ისე გადმოვცემ, იქნებ მოვიდე კიდევ შენამდე, თუმცა კი, ისე დავშორდით, ველარ გეტყვი არსებობს თუ არა საერთოდ გზა, ან

კიდევ რომ არსებობდეს ის, მე კვლავაც მექნება სურვილი, რომ მოვიდე? ვინ იცის, ვინ იცის, ჩემო...

ამასობაში სათქმელს გადავუხვიე, მაგრამ არა უშავს, ეგ ადვილია, მარტივად შეიძლება განწყვეტილი ძაფის ბოლოს პოვნა და დაწყებულის პირნათლად გაგრძელება... მე განყენინებდი და მერე დიდი დიდხანს ვნერვიულობდი. შენს ძველ გუნებაზე დაბრუნებას შერიგებას ვცდილობდი. მტანჯავდა ჩემი გაკეთებული. ვიღწვოდი სასწორის მეორე მხრის გადანონვით დამებალანსებინა არსებული და ჩადენილის გამოუსწორებლობის დაღის სიმძიმის მიუხედავად ბოლომდე უიმედობით დაბეჩავებული ვეძებდი გამოსავალსა და ხსნას, მინდოდა, რალაც მომემოქმედებინა, ყოველ შემთხვევაში, უქმად ყოფნას ყველაფერი სჯობდა. ვცდილობდი, ძალას, ღონეს, ენერგიასა და ჩემ მთელ არსებას შენთვის რეალობის სხვანაირად დანახვას ვახმარდი, მაგრამ ეს ადრე იყო. ადრე კიდევ რა იყო, იცი? მანყენინებდი და ამ შემთხვევაში თავად ნერვიულობდი, დაუღალავად ცდილობდი შემორიგებას, წყენის მიზეზის ახსნას, არსებულის გამოსწორებას, ჩაკლული იმედის გაცოცხლებას და ბევრ ისეთ რამეს, რაც მხოლოდ შენ შეგეძლო, მაგრამ შეგეძლო და არა შეგიძლია, წარსულში და არა აწმყოში, რადგან ესეც იყო, ესეც მხოლოდ ადრე იყო, მაშინ, როცა ყველაფერი სხვანაირად იყო, იმ დროში, ახლა მისგან რომ აღარაფერი დარჩა.

ახლა ორივემ ერთმანეთს ვანყენინეთ და არცერთი არც განვიცდით, არც ვნერვიულობთ, აქამდე ასეთ რამეს თეორიულადაც ვერ დავუშვებდით, მაგრამ ახლა არათუ უბრალოდ თეორიულად განვიხილავთ ამას, არამედ პრაქტიკაში, რეალურ ცხოვრებაშიც ხელგაშლილი ვხვდებით და ვეგებებით. საინტერესოა ცხოვრება, მეტად საინტერესო...

ვერ მოგატყუებ, ახლა მაინც უნდა გითხრა ყველაფერი ბოლომდე და სრულად, სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებ გამიგო, გაგიძნელდება ყური დამიგდო და მომისმინო, მიიღო ჩემო მონაჩმახი და გაითავისო. შენ არ მიცნობდი, მაგრამ ასეთი ვარ, ჩემში დაგროვილ სიყვარულს ბოლომდე, სრულად გამოვხატავ... მნიშვნელობა არ აქვს, ჩემთან იქნები თუ წახვალ, ზურგს მაქცევ თუ

არა, ეს უმნიშვნელოა, რადგან შეუძლებელია ჩემ შიგნით დაბუ-
დებულს მზის სინათლე არ ვანახო. არ ძალმიძს ეს სიყვარული არ
მივცე სხვა ადამიანებს და არ ვუნიალო, არ მიცნობ, თუმცა ასე-
თი ვარ... იცი, ეს რა გრძნობაა? შეგიძლია გაიგო და წარმოიდ-
გინო? უბრალოდ ადრე, აქამდე, ამას მხოლოდ შენ მიმართ გამოვ-
ხატავდი, ახლა კი სრულად სხვა, უმეტესად უცხო ადამიანებს
ვუზიარებ ხოლმე, იცი, ასეთი რამეც საინტერესო ყოფილა, ვერ
უარვყოფ, არ მეგონა, ასე თუ იქნებოდა, რაღაც უცხო და ამოუხს-
ნელი იყო თავდაპირველად ჩემთვის, მაგრამ კარგია, საინტერე-
სო... ეს განსხვავებაა მხოლოდ და მხოლოდ, სხვა მხრივ ნამდვი-
ლად არ შევცვლილვარ, ისევ იგივე ვარ. არ აღიარებ, მაგრამ იცი,
სიყვარულის დიდად ვერც ვიღებდი, ვერც ვიღებ, ყოველ შემთხ-
ვევაში, იმდენს ვერ, რასაც გავცემდი თუ გავცემ, მაგრამ მთავარი
და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ სიყვარულის მიმღებნი არსე-
ბობენ. არ მინდა, დავფიქრდე და წარმოვიდგინო გარემო, სადაც
სიყვარულის მიმღები არ იქნება, სადაც გაცემული ჰაერში განია-
ვებულებით იქნება. დიახ, გეთანხმები, თუ მეტყვი, ჩამანაცვლეო,
დაგეთანხმები, იმ ადამიანით ჩაგანაცვლებ, ვისაც ეს ჩემი, დაო-
ბებული გულიდან წამოსული სიყვარული დასჭირდება, ვის ქრი-
ლობასაც მოარჩენს, ყინულს გაუღლობს და ცრემლს შეუმშრა-
ლებს, ხოო, ასეთი ვარ, ასეთი...

ასე იყო, ასე, აბა, დაგროვილ სიყვარულს გულში რა გამაჩერე-
ბინებდა... ჩემს მინავლებულ, ჩაქრომამდე მისულ პიროვნებას
ტკივილის ღვარცოფი ემუქრებოდა და ჩაყლაპვას უქადადა, მაგრამ
ადრე განცდილთან მიბრუნება აღარ სურდა, მარტივად და ერთ-
მიშვნელოვნად ვაღიარე, რომ ყველაფერი დამთავრდა და ის, რაც
ადრე იყო, აღარასოდეს დაბრუნდებოდა, რაც იყო, იყო ყველაფე-
რი კარგი, მაგრამ დროებითი, მირაჟივით ცვალებადი და ნის-
ლივით წამიერი.

ყველაფერი დამთავრდა და იმ ყველაფრიდან ახლა აღარაფერი
აღარ არსებობს, ჩემო? თუ მკითხავ, რა იყო „ადრე“, გიპასუხებ,
რომ ადრე არაფერი არ ყოფილა, არაფერი არასდროს არ არსე-
ბობდა და ამიტომ. კითხვაც ისეთივე უსაგნო და უშინაარსოა, რო-
გორც თავად არსებული რელობა და მოცემულობა.



ტირილისგან უსაშველოდ დამძიმებული ქუთუთოები მალლა ავნიე, თვალები მეზინდებოდა, დანახვა მიჭირდა, ასოებს ველარ ვცნობდი. ვგრძნობდი, თვალებში მონოლილი სისხლი როგორ ფეთქავდა. სულით ხორცამდე ვცდილობდი გამოსავლის პოვნას, მაგრამ უშედეგოდ, საგამოძიებო სამსახურს ყველა კითხვაზე ვუპასუხე და ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ნივთმტკიცება თუ მასალა ჩემი ხელით მივეცი. ხელში მხოლოდ ნაგლეჯი ფურცლის ასლი მეჭირა და მას დავყურებდი. გაზეთის პირველი გვერდი უკვე აჭრელებულიყო ნაირფერი სტატიებითა და ტექსტებით, სადაც ახალგაზრდა გოგონას უეცარი სიკვდილის შესახებ იუწყებოდნენ, კიდევ კარგი, ჯერ ნერილის არსებობის შესახებ ვერ გაეგოთ, თორემ წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა, რა დაგვატყდებოდა თავს მე, ან მის საწყალ მშობლებს, ადამიანი იმასაც ვერ იტყოდა ზუსტად, კონკრეტულად ვისი მისამართით იყო დაწერილი ეს წერილი, ვის ეკუთვნოდა, ვის უნდა წაეკითხა, ვის გულს უნდა მოხვედროდა და ისრად დარჩენოდა, რათა სამუდამო სატანჯველად ქცეოდა, მას...

საშინელმა სიცარელემ მომიცვა, ვერაფრით მეპოვა პასუხი, რატომ არის ცხოვრება ესოდენ უსამართლო, სული მეტანჯვებოდა ამ კითხვაზე პასუხს უსასოოდ და უშედეგოდ ვეძებდი... ცრემლის მოწმენდას ვერ ვასწრებდი ისევ მევსებოდა გუგები წყლით, სიტყვებს ზომაზე მეტად ვხედავდი, თითქოს გამადიდებელი ლუპა გიკეთიაო...

ტელეფონი განკრიალდა, წამში გამომაფხიზლა უეცარმა ზარმა ფიქრებიდან, ზარი პოლიციიდან იყო, რაღაც სიახლესთან დაკავშირებით მირეკავდნენ, სასწრაფოდ ტაქსი გამოვიძახე და გავეშურე, ასეთ მდგომარეობაში თავს უფლებას ვერ მივცემდი, საჭე მემართა...

უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში, თუმცა ყველაზე მეტად იმის გარკვევა მენადა, ასეთი რამ ასე ხშირად რატომ ხდება ხოლმე, რატომ არის, თითქოს ადამიანს ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ მერე უცებ... მეც გოგო ვიყავი, მეც ვგრძნობდი და განვიცდიდი, თუმცა ხშირად თავადვე არ მესმოდა სხვა გოგონების, ვერ ვხვდებოდი, სად იყო პრობლემა.

– ქალბატონო, სად მიბრძანდებით, იქნებ მითხრათ? – მკაცრი ტონით მკითხა მძლოლმა.

– აჰ, დიახ, რა თქმა უნდა, უკაცრავად, – ოდნავ გავიღიშე უხერხულობის დასაფარავად. ზუსტი მისამართი ვუთხარი, ოდნავ შეცბუნებულმა შემომხედა, მის სახეზე კარგად წავიკითხე, რის კითხვასაც აპირებდა ასაკიანი, შეჭალარავებული კაცი.

– დიახ, სწორად მიხვდით, მაგ თვითმკვლელობის საქმეზე მივდივარ, უფრო სწორად, მკვლელობის, ეს ხომ ჯერ კიდევ დაუდგენელია! – ხმაში დაუფარავი ზიზლი და აგრესია გამერია. თავს ვერ ვთოკავდი.

– მოვედით.

– მადლობა, ინებეთ თანხა, ბედნიერ გზას გისურვებთ. – მიუზღდე ცივად და კარი ძლიერად მივაჯახუნე, ალბათ გამლანძღავდა, მაგრამ ეგ ახლა ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა. გამომძიებელთან შევედი, საათ-ნახევარი დავყავი და თითქმის ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მივიღე... ყველა ჩემს უთქმელ თუ ნათქვამ კითხვას გაეცა პასუხი, ერთადერთი, რაც ისე რჩებოდა, იყო ის, თუ რატომ არის ცხოვრება ასეთი უსამართლო? რატომ...

27.09.2023 – 04.12.2023. / 20.01.2024

სპეციალური ბრძანება

უელად მოფარფატე ნაზი პეპელა გარემოს სიჭრელის ფონზე დახატულს ჰგავდა. პრიალა, ნითელ-ვარდისფერ ფერებში შეღებილი გამჭირვალე ფრთები ლამაზ ხავერდზე, ორნამენტებით ამოქარგულ მინიატურას მიაგავდა, სიოს ქროლვის მელოდიას აყოლებდა, ნელა არხევდა და უხმო სიმღერას უსმენდა, ქროლვის დუმლით. მისი სრულყოფილება მისსავე სისპეტაკეში გაბნეულიყო... ერთ რამედ ღირდა მისი ყურება, მისი ნარნარისთვის მზერის შესწრება. მაისის დღის საოცარი ნოტებით ავსებულიყო არემარე, სამყაროს მკვიდრნი შეხმატკბილებულად, მელოდიურად და მშვიდად ფეთქავდნენ საერთო წესრიგში.

მოკირწყლულ გზაზე მოსეირნენი უთქმელად მიუყვებოდნენ ახლახანს გაკვალულ ბილიკს, ორნი იყვნენ, თითქოს მინაზე ფეხს აარ დგამენ, ისე სერავენ მიწის დიუნებსო. ჩუმად მიდიოდნენ და გრძნობით საუბრობდნენ, სულის სარკეში იყურებოდნენ და მხოლოდ ნაზსა და კარგს ხედავდნენ. თვალს უსწორებდნენ ნათელს და ამჩნევდნენ ბნელსაც, მაგრამ არ სწუხდნენ... უსწორებდნენ და შემდეგ კარგავდნენ. თვალთა შუქი ერთმანეთის მშვენებას იმდენად დაებინდა, რომ გაზაფხულის ნელი რომანტიზმი თვალს ქრიდათ, თუმცა მათში ვერ აღწევდა, შინაგან სამყაროში რაღაც უფრო დიდი, დაფარული და ღრმა ხშიანობდა...

შეყვარებულებს თურმე ასე სჩვევიათ... უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის და სხეულთა მიბჯენის გარეშე ეკვროდნენ ერთმანეთს.

მშვენიერი არსება ჩუმად დაეძებდა მარადისობის ლამაზ გვირგვინოსანს, სამი დღის სპეტაკ სიყვარულსა და იმას, რასაც პოეტები რომანტიზმის ზეიმად, თუ რაღაც ამდაგვარად მოიხსენიებენ ხოლმე, სამეცნიერო ენაზე კი მეორე ნახევარი უფრო ჰქვია, ვიდრე სხვა რამ. თუმცა ის არა უბრალოდ მეორე ნახევარს, არამედ სულის ნაწილს დაეძებდა, ქვიან თუ ბალახით მობიბინე ზედაპირზე, ხეების ფულუროებსა და ახლახან ამწვანებულ ფოთოლთა შრიალში.

თბილი სიო ქროდა, ჰაერი ნაირფერ ყვავილთა არომატით გაჯერებულიყო, ვერცერთის თვალეხს ვერ დაეცია ის გრძნობა, რაც მათ სულში ჩასახლებულიყო, ფერთა გამა ერთიანად დასთამაშებდა სახეზე ორ ნაძერწ არსებას. სიტყვა „ლამაზი“ სრულად ვერ იტევს იმ სისადავეს, რაც მათ ნაბიჯებს ჰქონდა.

რომანტიზმი... დიდებულ რომანტიზმსა და უსიტყვო გრძნობას ექცია ისინი ერთ არსად. გზაზე მიმავალთ ფერადი პეპელა მიუძლოდა და ჭრელ ამბავს ყვებოდა სხვათა ნუგეშად. ერთი შეხედვითვე იგრძნობოდა, რომ ამ ფერებს გაგრძელება უნდა ჰქონოდა, ასე უბრალოდ ვერ გასწირავდა სამყარო ამ ყოველივეს... მაგრამ, ვაი, რომ სიტყბობას მუდამ აქვს მწარეც – მნახველს გულში უმალ გაკენწლავდა მისი დროებითობა და უჟამობა, ოოჰ, სვედიანი იყო...

არც გადამეტებული ეიფორიის ბრალი იყო და არც ბანგივით მათრობელა გრძნობას გამოიწვია ეს სისადავე, ისინი სულ ახლახანს გაფურჩქნულიყვნენ ისევე, როგორც პატარა პეპელა, სულ ახლახანს გამოსულიყო ჭუპრიდან.

გოგონამ და ვაჟმა ერთმანეთი ბევრად ადრე იპოვეს, იგრძნეს, დაინახეს, მიიღეს და შეიყვარეს, გრძნობათა მორევში გადაეშვნენ და ერთმანეთის დროებითობის კანონი დაივიწყეს. ყველაზე სუფთასა და წმინდას უფლება მისცეს, სრული თავისუფლება უბოძეს, სული შთაბერეს და აუხსნელი თუ გაუმხელელი დაანახეს, კარი გაუღეს იმას, რაც აქამდე არა მარტო მათთვის, არამედ მთლიანად გარემოსთვის იყო უცხო...

პეპელა ნელი ვალსით განაგრძობდა სვლას, ადამიანი იფიქრებდა, მზე უფრო ხის, ლამაზი ფრთები არ დასწვას და სხივებსაც არა სტყორცნისო. ერთიანად შეჰხაროდა სამყარო ამ მშვენიერებას, პატარა, ფერად პეპელად ქცეულ მათ სულსა და შეუხებლად გადასკვანჯულ სხეულებს... ერთ არსად ქცეულიყვნენ, ერთ მთლიან არსებად გარდაქმნილიყო და ყველაზე უფრო ხანმოკლე, სევდიანი, ლამაზი, ნაზი და მშვიდი არსების ფორმა მიეღო ამ გრძნობას...

ის სიყვარულის მსგავსად პეპელას დამსგავსებოდა და გზას მიიკვლევდა. მიდიოდა წინ და შეჰხაროდა ყველაასა და ყველაფერს, გზაზე შემხვედრსა თუ გონებაში გამკრთალს... მათი სიყვარულიც ასეთივე ხანმოკლე და უდროო უნდა ყოფილიყო? პეპელა რაღაც უთქმელსა და გადმოუცემელს, სევდიანსა და მშვიდს, მარადიულს ეძებდა. იმ უთქმელ ემოციას დაეძებდა, რაც მათ უკვე, ერთმანეთში ეპოვათ და ხარობდნენ.

ასეთი იყო სიყვარული, თავისებური, აუხსნელი და უთქმელი, ის ყოველთვის ასე აღმატებული და სისხლსავსეა...

პეპელა ჩუმად მიფარფატებდა და არაფერს უწყოდა თავის, ამ სამყაროში დროებით ყოფნის შესახებ, წითელ-ვარდისფერი, გამჭირვალე ფრთები ნელა მოძრაობდა და არაფერი იცოდა იმ სისასტიკის შესახებ, რასაც გარშემო დაესადგურებინა. სწორედ ასეთია სიყვარული, ყველაზე ლამაზი, მომაჯადოებელი, წმინდა, სპეტაკი და

03/01/2024

წინა დღეს მორთმეული, ლარნაკიდან სულ რამდენიმე წუთის ამოღებული დამჭკნარი ყვავილების თაიგული მეჭირა ხელში. რალაცამ ყურადღება მიიქცია, ჩემდაუნებურად მზერა ერთ წერტილზე გამეყინა. მოგვიანებით აღვიქვი, პატარა დაწინკლული ქიამაია დაცოცავდა გაყვითლებულ, დროისგან დაბეჩავებულ ფოთლებზე.

შემოდგომა ახლოვდებოდა, სული ნელ-ნელა მევსებოდა სევდით, ნაღველითა და მელანქოლიური ფიქრებით. ნაგვის ურნაში ჩასაგდებად მენანებოდა, მაგრამ ვერც უკეთესი ადგილი მომეძებნა ამ დახვეწილი, თუმცა უშინაარსო თაიგულისთვის, რომელიც ზედმეტი იყო არა მარტო ჩემი არსებისა და სამყაროსთვის, არამედ მთლიანად სახლისათვის. ნელა წავბარბაცდი, საძინებლიდან მისაღებ ოთახში გავედი, ნაგვის ურნის მუქ, დაბალ საფეხურს ფეხი დავაჭირე და პლასტმასის ხუფი წამში მოშორდა ზედაპირს. მრავლისმთქმელი გამომეტყველებით ჩავაშტერდი, მხოლოდ ერთი, ეული პატარა კონა მიმზერდა შავი სივრციდან, გული მომეწურა...

ცივი შხაპით დავიბანე, უსაშველოდ მჭირდებოდა გონზე მოსვლა და გამოფხიზლება. წყალმა მიშველა. თვალს ვაყოლებდი წყლის გუბე როგორ იცლებოდა და წვეთ-წვეთად როგორ ეშვებოდა პირ ღია უფსკრულში. ჩემს თავს არ ვგავდი, თითქოს გაბრუებული ვიყავი, რალაც მჭირდა, მაგრამ რა, ვერ ვხვდებოდი... ხალათის ქამარი ზომაზე მეტად შემოვიჭირე, რაც მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როცა სუნთქვა გამიჭირდა და სულის შეხუთვამ ტკივილის პარალელურად შემომიტირა. საკუთარ თავზე მწარედ გამეცინა რამდენი ხანი იყო, რაც ასეთი რამ დამჩემდა, თითქოს აქ ვიყავი, მაგრამ თან არც?

ხავერდის მთლიანი კაბა გადმოვიღე მაღალი კარადიდან, დიდი ხნის ნაყიდი და ჩამოკიდებული მქონდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, მტვრის ნასახიც კი ვერ მიკარებოდა მის ბზინვარებას. ფერი ყოველთვის მომწონდა, თუმცა აქამდე ვერასგზით მომეხერხებინა შესაბამისი სიტუაციის გამონახვა მის მოსარგებად. ტანზე მივიდე,

საკუთარი თავი შევათვალე, კრიტიკულად შევხედე და გუნებაში გამიელვა, მგონი მომიხდება-მეთქი, შესაბამისი ტანი მქონდა. მივხვდი იმასაც, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში უბრალოდ საჭირო დროისა და მომენტისთვის მჭირდებოდა ლოდინი. ხელი გადავუსვი, მისი სირბილე და სინაზე ერთიანად შევიგრძენი. თმიდან წყლის წვეთები სრიალით მცვიოდა და ხალიჩის ფუმფულა ღრუბლებში ეშვებოდა, ლურჯ ბუსუსებში შთაინთქმებოდა აბაზანიდან გამოყოლილი სივრცის ნაკუნები.

ჩავიცვი, მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთე, თმას ხელი შევაფლე, სუნამო მივიპკურე. პატარა, ყვითელი წვეთები ნაზად შემომესალტა კისერზე, თითოეული მათგანის ცოცვა ვნებას აღმიძრავდა და უმომავლო ამბებისკენ მერეკებოდა... მათმა სხარტმა ზეიმმა, ხტუნვამ და თამაშმა გამათბო, წამით გავერთე, გავხალისდი, შემდეგ საათს დავხედე, მაგვანდებოდა, დრო აღარ იყო. მაღალყელიანი ჩექმის ელვა სასწრაფოდ ავიწიე, წელში გავიმართე, გრძელი პალტო მოვიცვი და სახლიდან გავედი.

გარეთ გავედი, ტაქსი უკვე მოსულიყო და მელოდა, ჩავჯექი, მისამართი ვუთხარი და ფული გავუწოდე, წინდანინ ვიცოდი, რამდენის გადახდა მომიწევდა, სხვა თუ არაფერი, პირველად ხომ არ გავდიოდი ამ გზას?! რესტორანში მისვლისას ტაქსისტს გამოვემშვიდობე, ამჯერად ბოლოჯერ და საბოლოოდ ვემშვიდობებოდი მას. ამაყად გადმოვედი, კარი მივხურე და რესტორანში შევედი, ჩემს ჩვეულ ადგილას დავჯექი, სანთელი უკვე ენთო, როგორც ყოველთვის ყველაფერი ახლაც ზღაპრულად მოერთოთ. სუფრა ერთისთვის... ერთადერთი რამ იყო, რაც ჩემს მარტოსულობას მახსენებდა, სიმწრისგან ტუჩები დამებრიცა, მიმტანი მოვიდა, შევუკვეთე და ღვინო მოვსვი, დამატკბო.

სახლში მალევე დავბრუნდი, ჩაით ჩვეულ თანხაზე ოდნავ მეტი დაუფტოვე და პერსონას დავემშვიდობე, ხვალ სამუდამოდ მივდიოდი. წავიდოდი და მოვშორდებოდი იმას, რაც ესოდენ უბედურსა და სევდიანს მხდიდა, მე მივდიოდი...

სახლის კართან მისულმა გასაღებების გრძელი ასხმა ამოვიღე და საკეტს მოვარგე, რეფლექსურად ძირს დავიხედე, არც შევმცდარვარ, კიდევ ერთი ლამაზი თაიგული დამხვდა ზღურბლთან,

კიდევ ერთი ნატეხი იმისა, რაც დღემდე ვერ ალღობდა ჩემს დამძიმებულ გულს. მაღლა ავედი, გრძელი, მომქანცველი კობზეები ავიარე და ოთახში შევედი. თბილი პიჟამოები მოვძებნე, ლოგინში დავწექი, ფუმფულა ბალიში გულში ჩავიხუტე და სურნელი შევიგრძენი, დიდხანს ვერ დავიძინე, თუმცა საეჭვოა ვინმეს სიზმარში ჩემი ლანდი ჩაჰყოლოდა...

დილით მალეობარის ზარმა გამაღვიძა, დრო დამდგარიყო, არ მისაუზმია პირდაპირ მოვწესრიგდი და ჩავიცვი. სპორტული ქუდი და სათვალე მოვირგე, თითქოს მათი საშუალებით უკეთ გავაქრობდი ჩემს იდენტობას, იასამნისფერი ხელბარგი კიბეებზე ჩავიტანე, კარი ჩავკეტე და მანქანისკენ გავეშურე.

აეროპორტში შევედი, ბარგს არ ვაბარებდი და პროცედურებიც შედარებით მალე გავიარე. კიბეებზე ასვლისას უკან მოვიხედე, არავინ მელოდა, არც მაცილებდა. მივხვდი, არც იქ არავინ დამელოდებოდა, სადაც ახლა ვაპირებდი წასვლას, მაგრამ იქ ყოფნა აქ ყოფნას სჯობდა, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მეჩვენებოდა და იმედია, საბოლოო ჯამში არ შევცდებოდი...

მუხლზე ხელი დავისვი, ვითომ მტკერი დავიფერთხე, სინამდვილეში ტკივილის დაფარვა მსურდა, მე მივდიოდი და არავინ მყავდა ისეთი, ვინც გამომყვებოდა, ან ვისზეც ვიტყოდი დავტოვე-მეთქი.

დიდხანს მივდიოდი და ბოლოს წავედი... არავინ მელოდა და არავის ვტოვებდი... მე წავედი და ეს წავლა იყო ყველაზე ფართო, დიდი, ბევრის მომცველი, სევდიანი, ტკივილიანი და თან ბედნიერი... ნეტავ ყველა წასვლა ყოველთვის და ყველასთვის ასეთია?

04.01.2023

ფოსტა


„სალამი და გამარჯობა... კვლავაც მოვაცილე ლეპტოპის ფერადი სტიკერებით აჭრელბული ზედაპირი კლავიატურის შავ-თეთრ სიმბიოზს, ისევ მომეძალა სათქმელი და ისევ გადავწყვიტე ყურში ჩურჩულის ნაცვლად ჩუმად დავმალე ნათქვამი სევდა...

ალბათ არ გესმის, ხმასაც ვერ მოგანვდენ, მაგრამ მე მაინც გეტყვი... ახლაც მოგიყვები იმას, რაც ადამიანთა ყურისთვის დასმული მიუნვდომელი, შორეული და გაუგებარია...

ვიცი, ვიცი, რომ ამას არანაირი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, ეს არ არის დოსტოევსკისეული, არც ჰესესა თუ შმიტის სულის ნაწრთობი მელოდია არ იგრძნობა, მაგრამ გულწრფელია. ეს მცირე მონაგარი გულწრფელი, ნამდვილი და სუფთაა. სუფთაა იმდენად, რამდენადაც ეს ჩემს გულსა და გონებას შეუძლია იგრძნოს, სხვა რა გითხრა, მეც აღარ ვიცი, უკვე... მაგრამ იცი რა, რადგან ამ წამს კვალავაც ახმიანდა ჩემს გულში ნელი მელოდია, სათქმელს ბოლომდე გეტყვი. დიახ, გეტყვი და მერე დავიცლები... დავიცლები, გაგეცლები და იმედს დავიტოვებ, იქნებ ოდესმე მასთან მიაღწიოს, წაიკითხოს და გამიგოს, ის გაიგოს, იგრძნოს, დაინახოს და აღიქვას, რასაც ვამბობდი და რისი გადმოცემაც ვერ შევძელი-მეთქი... იქნებ გაიგო, მაგრამ ვიცი, შეუძლებელს ვითხოვ, შეუძლებელს გთხოვ და ვფიქრობ, ამიტომ გეტყვი, დავიცლები, გავჩუმდები და დავდუმდები, გაგეცლები... საბოლოოდ წავალ.

დაკარგეო... ნუთუ მართლა დაგკარგე მე, შენ?! ნუთუ მართლა შეიძლება, ასეთი რამ მომხდარიყო? რაც ნამდვილად ჩვენია, ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის, განა შეიძლება დაგკარგოთ?! შეიძლება? თუ შეიძლება, მაშინ ერთმანეთი დაგკარგეთ, მაშინ გამოდის, მე შენ დაგკარგე, შენ კი მე დამკარგე, ერთმანეთი დაგკარგეთ ისე, რომ აღარც კი ვიციტ, ვიპოვნით თუ არა ოდესმე ერთმანეთს... შეიძლება ახლა ვცდებოდე, ვცდებოდე იმდენად, რომ გონების მონაჩმახი და სულის უეცარი აღელვება რამე ნიშანდობლივად მივიჩნიო და შევკრთე, დავიძაბო... გეტყოდი, გამიგებ-მეთქი, მაგრამ ვიცი, არ მიცნობ და ვერც ამას ვერ გთხოვ. შენ ხომ არასდროს გიცდია ჩემი მოსმენა და გაგება, ყურის დაგდება, მოყურადება, მოსმენა, დუმილი... არა, არ გადანაშაულებ, მე მესმის შენი, ესეც ისევე უპირობოდ მესმის, როგორც სხვა ყველაფერი, ყოველთვის მესმოდა, მაგრამ შენამდე ვერ მომიქონდა, არაუშავს...

ნეტავ გესმოდეს, როგორ კარგად მესმოდა ყველაფერი და ნეტავ მართლა შემეძლოს ყველაფერის პირდაპირ თქმა... იცი, „ნეტავ“-მეთქი, არ ვამბობდი, რალაცნაირად ვუფრთხი ამ სიტყვას,



მაგრამ არაუშავს, ახლა ასე იყოს, დღეს ხომ ყველაფერი მება-
ტიება... გრძნობები მგლეჯს, მწინკნის და მანანევრების, ამიტომ
კიდევ გეტყვი, მაინც გავაგრძელებ, ბოლომდე დავიცლები... კი-
დევ რას ვნატრობ, იცი? სამყარო ცოტა უფრო თავისუფალი, ღია
და მიმღები იყოს, რათა ყოველივე ეს პირდაპირ გითხრა, გავარ-
ღვიო ზღუდეები, შაბლონები, კედლები, მოვიდე და გითხრა... იცი,
რა მინდა? ცოტა უფრო გაბედული და თავისუფალი იყო და არ
შეგშინებოდა ჩემი შესაძლო უარის, პირდაპირ თუ არა, გულ-
წრფელად მაინც გეკითხა და პასუხი მიგელო, მოგესმინა, გაგეგო,
მიგელო... კითხვებზე პასუხის ძიების ნატვრასაც შევბუდავდი
სამყაროს, მაგრამ დავდუმდები, ოდესმე უკეთესად ყოფნის იმე-
დად გავირინდები და დავდუმდები...

ვიცი, ვიცი, რომ შეუძლებელია დარწმუნებული ვიყო შენში,
ან დარწმუნებული ვიყო საკუთარ თავში, არც ვარ და ვერც
ვიქნები, მაგრამ ასეა, უპირობოდ, მართლა ასეა და ვერაფერს ვერ
ვცვლი... სულ ვამბობდი, ლაპარაკი ბევრ რამეს შველის-მეთქი,
მაგრამ ახლა მე არ შემიძლია ვილაპარაკო, არ შემიძლია გელაპა-
რაკო, აგიხსნა, გადმოგცე... არ შემიძლია ისეთი თავისუფალი
ვიყო, როგორც წიგნის პერსონაჟები და მითიური გმირები არიან,
არ შემიძლია ზურგი ვაქციო საკუთარ სიამაყეს, თავმოყვარეობასა
და საკუთარ თავს, ნეტავ უფრო თავისუფალი ვიყო, ის თავი-
სუფლება მქონდეს, რომელსაც ასე მიველტვი და ვნატრობ...

აღამიანებს არ შეუძლიათ გამიგონ და ალბათ არც შენ არ
შეგეძლება, მეც ხომ არ ვიცი, რას გრძნობ... ვინაიდან და რად-
განაც, ასეთ მახინჯ სამყაროს მახინჯი აღამიანები ქმნიან, მეც
მას, ამ სიმახინჯეს ვემორჩილები და ბრძოლის ნაცვლად გვერდით
ვდგები, ვიცდი, მაგრამ ვის, ან რას ვუცდი, რომ მკითხო, ვერ
გიპასუხებ... მე თუ მკითხავ, შეცდომებისთვის იმაზე მეტად ვის-
ჯებით, ვიდრე უნდა ვისჯებოდეთ. ჰაჰ, ესეც უსამართლო სამყა-
როს კიდევ ერთი ჩვეულებრივი და ტიპური გამოვლინება, დიდი
ვერაფერი, ყოველდღიურობის პატარა ნატეხია ესეც.

ეგეჰ, იცი, რამდენი რამ ვისწავლე და გავიგე. რამდენი შეც-
დომაა ისეთი, რომელსაც „სხვასთან აღარ დაფუშვებ“, მაგრამ განა
ეს საქმის საერთო სურათს ცვლის? ალბათ რომ შემეძლოს და
შეიძლებოდეს მივიდოდი ვინმესთან და ვკითხავდი, მივიდოდი და

ვთხოვდი ეპასუხა, ზუსტად იყავი თუ არა ის, ვის გამოც ყველაფრის გაკეთება ღირდა, ხოლო, როცა პასუხს მივიღებდი ალბათ ყველაფერი უფრო მარტივი, ხელშესახები და საგრძნობი გახდებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელია, შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც მე ამის შესაძლებლობას ვუშვებ... შეიძლება მოუთმენელი ვარ და ამიტომ ვამბობ ამას, შეიძლება სული მეტანჯება და იმიტომ, ეეჰ, ბევრი რამ შეიძლება, ძალიან ბევრი... ხანდახან ცხოვრებას სულ სხვაგვარად ვუყურებ, მაგრამ შემდეგ, მალევე, პრაგმატიზმის ველურ კაუჭში, ისევ ისე, ძლიერ ვექცევი, როგორც დროის უმეტეს ნაწილში მემართება და ხდება ხოლმე, ეს და ვნებდები. ვნებდები და ამიტომ ამაში არასდროს არ არის ახალი არაფერი... ვნებდები, ვუშვებ ფიქრებს და გიშვებ შენ. იქნებდა მთელი ეს „გაშვება“ ყველაზე სწორი და მართებული რამ იყოს იმ მთელ აურზაურში რასაც კი განვიცდი და ვგრძნობ, მაგრამ, აბა, მე ეგ საიდან უნდა ვიცოდე?

ვდგავარ უსაშველოდ დამძიმებული, ბევრი კითხვით ყელამდე სავსე და ველოდები, უბრალოდ ველოდები და მეტი არაფერი, უსუსური ვარ, ხო? გეთანხმები, მართლა ასეა, არც ცდები, არც გეშლება, ზუსტად ასეთი ვარ...

საინტერესოა ცხოვრება ამ ყველაფერთან ერთად, მეტად საინტერესო, მე ხომ იმის ნახევარს, არა, არათუ ნახევარს, მეოთხედსაც ვერ გეტყვი, რისი თქმაც მინდა... ნახვამდის, კარგად, დროებით... ხომ, დამშვიდობება რა საკადრისია ჩვენში... დროებით, მანამ, სანამ ჩემი სულის სარკმელი ისევ არ იგრძნობს შენს ქროლვას და ადამიანებისგან განცალკევებით მყოფი, მარადიული მელანქოლიით დამძიმებული, საკუთარ უსუსურებაში ჩაძირული, არ გავხსნი შავი ლეპტოპის ჯადოსნურ ეკრანს და არ ავანკაპუნებ სიტყვებს, სიტყვებს, რომელიც მხოლოდ მე მესმის და რომელსაც, ალბათ მხოლოდ შენ გაიგებდი, შენ მოსმენა, ხოლო მე თქმა რომ შეგეძლოს და შემეძლოს... ერთმანეთის დანახვა, მოსმენა, გაგება რომ შეგეძლოს... ნეტავ...

ბოლოს, კავშირისა და ძაფის განყვეტის უამს, ჰაერში, სამყაროსთვის გაგზავნილ სიაში იმასაც დავამატებ, ამის ნაკითხვა სულ რომ შეგეძლოს, გაიგებდი, გაიგებდი, ჩემო...?"



უფროს ძმას ლეპტოპის გამოყენების ნებართვა აღებული ჰქონდა. არაფერს აშავებდა, დილიდან კარგ ხასიათზე იყო და უფლებაც მარტივად „დასტყუა“, არც ბევრი თხოვნა და არც ხვეწნა არ დასჭირვებია, მშვიდად იყო, მარტივად მიიღო ის, რაც უნდოდა. დღეს ნამდვილად მშვენიერი იყო ცხოვრება, ღიღინის ხასიათზე იყო, მელოდიური ბგერები ამოუშვა პირიდან. კომფორტულად მოკალათდა სავარძელში, გვერდით დასამუშავებელი მასალა დაიდო. მაუსის სადენი კომფორტულად და მარივად შეაერთა სპეციალურად მისთვის განკუთვნილ პატარა ნახვრეტში. დამტენიც ტენიდა, ყველაფერი რიგზე იყო, მუშაობის დაწყება შეეძლო. ხელები გაშალა, კისერი გაატკაცუნა, საათს ახედა, ამოიოხრა. დილანდელი მოგონებები ამოუტივტივდა გონებაში, გაელიმა, პროცესორი ხანგრძლივი ზუზუნის გარეშე ჩაირთო, ეკრანზე პატარა, ლამაზი ყვავილის სილუეტი გამოხტა, მორცხვად დაეხარა თავი, თითქოსდა მზეს თვალს არიდებსო, ესეც გოგონას გადაღებული, მარტოსული ენძელა იყო.

საქმე არ იცდიდა, პასუხისმგებლობის გრძნობა ყელში უჭერდა და ტვინში გონგის გამაყრუებელი ზარის ხმასავით რეკდა. მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით ჩააშტერდა ეკრანს, დესკტოპზე გამოტანილი ლურჯი, ვორდის მოსაწყენი და უკვე მობეზრებული პროგრამა გახსნა. ძველი დოკუმენტებისთვის თვალის შევლება ეზარებოდა, თუმცა ახსოვდა მასალის რალაც ნაწილი რამდენიმე დღის გამზადებული და საიმედოდ შენახული ჰქონდა. დის ლეპტოპში ხუთიოდე უსათაურო ფაილი მშვიდად უყურებდა, ჰმმ... ალბათ ესეც ჩემი უთავბოლოობისა და უყურადღებობის ბრალიაო, გაიფიქრა, ეჭვი არ ეპარებოდა რომელიმე მაინც მისი სამუშაო, დაუსრულებელი მასალა უნდა ყოფილიყო. ალბათ დაღლილობის გამო სახელის დაწერა დაავიწყდა და ისე შეინახა. გოგონამაც, ვაითუ, მერე ვერ ნახოსო და სახელი აღარ დააწერა, ისევე დატოვა. უხ, ხანდახან როგორი საყვარელია ხოლმე პატარა არსებაო, გაუელვა გონებაში და გული სიხარულით აევსო. ხელით იქვე შორი ახლოს დადგმულ სახილეს სწვდა, ზემოდანვე დადებული მომწვანო-მოწითალო ვაშლი აიღო, შეათვალიერა და დიდი ზომის ნაწილი მოაკბინა, მისი მაცოცხლებელი ენერგია შეიგრძნო,

თითქოს ის მიიღო, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა და ვერ პოულობდა, უკვირდა, როგორი კარგი დღეა დღესოფთ თან თითქოს ეშინოდა, ვაიდა, უეცარი მწუხარებით ჩამშხამდეს, განა ყოველი მეორე დღე ასეთია?!

რიგით მესამე ფაილი ისე გახსნა, რომ არც დროსა და არც თარიღს არ დაჰკვირვებია, ღრმად იყო დარწმუნებული საკუთარ სისწორეში. კითხვა დაიწყო, ტვინის რომელიღაცა უჯრედმა უკარნახა ის არ არის, რასაც ეძებდიო, მაგრამ კითხვის შეწყვეტა არ შეეძლო... გუნება თანდათან უსევდიანდებოდა, ღიმილი სახიდან მოშორდა, სახე დაენამა, ხელი აუკანკალდა, დანალვლიანდა. მთელი ის ტკივილი იგრძნო, რასაც მისი და გრძნობდა და დაატარებდა ღიმილიანი სახის მიღმა. მისი დილანდელი თვალის ჩაკვრა გაახსენდა, ვალში ხარ და გადაგეხადოსო, რომ მიაძახა, თუმცა დილანდელისგან განსხვავებით მის ამ სიტყვებზე ახლა აღარ ეღიმიებოდა. არ შეეძლო ამგვარი რამ მშვიდად მიელო და არ ეფიქრა, ტკივილი არ ეგრძნო... ერთი ის იცოდა, რომ ახლა მუშაობას ვეღარ შეძლებდა, საათის ნიკნიკი ნაწილებად ხლეჩდა და შლიდა.

გონება მოიკრიბა, გრძნობებს მოერიო, დის მოყოლილი, ნაწყვეტი და უთავბოლო ისტორიები გაახსენდა, გონება დაძაბა, მათ შორის კავშირის აღდგენა სცადა და გამოუვიდა კიდეც, რამდენიმე წუთიანი ფიქრის შემდეგ მარტივად მიხვდა ვისთვის იყო განკუთვნილი ორნახევრიანი გვერდის, საკმაოდ დიდი მოცულობის მქონე ტექსტი. აშკარა იყო, პატარას დაუდევრობა რომ არა, ვერც ამას ნაიკითხავდა და ვერც თავის განძრახვას ვერ მოიყვანდა სისრულეში, მაგრამ ღრმად სწამდა, რომ შემთხვევით არასდროს არაფერი არ ხდება სამყაროში. პასუხისმგებლობა და მასთან ერთად ახალი სუნთქვა, მკერდში გულის გამალებით ცემა იგრძნო, ამაყად გასწორდა წელში, დრო იყო ზუსტად ისე მოქცეულიყო, როგორც უფროს ძმას შეშვების და ეკადრება. დოკუმენტის ასლი შექმნა, სახელი დააწერა, პატარა მუქი ასოები ალივლივდა ზედა კუთხეში, ჯერ შეინახა და ეკრანზე გადაიტანა, შემდეგ თავის მიმონერებში გაგზავნა და ფაილი ნაშალა, ყველაფერი ზუსტად ისე, სახეუცვლელად დატოვა, როგორც გახსნამდე, მის ხელის ხლებამდე იყო.

ლექტოპი მშვიდად დააბრუნა თავის ადგილზე, დას განეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა, ჩუმად შემონახული

შოკოლადით დააჯილდოვა, უცარი სიურპრიზი გამოუვიდა, ზუსტად იცოდა, რომელი იყო მისი საყვარელი ნუგბარი და შანსაც არ უშვებდა, გაეხარებინა, მოეხვია, მაგრად აკოცა და ოთახიდან გავიდა. კარში, აივანზე გასვლისას ყურმოკვრით გაგონილ, დაწეულ კითხვას ნაუყრუა, არც გადახდილი მადლობა ჩაუგდია აინუნში, თავი ჩაღუნა და გზა განაგრძო, მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა, ვერ მოიცდიდა. სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა, მობილურ ტელეფონში ელექტრონული ფოსტა გახსნა, ახალი წერილის შექმნას დაანკაპა, ველი გაიხსნა, ფაილი ჩაამაგრა, ტექსტი დაწერა, ყველაფერს შეძლებისდაგვარად მარტივად და გასაგებად ხსნიდა, თუმცა ბევრი საუბარი მისი ძლიერი მხარე ნამდვილად არ იყო, ამიტომ ამ საკითხზე ფიქრით თავი დიდად არც შეუწუხებია, რეალისტი იყო. დანიშნულების ზოლში მარტივად და მოკრძალებულად, სულ ოთხი სიტყვა ხელის კანკალით ჩაწერა – „ფოსტა, უადრესატო წერილი ავტორს“. ვერ ხვდებოდა აშაგებდა რამეს თუ პირიქით, კარგს აკეთებდა ამით თავისი ნაბოლარა დისტოვის, ბოლოს ადრესატიც მიუთითა. საკუთარი თავი გაამხნევა, უფალს შემწეობა სთხოვა და გაგზავნის ღილაკს დააჭირა, ცოტა ხანს დაელოდა, შეტყობინება უკან დაუბრუნდა, პიროვნება არ მოიძებნაო, დანალვლიანდა, თუმცა ისევ სცადა, ახლა უფრო მეტად იყო დარწმუნებული, რომ აღარაფერი შეშლია და ყველაფერი სწორად მიუთითა. მიზანს მიაღწია, თუმცა შედეგი არ იცოდა...

ხანდახან საოცრებები ხდება, ხანდახან ჩვენი თვალისთვის ხილული და სულისთვის საგრძნობი სასწაულები ანათებს ბნელს... ხანდახან, იშვიათად, ისეც ხდება, სასწაული და საოცრება ერთდროულად იბადება და იჩენს თავს, ასეთ დროს ადამიანები ანათებენ და მათი ბრწყინვალეობა ერთდროულად თვალსაჩინოცაა და აღმატებულიც, ასეთი ბედნიერება გადამდები, ხელშესახები და ყველაზე ნამდვილია... ზოგჯერ სასწაული და საოცრება ერთად ატყდება ადამიანს თავს... ხანდახან არ გვეკიციხებიან რეალურად რა გვინდა ჩვენ... ხანდახან ოცნებები ხდება და ნატვრა გვისრულდება. ხანდახან ყველაფერი ისე ხდება, როგორც გვინდოდა, მაგრამ, უბრალოდ, მალე გვაავიწყდება ჩვენ ისინი და ვერც მათ ფასს

ველარ ვიგებთ ვერასდროს ვერას გზით... ხანდახან სამყარო სისასტიკისგან იცლება და ადამიანი, მართლა, ხდება ადამიანის-თვის მზე... ხანდახან ადამიანები ჩუმად ოცნებობენ და ეს ოცნებები უსიტყვოდ ხდება... ხანდახან... ხანდახან უპირობო სიხარული ალებს ყველასთვის დახშულ, ჩარაზულ და დიდი ლურსმებით აჭედო კარს და მერე უპირობოდ ყველას სჯერა სასწაულებისა და ნატვრის ახდენის. თუმცა ეს მხოლოდ, იშვიათ, გამოუცნობ, აუხსნელ და ამოუხსნელ მომენტებში, ხანდახან ხდება... და ეს „ხანდახან“ ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ურწმუნო ადამიანებმა იენმუნონ და მთენი გადადგან...

კარზე ზარის ხმა გაისმა, ნაცნობი სტუმარი იყო. გვიანი სა-ლამო იდგა, დროზე ადრე დაბნელებულიყო ისე, როგორც ეს გვიანი შემოდგომის ჟამს სჩვევია ბუნებას, ჰაერი არ იძროდა, ბინ-დი ჩამონოლილიყო. ყურისნამლები, განგმირავი სიჩუმე და გაზა-ფხულის ნაზი სიო ერთად დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა...

ხანდახან: ნატვრა ხდება... ოცნებები ფრთებს ისხავენ... ადა-მიანები არ აგვიანებენ... ერთმანეთის უთქმელი სიტყვები ესმით... უპირობოდ იღებენ... უყვარდებათ... უსმენენ... გრძნობენ... პა-ტივს სცენებ... აფასებენ...

თუმცა ეს იმდენად იშვიათად და „ხანდახან“ ხდება, რომ ყვე-ლამ დაივიწყა მისი არსებობაცა და ხელშესახები რეალურობაც...

სტუმარს ხელში ყვავილების ნაზი თაიგული ეჭირა, შროშა-ნების პატარა, მოკრძალებული ბუკეტი, რომელშიც რამდენიმე თეთრი ორქიდეა გამორეოულიყო და მორცხვად ილიმოდა...

მან უპირობოდ გაიგო და იგრძნო...

ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, სწორი ადამიანები ერთმანეთს პოულობენ და ყველაფერს აკეთებენ, რათა ერთურთი არ დაკარ-გონ, ასეთ დროს კი ყოველგვარი ეჭვიცა და კითხვაც უსაფუძვლო და უადგილოა. სამყარო თავის უსამართლობითა და სიმახინჯით გვერდით დგება და ადგილს უთმობს მას, ვისაც უპირობო და ნამდვილი სიყვარული შეუძლია...

არის მომენტები, დღეები და ისტორიები, ამბები, სადაც შეუძ-ლებელი შესაძლებელი, ხოლო ოცნება რეალური ხდება. მილიონში

ერთხელ უნებართვოდ გახსნილი და წაკითხული წერილი შედეგის-
ნი, გადადგმული სარისკო ნაბიჯი, გამართლებული, ხოლო სიყვარული
რული მარადიულია...

ელექტრონული ფოსტის გაუხსნელ წერილზე მუქი ასოები
ლივლივებდა... სამყარო კრთოდა.

20.01.2024

ყველაზე რომანტიკული უიშვოება

„სულის ტკივილამდე მენატრები...“, აღმოხდა ხმაჩაბრუნით,
მთელი სხეულით კრთოდა, კანკალებდა და თრთოდა, ხელები გას-
თეთრებოდა, თვალები დაბინდვოდა და თითქოს ნელ-ნელა გონივ
ერთმეოდა. პაუზებით სუნთქავდა, ნელი დუდუნით, წყვეტილად
ამბობდა სიტყვებს, აგონიაში მყოფ, საკუთარ თავთან მოსაუბრე
ადამიანს ჰგავდა. კრიალა წვეთები ლაპალუპით ჩამოსდიოდა
სახეზე და პერანგის ღრმა საყელოში უჩინარდებოდა, მათ, მასთან
შედარებით ბევრად მარტივად ეპოვნათ გაჩერების ადგილიცა და
კითხვის საბოლოო პასუხიც, მშვიდად იყვნენ, მიცურავდნენ და
დუმდნენ. ოთახში მარტოდმარტო იჯდა, უხმოდ რთავდა გრძნო-
ბების სანუთროზე ცრემლებს ახალ ძაფს. არ უნდოდა მის სიძ-
ლიერეს ჩრდილი მისდგომოდა, ვინმეს შესცოდებოდა, სუსტი ჰგო-
ნებოდა და დაემშვიდებინა. ტკივილთან გადაჯაჭვულ, მასში აღ-
რეულ გრძნობას გაუძლებდა, ძალიან მარტივი იყო გადასატანად
ყოველივე ეს, თუმცა მარტივი მხოლოდ იმის ფონზე, რასაც აქამ-
დე მორეოდა, თორემ ისე, ისე ყველაფერი ბევრად რთული დამ-
თრგუნველი და ტანჯვის მომგვრელი იყო... ამასობაში თითქოს,
მისი სულის ნოტებზე ბუნებამ დაკვრა დაიწყო და მელოდიას
ამინდიც აჰყვა.

უსაშველოდ დიდი ფიფქები ეხეთქებოდა ფანჯრის მინას,
თითოეული მათგანი იქ რამდენიმე წამი ჩერდებოდა და მალევე
უკვალოდ უჩინარდებოდა სადღაც შორეულ, თვალისთვის მიუწვ-

დომელ უსასრულობაში. უხმოდ ტიროდა, უფრო სწორად დასტი-
როდა კიდევ ერთ, დაღამებულ დღეს, უთქმელ მონატრებასა და
ანენილ სულს. ადამიანთა ფსიქოლოგიის გაგება რომ შესძლე-
ბოდა, მათი მატერიალური ავხორცობისგან დახსნა რომ შესძ-
ლებოდა, საკუთარი თავისთვის ნუგემისცემა რომ შესძლებოდა...

კარზე კაკუნი გაისმა, გაიღიმა, ყველაფერი კარგად იყო,
სტუმრები მოუვიდნენ. უამრავი ნაცნობი და მეგობარი გარეთ,
თოვლში სასეირნოდ ეპატიჟებოდა. თეთრ, სპეტაკ თოვლში, ამაზე
ლამაზი რამ შეუძლებელია სამყაროში არსებულიყო. ბარდნიდა,
ხალხი კანტიკუნტად დადიოდა, ხელის თვალთან მიტანაც ჭირდა,
ბუნება თეთრდებოდა, დიდი ფიფქები ცვიოდა ზეციდან. ბინდიც
ჩამოწვა და მართალია სულ ახლახანს მოსალამოვებულებიყო, მაგ-
რამ უკვე აღარაფერი ჩანდა.

იცინოდა, ყველანაირად ცდილობდა საკუთარ გრძნობათა
ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო. კარგად უწყოდა, თუ შინაგანი გან-
წყობილება მოიცავდა, საკუთარი პიროვნების დახსნა და გამოსავ-
ლის პოვნა გაუჭირდებოდა. ახლა კი, ასე, შეძლებდა გადაელახა.

ფიქრებში გართული მეგობრებთან ერთად დიდ სითეთრეში
მისეირნებდა, როცა მოპირდაპირე ქუჩაზე მას მოჰკრა თვალი, მას
ვისაც ამდენ ხანს თვალწინ აღმართულ ლანდად ხედავდა და
ნატიფ არსებად წარმოუდგებოდა ზეცაღმართულ ტროტუარზე,
წინ მიმავალი. მარტო მიდიოდა, ისიც იღიმოდა, ნეტავ ვისზე
ფიქრობდ?. ნეტავ ვისზე, რაზე ან საერთოდ, რას ფიქრობდა?
თავად მას, ადამიანთა აზრების, ფიქრების, ფსიქოლოგიის გაგების
უნარი სულ რამდენიმე წამით რომ ჰქონოდა....

ოცნებებითა და ნატვრით ამსუბუქებულს მხარზე ძლიერად
ნასროლი გუნდა მოხვდა, დაეცა, მწვავე ტკივილმა გაკენწლა,
გული შეუწუხდა. საშინლად აწნვა დაზიანებული ადგილი, ტკი-
ვილს მოულოდნელობის ეფექტი კიდევ უფრო ამძაფრებდა. მეგო-
ბრები უმალ მისცვივდნენ და წამოაყენება, გაფერთხვა და გარე-
განი თუ შინაგანი დაზიანების შემოწმება სცადეს. ზედაპირულად
შეამოწმეს ხომ კარგად იყო, ხომ არაფერი დაშავებოდა, ყველა-
ფერი რიგზე იყო, არაფერი აწუხებდა?!. თითქოს თვალთ კვლა-
ვაც ვიღაცას დაეძებდა, გზისა და თვალსაწიერს მიღმა იყურებო-
და, იმას ეძებდა, ვინც რამდენიმე წუთის წინ, თოვლის ყინულიანი

გუნდის სროლამდე, ღიმილიანი სახით მისეირნობდა... უცებ მხარზე ხელის მოხვევა იგრძნო და შეტრიალდა, მიტრიალდა და როპ... ნუთუ... თავს წინააღმდეგობა ვეღარ გაუნია და ძლიერად მოეხვია, ჩაეხუტა, შეისიხლხორცა, თვალები დახუჭა, ერთმანეთს ეკვროდნენ...

მოეჩვენა, მოეჩვენა და მწარედ შეცდა, ერთადერთი ნამდვილი რამ, რაც მოხდა შემთხვევითი, სხვისთვის გამიზნული და სხვისთვის ნასროლი ბურთულა იყო, რომელმაც მას იმაზე მეტი ტკივილი მიაყენა, ვიდრე ამას ტყვია შეძლებდა

შუბლზე სულის შემხუთველი ცივი, სამედიცინო ხელსაწყო დაადეს, თვალები გაახილა, გონს მოვიდა, სასწრაფოც უკვე მოსულიყო, ექიმები თავს დასტრიალებდნენ, თავიდან სისხლი სდიოდა. ტვინის შერყევა მიელო, სავარაუდოდ თავის ტრამვაც ჰქონდა, ექიმები ნელი ჩურჩულით შინაგან სისხლჩაქცევასა და გაჟონვაზე საუბრობდნენ. მეგობრები მისმა ღიმილიანმა სახემ კიდევ უფრო დააფრთხო, მათ რა იცოდნენ რას ხედავდა ჩუმი ზმანების მიღმა. ყველას ერთიანად გამოხატოდა შიში სახეზე, მისი მშვიდი გამოხედვა კი კიდევ უფრო აბნეევდა მათ...

- როგორ შეგვაშინე, არც კი ვიცით ვინ იყო, ან რა უნდოდა შენგან, ალბათ შემთხვევით მოგხვდა სხვისთვის ნასროლი გუნდა, არ ინერვიულო - ერთმანეთს არ აცდიდნენ, სწრაფად საუბრობდნენ და მის სიტუაციაში გარკვევას ერთიანად ლამობდნენ.

- თან სადღაც იყურებოდით და ისე მოდიოდით, რას მიშტერებოდით, კი მაგრამ? მერე ალბათ ყინულზე ასრიალდით და ინერციით დაეცი - სულმოუთქმელად დაასრულა მეორემ.

- კარგით, კარგით, ნუ დატვირთავთ, ისედაც თავის ძლიერი ტრამვა აქვს - ოდნავ მკაცრი ტონით თქვა მაღალმა, ახოვანმა შეჭალარავეუბულმა კაცმა.

სასწრაფოს მანქანაში ჩასვეს, თავი უფეთქავდა, კიდევ ერთხელ გაიხედა იმ მხარეს, სადაც წამიერი ბედნიერება, „ის“, დაინახა. ახლა უფლება აღარ ჰქონდა ცრემლისთვის ხელი შეეშალა. თვალები დახუჭა, გაითიშა, ცრემლი ჩამოუგორდა მარცხენა თვალზე, ამოისუნთქა... მანქანის პატარა სივრცეში ქაოსი ატყდა,

სასწრაფოს მანქანამ სირენები ჩართო და გუგუნით გზის დათმობა სთხოვა გამვლელ მანქანებს. ვკარგავთ, სწრაფად! გამკინავმა ხმაში გააპო ქუჩები...

სადღაც ვილაცას ნამიერად გაუჩერდა გული და რალაც ეტკინა, თითქოს შინაგანად, მნიშვნელოვანი რამის ჩანყვეტა იგრძნო, ხელი მოაჯირს ჩასჭიდა, ვერ ხვდებოდა რა სჭირდა, რა ამბავი იყო მის თავს, შენუხდა, გარს მეგობრები შემოეხვოვნენ, ყველა დაამშვიდა, მხიარულება განაგრძეს, ისევ ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ ახალ მოსულთ.

მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ, მხოლოდ ერთი იყო, ვისაც გარეგნული სიმშვიდის მიღმა შინაგანი ნუხილი აშფოთებდა, ვერ კი გაეგო, რატომ...

საავადმყოფოს ცივ სანოლზე მოხუცმა ექთანმა თეთრი ზენარი სახეზე გადააფარა და ამოიოხრა, კიდევ ერთხელ, დამთავრდა, ნაადრევად განყდა ზღაპარი... ლამაზის ნაცვლად ტკივილიანი დასასრული ერგო ამ ამბავს...

ერთგან ცეკვავდნენ, მეორეგან ტიროდნენ, ერთს სამუდამო ღიმილი გაჰყვა, მეორე მოწყენით იჯდა და ელოდა... ელოდა, მაგრამ რას? რას ან ვის ელოდა, ვარსკვლავგამკრთალი თვალები, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო.


არადა უკვე არათუ დღეები, წელი გასულიყო, ერთი იწვა, მეორე იჯდა და ელოდა, ელოდა, მაგრამ ვის, რატომ ან რა დრომდე, ვერ გაეგო, ვერც მას და ვერც ვერავის ვერ ამოეხსნა ეს საიდუმლო ...

ნუთუ ყოველთვის ასე ხდება, ნუთუ ყოველთვის ელოდება ერთი და არასდროს არ მიდის მეორე?

03.01.2024

თეკლა კუბლაშვილი

თეკლა კუბლაშვილი დაიბადა 2005 წლის 24 იანვარს. იმერთუბნის დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ახალციხის პირველ საჯარო სკოლაში განაგრძო. მოგვიანებით მან უკვე ქართულ ფილოლოგიაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარული ოჯახის წევრებმა, დედამ და ბებიაშვ შთაუწერეს. მას მონაწილეობა მიღებული აქვს საუნივერსიტეტო კონფერენციებში ლინგვისტიკის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის მიმართულებით. მისი ერთ-ერთი სტატია გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის გაზეთში.



გზად

მთები. წითური ჩრდილები ჩემი თმის ნაპრალებში. ხორკლიანი, თოვლიანი, უტყვევად მეტყველი ხეები, ზამთრის ძილით გარდაცვლილი და რთველი ჩემს გონებაში.

გზაში ვარ.

გზად სიმსუბუქეს დიდად ვეღარ ვგრძნობდი. ალბათ, მხოლოდ ბალღობაში, თუმცაღა ექვი მაქვს, მაშინაც უნდა მყვარებოდა სარკმლიდან შორს, ჰორიზონტზე რომ დათოვლილი მეგობარი ჩანდა ჩემი სიზმრებიდან. მხოლოდ ის მაგრძნობინებდა სიმსუბუქეს, სიმსუბუქესთან ერთად სიმძიმეს, კონტრასტებსა და ჰარმონიას ქაოსურ მიწისფერში. ახლა, ალბათ, მხოლოდ გაუცხოების სევდას ხედავს ჩემში, თავად უმწვანოდ დარჩენილი და წვერგაყინული.

და მაფზიხლებს მზე, ფიქრით დაწყებული დღისგან მიცავს. დილით ნაადრევად ადგომა მძაღს, თუმცაღა შეუძლებელია გძაგდეს, როცა ნათება ალაგ-ალაგ ერწყმის ზამთარს გადარჩენილ მწვანე ნაძვებს, ნაწილს ტყისას კი ბნელს ტოვებს. სწორედ ამ წუთას ვხედავ, როგორ ანათებს ქედების ნაპრალიდან შემოპარული ერთადერთი სხივი ქვაბულში ჩარჩენილ ერთადერთ ხეს მდინარის ნაპირას. და ისევ აირია მონასტერი - ძველი მეგობარი გამახსენა მისმა დანახვამ,

ჩემი დიდებული მეგობარი, პატარა გამონათებასავით რომ ჩარჩა ჩემს ყმანვილ გონებას. მოვიდა ჩემთან, შეუმჩნეველად მაქცია ნუგეშის თანაზიარად, ინამა ცრემლით და წავიდა.

არ გასულა დღე, არ მეფიქროს მასზე, თუმცა ეს დაუსრულებელი ციკლი ფიქრებისა ხშირად გადაიზრდება ხოლმე უაზრო, უქმ ზრახვაში, მხოლოდ სევდის მომგვრელ ლურჯში, სწორედ ამიტომ, რომ არ მიყვარს საკუთარივე გაუჩერებელი, უფრო, შეუჩერებელი უნარი ფიქრისა.

- ავტობუსი დანიშნულების ადგილზეა, შეგიძლიათ, ჩაბრძანდეთ.

ყველაფერი თავის ადგილზეა

დედა ხშირად არ ხუმრობს, ყმანვიული სიხალისე დიდი ხანია, დამარცხდა მის ასაკთან ბრძოლაში, თუმცაღა ყოველთვის ელიმება, თავზე „რადიოთი“, როგორც ჩემს ყურსასმენს მოიხსენიებს, და ხელში რვეულით რომ მხედავს ხოლმე. არ უყვარდა, მუსიკით გართულს მისი ხმა რომ აღარ მესმოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ უჩუმრად ილიმის, მგონი, იცის, რომ იმას ვუსმენ, რასაც თვითონ ახალგაზრდობაში. არ მოგატყუებთ, მე ყოველივეს უფრო მძიმესა და უმიზეზოდ ქაოსურს ვუსმენ, ვიდრე ის, მიუხედავად ამისა, მაინც ესმის ჩემი.

მოსმენისას რაღაც ახალი ჩაირთო, ვიფიქრე, ალბათ, შემთხვევით, რადგან მახსოვს ყოველი სიმღერის შესავალი, სამღერად აღებული სუნთქვა და ელექტროგიტარის შეერთების შრიალი, მაგრამ ეს სიმღერა არ მახსოვს. მძიმე დღე იყო, ტრადიციისამებრ ვგრძნობდი კარამაზოვების სამივე ფაზას ერთ ჩამოუყალიბებელ თავში, გონებას ვერ ვალაგებდი, გადანყვეტილების მიღების არავითარი უნარი მქონდა შერჩენილი. და ჩავრთე ტელეფონი სიმღერის შესამონმებლად - Everything in its right place ერქვა. ჩამეცინა.


მაძიებელი პოულობს, მაგრამ რა ელით მათ, ვინც არ იცის, რა ეძიოს? - შემოქმედის ძალას მიჰყვებს. ნუთუ დამავინყდა საუკუნოვანი ეს სიბრძნე?

დღეისათვის კარამაზოვური ქაოსი დასრულებულია.

თორნიკე ბერიძე

დავიბადე 1996 წლის 28 სექტემბერს აჭარაში, კერძოდ ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეებში. დედა - ეთერი (სელიკო), მამა - სულიკო. ღმერთმა ორი ძვირფასი დედმამიშვილით - სოფოთი და ზურათი დამაჯილდოვა. ასაკით უმცროსობა მე მერგო. ეს პატივადაც მივიღე.

2005 წელს საცხოვრებლად გადმოვედი სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ ასპინძის რაიონის სოფელ ოშორაში, სადაც „ფრთები გავშალე“, უამრავი მიზანი დავისახე, იმედებს ფრთები შევასხი, შევიყვარე მესხეთში ის ქვაც კი, რომელმაც ძირს დამცა, ის ჩრდილი შევიყვარე, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში მალამოდ ეხებოდა ჩემს სულს და ის ადამიანები შევიყვარე, რომელმაც გულწრფელი ღიმილი დავინახე.



სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ქალაქ ბათუმის პროფესიულ სასწავლებელ „ბლექსში“ კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის პროგრამაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ მუშაობა დავიწყე უსაფრთხოების კომპანია „გლობალ სისტემსში“ ტექნიკოსად, სადაც ვაზორციელებდი კამერებისა და სიგნალზაციის მონტაჟს.

პარალელურად შემოქმედებითი საქმიანობით ვიყავი დაკავებული. ვწერდი, ვწერდი ღამით მამინ, როდესაც ეძინა ქალაქს.

საკუთარი თავი ვერ დავინახე იქ, სადაც ვიყავი, მიზნების თვალსაზრისით ვაფართოვდა და დავუბრუნდი იმ ადგილს, საიდანაც დავიწყე ოცნებებისთვის ფრთების შესხმა.

წარმატებით ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და ჩავირიცხე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აქტიურად ვადევნებ თვალს და ვარ მონაწილე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალორძინების საქმეში. ვარ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტთა კვოტით.

აქტიურად ვარ ჩართული გაზეთ - „მესხეთის უნივერსიტეტის“ საქმიანობაში, როგორც საკუთარი შემოქმედებით, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ სტატიების მომზადებაში.

ვარ, სახელმწიფოს და გუდავაძე-პატარკაციშვილი ფონდის სტიპენდიანტი.

ვარ თანაავტორი, ორგანიზაცია „პოეტები საქართველოს“ მიერ გამოცემულ მქვს ტომეულიდან ხუთ ტომში თანაავტორი, ამავე ორგანიზაციის საპატიო წევრი და „ოქროს კალმოსნის“ ნოდების მფლობელი.

მაქვს გამოცემული საკუთარი ლექსების წიგნი „მომავლის ღიმილი“.



პოეტისთვის ღამე სხვანაირად თენდება.

დაღამებითაც კი სხვანაირად ღამდება.

განა წინასწარ ელის სულიდან ამოძახილს თუ მალლიდან ჩამოძახილ ფრაზების ქარცეცხლს? არა! თავისით მოვარდება ხოლმე სულს აანოკებს და აიძულებს შექმნას ლექსი... ლექსი, რომელიც არის მიმართვა საზოგადოების ფართო მასისთვის.

თუ წაგიკითხავთ სულიდან ამოძახილი ფრაზები სტროფებად, სადაც არის მოწოდება, რომ ადამიანები დაჩაგრეთ, ადამიანებს გული ატკინეთ, ადამიანები დაამონეთ, ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენეთ, სიყვარული გათელეთ?

არა! ვერსად ვერ ამოიკითხავთ მსგავს მოწოდებას...

პოეზია სინმინდისკენ განათებული კელაპტარია...

ძილისწინ დაწერილი სტროფების სადღეგრძელო უნდა დაილიოს იმ სუფრაზე, სადაც თუნდაც ერთი სტროფი ლექსი გაშლის ფრთებს.

ძილისწინ დაწერილ ლექსს უდიდესი ძალა გააჩნია. განსაკუთრებით, როდესაც ძილისწინ ლოცვებს ჩაიკითხავ და მოემზადები ღრმა ძილისთვის ამ დროს, სულიერად დამშვიდებულს მუზა გეწვევა...

სტუმარი გეწვია თან როგორის სტუმარი? როგორც ქორწილს პატარძალი. პატარძალი შოკოლადის კალათით ხელში, შემოივლის დარბაზს, შოკოლადებს ირგვლივ მიმოფანტავს, სწორედ იმგვარად შემოიჭრება გონებაში მუზაც და რითმების კონებს ირგვლივ მიმოაბნევს...

„ო, რა კარგია, როცა მუზა მოვა, გეწვევა,
ო, რა კარგია, როცა წერ და ის კი გკარნახობს,
ზოგჯერაც ფიქრობ, გიჟი ვარო, ეს რა წესია?
იმასაც ფიქრობ გაგიყუდები მუზამ არ გნახოს.“

ალბათ დამერწმუნება მრავალი ხელოვანი იმაში, რომ ხელოვან ადამიანებს უფრო მეტი ნაღველის ტარება უნევთ გულით, ვიდრე სხვა დანარჩენებს...

აზრი არა აქვს ეს ხელოვანი რომელ დარგს მიეკუთვნება - მხატვარია, მძერწავი, მწერალი - პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი თუ ა.შ.

სხვათა სიტყვებს თუ წავიშველიებთ, „ხელოვნება ეს ნიჭიერი ადამიანების მიერ, სამყაროს შემოქმედებითი აღქმაა“. აქედან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ხელოვანი ადამიანი უფრო მეტი დარდისა და ნაღველის მატარებელია.

ხელოვანია ადამიანი თავს მოვალედ მიიჩნევს, თქვას და შექმნას ის, რაც ღირებულია საზოგადოებისთვის.

ქართული ცენზურისა და პრესის ისტორიას თუ გავიხსენებთ, რომლის დანწყების თარიღად 1837 წლის 23 დეკემბერი შეგვიძლია მივიჩნიოთ, ეს იყო ხელოვნების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. ხელოვანი ადამიანებისთვის ბორკილის დადებას ნიშნავდა.

რუსეთის იმპერატორის ბრძანებით სტამბიდან გამოსული წიგნების ცენზურა დაევალა საქართველოს მთავარმართებლის უწყებას. ცენზურის კომიტეტს ევალეობდა არამხოლოდ ადგილობრივი ბეჭდური გამოცემის კონტროლი, როგორც იყო გაზეთები და წიგნები, არამედ უცხოეთიდან შემოტანილი ლიტერატურის კონტროლი.

ხელოვანი ადამიანების დარდი და ნაღველი სწორედ ეგ გახლდათ. ხელ-ფეხი შეუკრეს სიმართლის მთქმელ შემოქმედ ადამიანებს.

ხშირად გამომიყენებია საუბარში საკუთარი სულიდან ამოძახილი ფრაზა, კალამთან ბრძოლას, თუკი დაინყებ, აუცილებლად დამარცხდები, კალმის ძალა უსაზღვროა.

სსრკ-ში აიკრძალა რამდენიმე წიგნის გამოცემა.

წყაროებიდან ვეცნობით ამ წიგნების ჩამონათვალს:

ჰერბერტ უელსი - „რუსეთი ჩრდილებში“,

ალექსანდრე სოლჟენიცი - „არქიპელაგი გულადი“,

ვლადიმერ ნაბუკოვი - „ლოლიტა“ და ა.შ. ეს მცირედი ჩამონათვალია.

როგორც უკვე ვახსენე, კალამთან ბრძოლას თუკი დაიწყო, აუცილებლად დამარცხდები. სწორედ შემოქმედი ადამიანების კალამმა, სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა შეძლო ერის და ბერის გათავისუფლება კლანჭებიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ნერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“ არსებობა ქართულ მინაზე, ერის და ენის გადასარჩენად. ნუ დაგვავინცდება 1978 წლის 14 აპრილი, სამშობლოს დღესასწაული, ენის დღე.

არ მინყენს მკითხველი, თუკი ქრონოლოგიას დავარღვევ და შოთას - „ვეფხისტყაოსანს“ მივუბრუნდები, რომელიც გახლავთ ზეიმი ერის.

შოთა რუსთაველმა შექმნა უკვდავება ქართული სულისა.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩააქსოვა სიხარულიც და სევდაც სინთეზურად. დამეთანხმებით, მარტივად აღსაქმელი ფრაზები არ გამოუყენებია ნამდვილად.

ხშირად მიფიქრია, გახდებოდა თუ არა ცენზურის მსხვერპლი „ვეფხისტყაოსანი“ კომიტეტის ხელთ რომ მოხვედრილიყო? ალბათ ნაწილობრივ, რადგან იმდენად შეფარვითი, მეტაფორული, ფრაზებით არის შექმნილი ტექსტი, ვერ შეძლებდა კომიტეტი სათქმელის გაგებას და გაეპარებოდათ ნამდვილად.

ძნელი აღმოჩნდა გზა მესხეთიდან,
თუმც კი უარესს ანი მოველი,
გადმოვიარე კლდენი და ტყენი,
სამაჩაბლომდე ისე მოვედი.

თან წამოვიღე - ხერთვისის ციხის,
თმოგვის, რაბათის თბილი სალამი,
ვერ მაჩერებდა უღრანი ტყე და
ჯერ გაუკვალი გზები სავალი.

ვერ მაჩერებდა ტყვიების წვიმა,
ულმერთო სახით ერის მავანი
ვყვიროდი ძლიერ, ჩემო სამშობლო!
გადამირჩინე შთამომავალი...

ვკოცნიდი მიწას, ვყვიროდი ძლიერ,
მიწავ შენა ხარ ჩემი წამალი,
თურმე სიზმრებში შემომათენდა,
დილის ჟამს მივხვდი - ყივის მამალი.

გამომეღვიძა, როგორც სასიძოს,
ხელში მეჭირა ტკბილი - ალავი,
არც სამაჩაბლო აღარ მოსჩანდა,
და არც თაობა, გმირთდამკრძალავი.

პოეტები არ კვდებიან, მეგობარო!
ასე უთქვამთ, იცვლიანო მხოლოდ ბინას,
კალამს ვინც კი ხელი მოსდო აღვიძებსო,
გალაკტიონს - უკვდავებას სულში მძინარს.

არ კვდებიან პოეტები, მეგობარო!
თაფლს ასხამენ, მარადიულ ფრაზებს ფრთიანს,
სიყვარულს რომ უანგაროდ გადასცემენ,
დავესესხოთ მაგ გრძნობებში ასათიანს.

არ კვდებიან შემოქმედნი, მეგობარო!
უკვდავების სტატუსი აქვს გმირს, ხელოვანს,
არ შეგვრცხვება, გარდაცვლილი რომ ვუნოდოთ,
ფრონტის ხაზზე მიძინებულ გმირ გელოვანს?!

ან ვაჟაზე, როგორ ვიტყვით გარდაცვლილი?!
ან აკაკი, როცა სტროფი ისევ გალობს,
როცა შვილებს ტიცვიანის სტროფზე ვზრდით და
მამულს გული, ტაბიძისა ლექსით ჰყვარობს.

პოეტები არ კვდებიან, მეგობარო!
ვინც იწამა კვდებიანო, ყველა ნანობს,
ვინ გაბედავს ხელოვანის მიძინება,
სამუდამო სიკვდილს ოდეს მიაგვანოს?!...

სწრაფი ნაბიჯით ბილიკზე მავალს,
ჩირალდნად მთვარე გზებზე კიაფობს,
სხეულში სულთან ორთაბრძოლაა,
ვითხოვ, სხეულმა სულს კვლავ მიათბოს.

შემომილამდა ვალს მადებს მთვარე,
და ვარსკვლავები ამბებს მიამბობს,
როგორც გითხარით, სულში ბრძოლაა
თითქოს ეს სული ტალღებს მიაპობს.

აღარც მზე მინდობს და აღარც მთვარე,
სულში ვარსკვლავიც აღარ დიადობს,
დაცარიელდა სითბო, ნუგეში,
კვლავ ჩუმად ვიწყებ ღმერთთან დიალოგს.

ნიღაბაფარებულ სახეს
თბილი ღიმილები შვენის,
თვალებს რა დამალავს ნეტავ,
ვაჟას - გულმოკლული შველის...

გრძნობას რა დამალავს ნეტავ,
როცა მუზა გსტუმრობს წერის,
ცრემლი დაუმალავს ნეტავ,
შოთას - სიყვარულის წერილს?!...

წახალ სიზმარში ვიხილე
შეხვედრა მზის და მთვარისა,
მიუალერსა მზემ მთვარეს,
იმედი ვიგრძენ ხვალისა...

დიდხანს გაგრძელდა სიზმარში,
ალერსი ჩუმი ღამისა,
მზე მალე გაქრა, თუმც კვალი,
დატოვა ნიაღვარისა...

ცრემლმორეული ზის მთვარე,
ნიშან არ უჩანს დარისა,
სხეულს კანკალი გაუდის,
სუსხია იანვარისა...

თან მარტოობის ხმა ისმის,
მალლა მთის, დაბლა ბარისა,
მწუხრი, ნალველი, ტკივილი
პოეტურია ღამისა...

მთვარემ მიზეზი გამანდო,
შეხვედრის მზის და მთვარისა,
ყოველ ღამობით მსტუმრობსო,
მეგობარია ღამისა...

შემოქმედია, როგორც მე,
ხოლო მუზაა კალმისა,
დღის ანგელოზი სხივად ჰყავს,
პოეტურ არე-მარისა.

დღის დარდებს თავად მიყვება,
ხოლო მე შუაღამისას,
ეს ღამე მალე გათენდა,
ვერ მოვუსმინე თავისას...

ფიქრგატაცებულ ღამეში,
შეხება ვიგრძენ ქალისა...
თვალ ავახილე, რას ვხედავ?!
დამნათის მზე ვარსკვლავისა.

სალომე ხმალადე

დავიბადე 2004 წლის 14 თებერვალს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში და 2010-2022 წლებში უსწავლობდი კოთელიის ნომერ პირველ საჯარო სკოლაში. 2022 წელს ჩავირიცხე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ვარ ქართულ ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი.

ამასთან ერთად, ვირიცხები 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის პირველ ასეულში.



ჩემი სოფელი

„დღესაც მღერის ოდელიას,
მურჯის ძირში კოთელია,
აბა, როგორ დავფარავდი გულის ნადებს თავფარავნის,
ჯავახეთი ერთი არის, გაეყოფა არც არავის“

გალაკტიონ ტაბიძე

არასდროს მესმოდა, რატომ შეიძლებოდა არ გყვარებოდა ადგილი, სადაც დაიბადე და იზრდები, თუმცა მსგავსი რამ, სამწუხაროდ, ბევრისგან გამეგო. მე სულ სხვა დამოკიდებულება მქონდა, ბავშვობიდან ღრმად გამჯდარი სიყვარული მაკავშირებდა ჩემს სოფელთან და დღემდე ასეა. ვიზრდებოდი, ვუყურებდი აბულ-სამსრის თვალწარმტაც ხედებს ყოველ დილას და საოცრად მატკობობდა, სულს მიმალლებდა, მამშვიდებდა, რაღაც აღმაფრენას ვგრძნობდი... შემდეგ ცვრიან ბალახზე გავივლიდი და სასიამოვნო სუსხისგან ტანში დამაფრუოლებდა (ზაფხულშიც კი)... უჰ,

რა ჯობდა ამას, სხვა მართლა არაფერი მიხდოდა ბედნიერი დღის დასაწყებად, ეს იყო ჩემი სამოთხე.

ზღაპრული დილის მქონე სოფლის აღმოსავლეთ მხარეს დიდი ქალაა გაშლილი, აქ ადრე ტბა ყოფილა. სოფლიდან საოცრად ღამაზად მოჩანს ადგილი, რომელიც ხან მწვანედ ბიბინებს, ხან ხორბლისფერი ველი ხდება და ტრაქტორების დამაყრუებელი ხმაურით არის მოცული, ხანაც უბრალოდ თეთრად გადაპენტილი სივრცეა. ავდგებოდი და ან ქალიდან ავხედავდი ხოლმე ოდნავ მაღლა, ნატბურის დასავლეთით გაშენებულ კოთელიას ან მურჯიდან დავცქეროდი. ასე გადიოდა თვეები, წლები და მე ასაკი მემატებოდა. დროთა განმავლობაში ვამჩნევდი ბავშური სილაღე და სიცელქე როგორ მტოვებდა... ვიცვლებოდი და სხვა ფაზაში გადავდიოდი. რიგ საკითხებს ყოველწლიურად სხვადასხვანაირად ვუყურებდი, ნელ-ნელა უფრო ღრმად ვიაზრებდი. მეცვლებოდა წარმოდგენები, შეხედულებები, აზრები. ასე რომ ვთქვათ, მხოლოდ კარგს და საბედნიეროს ვეღარ ვხედავდი, მაფიქრებდა და მადარდებდა გარკვეული პრობლემები, რომელიც ასე თუ ისე ყველა სოფელში დგას. სულ მალე სტუდენტური წლები მენვია და სოფლის დატოვება მომიწია. პირველ ზაფხულს, როცა მეორე კურსზე გადავდიოდი, ზაფხულის არც ისე მწველი, ცოტა ქარიანი და ღამაზი დღე იყო, მიხდოდა მომესიყვარულეებინა ჩემი კოთელია და ჩემებურად მომეველო, ჰოდა გავემურე...

27 ივლისი იდგა. კვირიკობის დღესასწაულის წინა დღე. 28 ივლისი კოთელიის დღესასწაულად ითვლებოდა და დღესაც ასეა იმიტომ, რომ სოფლის ყველაზე ძველი დასახლების ნანჩილში დგას შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც წმ. მონა-მე კვირიკე და ივლიტას სახელობისაა, 28 ივლისს კი მათი სახელობის დღეა. ქალაში ამ გზით წავედი, ტაძრის წინ მიმავალი გზა უნდა ჩამეველო. ამ დღეს მთელი სოფელი ტაძარში იყრის თავს, აღევლინება წირვა-ლოცვა და შემდეგ ცეკვა-სიმღერით, ღონისძიებით გრძელდება ხოლმე დღე. იყო შემთხვევები, როცა მხოლოდ სოფლის მოსახლეობა იყრიდა თავს, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად ამ დღეს სოფელს ანსამბლი, სტუდენტური ექსპედიცია, მეზობელი სოფლების მოსახლეობა და სხვანი სტუმრობდნენ. დიდი ზეიმი იყო, გულს უხაროდა ამ დღეს ეკლესიის სავსე ეზო, წინაპრების

ნაკვალევზე ძიარული ბავშვები. მინაზე, სადაც ადრე ჩვენი პაპა-ბებიები დააბიჯებდნენ, რა სასიამოვნო სანახავია თაობათა ცვლა, ხალხთა ურთიერთობა. თითქოს ყოველივე ამას მინაც გრძნობს და ბალახსაც უხარია... სოფლის ეს დიდი დღესასწაული კი განსაკუთრებული დატვირთვის არის. ეზოში რამდენიმე ახალგაზრდა დადიოდა, ალაგებდნენ, ფუსფუსებდნენ. წელს რომ სოფელში არ ვიყავი, ეს საქმე ვერ ვითავებ. სხვა დროს დილიდან საჭირო „ინვენტარით“ ხელში შემოვირბენდი უბანს, შევაგროვებდი რამდენიმეს და შებინდებამდე ტაძარს და მისი ეზოს შემოგარენს ვალაგებდით. კვირიკობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენთან არ აღინიშნება, მას ფართოდ აღნიშნავენ სვანეთში და „ლაგურკას“ ეძახიან. წმინდა კვირიკესა და ივლიტას მიმართ სვანები ოჯახური ბედნიერებისა და სწულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებისათვის ლოცულობენ.

რაც შეეხება ამ დღესასწაულის წარმოშობას, ვიცი, რომ წმინდა მონამენი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ლიკაონიის ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ. დიდებული გვარის ჩამომავალი ივლიტა ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და ერთადერთ ძეს - ჩვილ კვირიკეს კეთილმსახურებით ზრდიდა. როდესაც იმპერატორმა დიოკლეთიანემ მართლმორწმუნეთა დევნა დაიწყო, წმინდა ივლიტა შვილთან ერთად გაიხიზნა და გლახაკთა შორის ცხოვრობდა, თუმცა წმინდა მონამენი კვირიკე და ივლიტა, მმართველ ალექსანდრესთან დაასმინეს, მან კი დედა-შვილი აწამა. როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ეს დღე, 28 ივლისი ითვლება მათი ხსენების დღედ.

ჰოდა, აი, სწორედ ამ დროს, გულში სევდა ხელზედანვეთებული სანთლის ნვეთივით ჩამელვარა და მსგავსად დამენვა კიდევც... ჩავალწიე ზემოთხსენებულ ჭრელ-ჭრელა ქალაში, ვისეირნე, ფოტოების გადაღებით გული ვიჯერე, გული, რომელიც ცოტა ხნის მერე ძალიან მეტკინა... აქედან ხელისგულივით მოჩანდა ჩემი სოფელი და მშვენიერ ხედად სწორედ ის გადამეშალა, ძალიან ლამაზია, ძალიან... ნეტავ, მართლა ასეთი საოცარია, თუ მე რომ ძალიან მიყვარს, მართო ჩემთვის არის? ალბათ, გარკვეულწილად ორივე ვარიანტი გამართლებულია, ამბობენ: „სადაც ჩიტი გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო“, ასეც უნდა იყოს, აბა, სხვანაირად როგორ? თუ ასე არ ფიქრობ და ოდესმე შენს ფესვებს რამეზე გაცვლი და მასზე მშვენიერად მოგეჩვენება რომელიმე

ადგილი დედამინაზე, ეს იქნება სწორედ ლალატი... სადაც არ უნდა ნახვიდე, ვინც არ უნდა გახდე, უნდა გახსოვდეს შენი აკვანი სად დაარწიეს, სხვაგვარად არ ღირს ცხოვრება... ამ ფიქრებით წამოვედი, ამოვლისას კი წყაროსთან შევჩერდი. ამ წყაროს ადგილობრივები, დიდი თუ პატარა, „პეტრეს კრანის“ სახელით ვიცნობთ. პირზე შევისხი ცივი, ზამთარ-ზაფხულ ყინულისით წყალი და სამყაროსკენ მომაბრუნა, გამომაფხიზლა ფიქრებში დაძირული. ცოტა ხანს იქაც გავჩერდი და მივიხედ-მოვიხედე. ეს არ არის ჩემი უბანი, არ არის ის ადგილი, სადაც ყოველდღე ეზოში ვთამაშობდი და იმიტომაც არ მქონდა ყურადღება ასე გამახვილებული, თუ როგორი დაცლილია. არც პრობლემად აღვიქვამდი იმ უდარდელ ბავშვობაში, როცა აქ გავლა მიწევდა. ახლა დამაფიქრა, რამდენი სახლია ირგვლივ და ზოგიერთ მათგანში აღარავინ ცხოვრობს, მიტოვებულია, უპატრონოდაა დარჩენილი სახლები, რომლებშიც ერთ დროს ვინ იცის, როგორი სიცოცხლე ჩქეფდა. ახლა კი, კარგ სახლებთან ერთად, მრავლადაა ჩამონგრეული სახურავები, ფანჯრები მინების გარეშე, მოუთიბავი, ყელამდე მოყვლეულავე ბალახი ეზოში, ფეხსაც რომ არ დაუქელავს, გადაბრუნებულ-გადმობრუნებული ლობე. ეს არის ყველაზე ძველი უბანი და პაპაჩემის ბავშვობის სახლიც აქ ყოფილა, თუმცა ის აღარ არსებობს, მხოლოდ ადგილი ვიცით. ის სიტყვები ამომიტივტივდა თავში, პაპაჩემის დამ რომ მითხრა, ჩვენი დიდი პაპა ამბობდა, არ მოსწონდათ როკეთელებს (ჩემი დიდი პაპის სოფელი) ჩემი კოთე-ლიაში „ჩასიძების“ ამბავი და ასე შევუთვალე: „მანდ რომ უღლის თავი მეჭირა, აქ ხარები მოდიან და კარზე თავისით დგებიან, მდიდარ და ლამაზ სოფელში მოვხვდი, აქ ცხოვრება მშვენიერიაო“ და წარმოვიდგინე, რა იყო მაშინ და რა არის ახლა, თუნდაც ერთ-ერთ ასეთ მიტოვებულ ეზოში. ერთ სახლთან შევჩერდი, ეზოს არც ისე მყარად მდგარი ჭიშკარი შევალე და მინდოდა გამეველო, ფეხით მომეთელა უქმი ბალახი. კარი ჭრიალით გავალე, არც ძალი მომგებებია, არც ვინმე იყო ხმის გამცემი. მორევში ჩავარდნი-ლივით გადავეშვი ფიქრებში, ეს მორევი თანდათან უფრო ღრმავ-დებოდა და მითრევდა. თავს ათასი ცნობისმოყვარე კითხვა დამა-ტყდა. ნეტავ როგორი იქნებოდა ეს ადგილი დაახლოებით 80 წლის

ნინ? თითოეული დაკეტილი ოჯახი თავისი სისავსითა და სისრულ-
ლით დავხატე ჩემს წარმოდგენაში, ხორცი შევასხი ჩემი ფანტა-
ზიით, რათა ერთხელ მაინც აღმექვა როგორი იქნებოდა ნინა საუ-
კუნეში. ერთ-ერთ ეზოში ბაბო და პაპა ცხოვრობდნენ, შვილიშ-
ვილები რომ სიცოცხლეზე მეტად უყვარდათ, მაგრამ მაინც და
მაინც „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალეთი“ არ გამოიჩინოდნენ
(ჯავახებს ხომ არ გვიყვარს სიტყვების კორიანტელის სიყვარუ-
ლის ახსნა, საქმით სიყვარული ვიცითო, ხშირად მომისმენია)
ბავშვები რომ სიცვლქით დაქანცულები სახლს მიაშურებდნენ,
ბაბო თათარბერაკს აჭმევდა, ეს კერძი ყველას უყვარდა, როგორ
შეიძლებოდა, არ ჰყვარებოდათ? დილა რომ გათენდებოდა, პაპა
ცელს გაიდებდა მხარზე და ბავშვებიც სიხარულით აცილებდნენ
ჭალისაკენ, ბაბო ფურნის პურს ატანდა და აბა, პაპას რა
შეხვდებოდა ამდენი „წვრილშვილის“ პატრონს? ალბათ, სულაც არ
უნდოდა. მისთვის ბავშვები იყვნენ პურიც და წყალიც, სულის
დგმაც და ცხოვრებაც, ბედნიერების არსი. სადღაც, რომელიღაცა
ჭერს ქვემოთ, იქნებოდა ნაკლებად ბედნიერი ოჯახიც, ჭირვარამ-
გადანატილი, ყველა ფანჯრის მიღმა ხომ სხვადასხვაგვარი ცხოვ-
რება თუხთუხებს სხვადასხვაგვარი კერძის მსგავსად. ჩემი დიდი
ბაბოც არ იქნებოდა გულსავსე, თავისი ობლების გაზრდით იყო
დაკავებული, მეუღლე ომიდან არც დაბრუნებულა (ზემოთ ხსენე-
ბული, როკეთიდან გადმოსული) და პაპაჩემმა, თეიმურაზ ხმალა-
ძემ (რომელიც უფროსი ძმა იყო) დედასთან ერთად აიღო თავზე
ობოლი და-ძმების აღზრდა, განათლების მიცემა საკუთარი 24
საათიანი შრომის ფასად, ხმალაძეების ოჯახში ასეთი მდგომარეო-
ბა იყო და არაერთი ოჯახი გახლდათ ასეთი პრობლემით წარმო-
დგენილი, თუმცა მაინც ჩქეფდა სიცოცხლე, მაინც იკრიბებოდა
სამეზობლო და ამ ხავსმოდებული კარის უკანაც დაიარებოდა
დიდი თუ პატარა. ახლა? ახლა ველურად მობიბინე ეკლები და
ხავსიანი სახურავებია ერთ დროს სისხლითა და ოფლით აშენებულ
სახლებზე.

გულსაკლავი სიჩუმეა, ღამით რამდენიმე ოჯახიდან გამოდის
სინათლე, ბნელეთში უფრო გულსაკლავი იქნება ალბათ ეს სურა-
თი, სულს რომ დაამძიმებს, აი ისეთი...

ავდექი და აქედან პირდაპირ „ნითელქვეებისკენ“ გავუყუვე, სულ მაინტერესებდა, ბავშვობიდან, ამ ადგილს ნითელქვეებს რატომ უწოდებდნენ, პირველ რიგში, საინტერესო რაც იყო ისაა, რომ ჩემთვის ნითელი ნითელი იყო, სისხლი რომ თოვლზე დაენვეთება, აი, ისეთი. იქ კი ასეთ ქვეებს ვერასდროს ვპოულობდი. ხავსმოდებული ქვეები ჩემთვის ნითელი არ იყო, უფროსები კი ასე ეძახდნენ, საგონებელში მაგდებდა ეს ფაქტი. გამელიმა, ჩემი ცნობისმოყვარე ბავშვობა გამახსენდა. სად, რა, როგორ, რატომ იყო სულ რომ მაინტერესებდა და პასუხებს ვეძებდი. რატომ არა ნითელი ქვეები და ნითელქვეები? თუ დიალექტურად, მაშინ რატომ არა ნითელქვეები, როგორც გვაქვს მაგალითად მელისორვიები? ამის პასუხი ჩემი არჩეული პროფესიის წყალობით ვიპოვე და გავერკვიე, საქმე კი შემდეგშია, საქმა ასე გამოიყურება:

ნითელქვაები, ნითელქვეები, ნითელქვიები.

ნითელი ქვეებიდან მოხდა ასიმილაცია, (დამსგავსება – სიტყვაში ბგერის ისე შეცვლა, რომ იგი ემსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერას) მივიღეთ ნითელქვეები, როგორც უმრავლობა მოვიხსენიებთ. შემდეგ კი დისიმილაცია (განმსგავსება, ერთი სიტყვის ორი ერთმანეთის მსგავსი ან ერთგვარი ბგერიდან ერთ-ერთის შეცვლა), რის შედეგადაც მივიღეთ ნითელქვიები, რასაც ასევე ხშირად გავიგებთ სოფელში.

ნითელქვეებზე დაგვარგე ჩემი საყვარელი მოსასხამიც, ბიძაჩემს რომ გადმოვაკითხე, აი მაშინ. ისიც გამახსენდა, ცრემლები მომერია, ისე ვყვები, თითქოს საუკუნე გავიდა, თითქოს ისევ არ ვარ ბავშვი, მაგრამ საოცარი ნოსტალგია დამყვებოდა მთელი დღის მანძილზე. არ ვიცი ეს, ალბათ, იმის ბრალი უფრო იყო, რომ სოფელი ძალიან მომენატრა, ვიდრე იმის, რომ უკვე გავიზარდე.

გადავედი ნითელქვეებიდან, გავცდი ქარსაცავებს და დავადექი გზას. აქ „აჭარლების“ უბანი გავიარე, ეს ქვედა უბანივით დაცლილი არ არის, აქ ბევრად სავსეა სახლები, მიუხედავად იმისა, რომ აჭარიდან გადმოსახლებული ოჯახებიდან მხოლოდ რამდენიმეა დარჩენილი, სოფლის მკვიდრ მოსახლეობას აქვს ათვისებული და სისავსის მხრივ, კარგი მდგომარეობაა. სკოლასთან ავიარე. სულ რაღაც ერთი წელია, რაც იქ აღარ ვყოფილვარ და როგორ

მომნატრება. სკოლა ჩვენი ბავშვობის ზღაპარია, რომელიც თავ-
გადასავლებით არის სავსე. რაც არ უნდა არასასიამოვნო მომხ-
დარიყო ჩემთვის, გულს მაინც სიხარულით მიუხაროდა, ყველა
წყენა განვლილ დღეში მრჩებოდა და ბავშური გულწრფელობით
ვინცები ახალ დილას. მერე რა, თუ ვინცებზედით კლასელები, მე
მაინც ყველა და-ძმებივით მიყვარდა. ახლაც ასეა. ისინი ჩემს
ცხოვრებაში შეუცვლელელები არიან. მალე ამ სკოლას დაანგრევენ
და აქ სხვა კედლები იქნება, თაობაც ხომ შეიცვალა, მე რომ
მოსწავლე ვიყავი, ძალიან დიდი სკოლა გვექონდა. ახლა ყველა
კლასში 3-4 ბავშვი სწავლობს, საგრძნობლად იკლო ბავშვების
რაოდენობამ, როგორი გულდასაწყვეტია...

გოდორებისკენ გავეშურე, ასე ჰქვია ჩემი სოფლის შუაგულში
მოქცეულ ამდღებულ ადგილს, სკოლის უკანა მხარეს რომ
აუყვები. როგორც გამიგია, აქ ადრე ახალქალაქის სამხედრო ქვე-
დანაყოფის სამხედრო მანევრები ტარდებოდა, მთავარი სამეთაუ-
რო-სათვალთვალლო პუნქტი სწორედ გოდორების თავზე ეწყობოდა
იმიტომ, რომ აქედან მთელი ახალქალაქის პლატო მოჩანდა. ეს
მთა დიდი დანიშნულების მატარებელი იყო. გოდორის ეს უპირა-
ტესობა ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე შეამჩნიეს და იმთა-
ვითვე დაიწყეს მისი თავდაცვითი დანიშნულების სისტემაში მოქ-
ცევა. როგორც კი შარვაშეთის მთის მხრიდან მტრის გამოჩენის
თაობაზე ვარდისციხეზე და საყარაულოზე „სიგნალი“ მოვიდოდა,
მაშინვე გოდორაზეც ცეცხლს წაუკიდებდნენ და აღმოსავლეთით,
შედარებით დაბლა მდებარე სოფლების დასანახად მისი წვერიდან
ცეცხლმოკიდებულ გოდორებს დააგორებდნენ. სწორედ აქედან
მოდის ამ გორის სახელწოდება „გოდორა“. ახლა კი აქ სასაფლაოა.
მივდიოდი ფიქრში გართული, უკვე ამღვრეული გულით და ტკი-
ვილი მემატებოდა, ველარ ვხვდებოდი ამ გასეირნებით კარგს ვაკე-
თებდი თუ ცუდს, სულს ვიამებდი თუ ვიმღვრევდი, მტკიოდა თუ
მაბედნიერებდა ჩემი სოფლის შემოვლა. გამოჩნდა საფლავებიც,
ადგილი, სადაც, ალბათ, ყველა ის ვართ, ვინც ვართ და ყველა
ჩვენს ფიქრებს მივყვებით, ნახევრად ამ სამყაროში არც ვართ ამ
დროს და მეც მდუმარება მომიცავს ხოლმე. მაშინ, როცა საუბრის
მოყვარული ადამიანი ვარ, იქ სულ ჩუმად ვარ და არც მინდა

ვინმეს ვუსმენდე. იქ სხვა სამყაროა, სადაც ყველას თავის სიმარტოვეში უყვარს დარჩენა.


ახლა იმ ადგილას მივდივარ, მთელი ბავშვობის მანძილზე რომ უამრავ მოგონებას ვაგროვებდი, ჩემი უბნის შემდეგ ყველაზე დიდხანს რომ იქ ვიყავი, გაგიკვირდებათ და ეს მურჯებია. კიდევ გაგიკვირდებათ, ამ „მოხრიოკებულ“ ადგილას რა უნდა აკეთო ამდენ ხანსო და ვერც პასუხს გაცემთ, თუმცა არც ისეთი მოხრიოკებულაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ის ჩვენთვის, ბავშვებისთვის გასასეირნებელი, გასართობი, საინტერესო ადგილი იყო. ზაფხულის ყოველ დილას 7 საათზე ვიღვიძებდით, ვიკრიბებოდით, ხან პიკნიკის მოსაწყობად მივდიოდით, ხანაც ისე, გასასეირნებლად, თითქოსდა სოფელში სუფთა ჰაერი გვაკლდა, თავს ამით ვიმართლებდით. ყოველდღე დავდიოდით და ხან ექსკურსია გვქონდა, დაულალავად დავეძებდით გვირაბის შესასვლელს, რომელსაც გაგებული გვქონდა, რომ სოფელში ჰქონდა გასასვლელი მხარე და ომიანობის დროს მოსახლეობა იყენებდა, ვათვარიელებდით ქვებზე გამოსახულ ჯვრებს და ზოგჯერ მხოლოდ სიცელქით ვიჯერებდით გულს ცეკვა-თამაშში. მურჯი ორი მთისაგან შედგება, ერთი შედარებით დიდია და „დიდი მურჯი“ ჰქვია, მეორეს - „პატარა მურჯი“. ის ნასოფლარია, მისი სახელწოდება „მურჯი“ გადმოცემის მიხედვით „მუნჯს“ უკავშირდება. უფროსებისგან მონაყოლი მახსოვს, როცა სოფელს მტერი შემოესია, ახალმა პატარძალმა დროულად შეამჩია, მაგრამ მამამთილს „უუნძრა-ხებოდა“ და ვერ ბედავდა ეთქვაო, ამით იმ მუნჯობას, რასაც უნძრახობის ტრადიცია მოიცავდა, გატეხავდა და ეს არ შეიძლებოდა, თუმცა რომ ვერ შეძლო და სხვანაირად ვერ გააგებინა, ენა ამოიდგა. სოფელი ამჯერად აოხრებას გადაურჩა და ამის გამო მურჯი ეწოდაო (საინტერესოა თავად ამ დროში „უნძრახობის“ კულტურა და ტრადიციაც), შემდეგი შემოსევის შემდეგ კი მაინც განყვიტეს სოფელი, საიდან დარჩენილი მოსახლეობაც შემდეგ კოთელიაში ჩაცხოვრდა. ეს ორი პატარა მთა დიდი ისტორიის მატარებელია. ავედი პატარა მურჯზე, გადავიხედე, როგორც უკვე აღვნიშნე აქედან ხელის გულივით მოჩანს ჩემი სოფელი. სულ ქარი ქრის და სულ ცივა. რა სილამაზეა... ერთი-ორი ფოტოს გადაღე-

ბაც მინდოდა, მაგრამ ბუნებასთან ჰარმონია არ დავირღვე, დავ-
ხუჭე თვალები, გავშალე ხელები და გორას გადავადექი, ამ დროს
ის ლამაზი ფრაზა გამახსენდა „მხოლოდ მთებშია თავისუფლება“.
დაახლოებით 7-8 წლის წინ, ჩავკიდებდით ხოლმე ხელს უბნის
ბავშვები აქედან დავეშვებოდით სირბილით და ისევ სირბილით
უკან ამოვიდოდით, სანამ ძალიან არ დავიღლებოდით, თითქოს
ვახალისებდით და ვახმაურებდით ამ ადგილს.

აქ ძალიან კარგია, მაგრამ ჯობს ჩემს სახლში დავბრუნდე
მეთქი და ნავედი, აქედან გული თან კარგად ჰიჯერე და თანაც
დავისუსხე. ჩემი უბანი ყველაზე ახლოსაა მურჯებთან და მალე
მივედი. აქ გულის ტკენა გამომიკეთდა, ჩემმა ეზომ და შემო-
გარენმა დამავინყა ყველაფერი. ამ ადგილზე ძვირფასი მაინც არა-
ფერია, ყველაფერმა თვალწინ ჩამიარა... თუმცა აქაც ერთი საინ-
ტერესო შევნიშნე, ჩემი საქანელა უჩვეულოდ მოცლილი მეჩვენა,
ალარ ვჩხუბობდით მე და ჩემი ბიძაშვილები, ვინ იქნებოდა შემ-
დეგი. გავიღიმე და სახლში დავბრუნდი...

იური ბალახაძე

დაიბადა 2004 წლის 23 დეკემბერს. ბავშვობა ბორჯომის რაიონ სოფელ ტაძრისში გავატარე, ჩემ მშობლიურ მხარეში. აქვე შემიყვანეს ს. ტაძრისის საბავშვო ბაღში, შემდეგ კი გიორგი მთაწმინდელის სახელობის ს. ტაძრისის საჯარო სკოლაში. აქ გავიარე სკოლის დაწყებითი საფეხური მეშვიდე კლასის ჩათვლით. მშობლების გადამწყვეტილებით, 2018 წელს საცხოვრებლად გადმოვედი ქ. ახალციხეში და დღემდე აქ ვცხოვრობ. 2022 წელს, ოქროს მედალზე, დავამთავრე ქ. ახალციხის N5 საჯარო სკოლა. 2020-2022 წლებში დავამთავრე ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ახალციხის სალოტბარო სკოლა „ქართული ხალხური სიმღერა და ტრადიციული გალობა“. 2022 წელს ჩავირიცხე და დღემდე ვსწავლობ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე დამატებით (მინორ) პროგრამად ავირჩიე მასწავლებლის მომზადების პროგრამა. (60 კრედიტი) ვარ თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის 2023-24 წლების ორგზის სტიპენდიატი, ამავდროულად, სამგზის სახელმწიფო სტიპენდიატი და ქ. ახალციხის მერიის სტიპენდიატი. 2022 წლიდან დღემდე ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედკოლეგიის წევრი. 2022 წლიდან დღემდე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ორგანიზაციის, აფხაზური ცენტრის, „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი. 2022 წლიდან დღემდე ა(ა)იპ. ახალციხის კულტურის დანესებულებების გაერთიანებაში შემავალ ფოლკლორულ ანსამბლ „მესხეთის“ მომღერალი, ამავდროულად, ქ. ახალციხეში წმ. შალვა ახალციხელის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელი. 2023 წლიდან დღემდე ვარ ქ. ახალციხის საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი. ვარ 2023-24 წლის სტუდენტთა სამცხე-ჯავახეთის კონფერენციის მონაწილე, ენათმეცნიერების მიმართულებით. 2023 წლის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მონაწილე „მეცნიერების თანამედროვე სტანდარტები - აფხაზეთის შემსწავლელი კვლევების გამოწვევები და პერსპექტივები“. ვარ 2024 წლის სტუდენტური ფესტივალის „ესეების კონკურსის“ გამარჯვებული.



მიყვარს ლიტერატურის კითხვა, თავისუფალ დროს გიტარაზე დაკვრა და სიმღერა. მიყვარს პოეზია, მეუბნებიან, რომ მაქვს ლექსების წერის ნიჭი, ამიტომაც ვცდილობ, ჩემებურად ვწერო. თავს არც მწერლად და არც პოეტად მივიჩნევ, ეს ჩემი სულის გამოძახილია, მოკრძალებულად ნაწერი და ნათქვამი.

სიმწვანე ტყეთა შემოიჭრა, სულს მიყვავილებს,
 მდელოებს ასდის სურნელება ნატრულ სიცოცხლის
 ყველა მცენარემ იცის, არ კვდება, დაიყვავილებს
 თავისუფალი სუნთქვა ვიგრძენ, ჟამთა სიცხოვლის

თავისუფლების მაძებართა აქ ვუხმოზ ყველას,
 თქვენი ადგილი სამყაროში აქ შევიცანი,
 თვითგადარჩენა კანონია ხვალინდელ დილის,
 ყველა ფერს ვხედავ, ხატებაა ადამიანი.

მივდივარ ქუჩებში და ვერ ვიგებ ქართულს,
 სიტყვა მახინჯური ახალ წესად გვექცა,
 ვიხსენებ წინაპართ ნაჯაფარ წარსულს,
 უცხო თვისტომებმა ენა გაგვიქცა.

მესმის ინგლისური, მესმის რუსული
 შიგ და შიგ გაურევენ სხვადასხვა უცხო ენას,
 ენა არ განიროთ, წყალობით მოსული!
 ვხედავ, რომ სიტყვები ითხოვენ გადარჩენას.

მივდივარ, გზისპირას ფიქრებით მოცული,
 ტაძრების დანახვამ გული გამიმრთელა,
 ღვთისმშობლის წილხვედრი მადლით ვართ მოსული,
 ვერცერთმა დამპყრობელმა ენა ვერ გათელა.

თიბათვის დღეებს რთულად გადაევლო,
 წელი წითელი და მინა შინდისფერი,
 ტყეებს გველემშაპის ცეცხლი გადაედო,
 იარებს, ტკივილებს აღარ აქვთ საშველი.

არ მინდა, ჩემს სამშობლოს სიტყვა გაენწყვიტოს,
ენა მოეკვეთოს, მკლავი არსაკიძეს,
მინდა, ჩემს ქვეყანას კარგი ბედი ერგოს,
ენა შევუნახოთ, ერი არ დაგვექცეს!

საგალობელი „დავიღალე მოდი ჩემთან უფალო“ უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს კატრიარქი ილია II

„დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო“,
შენ გელოდა ყველა შენი შობილი,
შენს ხატებას განუწყვეტლივ ვუგალობ
ჯვარი მიმძიმს, შენს დანახვას მოველი.

დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო,
დაქანცული საზღვარზე ვარ, მოგელი,
ჩვენ, ცოდვილებს გზა მართალი უკვალო,
ავსულებით ავსებულა სოფელი.

დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო,
მიმძიმს გული, სასოება ხუნდება,
ვაზის რტოებს გარეშემო ვუბარო,
გაღებული მონყალეა ბრუნდება.

არ დამივიწყო, არ მიმატოვო,
მინდვრად ათასი მშვიერი დადის
ბედს მინდობილი, აღარ დამტოვო!
მინდვრებში ლურჯად ვანათებ სათიბს.

სულ პატარა ვარ, სულ დაღეული
არავის ვერჩი, ხალხსაც ვახარებ,
მინდვრის შვილი ვარ, მთლად გაღეული
ცისფერი ფერის კაბას ვატარებ.

არ მომკლა! მოდი, აქ ხომ სითბოა,
ფეხვს ნუ გამითხრი! ნამით მახარე,
ცხოვრება უფრო მწარე სიტკბოა,
ლურჯი ყვავილი, მინდვრის კესანე...

ყველგან გეძებ, ვერ გიპოვე იდუმალო ვნებავ,
გული ყოველ გათენებას ისევ მეურჩება,
ღამე ისევ დავუყვები გადანამულ ქუჩებს
ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც ვერ გამაყურებს.

ვიცი, ერთხანს შენც იფიქრე ამ დიდებულ დროზე,
სიყვარულის ბილიკებზე დახვედრებულ ომზე
ვერ მიხსენი იმ სენისგან, მე რომ სულს მიკლავდა
სხვას შესტირი დახმარებას ჭეშმარიტად მკარგავ.

არა, არ მსურს ჩემი ყოფა ასე გავატარო,
ჩემი გული ცხოვრებაში შენ არ განაცვალო,
უდაბნოში, უწყლოობით ვარდები ვახარო,
ნანატრი სიყვარული ფუჭად არ ჩათვალო.

ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას გავყურებ,
მკრთალად მოსჩანს ნაცრისფერი ღრუბლები,
ეკლესიის სამრეკლოებს გადაყურებ
მთვარის შუქზე სიყვარულით ვბრუვდები...

მთანი დაგვცქერის ჭალარა წვერით,
 მდელი მთას ეკვრის ნაზავი ფერით,
 ხორბალს არავინ გალენავს კვერით,
 არავინ აქებს ჩვენს მამულს, გენით...

მთები მოახრჩო ნისლების ჯარმა,
 ნაკადულის ხმა ჩახლიჩა ქარმა,
 ქართველ დედათა აკვნები გაქრა,
 მზე გადამწველი დანაცრდა, ჩაქრა...

ფესვები ვთხარეთ ჩუქურთმად წნული,
 მოქსოვილ მდელის აღარვინ უვლის,
 შავი ლოდები, ზედ გულზედ მანვეს,
 მჩატე თავთავებს ნიავიც არწევს...

ოქროსფერ ნისლებში სხივები გადადის,
 თენდება, ნამები თანდათან შრებიან,
 სიმწვანე არ ქრება სიცოცხლე ამაღ ღირს,
 წითელი ვარდებიც თანდათან ჭკნებიან.

გულში ჩამელვარა შენი სურნელება,
 დარდად გადასული სიჭრელით ვბრუვდები,
 ისე მშვენიერი წელი მეჩვენება,
 ხატად დამესახე, უხილავ გეხები.

მიყვარხარ! პოეტი გადადგი ჭკუიდან,
 ალისფერ ხეებში ჩიტები გალობენ,
 ქარისგან სნეული, გავლოთდი ლოცვისგან,
 თეთრი რაშები დრტვინავენ, დარდობენ.

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის დრო-ჟამია,
მეხოტბე სამყაროს საზღვარზე ათენებს
გახედეთ, სამყარო რამხელა მორალია
დავუსვი წერტილი ბუნების კანონებს!

ენატრობ ცვალებად შემოდგომის თვეს,
ვხედავ სამყაროს მრავალ ფერებში,
ფოთოლთა შრიალი არღვევს სიჩუმეს,
შენი ვარდები დარჩნენ ჯიბეში ...

სულ ყველაფერი ჩამრჩეს წარსულში,
ამ რეალობას ხელიდან ვუსხლტები,
გაგები ეშმაკის დაგებულ მავრთულში,
დასნეულებული დარდისგან ვბრუვდები.

გულში ნისლები მძიმედ ჩამომდგარა,
დამშრალა ძარღვებში მჩქეფარე სისხლები,
სულში შემაცდური ბინად ჩამომჯდარა,
ჩაძინების დროს ვაზივით ვისხლები.

ვტიროდი, არ მეძინა, სული ამეხადა,
გულში ბობოქარი ამინდი მსეტყვავდა,
ტანჯვაში იმედის განცდა დამებადა,
ლამეში მოთეთრო სანთლები ელავდა...

შოთა ტიტვინიძე



ვის უხმობ ადამიანო?
რად აღგიპყრია ხელები?
ჩურჩულით წარმოსთქვი „ღმერთო“,
გვერდზე გყავს, ცაში რად იხედები.

მე ვერ გადარებ ბროლს,
თუნდაც მარგალიტს ზღვის,
მე შეგადარებ ერთადერთს ნისლს,
ქურქს, მშვენებას ამაყი მთის,

ხელშეუხებელს, მიუწვდომელ ცის,
ზოგჯერ ნაწვიმარ ველების ქვრივს,
ცივს, არ ატარებ სხივებს მზის,
მაგრამ გხედავ და ეს სილამაზე მცრის,

როგორც ამ ქვეყნის შვილს,
შენი მშვენების მნახველ ბიჭს,
ნორჩს და ამასთანავე გიუს,
გეტყვი: შენი ნახვა სიკვდილად ღირს.

წვიმის წვეთები ცას სწყდება სიმწრით,
 მიწას ეცემა, ნამავს, ტალახობს, ფეხასაცემელს გვისვრის,
 ღრუბელნი შეკრულნი წარსულ ტკივილებს გვიხსნის,
 ქოლგას იმარჯვებს ქალბატონი, ამაყად მიდის.
 წვიმის მნატვრელი, სახლში მჯდომარე იცდის,
 ზოგი დასველდა, უხამს სიტყვებს ისვრის,
 ბავშვი ფრიაბულით, უქურქოდ ქუჩაში მირბის,
 პოეტს კალამი მოუმარჯვია, მომენტებს ითვლის.
 მდინარე კალაპოტს სცდება, ხმაურით მიჰქრის,
 მზემ პირი იბრუნა, ალბათ ფერს იცვლის
 წვეცილები შეყუჟულან, ვერ იცილებენ ღიმილს
 რომანტიკოსს არაფერი აწუხებს, სველდება, ფიქრებში მიდის.

ღმერთი

ღმერთო,
 დიდების მაგივრად
 ნუხილით ვამბობთ,
 ვედრების ნაცვლად
 უმადურობას ვაქსოვთ
 ღმერთს,
 გულში ვამბობთ,
 ურწმუნოებას ვატყობთ,
 ცხოვრების ნაცვლად
 სიკვდილს ვნატრობთ.
 ღმერთი -
 უმონყალესი მწყემსი,
 განკითხულთა მშველი,
 გარიყულთა მღები,
 უძლურების მცველი,
 არის ჩვენი შემოქმედი.

შენ დაეცემი, კვლავ დაეცემი,
 ვერ შეძლებ ფეხზე დიდხანს დგომას,
 შენ დაეცემი მაგრამ ისწავლი,
 რომ არ დანებდე, განაგრძო ბრძოლა...
 შენ დაეცემი, თუნდაც უჩუმრად,
 მაგრამ დაეცემი, ამას იხილავ,
 ოღონდ გახსოვდეს რწმენით იარე
 და ტკივილში ქედს ნუ მოდრიკავ.
 შენ დაეცემი, ყველა ასეა,
 თუნდაც გეგონოს რომ გზა გალიე,
 ზღრუბლზე ფეხს მაინც წამოკრავ,
 ჩემი სიტყვები კარგად გახსოვდეს!
 ვინ არ დაცემულა, გმირი თუ შტერი,
 თავად უფალიც დაეცა ჩვენთვის
 და წამოდგა, რათა გაკვროდა იმ ჯვარს
 მთელი სამყაროს ცოდვებით შექმნილს.
 შენც დაეცემი, თავს ნუ იტყუებ!
 ვერ გიშველის ცრემლი და დარდი,
 თავად ლოცვებიც მაგისტვის არის,
 თუ დაცემული უიმედოდ დარჩი,
 შენც დაეცემი და ნუ გგონია,
 ცხვარს, გზააბნეულს უფალი კარგავს,
 შენც გახდები უძლები შვილი,
 მაგრამ გახსოვს, როგორ დაუბრუნდა მამას?

ბურუსში გახვეულ საკუთარ ფიქრებს,
 ვცდილობ, დავეხმარო, გზას ვერ იკვლევს,
 ამოდ ეძებს დაკარგულ იმედს,
 მე ვუხსნი, მოკვდა, არა, არ მისმენს.

ბამარჯობა ღე

მოვედი შენი საფლავის ქვასთან,
 ცოტა ცრემლი რომ დავღვარო მასთან,
 ფუჭი სიტყვა რომ წარმოვთქვა, რაც მაქვს,
 სანთლის შუქით გავანათო შენი ხატი ქვასთან,
 მოვედი, რომ გითხრა, რაც ვარ,
 უსინდისო ამ წლის თოვლის მსგავსად,
 უძლები ვარ ისევ ისე, მაგრამ
 კვლავ დავეძებ შენს სიყვარულს, რა ვქნა?
 კვლავ დაგეძებ, უშენობა მტანჯავს,
 ჩემი გრძნობა გულზე მანევს ნაღვლად,
 ვერ გპოულობ ამდენ ხანი, სად ხარ?
 ისევ გინდა ცრემლი ვღვარო, როგორც ბავშვმა,
 ბაღში ყოფნით რომ მატირე მაგრად,
 ახლაც ისე წადი, არ მითხარი რათა,
 როცა მოხვალ, იცოდე, რომ არ გაგიშვებ არსად,
 იცი, დღემდე გეძებ, მართლა,
 ყოველ ქალში ვეძებ ჩემი გულის წამალს,
 მაგრამ შენ ერთი ხარ, როგორც ღმერთი მალლა,
 დამიბრუნდი, გელოდები ჩვენი სახლის კართან.

ედიშერ ნარიმანიძე

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
(1918-1921 წწ.) და-იურე აღიარება მოკავშირე
სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი,
იტალია, იაპონია და გერმანია) უმაღლესი საბჭოს მიერ
(1921 წ. 27 იანვარი) და საქართველოს
დამფუძნებელი კრება
(ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით)**

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ათეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური წინამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა...

1918 წლის 26 მაისს საქართველო და ქართველი ხალხი განთავისუფლდა...

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

მართლაც, 1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ნაოცნებარი - აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას...

1918 წლის 26 მაისს ბედნიერებით იყო „გაჟღენთილი“ მთელი საქართველო...

სწორედ 26 მაისს იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა თავისუფლად, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება; ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი სხვა ქვეყნის ნაწილად ყოფნაზე; თქვა უარი იმ ქვეყანაზე, რომელიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრისა და დიდი პატრიოტის, ვლასა მგელაძის თქმით, სამოყვროდ მოსული, არამცთუ არ დაგვეხმარა ტანჯული სამშობლოს აღორძინებაში, არამედ ქვეყანა ააოხრა, მდიდარი ტაძარ-მონასტრები გაძარცვა, ღირსეული მამულიშვილები დახოცა, ცოცხლები ციხე-ციმბირში გამოაღპო, მშობლიურ ენაზე განათლება და წირვა-ლოცვა აკრძალა, ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, ერის სუვერენობა მოსპო (16; 7).

26 მაისი არის იმ რესპუბლიკის დაარსების დღე, რომელიც დაფუძნებული იყო მონინავე ჰუმანურ იდეებზე, ევროპულ ღირებულებებზე...

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპული ტიპის სახელმწიფო უნდა ყოფილიყო (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იდეოლოგიური საფუძველი იყო ევროპული ტიპის დემოკრატიული სოციალიზმი, რაც პრინციპულად უპირისპირდებოდა სოციალიზმის რუსულ მოდელს, ბოლშევიკურ მაქსიმალიზმს). მას ჰქონდა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი და, მძიმე საშინაო და საგარეო პირობების მიუხედავად, იგი თავის ფუნქციებს ასრულებდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა არ ითმენდა მის საქმეებში უცხო სახელმწიფოთა ჩარევას და შეძლებისდაგვარად ახერხებდა მის აღკვეთას: 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილ საქართველოს სახელმწიფოს ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალები: გვარდია და რეგულარული ჯარი, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, მისი ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ენა ქვეყნის სახელმწიფო ენად იქცა. სწორედ მაშინ ჩაეყარა

საფუძველი სკოლისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა გაეროვნულებას, ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, მოქტრე ქართული ფული.

დამოუკიდებელ საქართველოში თანასწორად იყო უზრუნველყოფილი ყველა მოქალაქის სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განვითარების თავისუფალი ასპარეზი მისცა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს, გაუხსნა მათ ეროვნული სკოლები, პატივს სცემდა მათ ენებს. საკანონმდებლო ორგანოებში - საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იყვნენ საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლები - აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელი. საგულისხმოა, რომ თვით 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ხელს აწერდნენ საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც.

1918 წლის 26 მაისს რუსეთის კოლონიური ჩაგვრისაგან თავდაღწეული და სუვერენულ უფლებებში აღდგენილი საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელიც საბჭოურ ოკუპაციამდე 3 წლის მანძილზე პარლამენტარიზმის გზით ახორციელებდა ქვეყნის მმართველობას.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუცია.

1918 წლის 3 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იურიდიულად სცნო თურქეთმა, ხოლო 1919 წლის 13 სექტემბერს - არგენტინამ.

1920 წლის 7 მაისს, მას შემდეგ, რაც წითელმა რუსეთმა საქართველო ვერ გადაქელა, მან იცნო რუსეთისაგან გამოყოფილად და იურიდიულად აღიარა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (საქართველოს დე-ფაქტოდ აღიარება კი უფრო ადრე მოხდა).

1920 წლის 24 სექტემბერს საქართველო დე-იურედ აღიარა გერმანიამ.

1920 წლის 11 იანვარს, პარიზის საზავო კონფერენციაზე (მიმდინარეობდა ვერსალში 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის

21 იანვრამდე), რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა მსოფლიო ომის შედეგების იურიდიული გაფორმება და ამით საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის სამართლებრივი ბაზისის ჩამოყალიბება, საქართველო დე-ფაქტოდ აღიარეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ, ხოლო იმავე წლის 7 თებერვალს - იაპონიამ და 26 აგვისტოს კი - ბელგიამ (1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე პარიზში იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.). 1919 წლის 14 მარტს ამ დელეგაციამ პარიზის (ვერსალის) კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დასაბუთებული იყო საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა (14; 4) მოკავშირეთა საბჭოს წინაშე (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, იაპონია) საქართველოს (ე. ნ.) დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ (14; 4) და მოკავშირეთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას მოითხოვდა (საქართველოს დელეგაციის წევრებს, ამის გარდა, ცალკე შეხვედრები ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის წარმომადგენლებთან...) (ე. ნ.). დელეგაციასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა (17; 4) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორს (ე. ნ.) და შესაფერის მითითებებს აწვდიდა მთავრობის სახელით) (17; 4)).

1921 წლის 26 იანვარს, საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარა ვერსალის მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ბელგია (ე. ნ.). ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორს მეორე დღესვე დეპუტით აცნობეს იმ დროს ვერსალის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა არისტიდ ბრიანამ და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო სფორცამ (15; 3). (1920 წლის სექტემბერში დასავლეთ ევროპაში ისევ გაემგზავრა საქართველოს მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით (13; 39). ევგენი გეგეჭკორი თვითონ წამოვიდა ევროპაში ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის დელეგაციის მიერ განუული

დიდი მუშაობის დასაგვირგვინებლად. ამ მგზავრობისას მან ინახულა იტალიის მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი ე. ნ.) ჯიოლიტი (ჯოვანი ჯოლიტი, - ე. ნ.), საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (17; 4) არისტიდ (ე. ნ.) ბრიანი და საფრანგეთის პრეზიდენტი (17; 4) არტურ (ე. ნ.) მილიერანი, ინგლისში კი (17; 4) პრემიერ-მინისტრი დევიდ (ე. ნ.) ლოიდ ჯორჯი. ყველა ამათ გააცნო საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და მოითხოვდა ყველგან საქართველოს იურიდიულად ცნობას (17; 4)).

1921 წლის 27 იანვრის წერილში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა და მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, არისტიდ ბრიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორს აცნობა და მიულოცა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის დე-იურე აღიარება (18). წერილში ნათქვამია (სტილი დაცულია):

„მიიღეთ რა მხედველობაში 26 იანვრით დათარიღებული უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რითაც გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარება მაშინვე, როგორც კი ქვეყანა ოფიციალურად განაცხადებდა ამის სურვილს, თქვენ ინებეთ და ოფიციალურად მომმართეთ საქართველოს მთავრობისა და ხალხის სურვილით, იყოს აღიარებული დე იურე მოკავშირე სახელმწიფოების მხრიდან.

მე მოვახსენე თქვენი წერილის შესახებ კონფერენციას; მან ერთხმად მიიღო საქართველოს მთავრობის დე იურე აღიარების გადაწყვეტილება.

მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან კვლავაც დაადასტურონ ის ღრმა თანაგრძნობა, რითაც ჩვენ თვალს ვადევნებდით ქართველი ხალხის ძალისხმევას დამოუკიდებლობის მისაღწევად და უკვე მიღწეული წარმატებებით ჩვენი აღფრთოვანება“ (20).

1921 წლის 27 იანვრის აქტით უფრო განმტკიცდა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა...

იმის მიუხედავად, რომ ეროვნული აღმავლობის ამ წლებში ახლის ძიების და შენების გზაზე იყო წარმატებებიც და იყო შეცდომებიც, როგორც გამარჯვებების სიხარული, ისე მარცხის სიმწარეც და ამასთან ქართველ ერს თავისი პოლიტიკური და ეროვნული

ნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციის პროცესში აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და საქართველოს ადგილი უბოძა დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის...

1921 წლის 28 იანვარს საქართველო დე-იურედ იცნო პოლონეთმაც...

1921 წლის (ე. ნ.) 30 იანვარს, იმჟამად ევროპაში მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა რადიო-დეპეშით აცნობა (12; 3) საქართველოს (ე. ნ.) საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად (დე ჯურე) სცნო საქართველოს რესპუბლიკა (12; 3).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა (2; 3) ევგენი გეგეჭკორმა (ე. ნ.), რომელიც იმ ჟამად პარიზში იმყოფებოდა, ინახულა გრაფი სფორცა და თავის ქვეყნის სახელით მადლობა გადაუხადა იმ პოზიციისათვის, რომელიც იტალიამ დაიკავა მისი (2; 3) იურიდიულად (ე. ნ.) ცნობის საკითხში (2; 3).

კვირას (9; 2), 30 იანვარს დამფუძნებელი კრების მორიგი სხდომა გაიხსნა ნაშუადღევს 1-ლ საათზე (1; 3). მთავრობის ლოჟაში იყო მთავრობის მთელი შემადგენლობა. სხდომის დაწყებიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დამფუძნებელი კრების შენობაში მივიდნენ იტალიის მისიის წარმომადგენლები და სხდომიდან გაიხმეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. მისიის წარმომადგენლებმა გადასცეს ეს სასიხარულო ამბავი მთავრობას, რომ 27 იანვარს მოკავშირეთა კონფერენციამ სცნო იურიდიულად საქართველოს სახელმწიფო (9; 2).

დამფუძნებელი კრების სხდომის (ე. ნ.) დღის წესრიგში იყო კონსტიტუციის განხილვა. თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე (სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, - ე. ნ.). ტრიბუნაზე ამ დროს იყო (9; 2) სოციალ-დემოკრატი (ე. ნ.) ივანე გომართელი (9; 2). ივანე გომართელი მოხსენებას აკეთებდა კონსტიტუციის მე-7 თავის (ფინანსების) შესახებ. სხდომა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა.

ამ დროს დამფუძნებელი კრების კულუარებში უკვე იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ეს არის იტალიის მისიის წარმომადგენელმა მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, გვეგვი გეგეჭკორის მიერ გამოგზავნილი რადიო-დეპეშა გადასცა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის შესახებ-ო (1; 3).

ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა დეპუტატებში. ყველას სახე გაუბრწყინდა, ერთმანეთს დაუნყეს მილოცვა, დარბაზში გაისმა გუგუნი. უსიცოცხლო სხდომას უეცრად სახე შეეცვალა (9; 2).

ივანე გომართელის მოხსენების შემდეგ (მან თავისი სიტყვა საჩქაროდ დაასრულა (9; 2), მოხსენება გაგრძელდა დაახლოებით 40 წამი (1; 3)), განცხადებისათვის (1; 3) რიგგარეშე (9; 2) სიტყვა მიეცა მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას (1; 3), რომელსაც დამფუძნებელი კრება დიდი ტაშისცემითა და ოვაციებით შეეგება (11; 2). მან განცხადა (სტილი დაცულია):

„მოქალაქენო, მომეცით ნება მოგილოცოთ ის ამბავი, რომელიც ეხლა მივიღეთ.

ჩვენ გვატყობინებს ბ. ევ. გეგეჭკორი იტალიის მისიის საშუალებით, რომ ამ თვის 27, უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველო „დე-იურე“. (ტაში, ოვაციები, ისმის ხმები: „ვაშა“).

ამ აქტით იშვა სახელმწიფო კაცობრიობის წიაღში. ეს ახალი სახელმწიფო არის ჩვენი სახელმწიფო (ტაში). ჩვენ აქამდის თვითონ ვთვლიდით ჩვენ თავს სახელმწიფოდ, ჩვენ თავს თვითონ ვაღიარებდით სუვერენულ და დამოუკიდებელ ერთეულად. ამიერიდან კი ამ ჩვენ აზრს, ამ ჩვენ დებულებას, რომელიც ჩვენ ვაღიარეთ სამი წლის წინად, დაეთანხმნენ მონინავე სახელმწიფოები და ამით ჩვენ შევედით სრულუფლებიან სახელმწიფოთა შორის.

ჩვენ ამიერიდან არ გვემინია არავითარი საფრთხის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოს ცნობა არის აქტი არა წუთიერი, არამედ არის აქტი მუდმივი.

თქვენ იცით, რომ ბელგია იქმნა დაპყრობილი, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ბელგია სახელმწიფო არ იქნება, ის არ აღსდგება (ტაში). იმ ჩვენ გართულებულ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ეს ჩვენი ცნობა უდრის უდიდეს დახმარებას, და აი ამ ტრიბუნიდან უნდა უძღვნას (უძღვნა, - ე. ნ.) სალამი, და

გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთაც (რომელთაც, - ე. ნ.) ის ეხლა ამ აქტიურ ჩვენს ხელი გამოგვიწოდეს და ჩვენი (ჩვენ, - ე. ნ.) მდგომარეობაში გაგვამაგრეს.

უძღვნი მადლობას ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს (ტაში და ხანგრძლივი ოვაციები იტალიის მისიის მიმართ). აგრეთვე მადლობა უნდა უძღვნა ამ სახელმწიფოთა აქაურ წარმომადგენლებს, რომელთაც, ჩვენ ვიცით დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და აქედან ამ აქტის სასარგებლოდ აწვდიდნენ იქ ცნობებს და ერთნაირად ეწეოდნენ პროპაგანდას თავის ოფიციალურ წრეებში. ამ საქმეში მიიღეს მონაწილეობა აქ მყოფმა პოლკ. სტოკსმა, შევალიემ და აქაურმა იტალიის მისიამ (ტაში). დღეიდან ჩვენ გვმართებს, უფრო მეტი და გაორკეცებული მუშაობა, სიმაგრე და ერთი ფრონტის შექმნა ყოველთვის საგარეო საფრთხის წინააღმდეგ. და ეხლა კიდევ უფრო გვმართებს დავაჩქაროთ ჩვენი მუშაობა აი აქ დღეს წარმოებული და მივიღოთ რაც შეიძლება ადრე კონსტიტუციური სახეც. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ დღეიდან შეგვიძლია უფრო გულ-დამშვიდებით, უფრო მუყაითად ვიშრომოთ და მოუწოდოთ ყველა ჩვენ თანამშრომელთ, ყველა იმათ, ვინც აქტიურად იღებს მონაწილეობას ჩვენი სახელმწიფოს აშენებაში და აგრედვე მთელ ჩვენს ხალხს, რომ ეს ჩვენი სრულყოფილებიანი სახელმწიფოდ აღიარება და ეს ნდობა ჩვენ სიმტკიცით გავამართლოთ“ (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ჰფარავენ მთავრობის თავმჯდომარის სიტყვებს) (11; 2-3).

ნოე ჟორდანიას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ალექსანდრე ლომთათიძემ (სტილი დაცულია):

„მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო: ჩვენ ხალხს, ჩვენ ერს აუსრულდა გულის წადილი. მას ჰქონდა უფლება, რომ ისეთი ამბავი მოსვლოდა ევროპიდან, რომელიც აქ თქვენ მთავრობის თავმჯდომარემ მოგახსენათ. მან იცოდა, რომ მისი დაულალავი და თავგანწირული ბრძოლა ამ უდიდესი გამარჯვებით დამთავრდა (დამთავრდებოდა, - ე. ნ.). დღეს მოქალაქენო, როდესაც ეს ამბავი გადაგორდება, ჩვენ სახლში არ დარჩება არც ერთი, ვისაც კი უყვარს თავისუფალი სამშობლო, თავისუფალი საქართველო, რომელიც თავის გულითად მადლობას და სალამს არ

გაუგზავნის იმ ხალხთ და სახელმწიფოთ, რომელთაც უდიდესი დახმარება გაგვინიეს ჩვენ ამ გამარჯვების მოპოვებაში.

მთელი ჩვენი ერი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც ეკისრება მას ამ საერთაშორისო ხასიათის აქტით.

ჩვენი ხალხი დაულალავად იშრომებს, რომ ააყვავოს, გააძლიეროს და დაიცვას მტრისაგან თავისუფალი სამშობლო და ევროპის ხალხებთან ერთად საკაცობრიო იდეალების გზაზე ძლევამოსილად იაროს.

ნება მომეცით, ბატონებო, დამფუძნებელ კრების, მაშასადამე მთელი ერის სახელით მადლობა გამოუცხადო ყველა იმათ, ვინც დაეხმარა ქართველ ერს ამ უდიდესი გამარჯვების მოპოვებაში, და უპირველესად ყოვლისა და უმთავრესად რასაკვირველია ინგლისს და მის ხალხს, საფრანგეთს და მის ხალხს, იტალიას და მის ხალხს, გაუმარჯოს მათ, (მქუხარე ტაში და ხანგრძლივი ოვაციები უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი).

გაუმარჯოს ევროპის დემოკრატიას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას, გაუმარჯოს თავისუფალ

დამოუკიდებელ საქართველოს (ოვაციები და „ვაშა“-ს ძახილი ჰფარავენ (11; 3) დამფუძნებელი კრების (ე. ნ.)

თავმჯდომარის (11; 3) პირველი მოადგილის (ე. ნ.) სიტყვებს).

გაუმარჯოს იმ პატარა ქვეყანას, რომელიც დღეიდან დაამშვენებს დიდ ევროპის ქვეყნებს თავისი დაულალავი შრომით, მუშაობით, ნიჭით და უნარიანობით (ტაში და ოვაციები).

ჩვენი სალამი არ შეიძლება ამ ტრიბუნიდან ამ დიდებულ ჟამს არ მიუძღვნათ ჩვენ შეიარაღებულ ძალას გვარდიას და ჯარს (ტაში, ოვაციები და „ვაშა“-ს ძახილი კვლავ ჰფარავენ თავმჯდომარის პირველი მოადგილის (ე. ნ.) სიტყვას (სიტყვებს, - ე. ნ.)).

წინადადება გახლავთ სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისა ამ დიადი აქტის აღსანიშნავად შეწყდეს სხდომა. გახლავთ მეორე წინადადება სოც. დემ. (სოციალ-დემოკრატიული, - ე. ნ.) ფრაქციისა გაეგზავნოს ჯარს და გვარდიას მისალმება დამფუძნებელი კრებისა (ტაში).

მაშასადამე, დამფუძნებელი კრება ორივეს წინადადებას ერთხმად იღებს, ავალებს პრეზიდენტს გაუგზავნოს მისასალმებელი

დებუმა ჯარს და გვარდიას“ (ხანგრძლივი ტაში და „ვაშა“-ს ძახილში იხურება კრება) (11; 3).

ქუჩებში ამ დროს ცივი ქარი ჰქროდა და ნელნელა თოვდა კიდევ. დამფუძნებელი კრებიდან დაწყებული მანიფესტაცია ქუჩაში მოსიარულეთათვის მოულოდნელი ამბავი იყო. მანიფესტაცია რუსთაველის პროსპექტით გაემართა მთავრობის სახლისკენ.

პირველი მიტინგი გაიმართა მუშათა სასახლის წინ. ილაპარაკეს გიორგი ლასხიშვილმა (სოციალისტ-ფედერალისტი, - ე. ნ.) და სამსონ დადიანმა (სოციალისტ-ფედერალისტი, - ე. ნ.). მთავრობის სახლის წინ დიდძალი საზოგადოება შეგროვდა. სახლები და მალაზიები უკვე შეემკოთ დროშებით. აქ ილაპარაკა პავლე საყვარელიძემ (სოციალ-დემოკრატი, - ე. ნ.).

აქედან მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია დაიძრა უკან, დამფუძნებელი კრებისაკენ. სასახლის წინ მოედანი ხალხით გაიჭედა. ქუჩებში გამოჩნდნენ სახალხო გვარდიის ცხენოსანი და ქვეითი ნაწილები, ჯარის ნაწილები მუსიკით, მუშების ჯგუფი - წითელი დროშებით.

სასახლის წინ სიტყვა დაიწყო სამსონ დადიანმა. ცოტა ხნის შემდეგ, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აივანზე გამოჩნდნენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები ალექსანდრე ლომთათიძე და ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), მთავრობის წევრები ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი, შინაგან საქმეთა მინისტრი, - ე. ნ.), გრიგოლ ლორთქიფანიძე (სოციალ-დემოკრატი, განათლების მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, - ე. ნ.) და სხვ.

ხალხში გაისმა მძლავრი „ვაშა“-ს ძახილი, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ტაში. სამსონ დადიანის სიტყვის დამთავრების შემდეგ მთავრობის სახელით ილაპარაკა ნოე რამიშვილმა (5; 3) (სტილი დაცულია):

„მოქალაქენო! მოგილოცავთ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ბრწყინვალე გამარჯვება (გამარჯვებას, - ე. ნ.). ჩვენ, ვისაც ხალხის ნებისყოფამ მოგვანდო რესპუბლიკის მართვა გამგეობა, მტკიცეთ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს გამარჯვება თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო. ამის თავდებს

ჩვენ ვხედავდით ქართველი ერის მოქმედებასა და თვით შეგნებაში, მის საბოლოო გადაწყვეტილებაში შეიქმნა დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. დღეს ჩვენი დაუძინებელი და მოსისხლე მტრებიც ხედავენ და დარწმუნდებიან, რომ საქართველოს ხალხის მიერ შექმნილი სახელმწიფოს წაქცევა გარეშე თავდასხმით შეუძლებელი საქმეა. ამის თავდება ჩვენი სამხედრო ძალა, ჯარი და სახალხო გვარდია, რომელიც შექმნა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დემოკრატიამ და რომელიც რკალივით არტყია ჩვენს რესპუბლიკას და ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ გადმოლახავს ქართველი ერის შვილთა მიერ შემოკალათებულ ჩვენს საზღვრებს.

მოქალაქენო! ჩვენი მტრები იმედოვნებდნენ და ეს იმედი ალბათ ჯერაც არ დაუკარგავთ, რომ ისინი შესძლებენ საქართველოს რესპუბლიკის შიგნიდან აფეთქებას, ჩვენი ოფლით და სისხლით შექმნილი სახელმწიფო წყობილების დაფუძვას.

ისინი იმედოვნებენ, რომ მრავალი დაბრკოლება, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, ჩვენ სახელმწიფოს შეაერთებს (შეაკრთობს, - ე. ნ.). დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვაღიარებ, რომ ჩვენი გამარჯვება ამ შინაურ დაბრკოლებათა დასაძლევად საკლებით უზრუნველყოფილია. ამის თავმდება ჩვენი გათვითცნობიერებული ხალხი, რომელსაც შეცდომაში ვერ შეიყვანს ვერავითარი მტერი და რომელიც ნაცადი გზით განაგრძობს მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმის აგებას.

მოქალაქენო! სამი წელიც არ გასულა, რაც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო მოეწყო. ამ ვადაში საძნელოა ოჯახის მონყობაც კი და რალა უნდა ითქვას რთულ სახელმწიფოებრივ ცხოვრების მონესრიგებაზე. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა მოიპოვა არა ერთი და ორი გამარჯვება ამ მცირე ხნის განმავლობაში და ის იმედით შესცქერის მომავალს, ის ჩვენთან ერთად დარწმუნებულია, რომ მისი მომავალი უზრუნველყოფილია, რომ მტერთა ოინები ჩაფუშულია, რომ ძღვევამოსილი ჯარისა და სახელოვანი გვარდიის წყალობით მისი საზღვრების დაცვა უზრუნველყოფილია და ჩაყრილია მტკიცე საფუძველი შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ბედნიერების სამეფოს ასაგებათ.

მოგილოცავთ მთავრობის სახელით ბრწყინვალე გამარჯვებას და გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს განვითარება და მომავალი მრავალ ასეთ გამარჯვებას გვიქადის“ (ხანგრძლივი ტაში და „ვაშა“) (4; 3).

საქართველოში მყოფ მოკავშირეთა მისიებში გაკეთდა მისასალმებელი განცხადებები...

პოლონეთის მისიის სახელით (ე. ნ.), საქართველოში მყოფმა პოლონეთის წარმომადგენელმა (3; 3) ვაცლავ (22) ოსტროვსკიმ მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშით მიმართა: „გულითადი სიხარულით შევხვდი მთელი ქვეყნის მიერ თქვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის ამბავს, მიიღეთ მილოცვა ამ დღის შესანიშნავ მოვლენის გამო. გისურვებთ თქვენ და თქვენი საუცხოვო ხელმძღვანელობით მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რათა საქართველოს სახელოვან ისტორიაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ კვლავ ჩანერილიყოს

საუცხოვო ფურცლები“.

საქართველოში მყოფმა იტალიის სრულუფლებიანმა მინისტრმა ჩარუტიმ ((ჩერუტიმ, - ე. ნ.), - 10 თებერვალს, დიდ სახელმწიფოთაგან პირველმა, იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუილ მესამემ (ვიტორიო ემანუელე მესამემ, - ე. ნ.) საქართველოში ელჩად დანიშნა ვიტორიო ჩერუტი (იგი მანამდე სამხედრო მისიაში მუშაობდა და იმ დროს თბილისში იყო)) (15; 3) საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს შემდეგი განცხადება გაუკეთა: „მე ბედნიერი ვარ, რომ მე და ჩემ მთავრობას ხვდა წილად ეცნობებია საქართველოს მთავრობისათვის შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობა. მივიღე რა რადიოთი გეგეჭკორისაგან ეს ცნობა, მე დაუყოვნებლივ პირადად გადავეცი იგი თავმჯდომარეს და უსურვე საქართველოს რესპუბლიკას განვითარება და აყვავება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი იტალია სიხარულით შეხვდება საქართველოს იურიდიულათ ცნობის ამბავს, ვინაიდან იტალია დიდი ხანია რაც საქართველოს განსაკუთრებული სიმპატიებით ეპყრობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იური-

დიულათ ცნობის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა ძღვევამოსილათ გასწევს წინ პროგრესისაკენ და მშვიდობიან ალმშენებლობისაკენ“ (3; 3).

საქართველოს დემოკრატიული (ე. ნ.) რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს სასახლეში ეახლნენ და საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა მიულოცეს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა:

1) დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სტოკსმა, 2) საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ, 3) საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა კორბიელმა (ან კორბელმა (7; 2)), 4) გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა რაუშერმა, 5) იტალიის ელჩმა ჩერუტიმ, 6) იტალიის კონსულმა ფრანზონიმ, 7) რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შეინმანმა, 8) ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელმა ელვერგმა, 9) ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის წარმომადგენელმა ქიაზიმ-ბეიმ, 10) პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ოსტროვსკიმ, 11) ნიდერლანდების ვიცე-კონსულმა ფონ ალენ შტიინმა, 12) ნორვეგიის კონსულმა სონდლომ, 13) ესპანეთის ვიცე-კონსულმა ბარსეგიანმა, 14) საბერძნეთის წარმომადგენელმა სკეფერისმა (ან სეკფერისმა (7; 2)), 15) ფინეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა (კონსულმა (7; 2)), პოლკოვნიკმა ბერკვისტმა, 16) ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელმა სვატოშმა, 17) სპარსეთის გენერალურმა კონსულმა მოდა-ზეტდოვლემ, 18) აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ნაჯაფოვმა, 19) სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შავერდოვმა, 20) სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა კაცენსმა, 21) ესტონეთის კონსულმა პაულმა (ან პოლმა (7; 2)), 22) ლატვიის კონსულმა დაიდიდემ, 23) ასურეთის საბჭოს წარმომადგენელმა (6; 3).

საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო, გაზეთი „სახალხო საქმე“ 1921 წლის 1-ლი თებერვლის ნომერში დაბეჭდილ სტატიამში, სათაურით - „სახელმწიფოს იურიდიული აღიარება ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ“, საზეიმოდ წერდა (სტილი დაცულია):

„იანვრის 12-ს 1920 წელს საქართველომ დიდის ზეიმით/ იდღესასწაულა ჩვენი დამოუკიდებლობის ფაქტიური შეწყნარება/ თითქმის წლის თავზე ჩვენ ვზეიმობთ ჩვენი ქვეყნის ფორმალურ აღიარებას. ამიერიდან საქართველო სრულუფლებოვან, თანასწორ წევრად შედის სახელმწიფოთა ოჯახში და მის წინაშე იშლება ფართო ასპარეზი კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ დანი- ნაურებისა. საუკუნოების მონობის ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი დაიმსხვრა ამ დღეს და ეს იყო მიზეზი, რომ თფილისმა, ჩვენი სამშობლოს ჭაღარა დედაქალაქმა ასეთის სავსე გულითა და ზეი- მით გაიხარა და მთელ ქვეყანას ამცნო ეს ბედნიერი დღე“ (10; 2).

1921 წლის 6 თებერვალს (21), მოკავშირეთა უმაღლესი საბ- ქოს მხრიდან საქართველოს (19) რესპუბლიკის (ე. ნ.) იურიდიუ- ლად აღიარების გამო, თბილისში გაიმართა დიდი ზეიმი. მთელი ქალაქი მორთული იყო ყვავილებითა და ეროვნული დროშებით. გაიმართა სამხედრო აღლუმი. მოსახლეობაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს იუნკერთა სასწავლებლისა და რეგუ- ლარული არმიის პირველი ბატალიონის ჯარისკაცებმა. აღლუმს მეთაურობდა მთავარსარდალი, გენერალი ილია ოდიშელიძე. აღლუმის შემდეგ მოსახლეობას სიტყვით მიმართეს: ნოე ჟორ- დანიამ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ნოე რამიშვილმა, ვალიკო ჯუღელმა (საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი, - ე. ნ.) და სხვ. (19). ღონისძიებას ესწრებოდნენ (19) ქართველი (ე. ნ.) და უცხოელი დიპლომატები (19).

7 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საგარეო საქმეთა სამინის- ტროს მიერ ამავე სამინისტროს შენობაში საქართველოს იური- დიულად ცნობის გამო გამართულ იქნა ბანკეტი, რომელსაც დაეს- წრნენ მთავრობის თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების თავმჯ- დომარის უფროსი ამხანაგი (პირველი მოადგილე, - ე. ნ.), მთავ- რობისა და დამფუძნებელი კრების წევრები და მთელი დიპლო- მატიური კორპუსი შემდეგი შემადგენლობით: 1) ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი კიაზიმ-ბეი (ქიაზიმ-ბეი, - ე. ნ.), 2) გერმანიის ელჩი რაუშერი, 3) დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი სტოკსი, 4) იტალიის სრულუფლებიანი მინისტრი ჩერუტი, 5) პოლონეთის წარმომადგენელი ოსტროვსკი, 6) რუსეთის წარმომადგენლობის

მრჩეველი სერგო ქავთარაძე, 7) საბერძნეთის წარმომადგენელი სეკფერისი, 8) საფრანგეთის წარმომადგენელი შევალიე, 9) საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი კორბელი, 10) ამერიკის კონსული მოზერი, 11) ბელგიის კონსული მედერი, 12) ესტონეთის კონსული პოლი, 13) ესპანეთის კონსული (ვიცე-კონსული (6; 3)) ბარსეგიანი, 14) ლატვიის კონსული ბერინი, 15) ლიტვის კონსული დალეიდა, 16) ნორვეგიის კონსული გურსკი, 17) საფრანგეთის კონსული ნეტემანი, 18) სპარსეთის კონსული მუაზაზედ დოვლე, 19) ფინეთის კონსული, პოლკოვნიკი ბერკვისტი, 20) ჩეხო-სლოვაკების (ჩეხოსლოვაკიის (6; 3)) ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე სვატოში, 21) შოლანდიის კონსული ფონ ალდენშტატი და სხვ. (7; 2).

ბანკეტზე (ე. ნ.) დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა, პოლკოვნიკმა (8; 1) კლოდ ბეიფილდ (ე. ნ.) სტოქსმა (8;

1) განაცხადა (ე. ნ.) (სტილი დაცულია):

„ბატონებო, მე მინდა მადლობა ვსთქვა იმ ტკბილი სიტყვების გამო, რომლებიც მისმა აღმატებულებამ, თავმჯდომარე ჟორდანამ სთქვა ბრიტანეთის მთავრობასა და ჩემს მიმართ.

ჩემის აზრით, საქართველოსა და დიდ ბრიტანეთის მისიის (მისიას, - ე. ნ.) შორის არსებული მეგობრობა დამყარებულია საერთო ინტერესების ნიადაგზე და ვიმედოვნებ, რომ ასეთი მეგობრობა მუდმივი იქნება.

მე გულწრფელად მიულოცავ საქართველოს იურიდიულად ცნობას. თუმცა მე დიდ სიამოვნებას განვიცდი იმის

გამო, რომ დღეს ინგლისის წარმომადგენელი ვარ.

მაგრამ ცოტათი მაინც მანუხებს, რომ ჩემს ადგილზე არ არის ის ინგლისელი, რომელიც - 30 წლის წინათ მოვიდა აქ და გაგეცნოთ თქვენ და, რომელიც, მე მრწამს, თანამოზიარეა თქვენი სიხარულისა. ეს ადამიანი გახლავთ ბ-ნი ო. უორდროპი (ოლივერ უორდროპი, - ე. ნ.).

გთხოვთ, მიირთვათ სადღეგრძელო ქართველი ხალხის ჯანმრთელობისა და აყვავებისათვის და აგრეთვე მისი აღმატებულების ნოე ჟორდანიასი, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარისა“.

სტოქსის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა (ე. ნ.) გერმანიის ელჩმა/ ულრიხ რაუშერმა (ულრიხ კარლ პაულ რაუშერმა, - ე. ნ.) (სტილი დაცულია):

„დღევანდელი დღესასწაული გამართულია უმშვენიერესი მოვლენის საქებ-სადიდებლად იმ მოვლენათაგან, რომლებიც საზოგადოთ შეიძლება ჩაითვალოს ზეიმის საგნათ: სახელდობრ, ზეიმი გამონვეულია უფლებრივობის საბოლოო გამარჯვებით და საუკუნეობრივ უფლებობის დამარცხებით. რომ ქართველი ხალხის მხიარულობისა და სიამაყის დღეს გერმანიის წარმომადგენელი გულწრფელად იზიარებს დღეს ზეიმს - ამის ხაზგასმით აღნიშვნა ჩემთვის საჭირო არ იქნება, ეს კარგათ იცის თვითეულმა ქართველმა. იურიდიულათ ცნობა დიდი მნიშვნელობის ფაქტია საქართველოს ცხოვრებაში. მაგრამ ის თავად არ ქმნის ახალ დამოკიდებულებებს, ის მხოლოდ გამოხატულებას აძლევს იმას, რაც არის; ის მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ აქ ხალხმა და ქვეყანამ მოიპოვა ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხალხმა და ქვეყანამ, რომელნიც თავის წიაღში ატარებენ ყველა გარანტიების (გარანტიებს, - ე. ნ.) თავისუფალი არსებობისა და სიღიადისათვის მომავალში. ვინც ის არ იცოდა დღემდე, ის გუშინ დარწმუნდებოდა ამაში. თქვენი დიდათ პატივცემულ ბ-ნ თავმჯდომარის მეთაურობით ჩვენ გუშინ ჩამოვიარეთ თქვენი საუკეთესო ჯარების ფრონტი, ჯარების, რომლებიც ერთ-ერთ გარანტიას შეადგენენ თქვენი დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობისათვის, და როდესაც ამას შემდეგ თქვენი თავმჯდომარის მეთაურობით ტრიბუნის წინაშე გაიარა მთელმა ხალხმა, ყველა პროფესიებმა, ყველა კლასებმა და პარტიებმა, ყველა ერებმა, რომლებიც თქვენი მშვენიერი ქვეყნის ბედნიერ მიწაწყალზე ცხოვრობენ; როდესაც თვითოეული მათგანი აღფრთოვანებული იყო და სიამაყეს გრძნობდა დამოუკიდებელ სამშობლოს სიყვარულით, რომლის დამოუკიდებლობასაც ისინი მედგრათ დაიცავენ, მაყურებელს არ შეეძლებოდა არ ერთი რამ: ჩვენს წინ სდგას ხალხი, რომელიც თავის წიაღშივე ატარებს გარანტიებს დამოუკიდებელ არსებობისათვის.

იმ საუბრიდან, რომელიც მე მქონდა თქვენი მთავრობის წევრებთან, გავიგე, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გააკეთოთ

ახალგაზრდა სახელმწიფოს აპარატისათვის, რომ ყველა სფეროებში, განსაკუთრებით სამეურნეო სფეროში, თქვენ გმართებთ ბევრი მუშაობა და გაუმჯობესების გატარება“.

იტალიის ელჩმა ვიტორიო (ე. ნ.) ჩერუტიმ განაცხადა (სტილი დაცულია):

„ბ-ნო მთავრობის თავმჯდომარევ, მონყალეო ხელმწიფეო! იმავე უმაღლეს კმაყოფილებს გრძნობით და იმავე მღელვარებით, რომლებსაც მე განვიცდი მაშინ, როდესაც პატივი მქონდა გადამეცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის ბ-ნ გეგეჭკორის დეპემა უმაღლეს საბჭოს მიერ 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობის დე ჯურე -ს აღიარების შესახებ, - კვლავ მოგიძღვნით მხურვალე სალამს და ჩემი უავგუსტოეს ხელმწიფის, მთავრობისა და იტალიის ხალხის კეთილ სურვილებს. მე ვთვლი უბედნიერეს მოვლენად ჩემი დიპლომატიური მუშაობის დროს იმ გარემოებას, რომ საშუალება მომეცა მონამე ვყოფილიყავი ამ კეთილშობილ ქვეყნის იურიდიულად დაბადებისა, აგრეთვე იმ გარემოების, რომ მე პირველმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, განვუცხადე საქართველოს მთავრობას უმხურვალესი სურვილები იტალიის ხალხის სახელით. და მართლაც, საქართველოს დე ჯურე - თ ცნობა, - ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ასე ეთანხმება ჩემი მთავრობის სურვილებს და რომელიც დიდის სიხარულით იქმნა მიღებული იტალიაში, სადაც ასე ცოცხალია სიმპატია კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი.

როდესაც ტფილისში მოვდიოდი და გამოსამშვიდობებელი აუდენცია მქონდა მის უმაღლესობა მეფესთან, - ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე შეხვდა (შემხვდა, - ე. ნ.) შემდეგი სიტყვებით: „თქვენ მიემგზავრებით იმ ქვეყანაში, სადაც მე რამოდენიმე დაუვინყარი კვირები გავატარე ამ 30 წლის წინად, თქვენ მიემგზავრებით ქვეყნის ერთ-ერთ უმშვენიერეს მხარეს და მე მშურს თქვენი ხვედრის“. მე მიხდოდა მომეყვანა აქ ეს სასიყვარულო სიტყვები იტალიის მეფისა, ვინაიდან ამ სიტყვებით შეიძლება გამოხატული იქნეს ყველა იტალიელის სიმპატია საქართველოსადმი, - იტალიელების, რომლებსაც ბედნიერება ჰქონდათ რამოდენიმე ხანი დაეყოთ ამ სტუმართ მოყვარე ქვეყანაში.

რაც იტალიის მთავრობას შეეხება, - მისი ლონისძიებანი საქართველოს „დე ჯურე“ ცნობის სასარგებლოდ და მისი გატეხილი დული გამოსვლები მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ლოდიკურია დასკვნა მისი პოლიტიკური გეზისა...“

იმ საზეიმო ბანკეტზე, რომელიც გაიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროში, იტალიის წარმომადგენლის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოში მყოფმა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის სრულყოფილებიანმა წარმომადგენელმა კიაზიმ (ქიაზიმ, - ე. ნ.)-ბიემ (სტილი დაცულია):

„ბ-ნო თავმჯდომარე, მონყალეო ხელმწიფე! მე მინდოდა ჩემი სიტყვის წარმოთქმა ოსმალურად, რათა უკეთ გამომეხატა გრძნობები, მაგრამ რაკი არა მყავს კარგი მთარგმნელი, ამიტომ მე ვარჩევ ვილაპარაკო ფრანგულ ენაზე, რომელზედაც (რომლითაც, - ე. ნ.) აცნობა მე-19 საუკუნემ ქვეყნიერებას თავისუფლებისა და ხალხთა სამღვთო უფლებათა თეორიები, რომელზედაც (რომლითაც, - ე. ნ.) გამოჩენილი საფრანგეთის პოეტი პიერ დიტი იცავდა და იცავს ოსმალეთის ხალხის სიმამაცეს და უდანაშაულობას და ფეხქვეშ გათელილ მის უფლებებს. ბ-ბო, მე, როგორც ოსმალეთის დიდ ნაციონალურ ყრილობის მთავრობის წარმომადგენელმა, შემიძლია განვაცხადო და დავამონმო, რომ საქართველოს იურიდიულად ცნობა ოსმალეთის ხალხზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს. ეს შთაბეჭდილება ემყარება პირველად ყოვლისა იმაზე, რომ ოსმალებს, როგორც ძლიერ მოყვარულს თავის საკუთარ დამოუკიდებლობისა, ყველაზე უფრო ძლიერად შეუძლიანთ დააფასონ და პატივი სცენ თავის მეზობლების დამოუკიდებლობას. მეორეთ, მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებისა ამ საკითხში, ოსმალები უყურებენ საქართველოს ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ძვირფას განძს აღმოსავლეთის ხალხთა ოჯახში. მესამედ, საქართველო თავის გეოგრაფიული და ეკონომიურ მდგომარეობის გამო არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის. მაგ. მეორე ხიდი სტამბოლსა, ამ ჩვენი ძვირფასი დედაქალაქის შემდეგ, რომელიც სამღვთოა ჩვენთვის და მთელ ისლამის ქვეყნისათვის. მეოთხედ არის კიდევ ერთი მოტივი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი - საქართველოს ცნობა გამოინვეს ხმამაღალ და თანაგრძნობის გამოძახილს აღმოსავლეთის ხალხთა და მთელი ქვეყნის მხრივ, რომლებიც ამ წუთში

ლრმა შიშს განიცდიან თავისი მომავალი არსებობის გამო. არ მსურს შევებო დიდი პოლიტიკის საკითხებს. მე ვკმაყოფილდები შემდეგი შენიშვნით: ტანისამოსს იცვლიან სეზონის მოთხოვნილებების თანახმად. ვსარგებლობ რა შემთხვევით, მე კმაყოფილების გრძნობით მსურს გაცნობოთ, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა მიჰმართეს უმაღლეს ჩემს მთავრობას ანგორაში თხოვნით, გაგზავნოს მან თავისი წარმომადგენლები ლონდონის კონფერენციაზე. ჩემმა მთავრობამ, რომელიც გაემგზავრა გუშინ ღამით სპეციალური მატარებლით ლონდონში, სადაც ერები ელიან დამშვიდებისა და შემსუბუქების ცნობის მიღებას. და ბოლოს, რეალური ზავის დამყარებას, რომელსაც ოსმალები ქვეყანაზე უფრო ძლიერ საჭიროებენ. მე ვიღებ სასამისს დამოუკიდებელ საქართველოს აყვავებისთვის, მისი მთავრობის თავმჯდომარის, დიდად პატივცემულ ბ-ნ ნოე ყორდანიას დღეგრძელობისათვის“.

ბანკეტზე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობის პირველი მრჩეველის, სერგო ქავთარაძის სიტყვა გამოირჩეოდა არა საქართველოს რესპუბლიკის დე-იურედ აღიარებით გამოწვეული გულწრფელი სიხარულით, არამედ რუსული იმპერიალისტური პათოსით (ე. ნ.) (სტილი დაცულია):

„ამხანაგო ნოე, მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო, ერთია. მე მოგმართავთ ასე, როგორც წარსულში ჩემ მასწავლებელს. მე მოგმართავთ ქართულად, რადგან ეს ენა არის ენა ქართველ მშრომელ ხალხის, რომელთანაც გამიტარებია მთელი ჩემი რევოლუციონური სიყმაწვილე, ამხანაგო ნოე. თქვენ სიტყვაში რუსეთი მოიხსენიეთ, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული მეზობელი. მე კი მგონია, რომ აქ აღსანიშნავია უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მომენტი იდეური; რუსეთი არის სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც მშრომელი მასები კარგა ხანია შეუდგენ (შეუდგენენ, - ე. ნ.) სოციალისტური წესწყობილების დამკვიდრებას, სოციალისტების ცხოვრებაში გატარებას. და თქვენთვის, როგორც სოციალისტისთვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანია სოციალიზმი, არსებობს საქართველოს და რუსეთს შორის უფრო ღრმა კავშირი, ვიდრე ისტორიული და

გეოგრაფიული. იმ წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც თავიანთ საპასუხო სიტყვაში გამოსთქვეს სიყვარული და სიმპატიკა ქართველი ხალხისადმი, მე, როგორც მშრომელთა რესპუბლიკის დღეს აქ შემთხვევით წარმომადგენელს, დარწმუნებული ვარ, მიმაკუთვნებთ არა უკანასკნელ ადგილს და ჩემს სიყვარულს და თანაგრძნობის განცხადებას ქართველი მშრომელი ხალხისადმი თქვენ მიიღებთ მეტის რწმენით და დაჯერებით. აგრეთვე იმ ჰიმნს, რომელიც არის დაცვა მთელი სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც. თქვენ მოისმინეთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით აძგერდება „ინტერნაციონალის“ ხმების გაგონებაზე.

ნება მიბოძეთ, ეს სასმისი ავიღო ხელში და სრულის გულწრფელობით ვსთქვა სადღეგრძელო ქართველი მშრომელი ხალხისა და აგრეთვე თქვენი, როგორც მისი დღევანდელი ბელადის და მესვეურის“ (8; 1-2).

საქართველომ გაიმარჯვა ევროპაში, საქართველო ზეიმობდა...

სამწუხაროდ, საქართველოს თავისუფალი და შემოქმედებითი ცხოვრების ხანას და მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ყოფნას ევროპულ ოჯახში, არ ეწერა ხანგრძლივი არსებობა... არ ეძინათ ჩვენ მტრებს - 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო რუსული ბოლშევიკური აგრესია...

დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „დამფუძნებელ კრებაში“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №23, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
2. „მინისტრების მადლობა.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №23, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
3. „მოკავშირეთა მისიებში.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №23, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
4. „ნოე რამიშვილის სიტყვა.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №23, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
5. „ქუჩებში.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №23, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
6. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №31, 10. 02. 1921 წ., გვ. 3.

7. „საგარეო საქმეთა სამინისტროში. ბანკეტი საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №33, 12. 02. 1921 წ., გვ. 2.
8. „სადღესასწაულო ბანკეტი საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №35, 15. 02. 1921 წ., გვ. 1-2.
9. „დამფუძნებელ კრებაში.“, გაზ. „სახალხო საქმე“, №1041, 1. 02. 1921 წ., გვ. 2.
10. „სახელმწიფოს იურიდიული აღიარება ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ.“, გაზ. „სახალხო საქმე“, №1041, 1. 02. 1921 წ., გვ. 2.
11. „საქართველოს იურიდიულად აღიარება“, დამფუძნებელ კრებაში, გაზ. „სახალხო საქმე“, №1041, 1. 02. 1921 წ., გვ. 2-3.
12. „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება. ტფილისი. იანვრის 30.“, გაზ. „სახალხო საქმე“, №1041, 1. 02. 1921 წ., გვ. 3.
13. კილაძე ს., საქართველო და ერთა ლიგა, ფ. „საისტორიო ვერტიკალები“, 3, 1991 წ., გვ. 39.
14. ტაბალუა ი., საქართველო და ევროპის სახელმწიფოები, გაზ. „თბილისი“, 13. 07. 1989 წ., გვ. 4.
15. ტაბალუა ი., უცხოეთის საკონსულოები საქართველოში, გაზ. „თბილისი“, 7. 05. 1991 წ., გვ. 3.
16. მგელაძე ვლ., 26 მაისი, პარიზი, 1934 წ., თბ., 1990 წ., გვ. 7.
17. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი III, თბ., 1993 წ., გვ. 4.
18. <https://archive.gov.ge> > kviris-dokumenti > saqartvelos-d... საქართველოს დე-იურე აღიარების დოკუმენტი
19. <https://archive.gov.ge> > Saqartvelos-respublikis-damouki... (საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე ...)
20. <https://civil.ge> > Home > XX საუკუნე (დოკუმენტი: საქართველოს დე-იურე აღიარების წერილი)
21. <https://civil.ge> > ... > რესპუბლიკის ამბები (26-27 იანვარი, 1921 : ანტანტამ საქ-ს...)
22. <https://www.nplg.gov.ge> > wikidict > index.php > ostr... (ოსტროვსკი ვაცლავ - NPLG Wiki Dictionaries)

„კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს
ოკუპაცია“ (კომუნისტური აზრისიის შემსწავლელი
საბანგაო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6,
აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა, 83-ე კონგრესი,
მე-2 სხდომა), აშშ, ვაშინგტონი, 1955.

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ათეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური წინამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა. ამ პირობებმა ხელი შეუწეეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას და არსებობას 1918-1921 წლებში.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, მოსპო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მხარე ხვედრი გაიზიარა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე

მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა მონობის მძიმე და სამარცხვინო უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარნუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს ბრძოლა დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში 1921 წლიდან...

ქართველი ხალხის ბრძოლის ამბავმა, როგორც ოკუპირებულ საქართველოში, ისე ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით ევროპაში, შორეულ ამერიკის შეერთებულ შტატებამდეც მიაღწია. აშშ-ის სენატი დაინტერესდა საქართველო-კავკასიის პრობლემებით ჯერ კიდევ 1926 წლიდან...

1926 წლის 1-2 აპრილს, აშშ-ის კონგრესის (1; 11) 69-ე მონვევის წარმომადგენელთა პალატის (ე. ნ.) საგარეო საქმეთა კომიტეტში შედგა საგანგებო მოსმენა თემაზე: „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი ვასილ დუმბაძე იყო.

იმავე წელს, აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო სახლმა ვაშინგტონში გამოსცა აღნიშნული მოსმენის მასალების სრული, 360 გვერდიანი კრებული (1; 11).

1929 წლის 23 აპრილს საზოგადოების მხარდაჭერით, სენატორმა კოპლენდმა, აშშ-ის XVII კონგრესის პირველ სესიაზე განსახილველად კავკასიის სამი რესპუბლიკის საკითხი შეიტანა (1; 11)...

1932 წელს ქართველი ემიგრანტების - დიმიტრი ალავიძის, სიკო ერისთავის, ვანო კობახიძის, პავლე კვარაცხელიას, გიორგი მაჩაბლისა და ირაკლი ორბელიანის მიერ დაარსდა „ამერიკის ქართული სათვისტომო“ (იგივე „საქართველოს ასოციაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში“, ინგლ. „Georgian Association in the USA“) (6)...

II მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) დროს ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების ეროვნული მოძრაობის უპერსპექტივობას ევროპასა და ამერიკაში საერთაშორისო მდგომარეობა განაპირობებდა...

II მსოფლიო ომმა და ხანგრძლივმა იმედგაცრუებამ, ევროპაში მყოფ ძველ ქართულ ემიგრანტულ ბანაკს საგრძნობი ზიანი მიაყენა. შემცირდა მისი ძალები, მისი ერთი ნაწილი შორეულ ქვეყნებში გაიფანტა (არგენტინა, ჩილე, აშშ)...

ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია II მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ უკვე არაერთი წლის უშედეგო მოღვაწეობისა და ბრძოლის მწარე გამოცდილება ჰქონდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძველ და ახალ თაობას, საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეა კვლავ ცოცხალი და აქტიუალური იყო. ამ პერიოდიდან ქართულ ემიგრაციას შეემატა ახალი ტალღა, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ემიგრაციაში (ევროპა, ამერიკა) დარჩენილი ქართველების სახით, რომელთა ნაწილი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. მათ „ახალ ემიგრანტებს“ უწოდებდნენ. II მსოფლიო ომის დროს შეწყვეტილი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1949 წლიდან

გააქტიურდა...

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი. II მსოფლიო ომში, კომუნისტური საბჭოთა კავშირის მოკავშირე სახელმწიფოები, საბოლოოდ მიხვდნენ საბჭოთა კავშირის მზაკვრულ გეგმებს, მოხდა მსოფლიოს ძალთა ბიპოლარიზაცია, II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სულ მალე წარმოიშვა ახალი, III მსოფლიო ომის საშიშროება:

აშშ II მსოფლიო ომში ჩაება და დიდი წვლილი შეიტანა როგორც გერმანიის, ასევე იაპონიის დამარცხებაში, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი ომის დასრულებიდან მალე, ჯარების გაყვანას აპირებდა. მას მიაჩნდა, რომ ევროპაში მშვიდობას დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი დაიცავდნენ. რუზველტი ენდობოდა საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს, მიაჩნდა სიტყვის კაცად და პატივს სცემდა საბჭოთა ხალხების მიერ ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლაში გაღებულ მსხვერპლს.

სტალინმა კარგად ისარგებლა რუზველტის ამ ნდობით და იგი მთელ რიგ დათმობებზე დაითანხმა, რის შედეგადაც გერმანიის დამარცხების შემდეგ პრაქტიკულად, მთელი აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში აღმოჩნდა. ამერიკელები ამას გაგებით ეკიდებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ გაღებული მსხვერპლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი იმსახურებდა გარკვეული გავლენის სფეროს, რომელიც ბუფერის როლს შეასრულებდა და ააცილებდა მას ისეთ საშინელ დარტყმას, როგორიც იყო 1941 წელს გერმანიის მხრიდან თავდასხმა. ამერიკელები რატომღაც არ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა გავლენის სფეროში მოხვედრილ ქვეყნებს (პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის ნაწილი) არა მხოლოდ უბრალო სამხედრო ბუფერად გადაქცევა, არამედ სტალინისეული, სასტიკი კომუნისტური რეჟიმის დამყარება ემუქრებოდათ, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

ომის დასრულებამდე რუზველტი გარდაიცვალა და იგი ვიცეპრეზიდენტმა ტრუმენმა შეცვალა, რომელსაც კომუნისტები თითქმის ისევე ეჯავრებოდა, როგორც ნაცისტები და შესაბამისად, სტალინს დიდად არ ენდობოდა. ნდობა კიდევ უფრო დაიკარგა, როცა ომის დასრულებიდან მალე, სტალინმა საჯაროდ განაცხადა, რომ კაპიტალიზმთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და საბჭოთა ხალხს წინ კიდევ დიდი შრომა და მსხვერპლშენიერვა ელოდა მტრის საბოლოოდ დასამარცხებლად. გასაგებია, რომ მტრებში აშშ და დიდი ბრიტანეთი იგულისხმებოდნენ - საბჭოთა კავშირის სულ ცოტა ხნის წინანდელი მოკავშირეები. სტალინს არ მოსწონდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები ფრონტზე ყოფნისას მის რკინის ხელს გადაეჩვივნენ და რომ ევროპაში კარგი ცხოვრება ნახეს, საჭირო იყო ამ ხალხების ხელახალი დამონება და მათთვის ახალი მტრის ხატის შექმნა.

საბჭოთა კავშირის ამ ქმედებებმა ამერიკელები თანდათანობით გამოაფხიზლა და ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომიდან სულ რაღაც, ორ წელიწადში ე. წ. „ცივი ომი“ (4; 13-15). (1946 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ქალაქ ფულტონში სიტყვით გამოსვლისა („1946 წ. 5 მარტი, უინსტონ ჩერჩილის სიტყვა („მსოფლიოს კუნთები“) ფულტონში

(აშშ, მისურის შტატი“) და იოსებ სტალინის საჯარო განცხადების შემდეგ („იოსებ სტალინის ინტერვიუ ჩერჩილის სიტყვათა და კავშირებით (გაზ. „პრავდა“, 1946 წ. 14 მარტი)“), მოკავშირეთა ურთიერთობა „ცივი ომის“ პოლიტიკით შეიცვალა - დაიწყო დაპირისპირება ერთი მხრივ, აშშ-სა და მის მოკავშირეებს, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის შორის გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროში (1946-1991 წ.). სსრკ-სა და დანარჩენ მსოფლიოს შორის „რკინის ფარდა“ ჩამოეშვა) (ე. ნ.). ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი უძლიერესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის სახით, რომელიც მიხვდა, რომ ევროპის დატოვება ახლა უკვე სახიფათო იქნებოდა, რადგან ომით განადგურებულ კონტინენტზე საბჭოთა კავშირი გაბატონდებოდა და იქ კომუნიზმს დაამყარებდა. ეს არა მხოლოდ ევროპის განიწვას, არამედ უშუალოდ აშშ-ის დიდ საფრთხეში ჩაგდებასაც ნიშნავდა - ევროპაზე კონტროლის დამყარება ხომ მოსკოვის არნახულ გაძლიერებას ნიშნავდა. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი უკვე ისედაც ძლიერი იყო - კომუნიზმი მთელ მსოფლიოში პოპულარული ხდებოდა როგორც იდეოლოგია, რომელმაც ჰიტლერი დაამარცხა და იდეოლოგია, რომელსაც „თანასწორობა და სამართლიანობა მოჰქონდა“ (ასე სჯეროდა ბევრს, ვინც კომუნიზმს მხოლოდ მარქსის წიგნებიდან იცნობდა და მისი შედეგები საკუთარი თვალთ არ ჰქონდა ნანახი). მოსკოვიდან დაფინანსებული კომუნისტური პარტიები დასავლეთ ევროპის ყველა რეგიონში გაჩნდა, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ ომები და გაჭირვება კაპიტალიზმის შედეგი იყო და რომ ერთადერთი ხსნა კომუნიზმი იყო. დაინახეს რა ეს საფრთხეები ამერიკელებმა, ომით დანგრეულ ევროპას 1948 წლიდან მოყოლებული, უზარმაზარი ფინანსური დახმარება გაუწიეს (დღევანდელი კურსით 132 მილიარდი დოლარის ოდენობის). მიზანი მარტივი და ნათელი იყო - ხელახლა გაძლიერებულ ევროპაში კომუნიზმი ფეხს ვეღარ მოიკიდებდა. დახმარება მხოლოდ დასავლეთ ევროპით შემოიფარგლა მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მას აღმოსავლეთ ევროპას და თვით საბჭოთა კავშირსაც სთავაზობდნენ. სტალინმა მიიჩნია, რომ ამერიკულ დახმარებას ამერიკელების მხრიდან პოლიტიკური გავლენის ზრდაც

მოწყვებოდა და არა მხოლოდ თავად თქვა უარი, არამედ აღმოჩნდა საკლეთ ვეროპელებიც აიძულა უარი ეთქვათ ამ დახმარებაზე. ფინანსური და ეკონომიკური დახმარების პარალელურად, ამერიკაში სერიოზულად დაიწყო ფიქრი, რომ დასავლეთ ევროპას დაცვაც დასჭირდებოდა (4; 15-16).

1947 წლის 24 აპრილს, მოსკოვის კონფერენციის წარუმატებლობამ, რომელიც გერმანულ საკითხებს ეხებოდა (გერმანიაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც ოთხ საოკუპაციო ზონად იყო დაყოფილი (საბჭოთა, ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული)), დაარწმუნა დასავლეთი, რომ საბჭოთა კავშირი, ერთ-ერთი მოკავშირე ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სულ მალე დასავლეთის დემოკრატიისათვის საფრთხის წყარო გახდებოდა.

დასავლეთის ქვეყნები იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაირაზმნენ. მათი მთავარი ამოცანა კაცობრიობის უძველესი და სანატრელი უფლება - ადამიანთა და ერთა თავისუფალი, მშვიდობიანი თანაცხოვრება იყო. 1921 წელთან შედარებით, მსოფლიოს უკვე კარგად ჰქონდა შეგნებული და გათავისებულ-გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპები და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და რომ საფრთხის შემთხვევაში იგი ერთხმად დასაცავია, თუ კაცობრიობას მართლაც სურს ნამდვილი, რეალური მშვიდობის დამყარება...

ხედავდა რა ამ საფრთხეებს, დასავლეთ ევროპამ გაერთიანებაზე დაიწყო ფიქრი და 1948 წლის 17 მარტს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ბრიუსელში თავდაცვითი ალიანსი გააფორმეს. ეს კარგი სიგნალი იყო ამერიკელებისათვისაც - ევროპა მზად იყო დიდი ალიანსის შექმნისათვის და ახლა უკვე მათი ჯერი იყო (5; 17)...

1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონში, შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი (სამხედრო ბლოკი) - „ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“ (ინგლ. „North Atlantic Treaty Organisation, NATO, ქართ. „ნატო“) (ე. ნ.), სადაც შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, დანია და ისლანდია. თითოეულმა მათგანმა ხელი

მოანერა ვაშინგტონის ხელშეკრულებას, რომელსაც არაფორმა-
ლურად „ნატო“-ს წესდებასაც უწოდებენ. მე-5 მუხლის გარდა
რომლის მიხედვითაც, შეიარაღებული თავდასხმა „ნატო“-ს ერთ-
ერთ წევრ ქვეყანაზე განიხილება როგორც თავდასხმა „ნატო“-ს
ყველა წევრზე, ვაშინგტონის ხელშეკრულებაში განსაკუთრებით
მნიშვნელოვანი იყო მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ალიანსის
წევრები აუცილებლად გამართავდნენ კონსულტაციას თუ რომე-
ლიმე მათგანი ჩათვლიდა, რომ მას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა
(5; 18-19). სამხედრო კავშირის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა
სსრ კავშირიდან მომავალი სამხედრო საფრთხის მოგერიება
ერთიანი ძალებით.

1949 წლის 4 აპრილს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან
„ატლანტიკური პაქტის“ ხელმოწერით, დასავლეთ, ცენტრალური
და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმა საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ
კოლექტიურ უსაფრთხოებას...

II მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში
მცხოვრები და მოღვაწე ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები
საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში ასე აფასებდნენ
აშშ-ის პოლიტიკურ როლს:

„უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკული დემოკრა-
ტიის დიდი უმრავლესობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოს-
კოვური კომუნიზმი თავისი ბუნებით, აზრით და მოქმედებით
არამც თუ განათლებული მსოფლიოს თანამგზავრი არ არის,
არამედ მისი გაშმაგებული მოსისხლე მტერია. ამერიკელთა ყველა
ცდები ბოლშევიკების მორჯულებისა, „მგლის თავზედ სახარების
კითხვის“ შედეგებით გათავდა. ამ ილუზიას თვით ამერიკელებმა
ბოლო მოუღეს „ატლანტიკის პაქტით“ (1949 წ. 6 აპრილი, - ე. წ.),
რომელმაც მაგრად კარი ჩაუკეტა მოსკოვის სწრაფვას დასავლე-
თისაკენ. აღმოსავლეთის ძველი აზიელი ერები დასავლეთელთა
გავლენით და დახმარებით, ალბათ, ახლო მომავალში, ასევე
გადაელოებინან მოსკოველთა ნაციონალური კომუნიზმის გაუმძ-
ღარ მადას. უფრო ადრე, ვიდრე გვიან, განმარტოვებულ საბჭოთა
სამფლობელოს არაადამიანურ წყობილებას, შეკრულს გაუგონარი
ტერორით, შიშით და შიმშილით, მოელის აუცილებელი დაცემა და
დანგრევა. ამას მოჰყვება მოსკოვის მიერ დამონებული ხალხების

განთავისუფლება და მათი ეროვნული უფლებების აღდგენა და დამტკიცება არსებული საერთაშორისო კრებულის მიერ“ (3, 5-6).
შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ქართველმა ემიგრანტებმა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ხელსაყრელ პირობად მიიჩნიეს...

1950 წელს ნიუ-იორკში დაარსდა „ქართულ-ამერიკული ლიგა“, რომლის თავმჯდომარე იყო თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი, მოადგილე - პავლე კვარაცხელია, მდივანი - გივი კობახიძე. „ქართულ-ამერიკული ლიგის“ მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სრული თავისუფლება იყო. ლიგის წევრებმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“ („გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“, „გაერო“ (ინგლ. „United Nations Organization, UNO; შემოკლებით - „United Nations“, UN) - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როცა სან-ფრანცისკოს (აშშ, კალიფორნიის შტატი, - ე. ნ.) კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს) (8) გაუგზავნეს მემორანდუმი და მოაწყეს პრესკონფერენცია, რომელსაც ამერიკაში მოღვაწე ქართველები ესწრებოდნენ. სამწუხაროდ, ლიგამ არსებობა მალევე შეწყვიტა (2; 1).

1951 წლის 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა, ამერიკის მთავრობის სახელით, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა (10) და განაცხადა (ე. ნ.): „... მსოფლიოს კარგად ახსოვს ათეული წლების განმავლობაში ქართველი ერის განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ძველი კულტურისა და ქართული ცივილიზაციის დასაცავად. ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს - დამორჩილებული. ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახე და არ დაუკარგავს ნება ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში, ამიტომაც ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე ... „ამერიკის ხმა“ დღეიდან თქვენ, ქართველებს გაძლევთ საშუალებას

საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმაღლავენ“. დინ აჩესონის ამ გამოცხადებით დაიწყო მუშაობა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ (10), რაც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს ერთგვარი წარმატება იყო.

1952 წლიდან 26 მაისის ზეიმებს ქართველები ნიუ-იორკში ჯეკსონ-ჰეიტში აშენებულ სათვისტომოს დიდ სახლში იხდიდნენ. სათვისტომო 100-მდე მოსაწვევს გზავნიდა მთელ ამერიკასა და კანადაში, ეპატიჟებოდნენ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენლებს, საქართველოს საკითხით დაინტერესებულ სენატორებს, კონგრესმენებს და წვეულებას დიდ დარბაზებში აღნიშნავდნენ (10). ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოუკიდებელი საქართველოს საკითხის პროპაგანდას ემსახურებოდა.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოუკიდებელი საქართველოს საკითხის პროპაგანდის მიზნით (ე. წ.), 1953-1957 წლებში, ალექსანდრე ცომაიას რედაქტორობით ნიუ-იორკში (აშშ) გამოდიოდა ინგლისურენოვანი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი საქართველოს ხმა“ (ინგ. „The Voice of Free Georgia“). სულ გამოვიდა ამ ჟურნალის 8 ნომერი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ლეო დუმბაძე, ალექსი ჩხენკელი, დიმიტრი სინჯიკაშვილი, გივი ზალდასტანიშვილი და სხვ. (7). ეს ჟურნალი ამერიკელებს აცნობდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს (9): ქვეყნდებოდა საქართველოს შესახებ პოლიტიკური, სამეცნიერო, პუბლიცისტური ხასიათის წერილები. ჟურნალის პუბლიკაციებიდან მნიშვნელოვანია ალექსანდრე ცომაიას მიერ 1953 წელს ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია (7). წერდნენ იმის შესახებ, რაზეც ოცნებობდნენ ქართველი მამულიშვილები (9). იმავე მიზნით (ე. წ.), 1955 წელს (9), ალექსანდრე ცომაიამ ე. წ. გივი ზალდასტანიშვილის

მხარდაჭერითა და სხვა ქართველების მონაწილეობით ნიუ-იორკში/ დააარსა ყოველთვიური გაზეთი „ქართული აზრი“ (9).

ქართული
შეზღვევის
სამსახური

ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით, 1954 წლის 31 დეკემბერს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესმა თავის მეორე სხდომაზე, კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი საგანგებო კომიტეტის №6 სპეციალური ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადებული იყო წარმომადგენელთა პალატის ბრძანებების (რეზოლუციების) - H.H. RES. 346 და H.H. RES. 438 თანახმად (კანონპროექტი №929, წარმომადგენელთა პალატის მოხსენება №2684, ნაწილი 9), მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით:

„COMMUNIST TAKEOVER AND OCCUPATION OF GEORGIA“

(ქართ. „კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია“). ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის შექმნის და კონგრესის აღნიშნულ კომიტეტზე გატანის ინიციატორი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, იმ დროს აშშ-ის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ლეო დუმბაძე იყო, 1954 წლის 31 დეკემბერს წარედგინა წარმომადგენელთა პალატის სახელმწიფო მდგომარეობის შემსწავლელ კომიტეტს და გადაეცა დასაბეჭდად. 1955 წელს, ვაშინგტონში, ის, ბროშურის სახით, აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო სახლმა გამოსცა (დოკუმენტის ქართული თარგმანი გამოიცა ორჯერ: 1. თბილისში, 1991 წლის 25 თებერვალს, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის 70-ე წლისთავზე, გაზეთ „სამშობლოს“ (№3-4, რედ. პაატა ნაცვლიძევილი) ჩანართის სახით (ბროშურის ინგლისური ეგზემპლარი რედაქციას გადასცა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ, რედაქციის თხოვნით ტექსტი ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ირაკლი კენჭოშვილმა); 2. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის ეგიდით თბილისში, 2008 წელს).

წინამდებარე მოხსენება ერთი ნაწილია იმ ვრცელი და მრავალმხრივი კვლევისა, რომელსაც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა ეწეოდა საბჭოთა კავშირში კომუნისტური აგრესიის შესასწავლად და იგი სპეციალური კომიტეტისათვის ხელმისაწვდომი სხვა წყაროების გარდა აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა (ლეო დუმბაძე, სიმონ კობიაშვილი, ალექსანდრე

ცომაია, არჩილ (ბონდო) კეკელია, ვალერიან სანგულია...) ჩვენებებსაც ეყრდნობა, რომლებიც მათ 1954 წლის 13 ოქტომბერს მიუციათ სპეციალური კომიტეტისათვის. ამ მოხსენების არსებობა მთლიანად ნიუ-იორკის (აშშ) ქართველთა სათვისტომოს დამსახურებაა: როდესაც მათ შეიტყვეს, რომ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა სპეციალურად შეისწავლიდა საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის საკითხს, ისარგებლეს პირადი კონტაქტებით და ამერიკელი კონგრესმენები საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხითაც დააინტერესეს.

წარმომადგენელთა პალატას მოხსენება განსახილველად წარუდგინა სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ ჩარლზ კერსტენმა (ვისკონსინი). მის გარდა, კომიტეტში კიდევ რვა წევრი იყო: ფრედ ბასბი (ილინოისი), ელვინ ბენტლი (მიჩიგანი), ედუარდ ბონინი (პენსილვანია), პატრიკ ჰილინგსი (კალიფორნია), რეი მადენი (ინდიანა), თადეუს მახროვიჩი (მიჩიგანი), თომას ლოდი (კონექტიკუტი) და მაიკლ ფეიგანი (ოჰაიო). კომიტეტის კონსულტანტი გახლდათ ჯეიმს მაკტაგი, თანამშრომელთა დირექტორი - ედუარდ ო'კონორი.

წარმოდგენილი ანგარიშის მომზადებაში კომიტეტს დახმარება გაუწია ჯორჯთაუნის უნივერსიტეტმა, მისმა პროფესორამ და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ექსპერტების ჯგუფებმა, რომლებიც აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობდნენ. ანგარიში დაეფუძნა კომიტეტში ჩატარებული მოსმენების ჩანაწერებს, მონმეთა ჩვენებებს, დოკუმენტებს, ექსპონატებს და სხვა სარწმუნო მტკიცებულებებს. ანგარიშის მიზანი იყო საქართველოსა და მის მოსახლეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების, მათ შორის კომუნისტური გადატრიალებისა და ქვეყნის ოკუპაციის პერიოდის მიმოხილვა. გამოითქვა იმედი, რომ მოცემული ანგარიში დაეხმარებოდა ამერიკელ ხალხს კომუნიზმის მარწუხებში მოქცეული სახელმწიფოებისა და ხალხების ყოფის უკეთ გაგებაში და საშუალებას მისცემდა მას, უფრო ღრმად გაეცნობიერებინა კომუნისტური დანაშაულებრივი შეთქმულების ხასიათი, ტაქტიკა და მიზნები.

დოკუმენტი (2008 წლის ქართული თარგმანით, 60 გვერდი) შედგება შემდეგი თავებისაგან: წინათქმა (გვ. 4-5), ზოგადი აღწერა (გვ. 5-6), ისტორიული მიმოხილვა (გვ. 6-10), საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (გვ. 10-15), კომუნისტების ძირგამომთხრელი საქმიანობა და საქართველოსთვის დამოუკიდებლობის წართმევის მცდელობა (გვ. 15-20), წითელი არმიის შემოსევა საქართველოში (გვ. 20-25), საქართველო საბჭოთა მმართველობის ხანაში (გვ. 25-30), 1924 წლის დიდი აჯანყება (გვ. 30-32), აჯანყების მარცხი - სისხლის ტბა (გვ. 32-34), საქართველო კომუნისტური ტირანიის პირობებში (გვ. 34), 1920 წლის 7 მაისის შეთანხმება საბჭოეთსა და საქართველოს შორის. საბჭოთა რუსეთის მიერ პირველად დარღვეული საერთაშორისო ხელშეკრულება (გვ. 34-35), განათლება (გვ. 35-37), პრესა (გვ. 37-38), ოჯახი (გვ. 38-39), ლიტერატურა (გვ. 39-40), რელიგიის დევნა საქართველოში (გვ. 40-45), როგორ ექცევიან კომუნისტები პატიმრებს (გვ. 45-49), ეკონომიკური ცხოვრება საქართველოში კომუნისტების მმართველობის ხანაში (გვ. 49-50), ინდუსტრიალიზაცია — კოლექტივიზაცია (გვ. 50-53), ქართველი კომუნისტების წინააღმდეგობა მოსკოვისადმი. 1937-1938 წლების დიდი „წმენდა“ (გვ. 53-54), საქართველო მეორე მსოფლიო ომის დროს (გვ. 54-56), საქართველო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (გვ. 56-60).

მოსხენებაში არის რამდენიმე უზუსტობა თუ შეუსაბამობა, გვხვდება გამეორებებიც, ზოგიერთი დებულება იქნებ საკამათო-ცაა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია უცხოეთში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წარმოჩენის თვალსაზრისით.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 862, ფურცელი 11.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 2121, აღწერა 1, საქმე 38, ფურცელი 1.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 37, ფურცელი 5-6.

4. „ევროპა და ამერიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“, ნატო-ს შესახებ, ავტორი თორნიკე შარაშენიძე, გზამკვლევი ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ, სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, თბ., 2021 წ., გვ. 13-16.

5. „ნატო-ს შექმნა“, ნატო-ს შესახებ, ავტორი თორნიკე შარაშენიძე, გზამკვლევი ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ, სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, თბ., 2021 წ., გვ. 17-19.

6. <https://dspace.nplg.gov.ge> > handle

7. <https://ka.wikipedia.org> > wiki > თავისუფალი საქა...

8. <https://ka.wikipedia.org> > wiki > პორტალი:გაერო (პორტალი:გაერო)

9. <https://tbilisebi.ge> > news > rogor_itsavda_al...

10. <https://www.tsu.ge> > file_db > faculty_humanities (რუსულად დაუშვილი, 26 მაისი და ნიუ-იორკის ქართული ემიგრაცია)

ლ(ორთა)ნ ბრძოლა (ნამდვილი ამბავი)

ვინმე იფიქრებს, ავტორს თემა გამოლევია და კალმის სამიზნედ სანყალი ცხოველი ამოურჩევიაო. - როგორ გეკადრებათ! თემას, საერთოდ, ჯერ ჩვენს ქვეყანაში რა გამოლევს და მერე, სოფელში!

ქვიშხეთი ისეთი ისტორიული სოფელია, დაუსრულებლად შეიძლება წერო და წერო.. დაიწყე აბაშიძე-სუმბათაშვილებით, გააგრძელე სულმნათი დიმიტრი ყიფიანით, იბრუნე იმათი შთამომავლების გარშემო და შემდგომ, მოძებნე ქვიშხეთის შთაგონებით კალამამეტყველებული მწერლები და წერე დაუსრულებლივ, ვიდრე იმ უკანასკნელ სტუმარზე არ დაწერ, რომელმაც ყველაზე ბოლოს შემოალო ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელი სახლის, ან, თუნდაც, კერძო ბინის კარი და აღფრთოვანებულმა წარმოსთქვა-აი, სოფელი!

კი, ბატონო, ახლა მე ვცხოვრობ „აი, სოფელში.“ ვცხოვრობ და რადგან ცხოვრება ჯახირია, ვჯახირობ. ხან ვიბრძვი, ხან მებრძვიან, ხან კიდევ-ორივე ფრონტს ვაჩერებ და მუზას ვემონები, რომელიც კალმის წვერით ჩამინისკარტებს-ხოლმე და თავის კუთვნილ დროს ისე ითხოვს, თითქოს დედის მუცლიდან გავრიგებოდე!..

აღვნიშნე, ცხოვრება ჯახირი და ბრძოლაა-მეთქი, პრობლემებს ისე შევეჩვიეთ ქართველები, რომ არ გვკონდეს ვეძებთ!.. მაგრამ, რაც ახლა მინდა გიამბოთ, ამ ერთმა ღამის მდგომარეობამ მიჩვენა და დამარწმუნა იმაში, რომ თურმე აქამდე არასოდეს არ უნდა მეთქვა - ეს რა ვნახე და გადავიტანე-მეთქი!

დავიწყებ იმით, რომ 2014 წლიდან, ქვიშხეთს, წყალდიდობები „შემოეჩვია“. (არამარტო ქვიშხეთს!) ყველაზე უხუცესსაც არ ახსოვს, ქვიშხეთში ოდესმე მსგავსი რამ მომხდარიყოს. რა მიზეზს არ ასახელებენ ისევ ისინი - ეს ტყის გაჩეხვაო, ეს გვირაბის გაჭრაო, ეს ცოდვის ტრიალი დედამიწაზეო და ა.შ. ასე იყო თუ ისე, 2014 წლის 13 აგვისტოს რაც ჩვენ დაგვემართა, მტრისას!

კოკისპირულმა წვიმამ, რომლის მსგავსიც ჯერ არ გვინახავს, „შოლისპირელები“ კი არ დაგვტბორა, ნაგვლეკა!!! მთანმინდის

კალთებიდან დაძვებულმა წყალმა ჯერ კომპისუბნელები „მოინახუ-
ლა“, მერე ისიც ჩვენკენ დაეშვა და რაც აქ მოხდებოდა, ადვილი
წარმოსადგენია! ყველა მხრიდან წყალი გვიტევდა! უჰ, ახლა ადვი-
ლი სათქმელია და რა დასანახი იყო წყლით სავსე სახლი, მწყობ-
რიდან გამოსული ტექნიკა, დაშლილი ავეჯი და ზედ გადაქსელილი
ჩვენი ნერვები!.. მაგრამ, მიუხედავად ამხელა ზარალისა, შოლის
წყლის წყალობად მივიჩნიე ის ფაქტი, რომ ათწლიან გეგმაში
ჩასმული და ჯერაც განუხორციელებელი რემონტი, შედგა!..

„ასეთი რამ, სუკუნეში ერთხელ შეიძლება მოხდესო“ - დაასკვ-
ნეს ჩვენმა ხანდაზმულებმა და ვიფიქრე-ეჰ, საუკუნის შემდეგ
წყალს ისეთი მდგომარეობა დახვდება, თვითონ გაიქცევა-მეთქი
და, 2016 წლის 4 ივნისს რომ წყლმა კოჭებზე გადამიარა და
მთხოვა-სახლისკენ გამატარეო, ჯერ საუკუნე ხომ არ გასულა და
რა უნდა დამაკლოს-მეთქი, - თავისუფლად შევუშვი. შევუშვი
და..... ისევ გაივსო ოთახები!.. წყალმა წყლის სისტემა დააზიანა
და ამ მდგომარეობაში, ჭის ცივი წყლით, ტექნიკის გარეშე, თუმცა
ახლობლების დახმარებით ისევ დავუბრუნდით საწყის მდგომა-
რეობას. ესეც შენი საუკუნის მოვლენა!

ეს კიდევ არაფერი!

- 2018 წლის ახალი წელიც კი წვიმამ მოგვილოცა. იანვრის
წვიმებმა ყველა და მათ შორის ჩვენი ბებოც დარწმუნა, - აღარავინ
და აღარაფერია თავის ჭკუაზეო. იანვარი და სულ წვიმა?! - ვის
გაუგონიაო... ერთ წვიმიან საღამოსაც, 10 იანვარი რომ ღამდებო-
და, საქონელს ბაგა თივით გაუვსო, ღორებს და ქათმებს კარი გა-
დაურაზა და იმ იმედით, რომ დილამდე იქ ჩასვლა აღარ დასჭირ-
დებოდა, ბებო მშვიდად მიუჯდა სერიალს... მე კომპიუტერთან
ვზივარ და ახალი წიგნის რედაქტორს პირობებზე ვუთანხმდები.
მეუღლე სამსახურშია, დილამდე ვერ მოვა, თუმცა, წვიმით შენუ-
ხებული ხშირად მეხმიანება: - ჩახედეთ, წყალი არ გადმოვიდეს!
კიდევ ერთხელ ჩავდივარ, ვხედავ, კალაპოტი რომ შეივსოს, ერთი
მეტრი სიმაღლე კიდევ სჭირდება. ე.ი. წყლის გადმოსვლა გამო-
რიცხულია. მეუღლესაც ვამშვიდებ და ჩემს საქმეს ვაგრძელებ.

ნახევარი საათიც არაა გასული, რომ უცნაური ხმები მომესმა.
კარი გავაღე და საქონლის განწირულ ბლავილთან ერთად ხიდზე

მდგომი მეზობლის ხმა გავიგონე: - გამოხედეთ! დაიხრჩო საქონელი!... ვაიმე! - ერთი აღმომხდა და საქონლის სადგომისაკენ გავიქეცი!... პირუტყვის სადგომი მდინარის პირას, ოდნავ დაქანებულ ადგილზე დგას, - სახლიდან ხუთი ნაბიჯის გადადგმა და, წყალი ბოტებში ჩასრიალდა. სადგომის კარი რომ შევალე, წყალი თითქმის წელამდე მწვდებოდა. რა დამავიწყებს საბრალო პირუტყვის მზერას, - გვიშველე, ეს რა ხდება ჩვენს თავსო - თითქოს მეუბნებოდნენ!.. (საწყალი ძროხები!.. ისინიც გაჯერდნენ..)

რა ვქნა ახლა, მე?

- ჯაჭვებს ვხსნი და თან ვფიქრობ. შინ არც მეუღლეა, არც შვილი, ბებო რას მიშველის? რძალი ანიოკებულ ბავშვებს ამშვიდებს. ღამეა, 11 საათი. გზაზე აღარავინ ჩანს. გარშემო ყველა ჩემს დღეშია. ყველა თავის გასაჭირშია..... აქეთ ღორები ჭყვიტინებენ, - ალბათ წყალმა გადაუარათ... შიშმა ამიტანა და ჩემთვის არადამახასიათებელი მალალი ხმით ვიყვირე - გარეთ თუ ვინმე ხართ, მიშველეთ!!! ამასობაში საქონელი სამშვიდობოს, სახლის ეზოში გამოვრეკე, მაგრამ ღორები?! - მარტო რას ვიზამ! დედ-ლორი და შვიდი ბურვაკი მარტო როგორ გამოვიყვანო?! საღორეში სინათლეც არაა!.. ამ განსცდელში მყოფს ხმა მომესმა და ხუთიოდე მეზობლის ბიჭის გამამხნევებელი ხმაც შემომესმა. ერთ-ერთი ჩვენი სოფლის დეპუტატია. აქვე ცხოვრობს, მაგრამ ისეთ ადგილზეა, წყალი არ: წყალობს“. თვითონვეა გაცეხული - კალპოტი არაა შევსებული და აქ წყალი საიდან გადმოვიდაო?! უკვირს და თან ბურვაკებს აწვდის ბიჭებს. ისინი კიდეც ერთმნეთს და აივანზე აპყავთ აკანკალებული, სიცვივისაგან განითლებული გოჭები. მე მეხვეწება-ნადი, ძალიან ცივი წყალია და გაცივდებიო. როგორ დავტოვო! - მეშინია ღორმა არ დაკბინოს, მისთვის უცხოა... ჯერი დედა ღორზეა. ღორი ღია კარში დგას. ყოველთვის დაბლა დაშვებული დაპანტურებული ყურები მალლა აუცქევტია, დინგიც, ასევე და არ იძვრის. - ქუცა, ქუცა-ვეძახი და არაო, ყურებს და დინგს აქნევს... იმარჯვეს ბიჭებმა, როგორც იქნა, ღორი გამოაგდეს, მაგრამ ბურვაკის ხმა, რატომღაც, ისევ მესმის საღორიდან! წყალში ხელი მოვაფათურე და ... საწყალი!... - წყლს რომ თავზე გადაუვლია, კედელზე სიმაღლით აკრულა, დინგი მალლა ჰქონდა

ანეული, რომ ჰაერი ესუნთქა!.. ისიც გადარჩა!. (ესეც ჩვენი სანაშენო ღორები!) საქათმის კარი გამოვალეთ, ყველაზე მაღალქანდარაზე ასკუშებულიყვენ ფრთოსნები და წყალი ვერ სწვდებოდათ. აღარ ავაფორიაქეთ და დავტოვეთ განსაცდელის მოლოდინით სავსენი... (ცოტა მათაც ენერვიულათ!)

ამასობაში შვილი და სიძეც მოვიდნენ და საქონელი და ბურვაკები მეზობლებთან დავაბინავეთ. დარჩა დედალორი. ერთმა მეზობელმა - აგერ სალორე და გამოიყვანეთო, მაგრამ დაიზარა ბიჭმა, - გახსოვთ წინა წყალდიდობაზე გარეთ ძლივს რომ გავიყვანეთო?! - აგერ იყოს, აივანზე, გადაუღობავ და დილამდე როგორმე გაჩერდებაო. კი ვხვდებოდი, ეს ასე იოლი არ იქნებოდა, მაგრამ სიცივით და განცდით ისე ვცახცახებდი, დიდი წინააღმდეგობა აღარ გამინევია. მან კი, რკინის მძიმე, გრძელი სკამით გადაღობა აივანი, თავისი ქკუით ღორიც დააბინავა და თვითონაც მშვიდად, ოჯახის წინაშე დიდად ვალმოხდილის ნაბიჯით აუყვა მეორე სართულის კიბეებს, მოსასვენებლად...

მე კი, იანვრის წყლით გათოშილი სხეული პარალიჩიანივით მიცახცახებხ. კბილს ისე მაცემინებს კბილზე, რომ ვიცი, ასე თუ გაგრძელდა დილამდე არცერთი კბილი არ შემრჩება.

- რა ხდება, როგორ ხართ? - ეს ჩემი მეუღლის ზარია.

ხმის კანკალით ვუყვები რაც მოხდა...

- ხომ გითხარით, ყურადღებით იყავავით-მეთქი!.. - აქეთ მიტევს... - ბიჭო, კალაპოტზე არ გადმოსულა, ზურგიდან მოვარდა!...

- ოხ!... - ეს „ოხ“ უკვე არ ვიცი ვისი მისამართითაა.

არც ცხელი წყალი მშველის, არც ცაცხვის ჩაი, სხეულს ვერ ვითბობ.. დაღლილ-დაქნცული მივდივარ სანოლამდე. უკვე საკმაოდ გვიანია. ფიქრის თავიც აღარ მაქვს. ის იყო ოდნავ გავთბი, თვალები მივლულე და, სწორედ ისეთი ხმები მომესმა - ტაში ბორია რომ ტაშიფანდურას გამართავს-ხოლმე ტაშტებზე ხელის ტყაპუნით.. ხმა რამდენჯერმე მეორდება და სხვა რა გზაა, ვდგები და აივანზე გავდივარ. ღორს სკამი გადმოუბრუნებია და დინგით გადადის საგნიდან-საგანზე. ოხ!-მეთქი, -ქსა-ქსა-თი ვაბრუნებ ძველ ადგილზე და სკამს ისევ ისე ვდგამ იმ იმედით, რომ გადმობრუნებას აღარ იკადრებს. ისევ ვწვები და ვნატრობ, აღარაფერმა დამიფრთხოს სიმშვიდე. მეძინება, მაგრამ რა დამაძინებს! მესმის, როგორ ურტყამს ღორი დინგს აივნის

თუნუქს. მერე-სკამს... სმენა დავძაბე-ვითომ, გამოვა? - ვერ გამოვა!
- ვიმედოვნებ. ხმა შეწყდა. გვერდი ვიცვალე, მარჯვენა ხელი, ჩვეუ-
ლებისამებრ, სფეთქელთან დავიდე, ღრმად ამოვისუნთქე და თვალი
დავხუჭე. რალაც ხმები კი მესმის, მაგრამ ფაჩი-ფუჩს ჰგავს და არც
მინდა დავუშვა, რომ - შეიძლება ისაა!... მშვიდად ვარ, რადგან ყველა
კარი ჩაკეტილია, დაცული ვარ, ასე, რომ...

ხმები არ წყდება... შესაბამისად, მეც ვიძაბები. მეჩვენება,
თითქოს ღორი ფანჯრიდან მითვალთვალეს! ფაჩი-ფუჩი გრძელ-
დება. მინდა წამოვდგე, მაგრამ თავი იმსიმძიმეაა! ვდგები. სამზარ-
ეულოსკენ. მივდივარ... კარი შევალე, ხელის ცეცებით სინათლე
ავანთე და... აღარც ყვირილის თავი მაქვს, აღარც-შეცხადების..
იატაკზე ფეტივით მიმოზნეულ ბოსტნეულში ფეხის დასადგმელ
ადგილს ვათავისუფლებ და წყალში ნახაჩხაჩებ, გაფითქინებულ
ღორს ჯაგარს კი არ ვთხოვ, არამედ - სიმშვიდეს და ძილის უფლე-
ბას. - გადი, რა, ქუცა, გადი!.. ქუცა მიჯერებს. 150კგ-იან სხეულს
ისე მიაქანავებს, თითქოს პოდუშზეა. ჯანდაბას! - სამზარეულოს
კარს ისევ ენიანი საკეტიტ ვკეტავ, აივანზე მდგარ მაგიდას
გარედან ვადგამ და ვმშვიდდები: იაროს ახლა აივანზე, ეზოში,
ჩიჩქნოს, თხაროს, რაც უნდა ის ქნას, ოღონდ აქ, სამზარეულოში
ნულარ შემოვა! ... ამ იმედით ვბრუნდები ოთახში. თავს ვდებ თუ
არა ბალიშზე, მაშინვე ვგრძნობ, როგორ მოდის თეთრი ბურუსი,
ნელ-ნელა ვეხვევი და სადღაც ღრუბლებში მივცურავ...

- რახ! რახ! რახ! - ღრუბლიდან დაბლა მექაჩება ვილაც, მაგრამ
მე ისევ ვებრაუჭები. იქ მინდა, სიმშვიდე მინდა, ფრენა მინდა!...

- რახ! - ისევ ჩამესმის და უკვე ვფხიზლდები. - ნუთუ ისევ?!-
საათს შევხედე. სამის ნახევარია! - ღმერთო, რა დაგიშავე!!!
აშკარაა, ღორი ისევ სამზარეულოშია! სხვა რა გზა მაქვს! -
ვდგები, გავდივარ და... თეთრი ფარდა ფატასავით აქვს თავზე
გადაფენილი და პატარძალივით „ტრიანებს“. გვერდულად ისე
გამომხედა, თან ისე გაოცებით, რომ სიმწრით გამეცინა...

10 იანვარი იყო. 2018 წელი.

p.s. წყალს უკვე დაეკლო. ქუცა-ქუცათი მივაცილე თავის
სადგომამდე და კარი გადავურაზე.

პირველ ფიფქს ნეტავ ვინ უშვებს,
ლოცვას ვინ ატანს ციდან?!
განცდებს ამოვკრებ, მოვდივარ
ჩემი ბავშვობის ხმიდან...

გაქრა არმოსვლის შიშები,
თოვლი თეთრ ხელებს მიწვდის,
მინდიასავით ვინამე
ძალა ბუნების სიბრძნის...

ხის ტოტზე სათხილამურო
ბილიკს აკეთებს ჩიტი,
ყელზე კუდს იხვევს, ფოტოგრაფს
ელის ფუმფულა ციყვი!

გატრუნულია ბუნება,
ჯერ ნაკვალევიც არ ჩანს,
რამდენი ბავშვის ყიჟინა
მისწვდება ახლა ამ ცას!

დგას გუნდაობის სეზონი,
დილეგს დატოვებს ციგაც,
ძილგატეხილი სამყარო
ახლა რა მშვიდად ფშვინავს...

ფეხს ველარ ადგამ, არ გინდა
შეურაცხყოფა თოვლის,
იმ ულამაზეს სიზმრიდან
თოვლიც ბაბუაც მოდის...

ბებო დამდგარა ხატებთან
თოვლის ფერი აქვს ღანვზე,
თურმე, სამყაროს შემოქმედს,

სურვილს, ჩურჩულით აწვდენს!

თოვლი მოსულა! - ეს ხმები
არღვევს კაეშნის ჯავშანს,
ალარაფერი არ გახსოვს
ქათქათა თოვლის გარდა!

ეს თავდახრილი ტოტები
თითქოს ცეკვავენ „ქართულს“,
გადავეშვები, ხელს გავშლი
ქართული გენის დასტურ!

ალარ იხმართო ნიჩაბი,
თოვლს ნუ გაფანტავთ გან-გან,
ზამთარს სხვა რა აქვს სამოსი,
ამ სილამაზის გარდა?!

არ მოგვანატრო, უფალო,
შნო და ლაზათი ზამთრის,
ბავშვობის ყველა მარხილი
ამ თეთრ ბილიკებზე გადის...

იეჭვიანეს შვილებმა შენზე,
 ვგრძნობ, ზოგ-ზოგებმაც
 ასწიეს წარბი,
 თუმც არ ვიმჩნევდი, გულის ქვითინით,
 ყელგამოლადრულ ფურ-ირემს ვგავდი...
 მერე, რააო!...
 რა ვქნა, თუ დღემდე,
 ვერ მოვიკიდე ფეხი მიწაზე,
 ვერ ვაგვირისტე
 ოქროს სირმები,
 რომ მელაპლაპა მტრების ჯინაზე...
 რადგან სანგარში ვირჩიე ნოლა,
 სისხლი ისე მდის, ვერავინ მამჩნევს
 და ჩემი სულის ლაყვარდში სრბოლით
 თუ წამოვდგები,
 ვინ უნდა წახდეს?!
 იეჭვიანეს შვილებმა შენზე...
 მეც შემოგჩივლე დასჯილ ბავშვივით...
 გულზე რომ ცეცხლი მომედო, ახლაც,
 მოგეხვიე და შენში ავტირდი...

ლალი ახალკაცი

დავიბადე ქ. გორში 1982 წ. 29 სექტემბერს. 2000 წელს დავამთავრე გორის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-9 საჯარო სკოლა. 2005 წელს დავამთავრე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში გახლდით ლიტერატურული კორპორაცია „პარნასის“ წევრი, 2014 წლიდან – შიდა ქართლის ხელოვანთა კავშირის წევრი.



ქალი მოიისვრო

- გარდაიცვალა! - მოწყენილი ხმით მაუწყებს მეგობარი ახლობლის დის გარდაცვალებას.

- სამწუხაროა, თუმცა ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ მისი სული ჰპოვებდა მოსვენებას! - ვპასუხობ მეც იმავე ტონით და პარალელურად ვფიქრობ, როგორ გამოვნახო ამ გადატვირთული სამუშაო განრიგიდან სამძიმარზე წასასვლელი დრო.

სხვა გზა არაა, მოხერხებულად ვანანილებ საქმეებს მომდევნო დღეზე და საღამოს 4 საათისთვის შავ კაბაში გამოწყობილი სამძიმრის სათქმელად მივეშურები გარდაცვლილის ოჯახში.

გვიანი შემოდგომაა, საკმაოდ ცივა. გზაში წვიმაც გვიერთდება და უფრო მოსაწყენს ხდის მგზავრობას. ბორჯომი შემოდგომის სიჭრელეში ჩაფლული უფრო მომხიბვლელი მეჩვენება, ვიდრე ტურისტებითა და დამსვენებლებით საგსე ზაფხულში.

ტაქსის მძღოლს ვთხოვ, ყვავილების რომელიმე მაღაზიასთან შემიჩეროს. დიდხანს ვეძებთ, არც ისე ადვილი მისაგნები ყოფილა უცხო ქალაქში, ვფიქრობ.

ერთ-ერთი ქუჩის ჩასახვევთან ვხედავთ და ორივე ერთად აღვნიშნავთ:

- რაღაც გაგვიხარდება! - ელიმება მძლოლს.

- ჰო, ალბათ! - მეც მელიმება.

ტაქსიდან გადავდივარ და ჩქარი ნაბიჯით მივინვე მინებიან, ფერადი ყვავილებით სავსე ოთახში, რომელიც საკუთარი სახლის პირველ სართულზეა განთავსებული. არავინაა სულიერი, მხოლოდ უამრავი ფერისა და ფორმის ყვავილი თვლემს ჭრელ ლარნაკებში. თითქოს რაღაც იდუმალი სამყაროა, გზას მივიკვლევ ოთახის სიღრმისკენ, ჰოლიდან ცისფერი კაბა ილანდება.

- ალბათ გამოვა გამყიდველი, დამინახა, - ვიძებნებ თავს და იქვე მდგარ ერთადერთ სკამზე ვჯდები, ვინმეს გამოჩენამდე ყვავილების თვალიერებით ვერთობი, - რა სილამაზეა! ვტკბები.

ფიქრებიდან მსუბუქი ნაბიჯების ხმას გამოვყავარ, ვბრუნდები უკან და ვხედავ: თითქოს ღრუბლების მიღმიდან ამოდის ქალი, იისფერი კაბით, კდემით და უნაზესი ღიმილით, სათნო სახით და ჩამოქნილი ტანით. მგონია, არაამქვეყნიური არსებაა, ბერძნული მითოსის ნიმფას მაგონებს. მისი მიხვრა-მოხვრაც ისეთი უცხო და მსუბუქია, როგორც გაზაფხულის ნიავი. ვგრძნობ, სახეზე აშკარად მეხატება გაოცებაც და ამ ქალის ხილვით გამონვეული სიამოვნებაც.

- რით გემსახუროთ? - მეკითხება და იღიმის.

ღმერთო ჩემო, ხმაც როგორი ნაზი და ნარნარა აქვს - ვფიქრობ და მგონი მაგინყდება, რისთვის მოვედი.

- აა, დიახ, თაიგული მინდა შეგიკვეთოთ, მიცვალებულისთვის! - მოვდივარ გონს და ვპასუხობ.

- მიცვალებულისთვის? რა სამწუხაროა! - იზიარებს, შუბლს იჭმუხნის, ნალვლიანდება.

- კი, რამე უბრალო და ნაკლებ ჭრელი, თუ შეიძლება! - ვუხსნი და თვალს ვერ ვაცილებ მის გამომეტყველებას და ვერც ერთ მიხვრა-მოხვრას.

- რა თქმა უნდა, მიცვალებულთან სადღესასწაულო თაიგული არ გამოდგება! - მეთანხმება და თვალებით შესაფერის ყვავილებს ეძებს, პოულობს, იხრება და მაჩვენებს:

- ეს თეთრი ვარდები მოგწონთ მწვანე ფონით?

- კი და აქაც ყველაფერი მომწონს! - ვპასუხობ მონუსხული.
- შევთანხმდით, ეს ავირჩიოთ! - მეუბნება და ვარდები ფრთხილად ამოაქვს ლარნაკიდან. - მეუცხოებით, მგონი აქაური არ უნდა იყოთ! - მიღმის.

- მართალი ხართ! - ვეთანხმები და ვეცნობი.

- გორი! ბოლოს ახალგაზრდობაში ვიყავი, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვლებოდა, უფრო გალამაზდებოდა, - ხმამალალი ფიქრებით გადადის წარსულში, - ისტორიული ქალაქია, ქართლის შუაგული! - ამბობს ჩვეული ღიმილით და შეკონილ ვარდებს ფრთხილად აწყობს მაგიდაზე, მე ვეთანხმები.

- ალბათ რა სასიამოვნოა, ყოველ დღე ამ სილამაზის, ამდენი ყვავილის ყურება და მათთან ურთიერთობა! - ვეუბნები და კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს მოკაზმულ ოთახს.

- სასიამოვნო? უფრო მეტიც, ყვავილები ჩემი სულის მუსიკაა! - მპასუხობს და თვალები ენთება ისე, როგორც მზე ამოდის ხოლმე ზღვაზე.

- კარგი შედარებაა! - ვინწონებ და ისევ ვერ ვაცილებ თვალს მისი ნატიფი ხელების მოძრაობას.

- როდესაც ვუკრავ, ხშირად ჩემი მუზა სწორედ ყვავილებია, შთამაგონებენ და ერთგვარი ანტიდეპრესანტებიც კი არიან!

- უკრავთ კიდევ? - ვეკითხები უფრო მეტი აღფრთოვანებით, - სიამოვნებით მოგისმენდით!

- მაღლობა ჩემო კარგო, მუსიკა ჩემი სულია!

სულით და ხორციტ ხელოვანია - ვფიქრობ გულში და ვცდილობ, კიდევ მეტი საინტერესო რამ აღმოვაჩინო ამ ქალში.

- თქვენ არ უკრავთ? - მეკითხება და ფიქრებიდან მარკვევს.

- ბავშვობაში ვუკრავდი, კონცერტებზეც გამოვდიოდი, მაგრამ ახლა აღარ! - ვპასუხობ! - თუმცა პეტრე ჩაიკოვსკის ნეაპოლიტანური ვალსი, რომელსაც მეოთხე კლასში ვასრულებდი, დღემდე მახსოვს! - მეცინება.

- ოო, ჩაიკოვსკი, ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორია! - ეღიმება თავადაც და სახეზე ეტყობა სასურველ თემაზე საუბრისგან გამონვეული სიამოვნება. - რამდენიმე წელი მხოლოდ ჩაიკოვსკის მუსიკით ვიყავი გატაცებული, მის სიმფონიებს „ჭექა-

ქუხილი“, „ზამთრის ოცნებები“, „ფატუმი“, - გატაცებით ვასრულებდი.

- მართლა? კარგი არჩევანია! - ვეთანხმები! - მისი ბალეტები „გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მაკნატუნა“, ნამდვილი კლასიკაა და თავისი სიტყვაც თქვა მუსიკის ისტორიაში.

- ნამდვილად! ოპერებიდან რომელი მოგწონთ?

- „ორღეანელ ქალწულს“ გამოვყოფდი, რაღაც სულშიჩამნდომია! - ვპასუხობ და ვგრძნობ, საერთოდ აღარ მსურს ამ ქალთან განშორება.

- თქვენი შეკვეთაც სულ მალე იქნება მზად, ბოლო დეტალებიც დავამატოთ! - მეუბნება, თან ფუსფუსებს მაგიდის მიღმა, თავისი დახვეწილი მოძრაობებით ავსებს ოთახის სილამაზეს.

- თქვენ გაქვთ მოსმენილი ჩაიკოვსკის დანერგილი მუსიკა ოსტროვსკის პიესაზე „თოვლის ქალისთვის“? - მეკითხება და თვალებს მანათებს.

- ეგ ნამდვილად არ მახსენდება! - ვპასუხობ გულწრფელად.

- ალიან მინდოდა, ჩემს ქორწილზე ამ ჰანგებზე მეცეკვა! - რაღაც იდუმალი სინანულით და საკმაოდ შენელებული ტემპით ამბობს ამ სიტყვებს, მეჩვენება, თითქოს სისველაც ელავს ახლა მის დიდრონ თვალებში.

- ჩაიკოვსკი ხუთჯერ იყო საქართველოში, არა? - ვეკითხები, ვცდილობ, გუნება არ გაუფუჭდეს, თუმცა, ეს ფარული ნალველიც ისე უხდება მის სახეს, თვალს ვერ ვაცილებ.

- დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, ხუთჯერ იყო საქართველოში, სწორედ აქ დანერა საორკესტრო სიუიტა „მოცარტიანა“, „სექსტეტი“, „მოგონებები ფლორენციაზე“, აქვე მუშაობდა ბალეტზე „მძინარე მზეთუნახავი“... დასრულებული არაა ბოლო სიტყვა, რომ შემოსასვლელ კარს ვიღაც არტყამს ფეხს მთელი სიმძლავრით და რამდენიმე წამის შემდეგ შუახნის, წვერგასაპარსი, თავმოუვლელი ღიპიანი კაცი ღრიალით იჭრება ოთახში:

- რა არის ქალო ეს? ასჯერ მაინც გითხარი, დააყენე მეთქი ეს ჩაქურჩი და ხერხი ერთ ადგილზე, დავდებ, - აღარ არის, რო ვეღარც ვპოულობ? სად წაიღე, საად? - შლის კოტიტა თითებს და ზედ ქალის თვალებთან მიაქვს, ცოტაც და ალბათ, არ დაინდობს ფიზიკურადაც.

- ღმერთო ჩემო, - თვალებს ვხუჭავ მომენტალურად, აღარ მინდა დავინახო ეს კაცი, რომელსაც „ჯაყოს“ ვამსგავსებ, ზუსტად ასეთი წარმომედგინა ეს პერსონაჟი ყოველთვის.

- დანყნარდი, ბეჟან, ძვირფასო, სხვაგან შევიწინაზე და ახლავე გამოგიტან, იმ ადგილზე ყვავილები დავდე! - ამშვიდებს ქალი და ცდილობს, არ შეიმჩნიოს მიყენებული შეურაცხყოფა და უცხო პიროვნების წინაშე დამცირებისგან მიყენებული ტკივილი.

- ყვავილები? აი, შენი ყვავილები! - კიდევ უფრო უწევს ხმას კაცი და ერთ ერთი ლარნაკის კედელზე მილენვის ხმა და ქალის სუსტი კივილი ერთმანეთს ერწყმის.

გატეხილი ლარნაკიდან მორაკრაკებს წყალი, ყვავილები კი წვანან მიცვალებულებივით. შინაგანი დაძაბულობა ვგრძნობ, პიკს აღწევს, თითქოს ყველა განცდა ერთმანეთში მერევა, ქალის ხავერდოვან ხმას გამოვყავარ ამ საშინელი ბურანიდან.

- ჩემი მეუღლეა, იცით, ცოტა იმპულსურია! - ამბობს და ჩემდა გასაკვირად ილიმის, ღიმილითვე კრეფს ლარნაკის ნამსხვრევებს.

- შესაშურია! - ვამბობ გულში და თავს ძალას ვატან, მეც გავიღიმო.

- რაზე ვსაუბრობდით? ჰო, ჩაიკოვსკიზე, არა? - უბრუნდება თემას ქალი და ურნაში ყრის მოგროვებულ ნამსხვრევებს, ვატყობ, ასეთ ინციდენტებს მიჩვეულია და სულაც არ ეუცხოვება.

- დიახ, ჩაიკოვსკიზე! - ვპასუხობ.

- პეტერბურგში გარდაიცვალა თავისი მეექვსე პათეტიკური სიმფონიის პრემიერიდან მეცხრე დღეს.

- მე სხვა ვერსიაც ვიცი მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით! - ვეუბნები და თან თაიგულის გაფორმების დეტალებს ვადევნებ თვალს, - თვლიან, რომ ქოლერით გარდაიცვალა, თუმცა, არსებობს ვერსიაც, რომ თავი მოიკლა.

- რაც არ უნდა იყოს მართალი, მთავარი ისაა, რომ არსებობდა და ასეთი უკვდავი შედეგები დაგვიტოვა! - ამბობს და მწვანე ფოთლებს ერთმანეთში სვამს.

სწორედ ამ დროს კარი ისევ უხეშად იღება და „მეუღლე“, კიდევ უფრო აღგზნებული, ჩანითლებული თვალებით და მოურიდებელი ქცევებით ისევ იჭიმება ქალის წინაშე.

- ქალო, შენ გამაგიჟებ, მერამდენედ უნდა დამიტოვო დენი ჩართული სახელოსნოში, გამოხვალ? - ჩააქრე რაა, ბიჯოს, ალარ შემიძლია მეტი, მოვა ქვითარი და აგაფარებ მაგ თვალებზე! შენ რაღას დამყვები შე ოჯახქორო, გადაშენდი,... პატრონი!-გაგულისებული წიხლს არტყამს ოთახში უცებ საიდანლაც შემოპარულ კატას და კარს მთელი ძალით ახეთქებს მის ფუმფულა სხეულს, თავად კი გაჯგიმული, საკუთარი საქციელით კმაყოფილი, თავმომწონე ნაბიჯებით ტოვებს იქაურობას.

აკნავლებული კატა ზანტად ითრევს ნაგვემ სხეულს და ოთახიდან მიიპარება..

ვგრძნობ, მეტის დანახვა აღარ მინდა, ამ კაცის კიდევ ერთხელ შემოვარდნა, უფრო გამიმძაფრებს უარყოფით ემოციებს ასეთი „ძალად კაცების“ მიმართ, სამწუხაროდ, მრავლად რომ არსებობენ და წუთისოფლის ხორცმეტებად ქცეულნი ამძიმებენ დედამიწას.

ვზივარ და მკვდარი ყვავილებივით მუხლებზე თითქოს უსულოდ დაყრილ ჩემს ხელებს ვუყურებ.

- მე უკვე სამძიმარზე ვარ, სილამაზის და კეთილშობილების სამძიმარზე! - ვამბობ გულში და ყელში რაღაც მეჩხირება, თითქოს ყველა ასეთი ქალის დარდი და სატანჯველი მე მომანვა ერთიანად.

- მოიწყინეთ? - ქალის ნაზი ხმის ტემბრი თავისკენ მახედებს.

- დიახ, სიმართლე გითხრათ! - ვპასუხობ მთელი გულწრფელობით.

- არაუშავს, ქვეყანა ხომ მაინც სილამაზითაა სავსე, ეს წვიმაც ლამაზია, ეს მოქუფრული ზეცაც, შემოდგომაც... ამბობს და მაინც იღიმის.

- ბორჯომიც! - ვამატებ მეც ნაძალადევი ღიმილით.

- ჰო, ბორჯომიც! - მეთანხმება სხარტად და ისევ ჩაიკოვსკიზე აგრძელებს საუბარს, - იცით, პეტრეს ძალიან მოსწონდა აქაურობა, ექიმის რჩევით აქ დიდხანს დარჩენილა სამკურნალოდ, წასვლის წინ კი უთქვამს, „ეს არის ერთ ერთი ლამაზი ადგილი მსოფლიოში“!

- შთამბეჭდავია! - ვპასუხობ და თაიგულს ვართმევ, საფასურს მაგიდაზე ვტოვებ, კართან მისული უკან ვბრუნდები და თვალებში ვუყურებ:



- თქვენ ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი ხართ!
 - ასე ფიქრობთ? - რიჟრაჟის სხივივით ენთება თვალები
 - დიახ, იმიტომ, რომ მხოლოდ სილამაზეს ხედავთ ამ ბინძურ
 სამყაროში! - ვეუბნები ხმამაღლა და ჩქარი ნაბიჯით ვტოვებ
 იდუმალ ოთახს.

კართან მისი სიტყვები მენევა და მაცლილებს:

- თქვენც მუდამ სილამაზე ეძიეთ!

კიდევ ერთხელ ვიხედები უკან, ვულიმი და მზერის შინაარსით
 ვეთანხმები.

გარეთ გასულს წვიმის ხშირი წვეთები მისველებს სახეს და
 მახსენდება გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებიდან სიტყვები:,,
 ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, შორეული სილამაზით
 აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა „მოიისფრო“, გვერდით კი მოყვე-
 ბოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა
 სიტყვა „გავძეხი“, და მე კი განზე ვიდექ ზედმეტი, როგორც
 სიტყვა „მაშასადამე“!

„პური ჩვენი არსობისა“

კარი გაიღო და რუხ ნაბადში გახვეულმა თეთრწვერა თოვლის
 პაპამ უზარმაზარი ქრელი ხურჯინი პატარა გოგონას ფეხებთან
 დადგა, ჩამოშლილ თმაზე მიეფერა და რიხიანი ხმით ახალი წლის
 მობრძანება მიულოცა. გოგონა გაფართოებული თვალებით და
 გაცეცხული სახით უმზერდა, (თოვლის ბაბუა არასოდეს მისულა
 და შესაბამისად, მხოლოდ მის წარმოსახვაში ცოცხლობდა), ახლა
 კი, საჩუქრებით სავსე ხურჯინი წინ ედგა და მორიდებისა თუ
 სიხარულისგან ხელს ვერ კიდებდა. თოვლის პაპა მიუხვდა, თავად
 გახსნა ხურჯინი და ელის ყველა აქამდე ნაოცნებარი საჩუქარი
 სათითაოდ ამოულაგა.

- თოჯინა, კანფეტი, ფერადი ფანქრები, თეთრი პური, ჩურჩ-
 ხელები! - ითვლიდა ელი და გულზე ცალი ხელი მიეფარებინა,
 თითქოს იცავდა, სიხარულისგან რომ არ გასკდომოდა.

- ესეც შენ, მალე ახალი წელი მოდის და გაიხარებ! - ღიმილით წარმოსთქვა თოვლის პაპამ და საიდანღაც ბრჭყვიალა ნაძვის ხეც გამოაძვრინა.

- ესეც ჩემია? ახლა ვიტირებ! - ძლივს გასაგონად წარმოსთქვა ელიმ, რადგან ყელში გაჩხერილმა ემოციამ ხმა თითქმის წაართვა.

- ჰო, ყველაფერი შენია! - იცინოდა თოვლის კაცი! - ჩემი წასვლის დროა, შენ კი ჩემო საყვარელო გოგონა, მრავალ მხიარულ ახალ წელს დაესწარი და კარგად ისწავლე, რომ მერმისაც გაგახარო! - დაუბარა კეთილმა პაპამ და მარხილში ჩაჯდა.

- მადლობა კეთილო პაპავ! - ხელს უქნევდა სახლის ზღურბლთან მდგარი ყველაზე ბედნიერი ელი.

მარხილი აგუგუნდა და თოვლის ბაბუაც ნელ-ნელა გაუჩინარდა. ელიმ საჩუქრებს გადახედა, როგორ ნატრობდა. მიუხედავად მისა, რომ თოვლის კაცი რა ხანია თვალს მიფარებოდა, მარხილის გუგუნი უფრო ძლიერდებოდა...

თვალეები სხარტად გაახილა!...

შოკოლადისფერი ღამე მორთხმით იჯდა გაყინულ სარკმელთან. თვითმფრინავების გუგუნს გაეყრუებინა არემარე.

ერთი ცრემლი დაგორდა საფეთქელთან და თმაში გაუჩინარდა, რიტმულად აყვა გულის ძგერაც ავისმომასწავებელ გუგუნს. დედის მკლავს ჩაეჭიდა, წამით გაირინდა.

- დე, ბომბი დაგვეცემა? - ჩაიჩურჩულა და თავისივე ხმით შეშინებული სანოლში გაშეშდა, თითქოს მის ერთ შეტოკებაზე ყველაფერი დაინგრეოდა.

- ნუ გეშინია, ჩვენ არ დაგვბომბავენ, ალბათ აფხაზეთში მიდიან! - დაამშვიდა დედამ და საბანი შეუსწორა.

- ისევე აფხაზეთში? - ოდნავ გულმოცემულმა იკითხა ელიმ და თვალეები სიბნელეს მიაშტერა! - აფხაზეთი შორსაა? ლამაზია?

- კი, შორსაა! - სევდანარევი ხმით უპასუხა დედამ! - და მთელ სამყაროში ყველაზე ლამაზია.

- მართლა? როგორ მინდა ვნახო! - ოდნავ წამოინია გოგონა, დედას დახედა! - მასწავლებელმა თქვა, იქ ბავშვებს ხოცავენო, ეს თვითმფრინავები ალბათ ბომბებს იქ ზიდავენ, ნეტავ გზაში გაუფუჭდეთ და ველარ ჩაიტანონ!

- საშინელებებზე ნუ ფიქრობ და დაიძინე! - უთხრა დედამ და თავზე ხელი გადაუსვა.

- დე, შენი ადგომის დრო არაა? პურის რიგში არ დაგავ-ვიანდეს! - მზრუნველი თვალებით ახედა ელიმ და პასუხის მოლო-დინში გაინაბა.

- ჯერ ადრეა, დავიძინოთ!

- დე, იცი, ჩემთან თოვლის პაპა იყო, ყველაფერი მოეტანა! დედა დუმდა...

///

ძილბურანში მყოფმა უნებლიედ მარჯვნივ გადასწია ხელი (როგორც დაჩვეული იყო) და სივრცეში მოაფათურა. დედა უკვე ამდგარიყო. უცებ გამოფხიზლდა, რეალობა გააცნობიერა.

- წასულა, ნეტავ მერამდენეა რიგში? იმ ბებერ კატოს მიასწრო? ის მოხუცი მგონი საერთოდ არ იძინებს და სულ პირ-ველი დგას რიგში - ჩაიჩურჩულა ელიმ და გადაბრუნდა! - ისევ ღამეა, მაგრამ მე აღარ დამეძინება, სანამ დედა არ მოვა.

კარმა გაიჭრიალა. თოვლის პაპა არა, დედა შემოვიდა. თოვლიანი ფეხები დაიფერთხა და ძველი პალტო იქვე მიკიდა.

- დე, დღეს მერამდენე ხარ? - უცებ გამოყო პატარა თავი საბნიდან ელიმ და სასურველი პასუხის მოლოდინში მყოფმა წამ-წამები ააფახულა.

- მესამე ვარ! - უპასუხა დაღლილი ხმით დედამ! - შენ ისევ არ გძინავს?

- გელოდებოდი! რა კარგია, პურს მალე აიღებ დილით! მოდი, გაგიტბე შენი ადგილი! - ელიმ კედელს აეკრა.

///

- როგორ ცივა! - საბრალო ხმით წარმოსთქვა ელიმ და ჩაით სავსე ფინჯანი გაყინული ხელით დადო მაგიდაზე.

- ფიჩხი აღარ გვაქვს, თუ არ მოვიტანეთ, დავიყინებით! - ნაღვლიანი თვალებით თქვა დედამ და ეზოში გავიდა.

პირველკლასელი თომა კუთხეში მიმჯდარიყო და ორივე ხელში ნაცრისფერი პურის ნაჭრები ჩაებლუჯა.

- ეს გზაში წამოიღე, მოგშივდება! - კიდევ ერთი ნაჭერი გაქუცული კურთუკის ჯიბეში ჩაუდო ელიმ და ქუდი დაახურა.

გრძელი და აღმართიანი იყო გზა ან უკვე გაჩეხილი ქარსაცავი ზოლისკენ. მდუმარედ მიდიოდნენ, საერთო ტკივილით დამძიმებული, ნახევრად თვალეზღაბულნი მწარე და ცივი ქარისგან, იმ ქედზე რომ იცოდა.

- თქვენ ამ ფერდობზე მოაგროვეთ, მე ცოტა მოშორებით წავალ, იქნებ მსხვილი ტოტები ვიპოვო! - უთხრა დედამ ორივეს და თბილი შარფები შეუსწორა.

მოჭრილი ხეებისგან აქა-იქ დაყრილი ნედლი ტოტები კლაკნილი ხაზებივით მოჩანდა თოვლის ფონზე. პატარა, გაყინული ხელებით აგროვებდნენ და კონავდნენ, თან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტს იპოვნიდა, ვინ მეტ სითბოს მიიტანდა სახლში.

თოვამ იმატა. ხელისგულებს ცისკენ იშვერდნენ პატარები, კისკისებდნენ... დედა კი ჯერ არ ჩანდა.

- მე უფრო ბევრი ფიფქი დამეცა! - უხაროდა თომას.

- კი, შენ მაჯობე, ჩემთან ცოტაა! - ეთანხმებოდა ელი და ცდილობდა დედის გამოჩენამდე პატარა ძმა როგორმე გაერთო.

ბილიკზე დედის სილუეტი გამოჩნდა. ელის გულში სითბო ჩაელვარა. წამოდგა, მოგროვებულ ფიჩხთან დაელოდა.

- დე, რამხელა ტოტი გიპოვია! - შესძახა გახარებულმა.

- ხო, მაგრამ შუაზე უნდა გადავჩეხოთ, თორემ ჩვენს პატარა ურიკაზე არ დაეტევა.

თოვლიანი სიმყუდროვე ნაჯახის ხმამ დაარღვია.

- თომა, მოდი, მანამ ჩვენ ეს ფიჩხი დავანყოთ ურიკაზე, თან მაჩვენე რამდენი ფიფქი მოგიგროვდა ხელისგულზე! -- მოიხმო ელიმ ძმა და ხალისით შეუდგა საქმეს.

ქალის გმინვამ სივრცე გააპო და მისი ექო მთებს გადაეწლო.

ელის თვალეზღაბულნი დაჩოქილი დედა და თოვლზე სისხლის წვეთები აირეკლა.

///

- ყელზე შეგცივა, ცოდო ხარ! - კვლავ ამოიგმინა დედამ.

- არ მცივა დე, მთავარია შენ შეგიწყდეს სისხლდენა, რად მინდა ეგ შარფი, კიდევ გტკივა თითი?

- არა, საერთოდ აღარ მტკივა! - გაამხნევა დედამ და ურიკა გააჩერა, ამოიხვნეშა, ძალა მოიკრიბა.

- რა კარგია, ამალამ ვიბანავებთ, ხვალ ორშაბათია, სკოლაში მივდივართ! - იმედიანად წარმოსთქვა ელიმ და ნაბიჯს აუჩქარა, რათა სიცვივისგან კანკალი დედას არ შეემჩნია.

- ეს ერთი დაღმართიც და...
იმ ღამით სახლში თბილოდა.

დედა ჭრილობას იმუშავებდა და ცრემლიან თვალებს მალავდა.

თომა ნაძვის ხეს ხატავდა.

ელი კი აელვარებულ ნაკვერჩხლებს უმზერდა და ფიქრობდა...
ღამით თვითონ გასულიყო ჩუმად პურის რიგის დასაკავებლად.

ჩვენი წილი გაღწევა

კვირა დღეა, დილიდან უხასიათობა ამყვა და არაფრის კეთების სურვილი არ მაქვს. საათებიც მოწყენით მიიზღაზნებიან თითქოს. წვიმს და მოწყენას აორმაგებს.

შუადღის ოთხისთვის ზარია მობილურზე, - არც თუ ისე ახლო მეგობარი იუბილეზე მეპატიჟება.

- უარი არ გამაგონო, კურსელებიც ჩამოდიან თბილისიდან, მყუდროდ ვიქნებით, ელენეს და მაიკოს გაუარე და გელოდებით!
- ბოლო სიტყვები ისეთი კატეგორიული ტონით წარმოსთქვა, რომ ადამიანი თავს არწასვლის უფლებას ვერ მისცემდა.

- დღეს მაინც მოწყენილობით ვკვდები, წავალ, ცოტა გულს გადავაყოლებ, - ვამბობ და კომოდის რამდენიმე უჯრას ერთად ვაღებ.

- რა ჩავიცვა? - ვეკითხები თავს, - ნუ, თუ გავითვალისწინებ, რომ თბილისელები ჩამოდიან, რამე „სვეტური“ უნდა ავარჩიო, რა ვიცი, ზედმეტად პროვინციულობა არ დაგვნამონ! - მეცინება.

საბოლოოდ მწვანე კაბას ვირჩევ, თმას მხრებზე ვიყრი და სახლიდან ჩვეული ნაბიჯით გავდივარ.

- მოდი, მოდი, ჩემო კარგო, რა ხანია არ გვინახავს ერთმანეთი! - ღიმილით მეგებება ჭიშკართან ელენე და გულში მიკრავს,
- სულ დამეკარგე, მუდამ რალაცას იმიზეზებ და აღარ მნახულიბ!
- მსაყვედურობს.

- ველარ, ელენე, ველარ, ხომ იცი როგორი დატვირთული ვარ!
- ვიმართლებ თავს და ეზოში შევედივართ.

მასთან პირველად ვარ, სახლის უკან, პატარა ბაღჩაში
გავდივართ და სიძველისგან მორყეულ სავარძელში ვჯდები.

- იმედია, მალე მოემზადები ქალბატონო! - ვაჩქარებ ოთახებ-
ში გაუჩინარებულ ელენეს.

ბავშვები ეზოს სიღრმიდან მოდიან, სამი შავგვრემანი გოგონა.
ერთს ლეკვები მოჰყავს, მეორეს ახლადდაბადებული კნუტები,
მესამე ჭყვილით მოსდევს მათ, დედის მობილურში რაღაც სმე-
ნისწამართმევი მუსიკა ჩაურთავს და თან ხმას და თეძოებს აყო-
ლებს. მომეხვივნენ, სამივე ერთად მიყვება თავიანთ ამბებს, ყურ-
თასმენა აღარაა.

- მომამშორეთ სიახლოვიდან ეგ კნუტები, ვერ ვიტან! - ვთხოვ
ჯერ მონინებით.

- არ გიყვარს? რას ამბობ, ნახე რა საყვარელია! - კისკისებს
უფროსი და ერთ ერთს კალთაში მისვამს.

- გაიყვანე ეზოში! - ხმას ვუნწევ, - ვაიმე, აქ სად ვარ? - ვგრძ-
ნობ, სუნთქვა მიჭირს, მოუვლელი და დაუბანელი ცხოველების
სუნითაა გაჟღენთილი იქაურობა.

ოთახებისკენ მივეშურები, ვცდილობ, ამ ანც ბავშვებს ცოტა
ხნით გავერიდო და ელენეს მომზადება დავაჩქარებინო, მაგრამ
ამაოდ, ვერსად ვპოულობ. უზარმაზარი სახლია, ყველა კუთხეში
უნესრიგობას ვხედავ, სიბინძურის სუნი ყელს მიშრობს. ხმამაღლა
ვეძახი, დაუჩქაროს.

ბავშვები უკან მომდევნენ ჟრიაშულით, ახლა ინდაურის ჭუკებს
მოათრევენ, რომელთა წივილიც იქაურობას აყრუებს.

გულმედონებული მაიას ვურეკავ, მან მაინც დააჩქაროს
მოსვლა.

- გზაში ვარ, სიხარულო, მოვდივარ! - მხიარული ტონით მპა-
სუხობს მაია, რაც ოდნავ მამშვიდებს.

ელენე ისევ არ ჩანს, მე კი, ვგრძნობ, იუბილეზე წასვლის
სურვილი ნელ-ნელა როგორ მიქრება. გოგონები ისევ ხმაურით
იკლებენ არემარეს. ამ ხმაურს უცებ, რკინის ჭიშკრის მთელი

ძალით მიბრაგუნებაც მოჰყვა. ჩაბნელებულ ტალანში ახმახი მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ ჩემს წინ აისვეტა და გულმოდგინედ ამათვალიერა.

- გამარჯობა, როგორ გიკითხოთ? - ვეკითხები ზრდილობისა და კულტურის წესთა მთელი გამოვლინებით და ხელს ვუწვდი.

- გაგიმარჯოს! - ხელს გულგრილად მართმევს და ისიც ოთახებში უჩინარდება.

უფრო ვიძაბები, თავს აშკარად ზედმეტად ვგრძნობ, თითქოს ამ ოჯახის მყუდრო და თან ხმაურიანი იდილია მე დავარღვიე.

ისევ ვურეკავ მაიას.

- რით ვერ მოაღწიე გოგო? - მატყობს, რომ მშვიდი ტონით არ ვლაპარაკობ და მპირდება, რომ ორ წუთში იქ იქნება.

- კარგი, ორი წუთიც მოვიცდი როგორმე! - ვამბობ და ოთახების სიღრმისკენ ვიხედები, არავინ ჩანს, არც ხმა ისმის.

- სტუმრის მიგდებაც ასეთი უნდა! - ვიქნევ თავს და თვალე-ბით რაღაც საინტერესოს ვეძებ მაიას მოლოდინში. საინტერესო? ასეთი არაფერია, მხოლოდ უწესრიგობა.

კარში მაია გამოჩნდა, ერთმანეთს ვეხვევით.

- გავიდეთ, ისინი ლაპარაკობენ, გარეთ დაველოდოთ! - ვეუბნები და მაია, გაოცებული და დაბნეული, გარეთ გამყავს.

ტაქსიში ვსხდებით და ზოგად თემებზე ვსაუბრობთ, ველით ელენეს, რომელიც, აგერ, უკვე ნახევარი საათია გასული და ჯერ ისევ არ ჩანს.

- გადავალ და ვკითხავ, მოდის თუ არა საერთოდ! - ნერვები აწყდება მაიას.

- არ გადახვიდე, თვითონ გაგვაგებინებს! - ვეუბნები და ვტოვებ მანქანაში.

- გეფიცები, გათხოვება საერთოდ გადავიფიქრე, ჩიტვივით თავისუფლება არ ჯობია? - მრავლისმეტყველი თვალე-ბით მომჩერებია მაია და მზერა ელენეს სახლზე გადააქვს.

მე დუმილს ვირჩევ და ველი რაღაც საინტერესოს.

კიდევ ათი წუთიც და სამივე გოგონა ღრიანცელით აწყდება ტაქსის კარს. უკან ელენე მოჰყვება. მის სახეს ვაკვირდები, ყველაფერი ზედ აწერია, ნაბიჯი კი უდარდელი აურჩევია, თითქოს ზღვის საამო ტალღებიდან ახლა ამოდოდა.

ელენე შვილებიანად თავსდება ტაქსიში და თვითონაც გრძნობს, რომ რაღაც უნდა თქვას. თვით ენამჭევრი მაიაც ვი დადუმებული უყურებს.

ელენეს თვალს ვარიდებ და უკანა სავარძლის საზურგეს თავს ვაყრდნობ. წვიმამ გადაილო და მზის სხივებზე ლაპლაპი გაუდის გზას. ტაქსი ფართოდ გაშლილ გზაზე მიჰქრის რაიონისკენ. ვგრძნობ, ელენეს ქამს უხერხულობა და ჩვენი დუმილიც. მეცოდება, თუმცა ხმას მაინც არ ვიღებ, (ხშირად დუმილით გამოვხატავ პროტესტს მოჩვენებითი, ყალბი ბედნიერების წინააღმდეგ).

გავიგონე, ელენემ ნერწყვი როგორ ჩაყლაპა და დუმილიც დაარღვია:

- ეს ვინა მყავს მოკლეთ, რაა! - თან მოჩვენებითად იღიმის და ორივეს მონაცვლეობით გვიყურებს, ვუსმენთ თუ არა, ან რა რეაქცია შეიძლება გვქონდეს მის ნათქვამზე.

- ანკეტები შემავსებინა იმ ოჯახის ყველა ნევრზე, სადაც მივდივართ, უნდა გამოძიოს ხოლმე ყველა წვრილმანი! - ბოლო სიტყვები უფრო მკაფიოდ წარმოსთქვა.

- არ გიშვებდა? - ველარ მოითმინა მაიამ.

- არა! უბრალოდ, თქვენ რომ მელოდით, ველარაფერი ანამა!
- მიუგო ელენემ ცოტაოდენი პაუზის შემდეგ.

სავარძლის საზურგედან თავს ოდნავ მარჯვნივ ვატრიალებ და ელენეს ვუყურებ. სახეზე გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებს და ბავშვებს ზრდილობიანად მოქცევისკენ მოუწოდებს.

- ნეტავ, მართლა ბედნიერია ამით თუ არ უნდა, რომ შევამჩნიოთ რამე? - ვეკითხები თავს და ფანჯრიდან გავცქერი უკვე მოკრიალებულ ცას.

ტაქსიმ სიჩქარეს უკლო და მოხრეშილ ორლობეში ჩაუხვია, მაია მეგზურობას გვინვეს, ნამყოფია ადრე თამართან.

თამარს სუფრა უკვე გაუშლია და მოუთმენლად გველის, კიბეზე გვეგებება და გვეპატიჟება. ელენეს ბავშვები ეზოში რჩებიან სათამაშოდ, ჩვენ ზემო სართულზე ავდივართ. თბილისელი სტუმრები მოკლე კაბებით სხედან და როგორც სჩვევიათ ხოლმე, ისე გვათვალისწინებენ ახლადმისულებს.

თამარის ახალგაზრდა ბიძა ღვინოს ამატებს სუფრას და რი-
ხიანი ხმით დაუვინყარ სალამოს გვპირდება. თამარს ოთახში
მიყვები და ჩანთიდან საჩუქარს ვიღებ.

- ჩემი საყვარელი სუნამოო! - თვალები ენთება თამარს! -
საიდან იცოდით?

- მახსოვდა! - ვპასუხობ მოკლედ და ვუღიმი.

თამარი მეხვევა და კიდევ ერთხელ მეუბნება, რომ ძალიან
ვუყვარვარ და რომ უჩემოდ ლაზათი დააკლდებოდა მის იუბილეს.

სავარძელზე მიყრილი ერთ ერთი ჩანთიდან მობილურის ზარი
ისმის. ჩანთიანად გამაქვს მისაღებში და უხმოდ ვაწვდი ელენეს.

ვხედავ, ნერვიულად ხსნის ჩანთას, ხელებს აცეცებს მის
სიღრმეში და ძლივს პოულობს ათას ხარახურაში მიკარგულ მობი-
ლურს. სახე ელენება და ოთახიდან გადის, რამდენიმე წუთის
შემდეგ შემოდის და თამარს ეკითხება:

- ჩემი მეუღლე უნდა მოვიდეს და რამე პრობლემა ხომ არ
იქნება შენს ოჯახში მისი მოსვლის გამო?

- არა, რას ამბობ! - იოცებს თამარი! - ერთად მოსულიყავით!
- ამბობს გულუბრყვილოდ.

ახლა მე ვილენები სადღაც, სულის სიღრმეში.

„საქართველოო, ლამაზოო“ - მოისმის თბილისელი გოგო-
ნების ნარნარა ხმები ფორტეპიანოსთან.

სუფრასთან ვსხდებით. ტრადიციულად მიდის „ყველაფერი“.
დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ კარი იღება და ელენეს ახმახი
მეუღლე შემოდის თვალების ველური ცეცებით. მეუღლის გვერ-
დით სვამენ და ჭიქას ღვინით უვსებენ.

- ქართველი ვაჟკაცის შემომატებისა იყოს ჩვენს ღვთივ-
კურთხეულ სუფრაზე! - დიდი ენთუზიაზმით ამბობს თამადა და
ამით კეთილ გულსა და საკადრის დახვედრას გამოხატავს ახლად-
მოსულის მიმართ.

- აკი, კაცები არ მეყოლება იუბილეზეო? - გამოსცრა ჩუმად
ელენემ თამარის მისამართით და უკმაყოფილო, იმედგაცრუებული
სახით მიაჩერდა.

- გოგო, არც მე მეგონა თუ მოვიდოდნენ - ისევ გულუბრყვი-
ლოდ პასუხობს შემცბარი თამარი.

ჩანგალს ხელის უნებლიე მოძრაობით მსუბუქად ვაკაკუნებ
თეფშზე და ელენეს და მის მეუღლეს ვუყურებ პირდაპირ. ერეკლე
გიგლიძე
- ელამიც ყოფილა ეს კაცი ყველა სხვა სიკეთესთან ერთად! -
აღმოვაჩინე.

ბავშვები ყიჟინით შემოდინან ოთახში და დედ-მამას უსხდებიან
კალთაში, სირბილისგან ლოყებანითლებულნი, ეზოში თამაშით
მოთხუპნილი ხელებით, შთაბეჭდილებით სავსენი ერთმანეთს
ლაპარაკს არ აცდიან:

- მამიკო, ამთაც ყოლიათ ძალი, იცი რამხელაა?

- მე პატარა ხბოც დავინახე, იცი რა საყვარელია? - აწყვეტი-
ნებს უფროსს უმცროსი

- კარგი, სირცხვილია, ნუ ყვირით! - ცდილობს ელენე მათ
დაშოშმინებას.

- აცალე, რამე შეჭამონ! - ეუბნება თამარი და ცხელ კერძს
ანვდის პატარებს.

- რა საყვარელი წყვილი ხართ, უფრო საყვარელი კი პატარები
გყავთ! - შენიშნა წერილი ხმის პატრონმა ერთ ერთმა სტუმარმა გო-
გონამ და თავისივე ხმით მოხიბლულმა ფეხების წყობა შეცვალა.

- მადლობთ! - იფერებს ელენე და ბავშვებს მალევე ეზოში
ისტუმრებს.

ელენეს მეუღლე გამალებით სვამს ღვინოს და ცოლს არც
გვერდიდან და არც მზერიდან არ იშორებს. ელენე ზის მობუზული
გალახულივით და თვალებში შესცივინებს. მახვილი თვალი ადვი-
ლად მიხვდება, რა ყალბია ეს ღიმილიც და თვალებში ცივინიც.

- უკვე მერამდენე სადღეგრძელო გამოტოვე! - საყვედურობს
ელენეს თამარი, რომელიც უკვე საკმაოდ შეზარხოშებულა და
ცდილობს, ყველა სტუმარს სათანადო ყურადღება მიაქციოს.

- ხომ იცი, მე თითქმის არ ვსვამ! - ნაზი ღიმილით პასუხობს
ელენე და ქათმის ხორცს წინკნის, თანაც მეუღლეს შეჰყურებს,
ასიამოვნა თუ არა პასუხით.

გამჭოლი მზერით ვუცქერ ელენეს. ეს ის ელენე არაა, ვინც
ქმრის გარეშე მყავს ნანახი, თითქოს სულ სხვა ადამიანია, მომენ-
ტებში ვეჭვდები, სხვაში ხომ არ მეშლება.

- ლევან, ბავშვებს გავხედავ და ახლავე დავბრუნდები, არაფერი იტკინონ! - ნებართვას იღებს ელენე და სუფრიდან დგება. ხომ არ გამომყვები ძვირფასო? - მეკითხება და მიღიმის.

- გამოგყვები! - სხარტად ვპასუხობ და ერთად ჩავდივართ ეზოში.

- ტუალეტისკენ წავიდეთ, უნდა მოვწიო! - მეჩურჩულება და ეზოში ბილიკად დაფენილ ფილებზე მიბაკუნობს. უკან მივყვები. ჯიბიდან სიგარეტის ღერს იღებს და უკიდებს, თან ხველებით იხრჩობა.

- ელენე, ბედნიერი ხარ? - ველარ ვითმენ და ვეკითხები.

- ხო, აბა რააა, არ მეტყობა? - მპასუხობს მაშინვე ტუალეტის კარს მიღმა.

მის სახეს ვერ ვხედავ, რომ ზედ წავიკითხო, ამას სარკასტულად ამბობს თუ რეალურად, ერთი კი ვიცი, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

- გოგო, ლევანმა არ იცის, რომ ვენწევი, მერე კბილებს კარგად ვიხეხავ ხოლმე! - გამომდო ხელკავი და ისევ ერთად მივუყვებით ფილებიან ბილიკს.

- შენი საქმეა! - ვპასუხობ უგერგილოდ.

ელენე წინ გარბის კიბეზე, კაბას ხელით იგრძელებს ოთახში შესვლამდე.

- ელენე, ბავშვები? - ვახსენებ კიბის ქვემოდან.

- არაფერი მოუვათ! - ჩამომძახის და უჩინარდება.

დარეტვიანებულივით ვდგავარ რამდენიმე წამი, გონს მოსული ეზოში ვბრუნდები და ხის მერხზე ვჯდები. ნაადრევი შემოდგომაა, მზეს ჯერ კიდევ აქვს ძალა და ყურძნის დაბერილ მტევნებშია დავანებული. ფართო ხეივანს აქა-იქ შეხმობია ფოთლები. მახსენდება: - მაშინ კი - გაზაფხული იყო. ერთ ერთ საქველოქმედო აქციაში აქტიური მონაწილეობისთვის მოთავე ორგანიზაციამ სამადლობელი ვახშამი გამართა ნევრებისთვის. მე და ელენეც ამ აქციის აქტიური ნევრები ვიყავით და ვახშამზეც ერთად მოვხვდით, რომელიც ქალაქგარეთ, ცნობილ რესტორანში გაიმართა.

ელენეს მანამდეც ვიცნობდი, თუმცა სუფრასთან მაშინ ვნახე პირველად. თავისი აქტიურობით და ცოტაოდენ ბოხი ხმით ყველას

ყურადღებას იქცევდა. მოქნილი იუმორით, კისკისით და მოქარ-
გული სადღეგრძელოებით მალე თამადის სიახლოვეს აღმოჩნდა
და ზედმეტი აქტიურობის გამოვლინებით კინალამ ჩამოართვა
სტატუსი.

ბედნიერი, ლალი, უდარდელი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებ-
და. ენაც უჭრიდა და აზრიც. საკმაოდ შეზარხოშებულმა სუფრის
ერთ ერთ წევრთან ვნებიანი ტანგოც შეასრულა და მხურვალე
აპლოდისმენტებით გულმოცემული, უფრო გააქტიურდა.

სვამდა ელენე და თანდათან ემატებოდა მას სიმთვრალე და
საქციელს ვულგარულობა. მახსოვს, თავშეკავებისკენ მოვუწოდე:

- გეყოფა, ელენე, საკმარისია!

- მოიცა რა, არ გინდა, დრო გავატაროთ? აბა, რისთვის მოვე-
დით ან აქ, ან ამქვეყნად? სიცოცხლე ერთი წამია, ლამაზოოო!..

- განელა ბოლო სიტყვა, თეფშიდან მწვანილის ღერი აიღო, ერთ-
ხანს ხელში ატრიალა, მერე ტუჩის ზემოთ მიიღო და ცერად
გამომხედა:

- მიხდება ულვაშები?

- ნამდვილად არა! - ვუპასუხე

- არც მინდა! - უხეშად მიაგდო მწვანილის ღერი და თვალები
აუნყლიანდა. - მადლობა ღმერთს, რომ ქალად დავიბადე, მიუხე-
დავად ყველაფრისა, ასე მიჩვენია!

- რის მიუხედავად ელენე? - ჩავეკითხე.

- ტანჯვის, დამცირების, ტკივილის, დიდი ტვირთის, დაუფა-
სებლობის და კიდევ რამდენი ჩამოვთვალო? ისე მეკითხები, თით-
ქოს შენც არ იცოდე! - მომიგო ენის ოდნავ ბორძიკით.

- ვიცი, ელენე, ვიცი! - მივუგე და ვიგრძენი, როგორ დამიმ-
ძიმდა გული.

- ის იცი, სადაა ჩვენი წილი ბედნიერება?-- მომიბრუნდა
კითხვით, მაგრამ ჩემს პასუხამდე საცეკვაოდ გაიწვიეს და რამ-
დენიმე წამის შემდეგ, ალბათ, აღარც ახსოვდა, რა მკითხა, შესა-
ბამისად, აღარც პასუხი მოუთხოვია.

თორმეტი საათი იყო, მეუღლემ რომ მოაკითხა. ელენემ შემომ-
თავაზა გაყოლა, თუ თანახმა ვიქნებოდი. ეზომდე ჩემზე ჩაბლაუ-
ჭებული მოდიოდა, ცდილობდა, მისი არეული ნაბიჯები ლევანს არ
დაენახა. მეც, რაც შემიძლო, ვეშველებოდი.

ლევანი მანქანის ღია კარს დაყრდნობოდა და ოდნავ მოჭე-
ტული თვალებით გვიყურებდა.

- გაიცანი, ჩემი მეუღლეა! - მოჩვენებითი სიმკვირცხლით მო-
მიგო ელენემ და ქმარს შესცინა.

ლევანს ხელი ჩამოვართვი და მანქანაში ჩავსხედით. სანამ
სახლამდე მიმიყვანეს, თვითმხილველი გავხდი მათი საშინელი
ურთიერთმიმართების, შეურაცხყოფის და არდანდობისა. საშინ-
ლად ვნანობდი დამგზავრებას. ლევანი სიმთვრალის გამო უყვი-
როდა მეუღლეს და არც ელენე რჩებოდა ვალში, არ ეპუებოდა და
ორჯერ მეტსაც ეუბნებოდა. ნესიერად გაჩერებული არ იყო მან-
ქანა, რომ კარი გავაღე, მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

ფიქრებიდან ელენეს ხმას გამოვყავარ, რომელიც მეორე სარ-
თულიდან მკაფიოდ მოისმის. ვდგები, კიბის საფეხურებს მივუყ-
ვები და ოთახში შევდივარ. ელენე დგას და ოჯახის სინმინდის
სადღეგრძელოს ამბობს მთელი მონდომებით, თავისი ოჯახის
თამაღობით, ყველას ოჯახს ადღერძელებს. ცალ ხელში სასმისი
უჭირავს, მეორე ხელით მეუღლის მხარს დაყრდნობია და ისეთივე
სახე აქვს, როგორიც მაშინ, მწვანილის ღერს რომ იზომებდა
ტუჩის ზემოთ.

ვუყურებ და მეღიმება, ვერ კი ვიგებ, რატომ?

ელენეც მიყურებს და თვალებით ახლა მთხოვს მაშინდელი
კითხვის პასუხს - „სადააო ჩვენი წილი ბედნიერება?“

მეც ვუმზერ ტუჩის კუთხეში დაჭერილი ღიმილით და თვა-
ლებითვე ვპასუხობ: - შენივე წარმოთქმული სადღეგრძელოს
შინაარსის ჭეშმარიტებაში, ჩემო ელენე!

- მე მაგის დანერილ ვითომ ლექსების შინაარსს ვარ ვგე-
ბულობ და თქვენი არ ვიცი!

- ლექსები არა, ჭოტები!
- დანერილსო? და მაგას ჰგონია წერს? თუ ჯღაბნის?
- თავი ვილაც ჰგონია!
- წერს ახლა ეგეც, თორემ, სიბრძნეებს ბეჭდავს!
- მე, სიმართლე გითხრათ, ვერაფერს ჩავწვდი!
- რომ ჰკითხო, ღრმა აზრებს ავითარებს!
- ერთი მატრაკვეცა ვინმეა!..

ელის, შემთხვევით კარს მიღმა მოხვედრილს, შემოესმა მისი მისამართით უშურველად გაფანტული ეს ფრაზები და ამ საზო-
გადობისთვის მისართმევი ბლით სავსე ვაზა ხელებში გაუშეშდა.
ტვინმა მარჯვედ გააანალიზა ყველა სიტყვა, მათი წარმოთქმის
ტონი და... გაჩერდა. იგრძნო, ხელ-ფეხი გაყინვოდა, გული აჩქა-
რებით ფეთქავდა და გარეთ კი... მაისი ყვაოდა.

გამშრალი პირი ძლივს თავმოყრილი ნერწყვით გაისველა და
ღია კარს შეუჩნევლად გაშორდა. გვერდით ოთახში განმარტოვდა,
თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო და ჩაფიქრდა: „ნუთუ ეს
სიმართლეა? იქნებ, მართლა გაუგებრად წერს? იქნებ, მართლა
არაფრად ღირს მისი ნაღვანი? იქნებ, ის, რაც ბავშვობიდან სია-
მოვნებას ჰგვრიდა და ამას წერა ერქვა, ასეთი უფასურია? იქნებ,
ეს, რასაც უფლის მიერ ნაბოძებ ნიჭად თვლიდა, სინამდვილეში
მასხრად ასაგდები რამაა?

ვარაუდები ჟრუანტელივით უვლიდა გონებას და სწორი პასუ-
ხის მიღების მოლოდინში - ანამებდა...

სკამზე უხეშად მიგდებული ჩანთიდან მობილურის ხმა გაისმა.
გამოერკვა, ქუთუთოები ძლივს ასწია, ზანტად მისწვდა ჩანთას,
სამჯერ გაუვარდა მობილური სტრესისგან გაოფლიანებული
ხელებიდან:

- გისმენთ! - თითქმის ამოიხავლა.
- ელი, ელიი... - გაისმა თამუნას წკრიალა და მხიარული ხმა-
დაიბეჭდა შენი ლექსებიც და ნოველებიც, სადამოს ანთოლოგიის
პრეზენტაცია იმართება, აბა, შენ იცი, გელოდებით, ყველაზე

ლამაზი კაბა ჩაიცვი, შენ რომ გიყვარს, ისეთი ჭრელი და ფერად-
ფერადი...მწერალთა კავშირიდან ყველა მოწვეული სტუმარი ჩამო-
დის, დიდი ზეიმი გველოდება...

თამუნას ელის პასუხისთვის აღარ მოუსმენია, მხიარული
ტონითვე დასრულებული საუბარი შეწყვიტა და გათიშა, (სხვა
მონაწილეებთან დარეკვა და ამ ამბის მიხარება თუ ეჩქარებოდა).

ელის გულწრფელმა ღიმილმა იმ ჭრელი კაბასავით გაანათა
მისი სახე. მზის ყველა სხივი ერთად შეიჭრა მის არსებაში და
ჟრუანტელივით დავლილი ყველა ვარაუდიდანაც ამოიჩინა ერთა-
დერთი, ჭეშმარიტი და სწორი პასუხი!

მოზღვავებულმა ემოციამ მძლავრი ტალღასავით წამოაგდო
სკამიდან, კარი ჩქარი და მყარი ნაბიჯით გაიხურა.

კარს მიღმა სიჩუმე და ბლით სავსე ვაზა დარჩა... და კიდევ,-
სიცარიელე - მეზობელ, ძვირფასი საზოგადოებით სავსე ოთახში.

ლელა თელიაშვილი

ლელა თელიაშვილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაახლოებით თხუთმეტწლიანი ნაყოფიერი ურთიერთობა აკავშირებს. ლელა ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში დაიბადა და გაიზარდა. 2008 წელს მან ქალაქ ვალის მე-2 საჯარო სკოლა დაამთავრა წარჩინებით, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. იგი იყო წარმატებული სტუდენტი, აქტიურად ერთვებოდა უნივერსიტეტის როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ასევე არაფორმალურ აქტივობებში. ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ, 2013 წელს იგი შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ნახსენები მუნიციპალიტეტის სოფელ ნაოხრებში, დღეს იგი ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებელია. მისი 11-წლიანი პედაგოგიური პრაქტიკა ითვლის უამრავ წარმატებას მოსწავლეთა თუ საკუთარი პროფესიული წინსვლის საკეთილდღეოდ. გარდა ინგლისური ენისა იგი საფუძვლიანად ფლობს გერმანულ ენას, უნივერსიტეტის საგამომცემლო სივრცეში იბეჭდებოდა მისი არაერთი გერმანულენოვანი თარგმანი.



2018 წელს ლელამ განაგრძო სწავლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურზე, ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით, სადაც მისი განსაკუთრებული ინტერესის და კვლევის სფეროს, ჯერ კიდევ ბაკალავრიატის პერიოდიდან მოყოლებული, წარმოადგენდა ონომასტიკა. სწორედ ამ სფეროში მოამზადა მან სამაგისტრო ნაშრომი, თემაზე: „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის ტოპონიმია“, პროფესორ მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით. ნაშრომი არის ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში საფუძვლიანი, თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე მეცნიერული კვლევა.

ამჟამად ლელა თელიაშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია. იგი ახლა უკვე მთელი მუნიციპალიტეტის ანთროპონიმის იკვლევს, რაც ვფიქრობთ, სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია რეგიონის მეცნიერული შესწავლისათვის.



ტოპონიმთა კვლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ენათმეცნიერული პროცესია. გეოგრაფიულ სახელთა მეცნიერული ანალიზი კონკრეტულ ტერიტორიის მიხედვით, იძლევა საშუალებას, წარმოჩინდეს ენის კიდევ უფრო მეტი ლექსიკური ერთეული, დღის სინათლეზე იქნას გამოტანილი უამრავი რიგითი ისტორიული ფაქტი, თუ ეთნოგრაფიული საკითხი. კონსერვაციის უნარის წყალობით, რაც ტოპონიმებს ახასიათებთ, ყველაზე უკეთაა შესაძლებელი ნებისმიერი სოფლის, ქალაქისა თუ სხვა დასახლების წარსულზე დაკვირვება, რაც ქალაქ ვალის შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ.

წინამდებარე სამაგისტრო ნაწრომის მიზანია ქალაქ ვალის ზოგადი შესწავლა როგორც სინქრონულად, ასევე დიაქრონიული თვალსაზრისით, მის ტოპონიმთა აღრიცხვა, დახარისხება და ანალიზი, რაშიც უფრო კონკრეტულად მოვიაზრებთ თითოეული ჩანერილი სახელის ფორმოზრივ-სტრუქტურულ, სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ სარწმუნოთვალსაზრისით განხილვას, მათი სახელდების მოტივაციების წარმოჩენას.

ვალის მიკროტოპონიმის შესწავლის საკითხი აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც, რაც დრო გადის, თანდათან ხელიდან გვეცლება, ის საჭირო ფაქტები თუ მოვლენები, ან თუნდაც ინფორმაციორები, რომლებიც ნებისმიერი ტოპონიმის შესწავლას, მის ანალიზსს ქეშმარიტების გზით უფრო ადვილად წაიყვანს. საკითხის კვლევისას ნათლად გამოჩნდა, რომ ძალიან ბევრი სახელი, რომელიც ოდესღაც დასტურდებოდა ვალის ტერიტორიაზე, მიეცა დავიწყებას, მოშლის პირასაა, თუნდაც უბანთა განაწილებისა და სახელდების ინსტიტუტი, დავინყებასაა მიცემული საკვლევი ობიექტის ეტიმოლოგია და ინფორმაციები ვალის ნასოფლარების შესახებ. ამ და ბევრ სხვა საკითხთა გამო, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ვალის ტოპონიმის წერილობითი ფიქსაცია, ლინგვისტური შესწავლა, რათა არ დაიკარგოს და შემდგომ თაობას გადაეცეს გარკვეული ღირებულები ინფორმაცია თავიანთი ქალაქის შესახებ.

ამასთან ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი იქნება შეტანილი მცირედი წვლილი ონომასტიკური კვლევა- ძიების განვითარების საქმეში.

სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად შევისწავლეთ ვალესა და მის ტოპონიმიასთან დაკავშირებული სამეცნიერო თუ სხვა წერილობით მასალა, ასევე ჩავატარეთ საველე სამუშაოები. ტოპონიმთა კვლევის მიზნით, გავესაუბრეთ ადგილობრივ ინფორმატორებს, ერთთან ჩანერილი მასალა დავაზუსტეთ რამდენიმე მათგანთან. მოვიწახლეთ თავად ტერიტორიები. მოპოვებული ინფორმაცია გავშიფრეთ და დავახარისხეთ, ტოპონიმთა კლასიფიკაცია საერთო დანიშნულების მიხედვით მოვახდინეთ. ნაშრომის შესაქმნელად ჩავატარეთ მულტიდისციპლინური ხასიათის კვლევა, უფრო კონკრეტულად კი გამოვიყენეთ აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, არეალური და სტრუქტურული მეთოდები, რამაც სამიზნე საკითხის მრავალმხრივად შესწავლის საშუალება მოგვცა.

ქალაქ ვალის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ქალაქი ვალე ახალციხის მუნიციპალიტეტის პატარა ძველ-მესხური სოფელი, 1962 წლიდან კი ქალაქის სტატუსის მქონე დასახლებაა. მას **აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქალაქი ახალციხე, დასავლეთიდან თურქეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთიდან ადიგენის რაიონი, ხოლო სამხრეთიდან სოფელი ჰამაჯი.** ვალის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია დანალექქანებს: ქვიშებს, გვხვდება ასევე მოვაკებული ტერასები, გორაკ-ბორცვები, ვულკანური მთები. ვალემიმთიანი სტეპის ჰავაა, ზომიერად კონტინენტური.

ვალის შესახებ ცნობებს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც ვხვდებით: „ვალე-რაიონული დაქვემდებარების ქალაქი, (1962 წლიდან) ახალციხის რაიონში, სამხრეთ საქართველოში, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, ერუშეთის ქედის სუსტად დახრილ კალთაზე... **ვალე**, როგორც ქალაქი წარმოიქმნა მურა ნახშირის მოპოვებასთან დაკავშირებით, მაგრამ დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გამო ნახშირის მოპოვება 1974 წლიდან შემცირდა (ქსე, 1979:281).“

ენციკლოპედიაზე ადრე, ქალაქ ვალის შესახებ ცნობებზე-19 საუკუნის ბოლოს, 1897წ. წერილობითი, არაფორმალური სახით

მოიპოვება კონსტანტინე გვარამაძის ჩანაწერში: „ახალციხიდან 10 ვერსის სიშორეზე იქნება ეს სოფელი. აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარე წვრილ სერ-გორებიანია, დასავლეთი და ჩრდილო-უფრო ვაკეებია: ამ სოფლის აღმოსავლეთით პამაჯია, წინუბნისა და აბათხევის სოფლები მდებარეობენ, სამხრით-ნაოხრების სოფელი, ჩრდილოთ, ფოცხოვის მდინარის გაღმა,- ჭიხელი, ფარება და მეშურნეთიდა დასავლეთით, ფოცხოვის მდინარის გაღმით, წარბათუბანი და არალი (გვარამაძე, 1897:5).

იმავე კონსტანტინე გვარამაძის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ვალეში ცხოვრობს 140 მოსახლე. არიან მართმადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანი მესხები, სულ 1500 სულამდის იქნებიან. აქვთ თლილი ქვითკირის ეკლესიები და ჯამე (საკრებულო). ხალხი მეტად გამრჯე, მუშა, ხეელ-გამომავალი არის, ზამთარ-ზაფხულ, კაცით-ქალამდის: მშვიდობიანი, კაცთ-მოყვარე და კარგი ყოფა-ქცევისა. იშვიათად მოხდება ამათში ავ-კაცობა: გარეშე ავაზაკი აქ ვერ ნავარდობს ვერასოდეს, მიტომ, რომ გარეშე მოვრცელი ვაკეები აქვთ. ერთმანეთიც ძმურად უჭირავთ, რადგან ერთი ტომი ერთ-ხორც-სისცხლი არიან. მაჰმადიანები მთლად მართლ-მადიდებლების და უმრავლესნი კათოლიკეების განაყოფები არიან. არსებობს აქ მართმადიდებელთა საკვირაო სკოლაცა“ (გვარამაძე, 1897: 6).

„სავარაუდოდ, 1962 წლის ნოემბრის თვიდან გახდა ვალე ქალაქი. მისი ქალაქობა განაპირობა, როგორც ამას ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ადასტურებს, ქვანახშირმა. მოსახლეობა ქვანახშირს ყოველთვის იღებდა ვალის ტერიტორიიდან და იღებს დღესაც, მაგრამ მისი ექსპლოატაცია, ამოღება განსაკუთრებით გაიზარდა ომის შემდგომ წლებში, რასაც მოჰყვა მუშახელის მოზიდვა (ბერიძე, 2013: 40). ვალემ დაიწყო გაზრდა- განვითარება.

თუმცა, მალაროთა ფუნქციონირების შეწყვეტამ აღნიშნული პროცესი რადიკალურად შეცვალა საპირისპიროდ. მოსახლეობის ნაწილმა უმუშევრობის გამო კვლავ იწყო გადინება, შიდა მიგრაციის პროცესმა იმატა, რამაც ქალაქის განვითარება ნაწილობრივ შეაფერხა კიდევ.

„ჩვენი ოჯახის თბილისიდან ვალეში წამოსვლა მაღაროებში ქვანახშირის მოპოვებას უკავშირდება, გვიყვება ქალაქ ვალის მკვიდრი - ლარისა ფარმანიან:

„ჩვენ ჯერ თბილისში ვცხოვრობდით, როდესაც ვალეში მაღაროებმა დაიწყეს ფუნქციონირება, აქ მყოფმა მამას ბიძაშვილმა ურჩია ვალეში ჩამოვსულიყავით, წამოვედით კიდეც, ეს გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურული იყო. მაღაროებში მომუშავედ ჩამოსულ მუშა ხელის ოჯახებს საცხოვრებლით უზრუნველყოფდნენ, ჩვენ მეორე შახტად რომ მოიხსენიებენ, იქ დავსახლდით. მეც აქ დავიბადე. მამამ მაღაროში დაიწყო მუშაობა. მასხოვს, ამ პერიოდში სწრაფად იწყო ქალაქმა განვითარება. 4 მაღარო მუშაობდა, ფუნქციონირებდა სამი საშუალო სკოლა, აქედან 2 ქართული, 1 კი რუსული, რუსულენოვანთათვის. ვინაიდან ვალეში სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული, რუსულენოვანი მოსახლეობაც საკმაოდ ჭარბობდა, იყვნენ ბერძნებიც. რაც შეეხება ვალეში მცხოვრებ სომხებს, ისინი ძირითადად ჯავახეთიდან არიან წამოსულები. ჩვენც წარმოშობით იქიდან ვართ. ამ დროს ვალეში აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდა ბაგა-ბალი, აშენდა და შევიდა ექსპლოატაციაში ვალის კულტურის სახლი, რომელიც თავისი სიდიდით და შიდა ინტერიერით საქართველოში მესამე ადგილზე იყო. ამავებერიოდს ეკუთვნის „კორპუსის სტილის“ რამდენიმესართულიანი სახლების აშენება, ახლანდელი ე.წ. ვალის „ქალაქის ტიპის დასახლება“ მაშინ განაშენიანდა და მოეწყო, სწორედ აქ მისცეს ჩვენს ოჯახსაც საზიარო ბინა სხვა მაღაროელებთან ერთად, რის გამოც გადმოვედით ვალეში საცხოვრებლად. სამწუხაროდ, რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ, მამამ ფიზიკური ტრანვა მიიღო და ველარ განაგრძო მაღაროში საქმიანობა, თუმცა ოჯახით ისევ ვალეში დავრჩით, აღარ გვიფიქრია არსად წასვლა, აქვე გარდაიცვალნენ ჩემი მშობლები (ინფორმატორი: ფარმანიან ლარისა, დაბადებული 1954 წ.).

დღეს ქალაქი ვალე, საკმაოდ განვითარებული და კეთილმოწყობილი დასახლებაა. მართალია, ქალაქის დასახლებისათვის საჭირო მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელს ველარ აკმაყოფილებს, მაგრამ მაინც ინარჩუნებს მის სტატუსს. ვალეში ფუნქციონირებს სამი საჯარო სკოლა, მოქმედებს კულტურის სახლი,

ასევე, ვალის საზოგადოებრივი ცენტრი, სამუსიკო სკოლა, ამბო-
ლატორიული, საპატრულო და სახანძო ობიექტები. მასზე ვაღი-
თურქეთისკენ მიმავალი ცენტრალური სატრანზიტო გზა, სასა-
ზღვრო პუნქტიც - ვალის საბაჟო-გამშვებ პუნქტად მოიხსენიება,
რომელიც 1995 წელს გაიხსნა. ყოველივე ჩამოთვლილის გამო
პატარა ქალაქი არ კარგავს თავის მნიშვნელობას, ფუნქციასა და
საინტერესო ისტორიულ წარსულს.

ოიკონიმ - „ვალის“ სახელდების ხალხური ეტიმოლოგიები

მრავალი საინტერესო თქმულება-გადმოცემა არსებობს ჯერ
კიდევ სოფელ ვალის დაარსებასა და მის სახელდებაზე. უმრავლესობა რა
საკვირველია, ხალხურ ეტიმოლოგიას ემყარება. ვალის
მოსახლეობა წლების განმავლობაში მესხიერებაში კარგად ინახავ-
და წინაპართაგან გაგებულ თავიანთი სოფლის (მოგვიანებით
ქალაქის) დაარსების იტორიას, თუმცა დროს თავისი მიაქვს და
დღეისთვის უკვე ძალიან ძნელია ვალეში ისეთი პიროვნების მო-
ძებნა, ვინც ამ საკითხზე ღირებულ ინფორმაციას მოგვანდის, ან
მისი ვერსია აქამდე არსებულ, ტრადიციულისგან რადიკალურად
განსხვავებული იქნება. ამის კვალად, ის ცნობები, რაც აქამდე
წერილობით დაფიქსირებულია ჩვენი საკვლევი ობიექტის დაარ-
სებასა და სახელდებასთან დაკავშირებით, მეტად ძვირფასი და
საჭიროა ჩვენთვის.

ისტორია იცნობს გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, მწერალ-
პუბლიცისტს, ხალხური სიტყვიერებისა და ისტორიულ-არქელო-
გიური მასალების შემკრებ ივანე გვარამაძეს (1831-1912 წწ.),
რომელიც ვინმე მესხის ფსევდონიმით არის ცნობილი. იგი სოფელ
ვალეში დაიბადა, სწორედ ჯერ კიდევ მის ჩანაწერებში ვხვდებით
ძვირფას ცნობებს მშობლიური სოფლის ეტიმოლოგიაზე, მისი
თქმით, **ოჯორჯლელი ხუცესი ჭორატში** გადაეყარა ჭანმგლებს,
რომლებმაც იმსხვერპლეს, რის გამოც იგი ამბობს:

„ხელი ვჰკარ აქ გავქვავდი, მოვჰკვდი, გარდვიხადე ვალი,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, ჭორატს ქვას აჩნია მშრალი“
(გვ. 118, 1882:121).

როგორც ჩანს, გვარამაძის ჩანაწერის მიხედვით, ოიკონომიკური **ვალე - ვალის გამოა** დარქმეული.

ერთი საინტერესო ეტიმოლოგია ვალის დაარსების შესახებ ვხვდებით მე-20 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1902 წელს **ბაგრატი ბეთანელის** მიერ ჟურნალ „მოგზაურის“ მე-5 ნომერში, სადაც წერია: „ერთხელ, ძალიან ძველ დროს, ერთ იმერელს აბასთუმნის გზით აქეთკენ ჩამოუვლია, გაუტოპავს **ფოცხოვის წყალი** და დაუნახავს ერთი ძველი ტაძარი; მისულა, დაუთვალიერებია, ძალიან მოსწონებია და დაბრუნებისას ერთი მუჭა ცერცვი მიუბნევია და უთქვამს: „**ეს შენ მოგავალეო.**“

რამდენიმე თვის შემდეგ ამ იმერელს ისევ აქეთ გამოუვლია და უნახავს, რომ მის მიერ ტაძართან მიპნეული ცერცვი ამოსულიყო და ძალიან გაზრდილიყო. იმერელს მოსწონებია ეს ადგილები და გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად. როცა ეს ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს: „**ვალი მივილეო.**“ ამიტომაც ამ სოფელს ჯერ **ვალი** რქმევია და შემდეგ **ვალე** დარქმევია (ბეთანელი, 1902: 334).“

ამ ორი წერილობითი ჩანაწერის გარდა დანარჩენ ხალხურ ეტიმოლოგიებს ვალის შესახებ ვალელი ინფორმატორები იძლევიან. ამ საკითხზე მასალები რამდენიმე წლის წინ ჩანერილი აქვს ვალის მკვიდრ და აწ უკვე გარდაცვლილ ისტორიკოს **სააკ ზაქროშვილს** და ენათმეცნიერ **მერაბ ბერიძეს**. ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლისას, საჭიროდ მიგვაჩნია, მათ მიერ შეგროვებული მასალის გაცნობა. მოვიხმოთ კიდევ რამდენიმე გადმოცემა.

ვალს უკავშირდება სოფელ ვალისდაარსების კიდევ ერთი ხალხური ეტიმოლოგია. ამბის მიხედვით, დღევანდელი ვალის ტერიტორია დაფარული ყოფილა გვიმროვანი მცენარეებით. მდინარე ფოცხოვთან ახლო სოფლიდან, რომელსაც **ირქა** ერქვა. წამოსულა მონადირე, ჩამოჰყოლია მდინარეს და მისულა ეკლესიასთან, მოსწონებია. მონადირეს ჯიბეში ფეტვის მარცვლები ჰქონია, ფეტვის მოსახლეობა საკვებად იყენებდა. მიუბნევია მონადირეს ფეტვი ეკლესიის მახლობლად და უთქვამს: „**შენთვის მომივალეზიო.**“ შემოდგომით, როცა მოსულა უნახავს, რომ ფეტვი ამოსულა, გაზრდილა და შეუკრავს ეკლესია. მონადირესაც უფიქრია, **ვალი მივილეო**. მას მოსწონებია ეს ადგილი, დასახლებულა ეკლესიის მახლობლად. მონადირის შთამომავლებად ვალეში **ნადირაძეები**

ითვლებიან, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ვალეში, ამასთან, სწორედ იმ ეკლესიის მახლობელ ტერიტორიაზე, რომელიც საჯარო რაიონით ამ გადმოცემამაია ნახსენები (ბერიძე, 2013:38).

ვალის დაარსების ამბავი მსგავსი სახით ვითარდება მოგზაურსა და ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის ჩანაწერებში, რომლებიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ბოჭორიძე წიგნში „**მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში**“ აღწერს რა ვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის მართმადიდებლურ ეკლესიას, მასთან მოიხმობს ვალის დაარსების ხალხურ ეტიმოლოგიას, სადაც ვკითხულობთ: „ძველად აქ გაუვალა ტყე ყოფილა. დასავლეთიდან წამოსულა მონადირე, აქ შეფეთებია, ამ ეკლესიას. ეზოში დაუთესია ფეტვი, ძლიერ მოსწონებია მიხვდა, რომ პოხიერი მიწა ყოფილა. იქიდან რამდენიმე კომლი წამოუყვანია და აქ სოფელი გაუშენებია. თვითონ მპოვნელი დასაფლავებულია ეკლესიის ახლანდელი ეზოს აღმოსავლეთით 12-13 მ-ზე დაშორებით, **ილარიონიძეების** ბაღში. მისი ჩამომავალნი იწოდებიან **ტირალათეებად**-ისინი იყვნენ **ნადირაძეები**. მათი ჩამომავალნი ქართველი მაჰმადიანებიც არიან და ქართველი მართმადიდებელნიც (ბოჭორიძე, 1992: 160-161).“

აღნიშნული ამბის ინერპრეტაციაა გადმოცემა, რომელიც **მერაბ ბერიძეს** აქვს ჩანერილი (მთხრობელი - ვალის მკვიდრი ნოდარ იოსების ძე ჩიტაძე: 1934-2018წწ.) ვალის ეტიმოლოგია შემდეგია: - „ფოცხოვის გაღმიდან ვილაცა მონადირე წამოსულა, გადმოუღახავს მდინარე, შემოჰყოლია **წყიპირის წყალს/წყლიპირის წყალს** (წყლიპირის წყალი იწყება **ადმახევის ღელიდან**, ჩამოივლის **სამხედრო დასახლებას**, ჩაუვლის ეკლესიას და ჩადის **მდ. ფოცხოვში** მარჯვენა ნაპირზე), მოსულა ეკლესიამდე, სოფელი დამშეული ყოფილა, მონადირეს მოუბნევია ფეტვი ეკლესიასთან და მიწისთვის უთქვამს - **შენთვის მომივალეზაო** (ბერიძე, 2013:36).“

ამავე ინფორმაციის ცნობით, „თურქებსა და ქართველებს შორის სულ გართულებული მდგომარეობა იყო. ისინი იტაცებდნენ ქართველებსა და ჰყიდდნენ სტამბოლის ბაზარზე. დახვდებოდნენ გზაზე და რაც ჰქონდათ, ყველაფერს ართმევდნენ. თურქებს ეხმარებოდნენ დაქირავებული ლეკები. ადგილობრივი მაჰმადიანები ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენდნენ. იყვნენ ქართველები, ვინც მათ ებრძოდა- ჯავრს იყრიდა. ვალე ყოველთვის იყო გზაჯვარედინზე,

ქართველები, ვინც მოძალადეს ხოცავდნენ და თავისიანს ათავისუფლებდნენ, **ვალს იხდიდნენ**. მტრის მოკვლა სამშობლოს წინაშე **ვალის მოხდა** იყო სახელიც იქიდან შეერქვა (ბერიძე, 2013:38).“

ამავე რიგისაა თქმულება, რომელიც **საკ ზაქროშვილს** თავის დროზე 80 წლის პანტელ ნადირაძისაგან ჩაუნერია: „ძველ დროს, როცა თათრები იტაცებდნენ ჩვენს ბავშვებსა და ქალებს, სოფლის ვაჟკაცები დახვდებოდნენ სოფლის ბოლოს და ანთავისუფლებდნენ ქართველ ტყვეებს. ეს ვაჟკაცები თავის **ვალად** თვლიდნენ, რომ მუდამ ებრძოლათ ქართველი ტყვეების განთავისუფლებისათვის და ამიტომ დაერქვა სოფელს ვალე (ზაქროშვილი, 1981:69).“

ეს უკანასკნელი ორი გადმოცემა ყველაზე მეტადაა მოკლებული საღ აზრს, ვინაიდან თურქთა ბატონობა საქართველოში ბევრად გვიან იწყება (მე-16 საუკუნიდან), ვიდრე ვალე დაარსდებოდა. ამას ვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის მართმადიდებლური ეკლესიაც ადასტურებს, რომელიც მე-10 საუკუნის ძეგლია.

მერაბ ბერიძეს კიდევ ერთი გადმოცემა აქვს ჩანერილი ვალის დაარსების შესახებ (მთხრობელი: პეტრე დარბაიძე, დაბადებული 1930წ.), რომელშიც მონადირის გვარი-**ნადირაძეა** დასახელებული და მესხეთში გავრცელებული სხვა სოფლებივით, აქაურ ეკლესიასაც წყლის წაღებულ ნაფოტს ამყოლი მონადირე აღმოაჩენს: „ვინმე **მონადირე ნადირაძე** ნადირობდა ფოცხოვის ნაპირზე. შემთხვევით შეამჩნია, რომ პატარა ღელემ ჩამოიტანა მდინარეში ნაფოტი. დაინტერესდა ამ ნაფოტის გამო და აუყვა ღელეს სათავისაკენ. ამოვიდა მალა, ნახა ეკლესია. სახლში წასვლისას მოიჩხრიკა ჯიბეები და ნახა, რომ მარცვლები ჰქონდა ჯიბეში, მოაპნია მარცვლები ეკლესიის გარშემო და შეევედრა, შენთვის მომივალეზიო ეს მარცვლებიო. შემდგომ რომ მოვიდა მეორეთ, ნახა, რომ ხორბლები გაზრდილია ისე, რომ მოსავალი ასაღებია. დღეს სოფელში გარკვეული ადგილი უჭირავთ **ნადირაძეებს, 30-40 კომლი იქნება**. მაგათ სახელზეა ეს სოფელი (ბერიძე, 2013:36).“

მტრისაგან ტყვეების გათავისუფლებას ეხება გადმოცემის სხვა ვარიანტიც:

„როდესაც ადამიანების ყიდვა-გაყიდვა არსებობდა, ყმათა გასაყიდი იაფი ბაზარი ახალციხე იყო. იაფად ნაყიდ ყმებს უყენებდნენ თურქეთის გზას. ვალიდან ახალციხემდე 12 კილომეტრია.

ვალეში ლამეს ათევენენ ტყვეებით მოვაჭრენი. ნაყიდი ყმები ერთიმეორესთან გადაბმული იყვნენ თოკით. ვალის მკვიდრნი თავს ესხმოდნენ ადამიანებით მოვაჭრეებს და ტყვეებს ათავისუფლებდნენ. ისინი ამით ვალს იხდიდნენ ხალხისა და ადამიანების წინაშე (ნადირაძე, 2001 :66).“

ასევე, ერთი გადმოცემა არსებობს ვალის შესახებ, რომლის ჩანერა ისევ სააკ ზაქროშვილს ეკუთვნის, მასში ტრადიციული მონადირის ნაცვლად, მოქმედი პირი მდიდარი კაცია: „ერთხელ, ძალიან ძველ დროს, ერთი შეძლებული კაცი თავისი თანმხლებით სტუმრად ჩამოსულა სოფელ ორლიდან (პამაჯის მეზობელ სოფლიდან) სოფელ ოჯორჯალზე გადმოვლით მაშინდელ სოფელ ირქას (თუ ყორაშენს) და რომ ჩამოუვლია იქ, სადღაც ამჟამად ჩვენი ეკლესია დგას, დაუსვენია ტყეში პატარა მდინარის პირას, რომელიც მაშინ თურმე წყალთბილის მხრიდან ჩამოედინებოდა. ამ მდიდარ კაცს მოსწონებია ეს ადგილები და უთქვამს: „ჩემი ვალია მეზობელ სოფლის მოსახლეობის დახმარებით აქ ეკლესია ავაშენო“. მართლაც ყველა მეზობელი სოფლის მცხოვრები მოსულა ამ ეკლესიის მშენებლობაზე, შემდეგ კი ამავე სოფლებიდან მოსახლეობის ნაწილი გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად, სოფელსაც ვალი, შემდეგ კი ვალე დარქმევია, რადგან ამ მდიდარს უთქვამს: „ჩემი ვალია ეკლესია ავაშენო“ (ზაქროშვილი, 1981:69). „ამ ლეგენდისა თუ გადმოცემის გამოძახილია, რომ დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა თავს ვალის გარშემო მდებარე ნასოფლარების მემკვიდრედ თვლის (ბერიძე, 2013:39).“

შემდეგი ვერსია ვალის წარმოშობის შესახებ ეკლესიის მშენებლობასთან არის დაკავშირებული: „არ არის ცნობილი, თუ რომელი ეკლესია შენდებოდა, მაგრამ გადმოცემის თანახმად, დღევანდელი ვალის ირგვლის ტერიტორიები, რომელიც დღეს-დღეისობით დაუსახლებელია, ადრე დასახლებული ყოფილა. დღეს მხოლოდ მათი ტოპონიმებია შემორჩენილი (არჯანა, ოჯორღალი, კორაშენი, ჭანჭახები და სხვა). სოფლის მოსახლეობას უნდა გადაეხადა გადასახადი, მიეღო მონაწილეობა მშენებლობაში. გამოყოფილი ადამიანი, რომელიც გზირად იწოდებოდა, ჩამოივლიდა სოფელსა და კრეფდა გადასახადს. ერთ-ერთ სოფელ, რომელსაც ჭანჭახები ერქვა უთქვამს: „ჩემი ვალი მაგ ეკლესიის მიმართ უკვე მოხდილი

მაქვსო“ (ნადირაძე, 2001:66-67). სწორედ ამ ამბავს ეხმიანება ს. ზაქროშვილის მიერ ჩაწერილი შემდეგი ინფორმაცია: „მართალია, არ ვიცით არავინ, თუ ვინ ააშენა ეს ეკლესია, მაგრამ ის კი გამიგია, რომ ძალიან ბევრი ხალხი მოსულა მეზობელ სოფლებიდან ამ ეკლესიის მშენებლობაზე. იმდენი ხალხი ყოფილა, რომ ხელიდან ხელში გადაწოდებით ჩვენ ხალხს მთიდან ქვები ჩამოჰქონდათ“ (ზაქროშვილი, 1981:69).

ამრიგად, ძალზედ საინტერესოა სახელი - ვალე თავისი ხალხური ეტიმოლოგიებით. ისინი ძალზე ძვირფას ცნობებს ინახავენ მისი ისტორიის, ხალხის მსოფლმხედველობისა თუ ტრადიციების შესახებ, რის გამოც არ შეიძლება ეს ყოველივე მიეცეს დავინწყებას. ეტიმოლოგიის თითოეულ ვარიანტში თავისებურადაა ახსნილი და გამართლებული ვალის სახელდება, შესაძლოა ზოგიერთი მათგანი ისტორიულად საღ აზრს ნამდვილად მოკლებულია, არ არის სარწმუნო, მაგრამ ეს ხომ ისაა, რაც წლების განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ასე იცოდნენ და ასე სჯეროდათ ვალელებს. ვფიქრობთ, არც დღეს არ ღირს მათი დავინწყება, მით უფრო, რომ, რადგან ქალაქის დაარსებასა და სახელდებასთან დაკავშირებით ჩვენ არ გაგვაჩნია ზუსტი რაიმე ისტორიული დოკუმენტი, მოგვიწევს, ხალხური ეტიმოლოგიებით დაკმაყოფილება.

ვალის მოსახლეობა XVI საუკუნეში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

მე-16 საუკუნის სოფელ ვალის მოსახლეობის შესახებ ცნობებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იძლევა, რომელიც ოსმალთა მოხელეთა მიერ 1595 წელს არის შედგენილი. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთი ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი, რომელიც მე-16 საუკუნის მიწურულს სოფელ ვალის მოსახლეობის, მისი ანთროპონიმიის თაობაზე გარკვეულ სურათს გვიქმნის.

მე-16 საუკუნის სამცხე-საათაბაგოში გაგატონებულ ოსმალებს იგი **სანჯაყებად (ლივებად)** აქვთ დაყოფილი: **1. ახალციხის ლივა, 2. ხერთვისის ლივა, 3. ახალქალაქის ლივა, 4. ჩილდირის ლივა,**

5. ფოცხოვის ლივა, 6. პეტრას ლივა, 7. ფანაკის ლივა, 8. დიდი არტაანის ლივა.

ლივები თავის მხრივ დაყოფილია რაიონებად (ნაჰიებად). სულ 8 სანჯაყი და 28 რაიონია.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია. მათ შორისაა სოფელი ვალე, რომელიც ახალციხის ლივის, ჩრდილის ნაჰიეს შემადგენლობაში შედის (ჯიქია, 1941:37-38).

მე-16 საუკუნის მიწურულს ვალე საკმაოდ დიდი, 59 კომლიანი სოფელია. „დავთარში“ დადასტურებულია ვალის მკვიდრი 1475 კაცი, რომელთაც გადასახადის გადახდა აკისრიათ ისფენჯის სახით. ვალელები ბეგარას იხდიან ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ოსპზე, ცეცვზე, სელის თესლზე, შირაზე, კაკალზე, ხილზე, იონჯასა და თივაზე. გადასახადი აქვთ დაკისრებული ბოსტანზე, ფუტკარზე, თაფუზე („თაფუ ეწოდება მიწის ნაკვეთს. იგი წარმოდგება სიტყვიდან „თოფრაკ“ (მიწა). მესაკუთრისაგან მიწის ნაკვეთზე გაცემულ ცნობას, სადაც დაფიქსირებული იყო „რაიათის“ უფლება „თაფუ“ ეწოდებოდა) (ლომსაძე, 2011: 402) და დემთიბანზე, ღორის შენახვაზე, იალალზე, ასევე ქორწინებაზე. სულ 25 000 ისფენჯია წლიურად გადასახდელი (ჯიქია, 1941:38).

ზემოთ ჩამოთვლილი სათესლე კულტურების მოყვანისათვის გადასახადის გაღება, გვაფიქრებინებს, რომ ვალეში ამ პერიოდისათვის ისინი უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე მაგალითად, ვენახი, რომელიც განსხვავებით სხვა სოფლებისაგან მაგ: სოფ. ზემო მარდა, სოფ. უდე, სოფ. მეიდან, სოფ. ირქა (ჯიქია, 1941:49, 55, 57, 59) ვალელთა გადასახადების ნუსხაში არ დასტურდება. ასევე, შინაურ ცხოველთაგან ვალეში მარტო ღორია წარმოდგენილი და არა მაგ: ცხვარი, როგორც სხვა სოფლების შემთხვევაში. მაგ: სოფ. დიდი მერქეი, სოფ. არჯანა, სოფ. ოჯორჯალი... (ჯიქია, 1941: 45, 50, 51).

მე-16 საუკუნის ბოლოს ვალის მოსახლეობის შესახებ საუბრის საშუალებას მხოლოდ „დავთარში“ წარმოდგენილი ანთროპონიმი - ოჯახის უფროსთა სახელები მამის სახელებითურთ იძლევა. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი: ხახუთა ბაბანასძე, ნურალი ძე მისი, თარალა ბაბანასძე, ვარძელა

ილარიონისძე, ფანოსა ძე მისი, ელია ძე მისი, დავითა ძმა მისი და სხვ. პიროვნებათა დასაკონკრეტებლად „დავთარში“ ხელობის სასახლეებიცაა გამოყენებული. მაგ: ვარძელა ზეინკლის შვილი, ზეინკლის შვილია ასევე როსაფა, ჩანს, ზეინკლობა პოპულარული პროფესიაა ამ პერიოდის ვალეში. ასევე, მოხსენიებულია აზარია მღვდელი (ჯიქია, 1941:37-38).

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა დიდ წნეხს განიცდიდა ოსმალთა მიერ და გაუსაძლისი ხდებოდა ცხოვრება, თუნდაც გადასახადთა გამო, „დავთარში“ წარმოდგენილი ანთროპონიმური მასალიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მე-16 საუკუნის მიწურულს ვალის მოსახლეობის უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელების დარქმევა, ყოველთვის როდი ნიშნავდა ისლამის მიღებას (ბერიძე, 2010:219).

„დავთარის“ მიხედვით წარმოდგენილი პირსახელები შეიძლება დაიყოს ოთხ ნაწილად: 1. ქართული წარმოშობის სახელები, 2. ქრისტიანული კანონიკური სახელები, 3. თურქული წარმოშობის სახელები, 4. სომხური წარმოშობის სახელები. (კობაიძე, 2015:12).

ქართული წარმოშობის სახელთაგან სოფ. ვალეში წარმოდგენილია: ღარიბა, ვარძელა, მახარა, ნადირა, მამულა, ახალბედ, გელა, ხახუტა, გაბადულა, ცხადა, ოქროპირ, ნიორა და სხვა (ჯიქია, 1941:37-38).

ქრისტიანულ-კანონიკური სახელებია: დავითა, აზარია, ლაზარე, თადეოზი, ელია, ზოსიმე, ზაქარია, სიმონა და სხვა (ჯიქია, 1941:37-38).

აღმოსავლური წარმოშობისა ჩანს: ყაზარა, ნურალი, მაზანა, როსაფა, მირასა, ფოსხა, ბადურა და სხვა (ჯიქია, 1941:37-38).

რაც შეეხება სომხურს, სახელის სემანტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ მხითარი (ჯიქია, 1941:37-38).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით ირკვევა, რომ მე-16 საუკუნის ბოლოსთვის ვალის ოჯახების უფროსთა შორის ყველაზე გავრცელებული სახელია -ბადურა, რომლის მოფერებით ფორმასაც ვხვდებით „დავთარში“ ბადურას სახით (ჯიქია, 1941: 38). ბადური თურქულად „გმირს“, „გოლიათს“, „მამაცს“ ნიშნავს. წარმოშობით მონღოლური სიტყვაა, თურქეთში

იგივე **ბაჰადურის** სახით გვაქვს მისგან არის მიღებული გვარები: **ბადურაშვილი** და **ბალათურია** (ჭუმბურიძე, 2003:129). ამასთან დაკავშირებით მერაბ ბერიძე აღნიშნავს, რომ „ბაადური ქართულში გვაქვს **ბადურის** სახით (შდრ. **ბადურაშვილი**), მისმა მოფერებითმა ფორმა-**ბადურამ**, არ შექმნა გვარი (ბერიძე, 2010:226).“

მე-16 საუკუნის ვალეში გავრცელებული ჩანს სახელი-**ბატატა**. „ამ სახელიდან მიღებული გვაქვს გვარები: **ბატატაშვილი**, **ბატატუნაშვილი**, **ბატაშვილი**, **ბატიაშვილი**. სახელი უნდა დაეუკავშიროთ ფრინველის სახელს. **ბატა** შეერქმეოდა ადამიანს, ისევე როგორც **ნერო** (შდრ. **ნეროძე**), **კაჭკაჭა** (შდრ. **კაჭკაჭაშვილი**), **ქორი** (**ქორიძე**) და სხვ. ჩამოთვლილი გვარები საშუალებას გვაძლევს, **ბატატა** დავშალოთ შემდეგნაირად: **ბატ-ატ-ა**. სახელში გამოიყოფა კნინობითობის სუფიქსი-**ატ** ისევე, როგორც **ბატიაში** არის კნინობითი სუფიქსი -**ია**, ასევე -**ატ** გამოიყოფა სხვა საკუთარ სახელებშიც, მაგ: **გიორგის** კნინობითი ფორმებია **გოგია**, **გოგა**, **გოგიტა**, **გოგატა**... (ბერიძე, 2010:218).“

ამავე პერიოდის ვალეში მამაკაცის პოპულარული სახელია **ვარძელა**. „დავთარში“ იხსენიება **ვარძელა ზეინკის შვილი**, **ვარძელა მირაქასძე**, **ვარძელა ილარიონისძე** (ჯიქია, 1941:37-38). სახელი „დავთარის“ სხვა სოფლებშიცაა ნახსები. მაგ: **სოფელი უდე**, **სოფელი არჯანა**, **სოფელი ჯორახეთი** და სხვა (ჯიქია, 1941: 50, 52, 55-56).

„სახელი **ვარძელი**, რომელიც ვარძიდან წამოსულ კაცს დაერქმეოდა თავიდან და, ეტყობა, შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ამ სახელისგან არის მიღებული გვარი **ვარძელაშვილი**. -ელ სუფიქსით გაფორმებული წარმომავლობის სახელები უძველეს სახელთა რიგს მიეკუთვნება ქართულ ანთროპონიმიაში (ბერიძე, 2010:216, 2012:14-15). თუმცა, ლამზირა კობაიძეს საინტერესოდ მიაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებული ი. მაისურაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „გეოგრაფიულგვარსახელთა განსაზღვრისას მკვლევარი იმის გამო რომ -ელ ფორმანტი ორფუნქციურია (სადაურობის გარდა კნინობითობასაც გამოხატავს), დაბრკოლებას აწყდება, ძნელდება სემანტიკური ტიპის დადგენა. ასე მაგალითად, **ვარძელაშვილ-ში ვარძელა** კნინობითი საკუთარი სახელის ფორმა ჩანს (**ვარძ-ელ-ა**), **ვარძე**, რომ საკუთარი სახელი ყოფილა, ამაზე

მიგვითითებს მისი დერივატებიც: **ვარძუკა** (შემონახულა **ვარძუკაშვილში**), **ვარძია** (**ვარძიაშვილი**) და რთული ფუძე (**ვარძიგულაშვილი**), მაგრამ იგივე ფუძე სადაურობის მაჩვენებელ სიტყვადაც შეგვეძლო მიგვეჩნია **ვარძიელა** (= **ვარძიის მკვიდრი**), მით უფრო, რომ არსებობს გვარსახელი **ვარძიელიც** (კობაიძე, 2015:143-144).“

„დავთარში“ ვალის პირსახელებში მოხსენიებულია **გოგიჩა-გოგიჩა ალყანდასძე, გოგიჩა გაბადულას შვილიშვილი** და **კიკოლას ძმა**. გოგიჩა გიორგის მოფერებითი ფორმაა. მისგანაა მიღებული გვარები: **გოჩიაშვილი, გოგიჩაშვილი, გოგიჩაშვილი, გოგიჩაძე** (ბერიძე, 2010; 2018).

გოგიჩას გვერდით „დავთარში“ სახელ **გრიგოლსაც** ვხვდებით. **გრიგოლა ქაშალას(?)ძე, გრიგოლა თადეოზასძე**. გრიგოლ (ბერძ. „მღვიძარე, „ფხიზელი“) ფართოდ გავრცელებული სახელია, როლის კნინობითი ფორმებია: **გიგა, გიგი, გიგო, გიგლა, გიგოლი, გიგოლა** (მათგან ზოგი დამოუკიდებელი სახელიც უნდა იყოს) (ჭუმბურიძე, 1992:105). **გრიგოლისგან** უნდა იყოს ნაწარმოები გვარები: **გრიგოლია, გრიგოლაშვილი, გრიგოლავა**. ტოპონიმები: **გრიგოლეთი** (სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში), **გრიგოლიში** (სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში).

ვალეში დასტურდება ქრისტიანული სახელი **დავითა**, რომელიც **რევაზას** შვილია. ჩანს, რომ მის პაპასაც **დავითი** რქმევია, ოღონდ იგი **დავითის** მოფერებითი ფორმა-**დათუნას** სახელით არის მოხსენიებული (ჯიქია, 1941:38). **დავით** (ებრ. „საყვარელი“) ქართულში ერთ-ერთი გავრცელებული სახელია, ამას ადასტურებს მისგან ნაწარმოები გვარების სიმრავლეც: **დავითაძე, დავითიძე, დავითაშვილი, დავითაია, დავითიანი, დავითური**. კნინობითი ფორმები: **დათიკო, დათუკა, დათუნა**, მაგრამ სინამდვილეში ზოგ მათგანს კავშირი უნდა ჰქონდეს წარმართობისდროინდელ სახელთან, რომელიც **დათვ**-ისგან ჩანს წარმოებულს, (**დათუა, დათუნა...შდრ. მგელა-გელა, ფოცხვერა, ლომა** და სხვ.) ზოგი კი შეიძლება სულ სხვა წარმოშობის (ხურიტული) სახელი იყოს (ჭუმბურიძე, 1996:142-143).

ასევე ქრისტიანული სახელებია **ზოსიმე** და **ზაქარია**. „დავთარში“ მოხსენიებულია **აზარია მღვდლის ძმა ზოსიმე** და **ზურაბას**

ძმა ზაქარა, ასევე ზაქარას შვილიშვილი (ჯიქია, 1941:37-38).
ზაქარა-ზაქარია (ძვ. ებრაული სახელია და ნიშნავს „ღვთის მიერ
დავინწყებულს“) განსაკუთრებით პოპულარული იყო და არის
საქართველოში, რაზეც მიგვანიშნებს გვარები: **ზაქარიაძე, ზაქარა-
შვილი** (ჭუმბურიძე, 2003:158). რაც შეეხება **ზოსიმეს** ბერძნული
წარმოშობისაა და „სიცოცხლისუნარიანს“ ნიშნავს (ბერძ.ზოო
„ცოცხალი“, „ცხოველი“) (ჭუმბურიძე, 1992:115).

ძველებარაულისა ხელია **ენუქი** და „ზრდილს ნიშნავს“. „დავ-
თარში“ მოხსენიებულია **ენუქა**, რომლის მამის სახელი ოსმალუ-
რადაა მითითებული (ჯიქია, 1941: 38).

მე-16 საუკუნის ვალეში დასტურდება სახელი **მანასე-ზურაბა
მანასასძე**. მანასე ძველებარაული სახელია და ნიშნავს „დავინყე-
ბულს“ ან „დამვინყებულს“ (ჭუმბურიძე, 2003:183).

ქართულ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვან ფენას ქმნის ზმნა,
რომლის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელად ყოფილა
გამოყენებული. ზმნის პირიანი ფორმაა **მახარე** ან **მახარობელი**
(მოქ. გვარის მიმღეობა) (კობაიძე, 2015:14). ვალის მკვიდრთა შო-
რის მოხსენიებულია **მახარა გრიგოლასძე** (ჯიქია, 1941:38). აქ
სახელად ზმნის წარსული დროს დროის პირიანი ფორმაა გამო-
ყენებული.

ქართული სახელებია **ოქროპირ და მამუკა, ხახუტა, გელა,
მამულა**-მოხსენიებულია **ოქროპირ ქამაზასძე, მამუკა ზაქარასძე,
ხახუტა ბაბანასძე, გელა მხითარისძე-მამულას ძმა**, ასევე **მამულა**,
მამის სახელი ისევ ოსმალურადაა მითითებული (ჯიქია, 1942: 37-
38). **ოქროპირობა** თავდაპირველად ზედწოდება იყო მჭერმეტყვე-
ლი ადამიანის, კარგი ორატორისა (თარგმნილია ბერძნულიდან),
შემდეგ დამოუკიდებლ სახელად იქცა. მისი შემოკლებული ფორ-
მებია **ოქრო, ოქრუა** (ჭუმბურიძე, 1990:160). ამ უკანასკნელიდან
მოდის გვარი **ოქრუაშვილი, ოქროპირისგან-ოქროპირიძე, ოქრო-
პირაშვილი...** სახელი **მამუკა** მამასთან არის დაკავშირებული და
კნინობითობის მანარმოებელ -**უკ** სუფიქსით არის გაფორმებული.
ამ საკუთარი სახელისგანაა მიღებული მესხეთში გავრცელებული
გვარი-**მამუკაშვილი** (ბერიძე, 2010:219). **ხახუტა** ნანარმოებია
კნინობითი სუფიქსი -**ტა-სგან ხახუ** სახელზე დართვით (მდრ.
ბერიტა, გოგიტა, შოშიტა და მისთ.) მისგან მომდინარე გვარებია:

სახუტაშვილი, სახუტაიშვილი (ჭუმბურიძე, 1992:151). **მამულა** მამულისგანაა მიღებული, ქართულში მისგან ნაწარმოები გვევლინება: **მამულაშვილი, მამულაიძე, მამულია, მამულაიშვილი...** რაც შეეხება **გელას** იგი მიღებულია **მგელა**-სგან, ე.ი. ეკუთვნის ცხოველთა სახელებისგან ნაწარმოებ პიროვნულ სახელებს. ძველად მათი რიცხვი გაცილებით ბევრი იყო: **მგელია, მგელიკა, მგელუკა....მ**-ს დაკარგვითაა მიღებული: **გელა, გელია, გელუკა, გელიკა...** მათგან ნაწარმოები გვარებია საკმაოდ მრავლადაა ქართულში: **მგელაძე, გელაძე, მგელაშვილი, გელაშვილი, მგელია-შვილი, გელიაშვილი, გელეიშვილი, გელიკაშვილი, გელიტაშვილი, გელუკაშვილი, გელუტაშვილი, გელავა, გელოვანი** და სხვ. (ჭუმბურიძე, 1992:103).

ქართული ტოპონიმისთვის არაა უცხო, როდესაც ადგილს საფუძვლად ანთროპონიმი ედება. მაგ: თუნდაც ზემოთ ნახსენები **გრიგოლეთი**, ასევე **სიმონეთი**. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ვალის მოსახლეთა შორის მოხსენიებულია **მაზანა გულბაზისძე, ყაზარა მამულას ძმა და გაბადულას შვილიშვილი**. ანთროპონიმები **მაზანა** და **ყაზარბილიკი** დღეს დასტურდება ქალაქ ვალის ტერიტორიაზე, როგორც ტოპონიმები, **გაბადულა**, რომლისგანაც ფონეტიკური პროცესის შედეგად მივიღეთ **გაბადური**, მოხსენიებულია კონსტანტინე გვარამაძის 1897 წლის ჩანაწერებში სოფლის სახელია (გვარამაძე, 1897:9). დღეისთვის ნასოფლარის სახითაა. ზემოთ ნახსენებ **გრიგოლეთისა** თუ **სიმონეთის** შემთხვევაში, სახელები ტოპონიმიზაციის შედეგად გართულებულნი არიან **-ეთ** გეოგრაფიული დანიშნულების სუფიქსით, ვალის მაზანას შემთხვევაში კი **-ანთროპონიმი** პირდაპირ, გაუფორმებელი სახითაა გადმოსული ტოპონიმიში. რაც შეეხება **ყაზარას**, იგი **ყაზარ ბილიკში** მსაზღვრელად იქცა, რაც მისმა სემანტიკურმა მხარემ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ **ყაზარა** ვალეში ადამიანის მეტსახელადაც გვხვდება.

საინტერესო სახელი და ფორმაა **მხითარიც**. ვალეში ვხვდებით **მამულა მხითარისძეს**. ლამზირა კობაძის ცნობით, **მხითარი** არაქართულია, არაბულიდანაა შემოსული და „გზააცდენილს“, „ცოდვილს“ ნიშნავს. „ჩვეულებრივი ამბავია ანთროპონიმიში, როდესაც უცხო სიტყვა შემოდის დიალექტში, ან ენაში, სადაც

შეიძლება დაერქვას ადამიანს, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება კათოლიკე ქართველებს, რომლებიც ხშირად სომხურ სახელებს არქმევდნენ, რადგან მათ სომხური ტიპიკონი ჰქონდათ და სომეხი მღვდლები ნათლავდნენ. **მხითარ-სომხურში „ნუგეშს“** ნიშნავს. იგი აგრეთვე ადამიანის აღმნიშვნელი სახელიცაა, რომელიც გვარსახელის ფუნქციით საქართველოში მე-12 საუკუნეში დასტურდება (კობაიძე, 2015:153).”

აქვე უნდა ითქვას, რომ „დავთარიში“ მოხსენიებული ზოგიერთი პირსახელი დღეს საერთოდ აღარ გვხვდება ვალის ტერიტორიაზე და უფრო ფართოდაც ქართული თანამედროვე ანთროპონიმიისათვისაც აღარაა ნაცნობი, მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ: **ფოსხა, ქორჯობა, ნარინდივითგულ, ფანოსა, თარალა** და სხვ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, მე-16 საუკუნის მიწურულის ვალელთა პირსახელები ძირითადად ქართულია. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით ბევრი სახელი სხვადასხვა წარმომავლობის ჩანს (კობაიძე, 2015:15). რაც შეეხება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, იგი მეტად ძვირფასი დოკუმენტია, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოსთვის, რომელიც მე-16 საუკუნის მიწურულის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ ლინგვისტურ ცნობებს განვდის, რომლებსაც კიდევ უფრო მეტი მეცნიერული კვლევა-ძიება უდაოდ სჭირდება.

ვალის მოსახლეობა XIX- XX საუკუნეებში

მე-19 საუკუნის ბოლოს **სოფელი ვალის** მოსახლეობის შესახებ ღირებულ ცნობებს იძლევა ეთნოლოგისა და ფოლკლორისტიკის **კონსტანტინე გვარამაძის (1867-1943 წწ.)** ჩანაწერები, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სოფელი ვალე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, მოსახლეობა თავიანთი ზნე-ჩვეულებით, რელიგიური მიკუთვნებულობით, სახნავ-სათესი ტერიტორიებით, ბაღები ხეხილითურთ, დასახელებებითა თუ ჰიდრონიმებით. ავტორიასევე ეხება სოფელ ვალის ანთროპონიმიას და კიდევ ბევრ სხვა საკითხს. კონსტანტინე გვარამაძის ჩანაწერების გარდა, მე-19

საუკუნის კვლავ მინწურულის ვალის მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით 1880 წლისათვის რუსეთის იმპერიის მიერ რამდენჯერმე ჩატარებულ კამერული აღწერის მასალებშიც. განვიხილოთ ეს ორი ნყარო.

კონსტანტინე გვარამაძის ჩანაწერის მიხედვით, მე-19 საუკუნის ბოლოს ვალეში: „ცხოვრობს 140 მოსახლე. არიან მართმადიდებელი, კათოლიკენი და მაჰმადიანი მესხები, სულ 1500 სულამდის იქნებიან. აქვთ თლილი ქვითკირის ეკლესიები და ჯამე(საკრებულო). ხალხი მეტად გამრჯე, მუშა, ხელ-გამომავალი არის, ზამთარ-ზაფხულ, კაცით-ქალამდის: მშვიდობიანი, კაცთ-მოყვარე და კარგი ყოფა-ქცევისა. იშვიათად მოხდება ამათში ავკაცობა; გარეშე ავაზაკი აქ ვერ ნავარდობს ვერასოდეს, მიტომ, რომ გარშემო ვრცელი ვაკეები აქვთ. ერთანეთიც ძმურად უჭირავთ, რადგან ერთი ტომი ერთ-ხორც-სისხლი არიან. მაჰმადიანები მთლად მართლ-მადიდებლების და უმრავლესნი კათოლიკეების განაყოფები არიან. არსებობს აქ მართლმადიდებელთა საკვირაო სკოლაცა“ (გვარამაძე, 1897:6).

გვარამაძე ვალის ეთნოგრაფიულ საკითხებსაც ეხება და წერს: „სახლები ვალელებს ქვის კედლებით ნაშენი აქვთ, რამდენიმე თვლად გაყოფილი: თავი-სახლი, დარბაზი, ოდა-სასტუმრო ბოსლებში აქვთ; სათორნე, სადაც ფურნეები აქვთ, საკუჭნაო, სადაც-ჭინახული, საფქვაავი, ზოგს სახილევცა აქვსთ ცალკე. საბძელი და სახბორე, სადაც შინაურ ფრინველთაც ინახავენ, ასრევე საცხვარეცა; ამბრები, ბელეები ჭანური ორმოები და სხვა“ (გვარამაძე, 1897:7).

იმავე ჩანაწერებში ვხვდებით ჩამონათვალს მე-19 საუკუნის ბოლოს ვალეში მცხოვრებ გვარებისა, რომლებსაც კონსტანტინე გვარამაძე ზოგს მართმადიდებელთა გვარებს მიაკუთვნებს, ზოგს კათოლიკურს, თუმცა ვერ აკონკრეტებს მაჰმადიანურს. ჩანაწერების მიხედვით ვალელ მართმადიდებელთა გვარებია: ბებნაძეები, გიორგაძეები, ჩიტაძეები, როსტიათობა, ნადირაძეები, გოგიძეები (ჩოტუათი); ამ უკანასკნელ გვარამაძე ჩორდუნელების მოგვარედ მიიჩნევს, მათ განაყოფ მაჰმადიანებს შედუმანად მოიხსენიებს. რაც შეეხება ვალელ კათოლიკეთა გვარებს, აქ სურათი შემდეგია: გოზალათი (კოჭიბროლაშვილები), მალენაშვილები, ჩიტოშვილები, ხითარიშვილები, კაკაჩიშვილები, ჯანაშვილები, ნასყიდაშვილები,

თელიაშვილები, ათუნაშვილები, (კოპაძეები), გოგილაშვილები, ალღემაშვილები, არსენაშვილები, ფეიქრიშვილები და ვახუშტაძეები (გვარამაძე, 1987:7).

რაც შეეხება რუსეთი იმპერიის აღწერებს, იგი 1886 წლის 24 თებერვალს გადაწყდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რეგიონისათვის საოჯახო სიებს შედგენა. ეს პროცესი დაიწყო 1886 წლის მაისში და დამთავრდა იმავე წლის ბოლოს.

რუსულ აღწერებში შეტანილია ყველა დასახლებული პუნქტი, ნაჩვენებია ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მოსახლე ოჯახების სულთა შემადგენლობა, დაჯამებულია სოფლის (ქალაქის) კომლთა და სულთა რაოდენობა, მამრობით და მდედრობით სქესთა ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

1886 წლის რუსულ აღწერებში ვხვდებით **სოფელ ვალესაც**, სადაც მცხოვრები სულ **1131 სულია** დასახლებული, ამათგან **591 კაცია**, ხოლო **540 ქალი**, რომლებიც სულ **139 სახლად** არიან წარმოდგენილი. აღწერაში დაკონკრეტებულია, რომ **ქართველებს 91 სახლი** ეკუთვნით, სადაც **402 კაცი** და **375 ქალი** ცხოვრობს, **თათრები კი 47 სახლს** ფლობენ, სადაც **188 კაცია**, **164 კი - ქალი**. აღწერებში სოფელ ვალეში სომხები არ არიან წარმოდგენილი, **რუსებს კი - ერთი სახლი** ეკუთვნით და **თითო ქალისა** და **კაცის** რაოდენობით არიან დამონმებული. გამოქვეყნებულ მასალებში არ არის მითითებული მოსახლე სახელი-გვართა თუ მამისახელი-თურთ, იგი მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობაზე გვანვის სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციას (Свод статистических данных о населении Закавказского края, 1893:26).

სოფლი ვალის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ასევე ისტორიკოსა და მოგზაურ **გიორგი ბოჭორიძის** ნიგნში „**მოგზაურობა-სამცხე ჯავახეთში**“, რომელშიც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის (1932-33წწ.) ცნობებია მოცემული. ვალი შესახებ ავტორი წერს: „ვალეში სულ **400 კომლი** ცხოვრობს. ამათში ქართველი კათოლიკეები - **250 კომლი**, ქართველი მართმადიდებლები - **60**, ქართველი მაჰმადიანები - **90 კომლი**. ქართველ მაჰმადიანთა გვარებია: **ჭავჭავაძე - 2 კომლი**, **ამილახვარი - 3 კომლი**, **ბოჭორიშვილი - 5 კომლი**, **ჩიტაძე - 2 კომლი**, **ბერიძე - 7 კომლი**, **ნადირაძე (-ტირალათები) - 6 კომლი** კაპანაძე (ბოჭორიძე, 1992:160).

სოფელი ვალე მოსახენიებული აქვს ისტორიკოსსა და მწერალ-პუბლიცისტს **ალექსანდრე ფრონელს (ყიფშიძე)** ნიგნში **„დიდებული მესხეთი“**. ნაშრომი 1914 წელსაა გამოცემული და მასში მეოცე საუკუნის დასაწყისის მესხეთის გეოგრაფიულ-ისტორიული ვითარებაა აღწერილი. ფრონელი საუბრობს მესხეთის სოფლების შესახებ, როგორც ფოცხოვისა და ჯაყის წლის, ასევე ქვაბლიანისაც. ფოცხოვს ხეობის სოფლად მოიხსება სოფელი ვალეც: „ფოცხოვს სიგრძეზე სჭრის ქვით დაფენილი გზა, იგი იწყება ქ. ახალციხიდან, გაივლის სოფელ ვალეს, ბადელას, დამავლეს, მხარს აუქცევს დიგურს და ხანიორის ქედით გაემართება არტანისკენ (ფრონელი, 1914:181).

ფრონელი აქვე აღნიშნავს, რომ 1900 წლისთვის კათოლიკეთა რიცხვი **სოფელ ვალეში-750 სულია**: „აქავე სცხოვრობენ აგრედვე მართლ-მადიდებელნი, ქართველნი და ქართველი-მაჰმადიანნი (ფრონელი, 1914:181).

ვალის ტოპონიმთა სტრუქტურული ანალიზი

ტოპონიმთა და საერთოდ სახელთა წარმოქმნის საშუალებათა ანალიზი ორი რაკურსით ხდება. პირველი ეს გახლავთ სახელთა განხილვა მათი სიტყვათწარმოების მიხედვით, როდესაც მოვიხილავთ აფიქსურ თუ კონფიქსურ წარმოებებს, განვიხილავთ მათ ფუნქციებსა და შესაბამისობებს ფუძეებთან. მეორე შემთხვევაში კი - სახელთა განხილვა უკვე სემანტიკური ჯგუფების მიხედვით წარმოებს.

საკუთრივ ტოპონიმიკასა და ზოგადად ქართულ ენაშიც ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად აფიქსაცია ერთ-ერთი პროდუქტიული მოვლენაა. სწორედ ამ გზითაა მიღებული ვალის ტოპონიმთა საკმაო რაოდენობა, რომლებსაც ქვემოთ ჩვენ აფიქს-კონფიქსთა დანიშნულების მიხედვით გავაანალიზებთ.

ვალეში ქონების გამომხატველი აფიქსებით ნაწარმოები სახელებია:

-ა: სუფიქსს ვალის ტოპონიმთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ტოპონიმიზაციის ფუნქცია აკისრია, ამასთან იგი ტერმინით სახელდებულ ობიექტის თვისებასა და რაგვარობასაც გამოხატავს.

დაერთვის როგორც მარტივ, ასევე რთულ სახელთა ფუძეებს:
ჩინგანა//ლარიბა, ანჩხარა, ადამა, არჯანა, ბამბალეჭია, გრძელა,
კავა, სამავაზანა, ქოთანა, ფიცარა, ხლუპუნა, ჩუხჩუხა.

-იან: ლოდ-იან-ი, ყორ-იან-ი, ქვ-იან-ებ-ი;

-იელ: ბოვრ-იელ-ი;

უქონლობის გამომხატველი პრეფიქსით ნაწარმოები სახელია:

უ-: უ-რწყავ-ებ-ი;

წარმომავლობის გამომხატველი სუფიქსებითაა წარმოებული შემდეგი ტოპონიმები:

-ურ, -ულ: წინა-ურ-ი ღელე, პამაჯ-ულ-ებ-ი, ღარ-ულ-ებ-ი, ოჯორჯ-ულ-ი;

-ეულ: გვერდ-ეულ-ი, ჯარმ-ეულ-ი;

აბსტრაქტულობაა გამომხატული -ობ სუფიქსით სახელში: თეთრობ-ი, რომელიც შემდგომ ტოპონიმად იქცა.

დანიშნულების გამომხატველი კონფიქსებითაა ნაწარმოები შემდეგი სახელები:

სა-ო: სა-სირ-ო, სა-მხედრ-ო დასახლება;

სა-ე: სა-მგლ-ე // სა-ნგლ-ე, სა-ურმ-ე სერი;

სა-ა: სა-ტყეპელ-ა;

სა-ია: სა-მგლ-ია // სა-ნგლ-ია;

მცენარეთა სიმრავლის გამომხატველია -ნარ სუფიქსი ტოპონიმში: თი-ნარ-ი, სადაც ძირი თი - სახელ თივის შეკვეცილი ფორმად უნდა ვივარაუდოდ.

უცხო, კერძოდ თურქული წარმოშობისაა -ლულ სუფიქსი ტოპონიმში: პანტალული, რაც პანტ-იან ადგილზე მიუთითებს.

გაუფორმებელი სახით ანთროპონიმი უდევს საფუძვლად ტოპონიმს - მაზანა, ხოლო -შენ ფორმანტთან ერთადაა წარმოდგენილი საკუთარი სახელი კორა>კორა-შენ-ში, ბინალიას წყაროს შემთხვევაში კი ანთროპონიმი მსაზღვრელად არის ქცეული.

წოდებითი ბრუნვის, მიმართვის ფორმითაა დამკვიდრებული ტოპონიმი: ბებერ-ო, აღნიშნული ფორმის მეორე სახელი არ დასტურდება ვალეში.

ტოპონიმიზაციის შედეგად და- და შე- ფორმანტებია დაკარგული შემდეგ სახელებში: ღარ-ულ-ებ-ი და არა და-ღარ-ულ-ებ-ი, ასევე მოკრულ-ებ-ი და არა შე-მოკრულ-ებ-ი. საერთოდ კი უნდა

ითქვას, რომ ზმნისწინიანი წარმოება არაა ნიშანდობლივი ტოპონიმიზაციის პროცესისთვის.

ვალის ტოპონიმთათვის დამახასიათებელია ადგილის სახელის მრავლობითობის გამომხატველი ფორმები წარმოებული -ებ სუფიქსით, რომელიც დაერთვის როგორც ხმოვან, ასევე თანხმოვანფუძიან სახელებს, მიჰყვება რა საზოგადო სახელთა ბრუნების ტიპს, ასევე გამოხატავს კონკრეტული სახელით აღნიშნულ ადგილთა ერთობლიობას. როგორც წესი -ებ სუფიქსის დართვისას სახელს სცილდება ბოლოკიდური ხმოვანი, მაგ: **ჭანჭახი-ჭანჭახები-ი, ფარეხა-ფარეხები-ი, მოკრული-მოკრულები-ი**, თუმცა **გრძელა-გრძელა-ებში** ეს პროცესი არ დასტურდება. საინტერესო წარმოებისაა ტოპონიმი **ტბა**, რომელსაც **ტბი-ებ-ის** ფორმითაც მოიხსენიებენ, რაც სახელის დიალექტური ფორმაა. სწორედ ვალელთა მეტყველებით არის განპირობებული ის ფაქტიც, რომ სხვა მრავლობითის მანარმოებელთაგან ვალეში მართო **ებ-ია** წარმოდგენილი და არა **-ნ ან -თ**. საერთოდ, ენათმეცნიერ თ. ზურაბიშვილის დაკვირვებით, ქართულ ტოპონიმიაში **-ებ-იანი** მრავლობითის ფორმები შედარებით გვიანდელია. ძველ ქართულს კი საერთოდ არ ახასიათებს ამ სახის წარმოება (გვენეტაძე, 1976:127).

ვალის ტოპონიმთა წარმოქმნის გზები და მოტივაციები

ტოპონიმიზაცია საკუთარ სახელთა წარმოქმნის გზაა, რომლის სახეებსაც წარმოადგენს: ა) **სემანტიკური ტოპონიმიზაცია**; ბ) **სემანტიკურ-მორფოლოგიური**; გ) **სემანტიკურ-სინტაქსური** (ომარაშვილი, 2015:207).

განვიხილოთ ჩვენ მიერ ჩანერილი ვალის ტოპონიმები აღნიშნულ სემანტიკურ-მოტივაციურ სახეების მიხედვით. ტერმინთა განსამარტავად კი მოვიხმობთ პაატა ცხადაიას დეფინიციებს. ენათმეცნიერის მიხედვით:

ა) **სემანტიკური ტოპონიმიზაციის** დროს ხდება აპელატივის გადაქცევა საკუთარ სახელად, რაიმე სახის სტრუქტურული ცვლილების გარეშე, რაც ქმნის აპელატივისა და ონიმის ომონიმას (ცხადაია, 2005:49).

ამ სახითაა წარმოქმნილი ვალეში შემდეგი ტოპონიმები: ტყე-სათიბი, რომელიც ვალელებს სატყეო მეურნეობიდან ერგოთ, ასევე ტბა-სავარგული, რომლის ნაკვეთებშიც წვიმის ან მორწყვის მექანიზმით წყალი გუბდება.

ბ) სემანტიკურ-მორფოლოგიური ტოპონიმიზაციის დროს მრავლობით რიცხვში დასმული ან წარმოქმნილი რთული სახელის გადაქცევა ხდება საკუთარ სახელად-ტოპონიმად (ცხადაია, 2005:49).

მსგავსი ტიპის სახელები ვალეში საკმაოდ მრავლადაა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თითქმის აგრონიმია (სავარგულია), მაგ: ქლიავ-ებ-ი, ჭოჭ-ებ-ი, ჭანჭახ-ებ-ი, ფარეხ-ებ-ი, ურწყავ-ებ-ი, ქვიან-ებ-ი, ღარულ-ებ-ი, ფუტკრ-ებ-ი, ჭერემ-ებ-ი, ჭომა-ებ-ი და სხვ.

გ) სემანტიკურ სინტაქსური ტოპონიმიზაციის დროს სინტაქსური ერთეულების (შესიტყვება, ფრაზა, წინადადება) გადაქცევა ხდება ტოპონიმებად (ცხადაია, 2005:49).

ამგვარი ადგილის სახელებია მაგ: ადომახევი//ადმახევი, დამპალწყარო, ზღვარმაღალი, იფნიწყარო, თოფიგზა, სამავაზანა, უკანჭალა, შარიპირები, წითლიგვერდი, ჭანიაჭალა...

გარდა ზემოთ ნახსენებისა, კიდევ რამდენიმე მოვლენა და ფაქტორი შეგვიძლია დავასახელოთ, რომლითაცაა განპირობებული ვალის ტოპონიმთა წარმოქმნა. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მეტონიმიის პროცესი, რაც, როგორც ცნობილია, სახელის ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადატანას გულისხმობს. ამიტომაც, რომ საერთო ტერმინით შესაძლოა, რამდენიმე ადგილს შევხვდეთ, თუმცა ამ შემთხვევაში მათ განმასხვავებელი ფაქტორებიც ახლავთ. ისეთები, როგორებიცაა წყარო, ლელე, ხევი და სხვ. მაგ: სამავაზანა ვალეში თავდაპირველად იყო წყარო, შემდეგ კი ამ სახელით საძოვრის სახელდებაც მოხდა. ასევე, წითლიგვერდი, როგორც დასახლება, სადაც არსებულ წყაროს წითლიგვერდის წყაროდ მოიხსენიებენ. მსგავსი სახისაა: არჯანა>არჯანის ეკლესია, არჯანის ტყე, ესქიპეილები // ექსიპეილები>ესქიპეილების წყარო // ექსიპეილების წყარო, ჩახრახი>ჩახრახის წყარო, ზიარეთი>ზიარეთი ეკლესია, იფნის წყარო>იფნის დასახლება, ახორეთი>ახორეთის ლელე, ახორეთის წყარო, სამგლია//სანგლია>სამგლია // სანგლია სერი.

სოციალურ, ისტორიულ და რელიგიურ ფაქტორებს უკავშირდება შემდეგი სახელების წარმოქმნა ვალეში: პირველი შახტის დასახლება, მესამე შახტის დასახლება, მეცამეტე, მეოთხე შახტის დასახლება, სამხედრო დასახლება, მართმადიდებლების უბანი და სხვ.

ქრონოლოგიური თვალსაზრისითაა წარმომდგარი ტოპონიმი-ახალი დასახლება.

ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებია (ფლორა, ფაუნა, მინის, წყლის მდგომარეობა, ფერი, სუნი.....) მამოტივირებელი შემდეგ სახლებში: კოკოლა, გვერდუული, გადასახედი, გრძელა, ლოდიანი, ფოტორები, ქანჭახი, ქოჭები, ქალიგვერდი, თოფიგზა, ურწყავები, სანმგლე, ტოროლები, ფუტკრები, წითლიგვერდი, ყარაგვინეი // შავიმზიგული, ტაშლიგვინეი // ქვიანიმზიგული, ჩინგანა // ღარიბა, შინდის წყარო, მარალფუარი // ირმის წყარო, ყარლაფუარი // ყვავების წყარო და სხვ.

საკმაოდ მრავალგვარია ვალის ტოპონიმთა წარმოქმნის მოტივაცია. ვინაიდან, ტოპონიმიზაცია უწყვეტი და დროის თანამდევია, ამასთან მოსახლეობის მიერგანპირობებული პროცესია, სახელებში ხშირად პირდაპირ თუ ირიბად აისახება ყოველი სოციალური, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული ფაქტი.

ვალის ტოპონიმთა ქვესისტემები

ეკლესიონიმები

ეკლესიონიმები ტოპონიმის მნიშვნელოვანი სახეობაა, რომელიც აღნიშნავს საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების, რელიგიური თაყვანისცემის ადგილის, კერძოდ ეკლესიის, ნიშის, სახატის, საჯვარის, ცალკე მდგომი საკურთხევლის, წმინდა ქვის, სალოცავი ხისა თუ წყაროს საკუთარ სახელს (ცხადაია, 2005: 175).

უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვით რომ შევხებით, ვალის მკვიდრთა რელიგიურ მიკუთვნებულობას, აქ ძირითადად

ვხვდებით მართმადიდებლური და კათოლიკური კონფესიის მიმდევართ, არიან ქრისტიან-გრიგორიანელებიც, დანარჩენ რელიგიების წარმომადგენელთა რაოდენობა კი უმნიშვნელოა.

ვალე - ეს ძველმესხური დასახლება, მამაპაპათა ტრადიციებს მიჰყვებოდა და სხვათა მსგავსად, მართმადიდებლური სოფელი ყოფილა. ამას ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი **ზაქარია ჭიჭინაძე** აღნიშნავს, როდესაც აღწერს კათოლიკურ სოფლებს, მათ შორის სოფელ ვალესაც: „ძველად ამ სოფელში მთლად მართლმადიდებლები სცხოვრობდნენ, შემდეგ ესენი ძალით გაუთათრებიათ. გათათრების დროს, ზოგნი კათოლიკობას დაკავშირებიან და მით გადაურჩენიათ თავი“ (ჭიჭინაძე, 1902: 30). სოფლის მოსახლეობას შორის ზ. ჭიჭინაძე ასახელებს **100 კომლ ქართველ კათოლიკეს, 50 კომლ ქართველ მართლმადიდებელს და 50 კომლ ქართველ მაჰმადიანს**. აღნიშვნის ღირსია ჭიჭინაძის მიერ ნასახენები დაპირისპირება, რომელიც მაჰმადიანთა და ქართველთა შორის ყოფილა. „მუსულმანები მოძულენი არიან ქართველთა და ქართულ ენასაც ივიწყებენ (ჭიჭინაძე, 1902: 31).“

მეჩვიდმეტე საუკუნიდან, როცა სამცხე-საათაბაგო ჩამოსცილდა საქართველოს და ოსმალების დასაყრდენ პუნქტად იქცა კავკასიაში, რეგიონში დაიწყო ქრისტიანობის დევნა. ამ პერიოდში ოსმალეთი პაპს და კათოლიკურ სარწმუნეობას წინააღმდეგობას ვერ უწევდა, რამაც ხელი შეუწყო მესხურ სოფლებში მართლმადიდებლობის მხარდამხარ კათოლიკობის ჩასახვას და გავრცელებას, რის თაობაზეც ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილი** წერდა: „კათოლიკეებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სარწმუნეობა და დასავლეთის შემწეობით არ მიიღეს მაჰმადიანობა, რომელსაც ოსმალები ავრცელებდნენ (თამარაშვილი, 1902: 438).“

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, როგორც ჩანს, კათოლიკეები მალე გამრავლებულან სოფელ ვალეში, ამიტომ მათ 1670 წელს აუშენებიათ კათოლიკური ეკლესია, რომელსაც „ლათინის წესს—რიგის პატრი“ ხელმძღვანელობდა (ჭიჭინაძე, 1902: 30). შემდეგში ტაძარი ოსმალებს გაუნადგურებიათ. კათოლიკეებს ახალი ტაძრის შენება დაუწყიათ. ქალაქ ვალის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლა-

დაა რელიგიურ-საკულტო ძეგლები. ეკლესიებს ვხვდებით, როგორც ბარად, ასევე მთის ნაწილში, სადაც პატარა ქვითნაშენი სალოცავის ტიპის ნაგებობანია.

ვალეში ორი დიდი ტაძარია, ერთი **მართმადიდებლური**, მეორე კი - **კათოლიკური**. ორივე წმინდა მარიამის-ღვთისმშობლის შობის სახელობისაა, არც ერთ ეკლესიას არ აკლია მრევლი, როგორც საკვირაო წირვებისას, ასევე, განსაკუთრებით, ღვთისმშობლობის დღესასწაულზე.

ვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის მართმადიდებლური ტაძარი ცენტრალური გზის (ვალე-თურქეთის გამშვები პუნქტისაკენ მიმავალი გზა) დასავლეთით მდებარეობს, როგორც კათოლიკური ეკლესია, ოღონდ გზის უფრო ჩრდილოეთ ნაწილში. მის გვერდითაა ადრინდელი მუსლიმანური სამლოცველო-**ჯამეც**.

„ტაძარი მეათე საუკუნის ძეგლია, რომელიც თავდაპირველად გუმბათიანი იყო. 1561-1564 წლებში დაზიანებული შენობა უგუმბათოდ აღადგინეს. ამის გამო სამნავიან ბაზილიკად იქცა.

ტაძარი საინტერესოა მისი შიდა კედლებზე არსებული ფრესკებითა და წარწერებით. „ეკლესიის სამხრეთის ბოძზე ამოკვეთილია ძალიან დიდი წარწერა სამ სვეტად, სულ 45 სტრიქონია. ეს ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლის დედისიმედის მიერ ძეგლის შეკეთების ამბავს. ამ წარწერაში მოხსენიებული არიან სხვა წყაროებიდანაც ცნობილი პირები: **დედისიმედის პაპა კონსტანტინე-ქართლის მეფე იყო. იგი 1505 წელს გარდაიცვალა. ბაგრატი, დედისიმედის მამა-ბაგრატიონების გვარის მუხრანბატონთა შტოს დამაარსებელია. დედისიმედის ძმარჩილი ოჯახითურთ 1560 წელს დაატყვევეს და შირაზს წაიყვანეს სპარსელებმა. ქაიხოსრო ათაბაგი, დედისიმედის მეუღლე იყო. იგი 1573 წელს გარდაიცვალა ირანში, სადაც ცდილობდა დახმარების მიღებას მომძლავრებულ თურქთა წინააღმდეგ.**

ნახსენები წარწერა 1561-1564 წლებს მიეკუთვნება, ე.ი. სამცხის დამოუკიდებელი სამთავროს არსებობის ბოლო ხანებს (ნადირაძე, 2001:73).“

მეორე დიდი ეკლესია **ვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის კათოლიკური ტაძარია**, რომელიც 1862 წელს იკურთხა. 2012 წლის 8 სექტემბერს კათოლიკურმა მრევლმა ელესიის დაარსების 150

წლისთავი იზიმა, რასთან დაკავშირებითაც მისმა იმდროინდელმა წინამძღვარმა მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა საინტერესო სტატია მოამზადა ჟურნალ „საბასთვის“. სტატიაში მამა ზურაბი წერს, რომ „ამჟამინდელ ეკლესიამდე ადრე, ვალეში კათოლიკური ეკლესია ცოტა მოშორებით, იმ ადგილზე მდგარა, დღეს **სიმონას ნასაყდრევს** რომ ვუნოდებთ (კაკაჩიშვილი, 2012:11).“ აქ დღესაც არის ნაეკლესიარი, რის გამოც იგი წმინდა ადგილია ვალელთათვის. მოძღვარი სტატიაში ეკლესიის სხვა ადგილას აშენების მიზეზებზეც საუბრობს და მოიხმობს ორგვარ ვერსიას: „თურქებს ვალეს ცენტრში აუშენებიათ მუსლიმანური სამლოცველო -**ჯამე**, კათოლიკურ ეკლესიასთან ახლოს; მაგრამ, რადგანაც წირვის დროს კათოლიკე მრევლის გალობა აწუხებდა ახლო-მახლო მცხოვრებ თურქ ოჯახებს, თურქებს ერთ-ერთი შემოსევის დროს ნანგრევებად უქცევიათ კათოლიკური ეკლესია.

სხვა მოსაზრებით კი ეს ეკლესია პატარა ყოფილა და მრევლს ველარ იტევდა, ამიტომაც შეიქმნა ახალი ტაძრის აშენების საჭიროება (კაკაჩიშვილი, 2012: 9).“

მამა ზურაბი სტატიაში ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებულ ამბებსაც იხსენებს, რომლებიც ცხადია, თაობათა მესხიერებას შემოუნახავს. იგი წერს, რომ „როდესაც გაჩნდა ვალეში ახალი ეკლესიის აშენების იდეა, ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდა **მამა სტეფანე თომას ძე გოზალიშვილი**. მას მამისათვის უთხოვია, რომ მიეცა მისთვის მისი წილი მიწა, რათა ის უსასყიდლოდ გადაეცა სოფლისათვის ეკლესიის ასაშენებლად. მამას მოსწონებია შვილის განზრახვა და მისთვის მიწის ნაკვეთი გამოუყვია. სოფლის მოსახლეობამ საკუთარი ხარჯით დაიწყო ეკლესიის მშენებლობა სოფლის თავში. დადგინდა, რომ თითოეულ ოჯახს უნდა მოეტანა შვიდი კუთხის ქვა, მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა მამაკაცს, ვისაც მუშაობა შეეძლო. ეკლესიის ასაშენებლად საჭირო ქვას ურმებითა და საცურავებით ეზიდებოდნენ **წყურეთიდან და ბუზმარეთიდან** (კაკაჩიშვილი, 2012:10).“

როგორც მამა ზურაბი აღნიშნავს, ეკლესიის მშენებლობის დაწყებიდან ორ წელიწადში დამთავრდა და 1862 წელს იკურთხა.


ეკლესიის სამხრეთით დასაფლავებულნი არიან ეკლესიის მოძღვრები **სტეფანე გოზალიშვილი** (1828-1895) და **სტეფანე ზაქროშვილი** (1820-1903), რომელთა მოღვაწეობისასაც აშენდა ტაძარი.

ვალის ტერიტორიაზე მრავლადაა პატარა-პატარა ეკლესიის ტიპის ნაგებობანი, აღმართულია ჯვრები, ვხვდებით **მუსლიმანურ სამლოცველო ჯამეს**, რომლის შენობაც დღეს უმოქმედოა და დანგრევის პირასაა.

პატარა ეკლესიათაგან აღსანიშნავია **ივანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია**, რომელსაც **ზიარეთის** ეკლესიადაც მოიხსენიებენ. იგი მდებარეობს სავარგულ **ჭანჭახების** იმ მონაკვეთში, რომელსაც **ბოლო ბოსტნებს** ეძახიან. ეკლესია სასწაულმოქმედად ითვლება და მისი აშენება **ზიარეთობის ტრადიციასთან** არის დაკავშირებული. **მერაბ ბერიძისა და როზეტა გუჯეჯიანის** აზრით, **ზიარეთობა** შეიძლება იყოს ნებისმიერი ქრისტიანული დღესასწაულის აღმნიშვნელი: ამალლების, კვირიკობის, ელიობის, მარია-მოხის და სხვ. ეს დღესასწაულები წლის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ბერიძე, გუჯეჯიანი, 2013:87). ამ ტრადიციის გამო, საქართველოში ხშირად ვხვდებით **ზიარეთის** სახელით მოხსენიებულ პატარა სამლოცველოებს.

პატარა ეკლესიათა სიმრავლე ვალელ ისტორიკოს ნინო ნადირაძის ცნობით იმათაც არის განპირობებული, რომ „ადრე ფეოდალებს, ყველას საკუთარი ეკლესია ჰქონიათ, საკუთარი მღვდლითურთ, როცა მეორე სოფლიდან დიდი მრევლის მღვდელი გადმოვიდოდა, მას ფეოდალი დიდი პატივისცემით ეგებებოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს მოსწრებული გამოთქმა: „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო (ნადირაძე, 2001:74).“

კიდევ რამდენიმე ეკლესიის დასახელება შეიძლება ვალეში, მაგალითისთვის, **ნასოფლარ არჯანაში**, ვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჭიმულ ტრიალ მინდვრებზე, შევხვდებით ეკლესიის ნანგრევებს, რომელსაც მე-8 საუკუნით ათარიღებენ (ნადირაძე, 2001:75). ეს ეკლესია მოხსენიებული აქვს **გიორგი ბოჭორიძეს** ნაშრომში „**მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში**“, სადაც ავტორი მას ასე აღწერს: „არჯანას ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით 1/2 კილომეტრზე **ფეგებში**. იგი თლილი ქვისგან ყოფილა ნაგები.



შენახულია მარტო ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლები და სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილი, იმათაც გარეთა პირი მოცილებული აქვს, ხოლო შიგნით შერჩენია შიგნითა ნაწილში, განსაკუთრებით საკურთხეველს, დანარჩენი კედლებისა საძირკველია ჩანს; საკურთხეველის სამხრეთ კედელს აქვს თახჩა; კარი შერჩენია მარტო ჩრდილოეთით; სარკმელი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ნაშთადაა) ნაგები ყოფილა ჩაკირვით. საკურთხეველს ჩრდილო კედლებში ჰქონია ღრმა თახჩა, რომელიც ახლა გამონგრეულია, დგას მარტო დუღაბი, რომელსაც პირი მხოლოდ შიგნით შერჩენია, ისიც ნაწილობრივ ზევითა ნაწილში (ბოჭორიძე, 1992:165).“

ასევე იმავე ნასოფლარ **არჯანაშია** ახლად აშენებული პატარა ეკლესია, რომელიც ვალის მკვიდრთა მიერაა აგებული ახლო წარსულში.

ისევ ბარად რომ ჩამოვიდეთ, კიდევ შეგვიძლია დავასახელოთ ეკლესია, რომელიც ვალის მკვიდრს, ან უკვე გარდაცვილ **ესტატე ჩიტაძემ** 1998 წელს ძველის ადგილას დაუშენებია **წამებული კაცის ესტატეს სახელზე**, ამიტომ იგი სიმბოლურად სწორედ 11 აგვისტოსაა გახსნილი, მაშინ, როდესაც მართმადიდებლები წმინდა ევსტატე მცხეთელის ხსენების დღეს აღნიშნავენ.

ვალის კათოლიკურ სასაფლაოს მახლობლად არის პატარა ხელითნაშენი ეკლესია, რომელიც წმინდა ნონოს სახელობისაა, ზოგი წმინდა სამების სახელობისათაც მოიხსენიებენ.

წინო ნადირაძის ცნობით, ამ ეკლესიის შესახებ არსებობს ორი ვერსია. პირველი ვერსიის მიხედვით: „კათოლიკური სასაფლაოს გვერდით ღობის გაკეთებისას უნახავთ ქვა ჯვრის გამოსახულებით. ამ ქვისათვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ. შემდეგში სოფლის ერთ-ერთ მკვიდრს, **ჩიტაშვილს** ქვა გაუსწორებია სასაფლაოს ახლოს და ზედ დაუშენებია პატარა შენობა... მეორე ვერსიის მიხედვით, ამ ადგილას, სადაც დღეს ეკლესია მდებარეობს, ყოფილა ძველი ეკლესია. (დრო გაურკვეველია). ეკლესიის მახლობლად ჩამოედინებოდა პატარა რუ, რომელიც **ახორეთის** სახელითაა ცნობილი. მომხდარა წყალდიდობა, რუ ძალიან ადიდებულა და მრევლი მღვდელითურთ თან წაუღია (ნადირაძე, 2001:75).“

ვალிடან სამხრეთით, მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, შემალლებულ ადგილას მდებარეობს ძველისძველი ტაძარი-ირქის ეკლესია. იგი **წმინდა გიორგის** სახელზე აგებული. ეკლესია არ არის მოქმედი, თუმცა ადგილობრივები ყოველი წლის 23 ნოემბერს, წმ. გიორგის ბორბალზე წამების დღეს, მოდიან და წირვაც ტარდება. ეკლესია ბაზილიკის ტიპის ნაგებობაა, არ არის დადგენილი მისი აშენების თარიღი, არც ამშენებელ -ხუროთმოძღვრის სახელია ცნობილი.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ქალაქ ვალეში საკმაოდ მრავლადაა **ეკლესიონიშები**, როგორც ბარად, ასევე მთაში. რამდენიმე საკმაოდ ძველია, ზოგი ქალაქის ახალ ისტორიას ეხმიანება. თუმცა, ყველა უდავოდ მნიშვნელოვანი და თავისთავად საინტერესოა.

ნასოფლარები

ნასოფლარები ვალეს ოთხივე მხრიდან ესაზღვრება. მერაბ ბერიძე აღნიშნავს, რომ იგი მემკვიდრეა გაუკაცრიელებული, დაცლილი ნასოფლარებისა, რომელთა მოსახლეობაც ან მტერთან ბრძოლაში ამოწყდა ან სარწმუნოების გამო გაასახლეს, როგორც არაქართველები. ესენია: **ჭორატი, ჭალა, ოჯორჯალი, ჭანჭახი, ბოვრიელი, არჯანა, ჭარალი, ორჭოშანი, ჯაყისმანი, ირქა, გაბადური, თეთრობი, საყოვნა** და სხვ. (ბერიძე, 2013: 40).

მე-19 საუკუნის ბოლოს ვალის გარშემო ნასოფლარებს ადასტურებს კონსტანტინე გვარამაძევალის შესახებ ჩანაწერებში. როდესაც იგი ჩამოთვლის ვალის სავარგულებს, ნასაყდრე ადგილებს, მათი სახელების გვერდით მიუთითებს, რომ **ვაჩიანი, გაბადური, ანჩხარა, ჭანჭახი** და **თეთრობი** სოფლებია (გვარამაძე, 1897:9).

დღეისათვის ზემოთ ჩამოთვლილ ნასოფლართა სახელებიდან ვალის შემადგენ-ლობაში ან მის მახლობლად უმეტესი მათგანი დასტურდება, თუმცა, ახლა უკვე სავარგულების დანიშნულებითაა, დასახლებულ ტერიტორიას ან სულაც სათიბ-საძოვარს წარმოადგენს. სავარგულებია: **ჭანჭახი, ჭორატი, ოჯორჯალი, არჯანა, ირქა, თეთრობი**, უკვე საძოვარია **ჯაყისმანი**, ხოლო **ანჩხარა** და **ბოვრიელი** დასახლებების სახელებია.

ზემოთ ჩამოთვლის ნასოფლართა გარდა, ვალის სათიბების მახლობლად არის კიდევ ერთი ნასოფლარი- **ჭარალი**. მართალია, **ჭარალის** ტერიტორია დღეს ვალელებს აღარ ეკუთვნით და მისი სათიბებით არ სარგებლობენ, მაგრამ **ჭარალი** ვალის მეზობელი მნიშვნელოვანი ნასოფლარია.

მსგავსი ნასოფლარია ასევე **ჯაყისმანი**, იგივე **ჯაყისუბანი**, რომლის ნაწილი ვალელთა სარგებლობაშია, ნაწილი კი უკვე თურქეთის საზღვარშია მოქცეული. ვალელების **ჯაყისმანი** საძოვარი ტერიტორიაა. **ჯაყისმანიც** ერთ დროს ძლიერი, ჯაყელთა საბატონო ადგილი იყო. სოფელი, რომლის შესახებაც გ. ბოჭორიძე წერს: „**ჯაყისმანში** არიან **გორგაძეები**, ისინი ენათესავენ იან **ვალელ გორგაძეებს**. 4 ძმა ყოფილა, ერთი დარჩენილა **ჯაყისმანს**, ერთი **ვალეს** ჩამოსულა, **ორი იმერეთს** წასულა (ბოჭორიძე, 1992:59).“

დღევანდელ ნასოფლართაგანმე-16 საუკუნის ბოლოს, 1595 წლისთვის ოსმალთა მოხელეთა მიერ შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ნახსენებია შემდეგი სოფლები: **სოფელი არჯანა**, **სოფელი ოჯორჯალი**, **სოფელი ირქა**. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ „დავთარში“ მოხსენიებული ძალიან ბევრი სოფელი დღეისთვის აღარ დასტურდება, ზოგს ნასოფლარის სახით ვხვდებით, ზოგის ადგილი კი საერთოდ გაურკვეველია.

სოფელი არჯანა ისევე, როგორც **სოფელი ვალე ჩრდილის რაიონის** შემადგენლობაში შედის და **ცამეტკომლიან** სოფლად არის წარმოდგენილი. **არჯანაში** სულ **325 კაცი** ცხოვრობს. მოსახლეობა ისვენჯს იხდის როგორც მარცვლეულ კულტურებზე, ასევე ბოსტანსა და შინაური ცხოველების შენახვაზე (ჯიქია, 1941: 50). სოფლის ზუსტი ლოკალიზაციის დადგენა „დავთარის“ მიხედვით ცხადია, შეუძლებელია, თუმცა იგი სავარაუდოდ, ისევ იმ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რომელსაც დღეს ვალელები **არჯანის** სახელით მოიხსენიებენ და საძოვარ-სავარგულად იყენებენ.

მე-16 საუკუნისთვის **ოცდაორკომლიანი** სოფელია ასევე **ოჯორჯალი**. მასში სულ **550 კაცი** ცხოვრობს (ჯიქია, 1941:51). როგორც ჩანს, იგი არჯანაზე საკმაოდ დიდია. ვინაიდან „დავთარში“ სოფლები ტერიტორიული სიახლოვით და გარკვეული გეოგრაფიული თანმიმდევრობით არის აღწერილი და რაიონებშიც ასე

განაწილებული, სოფელი **ოჯორჯალიც** იქაა სავარაუდებელი, სა-
დაც დღეს ვალელები სავარგულს **ოჯორჯალს** ეძახიან.

არჯანა და **ოჯორჯალი** მაჰმადიანებით დასახლებული სო-
ფელი ყოფილა.

ივანე გვარამაძის იგივე **ვინმე მესხის** ფსევდონიმით ცნობილ
საზოგადო მოღვაწის ჩანაწერებში ნახსენებია სოფელი **ოჯორ-
ჯალი**. მისი თქმით, **ოჯორჯლელი ხუცესი ქორატში** გადაეყარა
ჭანმგლებს, რომლებმაც იმსხვერპლეს, რის გამოც იგი ამბობს:

„ხელი ვჰკარ აქ გავქვავდი, მოვჰკვდი, **გარდვიხადე ვალი**,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, **ქორატს** ქვას აჩნია მშრალი
(გვარამაძე, 1882: 121).“

„დიდი დავთრის“ მიხედვით სოფელია ასევე **ირქა**, რომელიც
განსხვავებით **არჯანისა** და **ოჯორჯლისგან**, უდის რაიონის ახალ-
ციხის ლივაში შედის. **ირქა** მე-16 საუკუნის ბოლოსთვის ძალიან
პატარა, **ხუთკომლიანი** სოფელია, აქ სულ 125 კაცი ცხოვრობს
(ჯიქია, 1941:59).

„დავთარში“ სოფელ **ირქასთან** მითითებულია, რომ **ირქის**
მცხოვრებთ აქვთ უფლება ისარგებლონ **სოფელ ორქოშნიდან**
მომავალი მდინარით, ისე როგორც ადრე, ძველი დროიდან მოყო-
ლებული. ასევე, წერია, რომ ახალშენთ ცნობილი ვენახის 2 ნაკვე-
თითა და ერთი ნაკვეთი მიწის სარგებლობისთვის მეპატრონე
ჰუსეინი გადაიხდის გამოსაღებსა და მეჰრეს გაიღებს (ჯიქია,
1941:59).

ვალელებს შორის არსებობს ვერსია გადმოცემის სახით, რომ
თითქოსვალე **ექვსი სოფლისგან** მოსული მოსახლეთა მიერა
განაშენიანებულიო, მეშვიდე თავად ვალეაო. ეს სოფლებია: **ირქა**,
კორაშენი, **ძანძახი/ჭანჭახი**, **არჯანა**, **ოჯორჯალი** და
სამგლია//სანგლია. ვალისა და მისი მიმდებარე სოფლების შესახებ
ცნობები უფრო მეტად მე-16 საუკუნიდან მოყოლებული გვაქვს,
იქამდე საკუთრივ ვალის შესახებ წერილობითი ინფორმაციაც
ნაკლებად მოიპოვება.

ვალის მიმდებარე ნასოფლართა უმეტესობა დღეს სავარგუ-
ლია, რომლებმაც შეინარჩუნეს სახელი, ესენია: **ქორატი**, **ჭანჭახი**,
ბოვრიელი, **არჯანა**, **გაბაღური**, **თეთრობი**, **საყოვნეა**, **ანჩხარა**,

დასახლებები და უბნები

ვალეში გვართა, ოჯახთა თუ საკუთრივ პიროვნების მისანიშ-
ნებლად მეტგვარებს ხმარობდნენ და დღესაც ასეა, ვინაიდან იგი
განსაკუთრებით აადვილებს ადამიანთა იდენტიფიკაციას. მეტ-
სახელი თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე, გვარებს მათთან
შედარებით კიდევ უფრო მყარი და გამძლე ხასიათი აქვთ. მეტ-
გვარები წარმოადგენდნენ მოტივს ვალეში უბანთა სახელებისა
და დანაწევრების, ვინაიდან ისინი მეტად სპეციფიკური ხასიათის
არიან. ამ ტიპის ანთროპონიმებს განეკუთვნებიან მაგ: **სალალო-
თები, მარქართები, გიქორათები, ფუტათები, ბადალათები,
პაპულათები, რაბრძანეთები, ტინკოთები, ბანკათები, ყაყაჩოთები**
და სხვ. უბნების დანაწევრება მეტგვართა მიხედვით ადრე
ხდებოდა, ახლა თითქმის აღარ. ისე, მისანიშნებლად თუ მიუთი-
თებენ ვალეში მცხოვრების მეტგვარს მაგ: **ყაყაჩოთ უბანში** რომ
გზაჯვარედინია, **პეტოთ უბანში** რომ წყაროა და სხვ. თუმცა ეს
ისე მიმანიშნებლად სახელდება, უბანს მეტგვარებს აღარ მიაკუთ-
ვნებენ, მისად აღარ მოიხსენიებენ. უბანთა უფრო მსხვილ ერთეუ-
ლებად დიფერენციაცია დიდი ხნის წინ მოხდა, მაშინ, როდესაც
ვალეში სამი კონფესიის მიმდევარი ადამიანები ცხოვრობდნენ:
მაჰმადიანები, მართმადიდებლები და კათოლიკეები, ამიტომ
დღემდე გვაქვს სახელად **მართმადიდებლების** ანუ **ქართველების**
უბანი და **ფრანგების უბანი** (თუმცა, მას თითქმის აღარც ხმა-
რობენ, რადგან ვალის სოფლის მოსახლეობა ძირითადად კათო-
ლიკური), ადრე **მაჰმადიანთა უბანიც** ყოფილა. უფრო მყარად
სახელებს ცალკეული დასახლებები ინარჩუნებენ, მაგ: **ყორიანი,
ბოვრიელი, ანჩხარა** და სხვ. მათ ჩვეულებრივი ინტენსივობით
ხმარობენ ვალეში და ჩანს, ეს პროცესი კიდევ დიდხანს გასტანს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც ვალეში დასახლებათა სახე-
ლების წარმოქმნას შეუწყო ხელი, საბჭოთა კავშირის პერიოდში
მალაროთა ექსპლოატაციის პროცესი იყო. იქ, სადაც განლაგებუ-

ლი იყო მაღაროები, ვალელები მათი ნუმერაციის მიხედვით, და სახლებასაც იგივენაირად მოისხენიებდნენ. მაგ: **პირველი შახტის დასახლება, მეოთხე შახტის დასახლება, მეცამეტეს დასახლება, მეორე შახტა** და სხვ. აღნიშნულ სახლებს დღესაც იყენებენ. ამასთან ვალე ქალაქის სტატუსის დასახლებაა, რის გამოც ტერიტორიები ქუჩებად არის დაყოფილი და სახელდებული, მაგ: ალ. მანველიშვილის ქუჩა, ფარმავაზ მეფის ქუჩა, ცხრა აპრილის ქუჩა, ი. გოგებაშვილის ქუჩა, ს. მაჭარაშვილის ქუჩა და სხვ. ჩანს, რომ დასახლებათა ქუჩების მიხედვით იდენტიფიკაცია უფრო ინტენსიურად მიიწვეს წინ, ვიდრე მეტგვარებით.

მრავალფეროვანია ვალის დასახლებათა სახელები, როგორც სტრუქტურულად ისე სემანტიკურად. სახელდების მოტივაციად ტერიტორიის რელიეფური თავისებურებებიცაა გამოყენებული, ასე ქვის სიმრავლე, თუ ეთნოგრაფიული ფაქტორი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ანჩხარა - დასახლების სახელია, რომელი კონსტანტინე გვარამაძის მე-19 საუკუნის ბოლოს ვალის შესახებ ჩანაწერებში ოიკონიმად იხსენიება. გვარამაძე წერს, რომ **ვაჩიანი, ჭანჭახი, გაბაღური, ანჩხარა** და **თეთრობი** სოფლები ყოფილა. იმასაც დასძენს, რომ „თქმა არის იქიდგან მოსულთ, თავიანთი სამშობლოს სახელები დაურქმევიათ. ასე არის, რაც მესხები გადასახლებულან იმერეთში, თავიანთი სამშობლოს სახელები დაურქმევიათ, როგორც მაგალ.: ვახანი, ქვაბი, მარელისი, ვანი, ვარძია, ლოსიათხევი, სვირი, როკეთი... (გვარამაძე, 1897: 9).“

დღეისთვის **ანჩხარა** ნასოფლარია, რომელიც სავარგულ გოლების გვერდით, **პირველი შახტის დასახლების** მეზობლადაა, ესაზღვრება სავარგულ **ჭომავებს**.

რაც შეეხება სახელის სტრუქტურულ-სემანტიკურ მხარეს, სიტყვა ანჩხარი კუთხურია და ყინულის ლოლოს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით მას გ. ლეონიძესთანაც ვხვდებით რამდენიმე ნაშრომში, მაგ: „ჩიკოტელა ქოსა იყო და თანაც გრძელი, ყინულის ანჩხარით გამხდარი (ლეონიძე, 1980: 65).“

სიტყვა **ანჩხარ-ი-ა** მატოპონიმებული სუფიქსით იქცა ადგილის სახელად-**ანჩხარ-ა**. იგი მარტივფუძიანი ტოპონიმაა. ყინულის ლოლოს ტოპონიმად ქვევის მოტივი ზუსტად რა იყო, ამის თქმა

გაგვიჭირდება, ალბათ, იგი ტერიტორიის ყინულივით ცივმა ბუნებამ განაპირობა.

2. ახალი დასახლება - ამ სახელით მოიხსენიებენ ტერიტორიას ქალაქ ახალციხის მხრიდან ვალის შემოსასვლელში, ცენტრალური გზის მიმდებარედ. ვინაიდან ეს ტერიტორია მოგვიანებით მე-20 საუკუნის მიწურულს მოეწყო საცხოვრებლად, მას **ახალი დასახლების** სახელი შეერქვა და შემორჩა. საერთოდაც მსაზღვრელი **ახალი** პროდუქტიულია ქართულ ტოპონიმიში და ძველთან მიმართებით არის გამოყენებული, მსგავსი ტიპის სახელებია: **ახალციხე, ახალდაბა, ახალქალაქი, ახალშენი** და სხვ.

3. ბოვრიელი - დასახლებული ადგილა ვალის ე.წ. **სოფლის ნაწილში**, რომლის ერთგვარ გაგრძელებასაც დასახლება **ყორიანი** წარმოადგენს.

ბოვრი-ელ-ი პატარა მწერ **ბოვრთან** უნდა იყოს დაკავშირებული. ვინაიდან ქართულ ენაში **-იელ** სუფიქსი ქონების მანარმოებელია, სავარაუდებელია, რომ **ბოვრ-იელ-ის** ტერიტორიაზე **ბოვრების** სიმრავლე შეინიშნებოდა, რამაც შესაძლოა, ნამდვილად განაპირობა ტოპონიმის სახელდება.

4. გოლები - **ანჩხარას** მეზობელი დასახლებაა. ვალელები გოლას დიდ გუბეს ეძახიან, რომელიც მაგ: დიდი წვიმის მერე შეიძლება დადგეს ქოჭიან ადგილში. სახელი თურქული წარმოშობისაა და **ტბასთან** არის დაკავშირებული. აქ **გოლა//გოლები-ტბორის** ასოციაციითაა დარქმეული.

5. იფნის დასახლება // იფნის წყაროს დასახლება // იფნი წყაროს დასახლება - რომელსა აღნიშნული სახელით აქ მდებარე **იფნის წყაროს** გამო მოიხსენიებენ. ეს არის წყარო, რომელიც **სოფლის ბოლოში** გამოედინება. წყაროსთან ახლოს იდგა **იფნის ხე**, მინიშნებისათვის ასე ამბობდნენ: **იფანთან რომ წყაროაო**. შემდეგ მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმია და წყაროს სახელი დაერქვა დასახლებასაც.

იფნის წყაროს დასახლებაში ძირითადად მართმადიდებლები ცხოვრობენ. იგი **მართმადიდებლების უბნის** შემადგენლობაშია. ვალის ღთისმშობლის შობის სახელობის მართმადიდებლური ეკლესიაც სწორედ ამ ტერიტორიაზეა. დღეისთვის **იფნის წყაროს**

ტერიტორიაზე იფინის ხეებს აღარ ვხვდებით, მაგრამ სახელმწიფო კვლავინდებურად აგრძელებს ფუნქციონირებას.

დასახლების სახელად მცენარის სახელია გამოყენებული მხოლოდითშია, იმიტომ, რომ სწორედ ერთი იფანი მდგარა და არა რამდენიმე.

6. **კოკოლა** - დასახლების სახელია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **კოკოლა** კონუსის მსგავსი თავწვრილი გორაა (ქეგლ, 1955:1263). მართლაც, ამ სახელით აღნიშნული ტერიტორია დამრეცია, გორის ფართო ფერდივითაა, რომლის ზედა ნაწილი ერთგვარად **აკოკოლავებულია**, ამიტომ ლოგიკურია მისი ეს სახელი. **კოკოლა//კოკოლაი**, ასევე **კოკოლათავი**, **კოკოლას მთები**, **კოკოლაყანები**, **კოკოლაფერდი** და მისთ. ტოპონიმებად დასტურდება **ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზველის ტერიტორიაზე** (ბერიძე, 2012:82-83).

7. **მართმადიდებლების უბანი** - ეს არის მართმადიდებლებით დასახლებული, ვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის მართმადიდებლური ეკლესიის მასხლობლად. აქ ძირითადად ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **გიორგაძე**, **კოპაძე**, **ღიასამიძე**, **ბებნაძე**, **ნადირაძე**, **ჩიტაძე**, **ხმალაძე** და სხვ. მართმადიდებლების უბანს **ქართველების უბნადაც** მოიხსენიებენ. მართალია, მართმადიდებლები გარდა ამ უბნისა ვალის უკვე თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობენ, მაგრამ მას სახელი იმ დროისთვის შეერქვა, როდესაც სოფელ ვალეში სამი კონფესიის მიმდევარნი: **მართმადიდებლები**, **კათოლიკეები** და **მაჰმადიანები** ცხოვრობდნენ. ადრე ეს უბანი მთლიანად მართმადიდებლებით იყო დასახლებული. დღესაც თითქმის მსგავსი სურათია

8. **მეცამეტე** იგივე **ტოროლები** - დასახლებაა ახალციხიდან მომავალი გზის ვალის შემოსასვლელ ნაწილში. მეორე საჯარო სკოლის მიმდებარედ. სახელი **ნომერ მეორე მალაროს** გამო დაერქვა, რომელიც აქ იყო განლაგებული. მალაროთა ექსპლოატაციიდან გამოსვლის მიუხედავად კი - ისევ დარჩა. მალაროებამდე ამ ადგილს **ტოროლებად** მოიხსენიებენ. იგი დღესაც ნაცნობი სახელია ვალელთათვის.

მეცამეტეს ტერიტორია ქალაქის ტიპის დასახლებაა, კორპუსიანი სახლებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სახელს

მარტო მსაზღვრელის სახით ხმარობენ-**მეცამეტე**, საზღვრული კვი-
დასახლება მასთან ერთად უმეტეს შემთხვევაში, არ მოიხსენიებთ,
ვინაიდან პირველი უფრო მარტივი ფორმაა სათქმელად.

9. **პირველი შახტა** - დასახლებაა ვალეში, რომელიც ანალო-
გიური სახელდების მოტივით ხასიათდება, როგორც **მეცამეტე**. იგი
ქალაქის ცენტალური გზის სამხრეთითაა.

10. **სამხედრო დასახლება** - ტერიტორია, სადაც საბჭოთა
კავშირის დროს რუსული სამხედრო ნაწილები იდგა. იქ პატარა
სამხედრო ქალაქივით იყო გაშენებული. რამდენიმე შენობა დღე-
საც შემორჩა მაშინდელ დროს. ამ ფაქტორის გამო, სამხედრო
ნაწილის მიმდებარე ტერიტორიას, **სამხედრო დასახლებად** მოიხსენი-
ებენ, უფრო რუსულ სიტყვას ხმარობენ - **სამხედრო გარადოკის
დასახლება**ო.

11. **ლარულები** - დასახლების სახელია. ტერმინი **ლარულები
დალარვა** > **დალარულიდან** მომდინარეობს. აშკარაა, რომ ამ სახე-
ლით აღნიშნული ტერიტორია დალარული უნდა ყოფილიყო წყლის
ლარებით. **ლარი**- სანიაღვრე, სარწყავი განიერი მილია, რომელიც
მეტად საჭირო იქნებოდა ლარულების ტერიტორიისთვის, რადგან
ის უმეტესად დამრეც, დაღმართ ადილებს მოიცავს. წვიმის თუ
სარწყავი წყლის უზარალოდ ჩადინება-გადინებას ემსახურებოდა
ლარები, რამაც განსაზღვრა ტერიტორიის სახელი.

თუ ვამბობთ, რომ **ლარულები** დალარვიდან მოდის, მაშინ მისი
ვნებითი გვარის მიმღება **დალარული**, აქ **დალარ-ულ-** ა უნდა
ყოფილიყო და არა **ლარულ-ა**, მაგრამ სახელდებისას და დაიკარგა
და მივიღეთ **ლარ-ულ-ა**. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზმნისწინიანი
ფორმების წარმოება არც თუ ხშირია ტოპონიმურ სახელთათვის.

12. **ყორიანი** - ერთ-ერთი დასახლებული ადგილის სახელი
ვალის სამხრეთ ნაწილში საკარმიდამო ნაკვეთებით.

ტოპონიმის სახელი **ყორედან** მოდის, რაც ქვიან ადგილს, ქვი-
სადა მისთანების გროვას ნიშნავს, მეორე მნიშვნელობით კი- **ყორე**
უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელია (ქეგლ, 1962: 568).

ამ მნიშვნელობებიდან გამომდინარე, **ყორიანი** შეიძლება
დარქმეოდა ადგილს იმის გამო, რომ დასახლებაში ქვათა სიმრავ-
ლე საკმაოდ შეინიშნებოდა, ან საკარმიდამო ნაკვეთები და სახ-
ლები შეიძლება, **ყორეს** ტიპის ლობეებით იყო გამოყოფილი.

ქვასთან დაკავშირებული ტოპონიმებიდან ვალის ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ქვიანებიც** ფიქსირდება. **ყორიანი** კი ტოპონიმის სახელდებისას ისეთი განსაკუთრებული ტერმინია, რომელიც ქართული ტოპონიმის ლექსიკურ ფონდშიც გავრცელებულია.

ყორიან-ში-იან სუფიქსი ქონების გამომხატველი სახელების მანარმოებელია, იგი ამ ადგილში ყორეს არსებობას გვიდასტურებს.

13. შარიპირები - მეოთხე და მესამე შახტის გზების გასაყოფზე არსებული დასახლებაა, რომელსაც სახელი ცენტრალურ ქუჩასთან სიახლოვის გამო ეწოდა. **შარა** იგივეა, რაც გზატკეცილი (ქეგლ, 1962:626). **შარიპირებში** ქუჩის განაპირა მხარეს არსებული ტერიტორია მოიაზრება. ტოპონიმი ორცნებიანი კომპოზიცია, მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობით.

14. წითლიგვერდი- დასახლების სახელია. იგი ორცნებიანი კომპოზიცია. ვხვდებით მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციურ წყობას. თავისებურება კომპოზიციის პირველ ნაწილში იჩენს თავს, როცა სახელში **წითელის** ნაცვლად **წითლი** ჩანს. აშკარაა, რომ მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უნდა ყოფილიყო, რის დროსაც **წითლის გვერდი** იქნებოდა და არა **წითლიგვერდი**. ორი სახელის შერწყმისას და მათი ტოპონიმად ქცევის დროს დაიკარგა ნაწილობრივ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, კერძოდ **ს**, რამაც მოგვცა **წითლიგვერდი**.

რაც შეეხება სახელის სემანტიკას, **წითლიგვერდით** სახელდებულ ტერიტორიაზე წითელმინა ნიადაგი უნდა ყოფილიყო, **გვერდში** რელიეფურად ისეთი ტერიტორია მოიაზრება, რომელიც შემალლებული ადგილის გვერდის, ფერდის მხარეა. მსგავსი სემანტიკური რიგის ტოპონიმიდან ვალეში არის **გვერდეულიც**, რომელიც ანალოგიური თვისებით ხასიათდება.

ამგვარად, ვალის ურბონიმებთაგან ზოგი ძალიან ძველია, უმეტესობა უფრო ახლო წარსულის მემკვიდრე და მემატინანეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უბნებისა და დასახლებების სახელდების სამი მოტივი გამოირჩევა. სტრუქტურულად უმეტესობა რთული სახელია, თუმცა გვაქვს მარტივფუძიანებიც, რომლებსაც განსხვავებული ფორმა და სემანტიკა აქვთ.



უმეტეს შემთხვევაში, **გზა** სახელით მაშინ მოიხსენიება, თუ ის რაიმე დანიშნულებით გამოირჩევა, მნიშვნელოვან ობიექტის სიახლოვესაა, რაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ან რაც მთავარია, რა ობიექტამდეა შესაძლებელი მისით მისვლა. **სერის** შემთხვევაში კი - იგი სახელს იმ ტერიტორიისაგან იღებს, სადაც გადის - მიუყვება, ან შესაძლოა, გზისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური დანიშნულებით ხასიათდება.

გზის სახელდება არა მარტო ლინგვისტური, არამედ ფსიქოლოგიური მოვლენაცაა, რადგან მაგ: ვალელისთვის **გზა**, რომლითაც ვალე-ახალციხე უკავშირდება ერთმანეთს, **ვალე-ახალციხის გზაა**, ახალციხელისთვის კი **ახალციხე-ვალის**. ამით იმის თქმა გვინდა, რომ გზის სახელდებისას გათვალისწინებულია ის ასპექტი, თუ რომელი მხრიდან, რა რაკურსით უყურებს სახელმდები საზოგადოება დრომონიმს. დასახლებაში გზების სახელთა სიმრავლეს ის ფაქტორიც განაპირობებს, თუ რამდენ მეზობელ ობიექტამდეა გზით მისვლის საშუალება, ამ თვალსაზრისით ხმარობენ გზათა შემდეგ სახელებს ვალეში: **წყალთბილა-წინუბნის გზა** (სოფელ წყალთბილასა და სოფელ წინუბნამდე მისასვლელი გზა), **პამაჯის გზა** (სოფელ პამაჯამდე მისასვლელი გზა), **ნაოხრების გზა** (სოფელ ნაოხრებთან მისასვლელი გზა), **არლის გზა** (სოფელ არლისკენ მიმავალი გზა) და სხვ. თუმცა, ამ შემთხვევაში გზათა სახელები არ არიან სტაბილური, ვინაიდან, თუ კაცი წინუბანში მიდის, მისთვის სოფელთან მისასვლელი გზა **წინუბნის გზაა** და არა **წყალთბილის**, ვინც სავარგულ **კორაშენში** მიდის, მისთვის ეს გზა **კორაშენი გზაა** და არა **არლის გზა**, ამიტომ ძნელია გზათა ზემოთნახსენები სახელები ერთი სახელით მივაკუთნოთ ვალის ტოპონიმსას.

გარდა ზემოთ ნახსენები გზათა სახელებისა, გზისა და სერის დანიშნულებით რამდენიმე ტოპონიმი ფიქსირდება ვალეში, რომელთაც მყარი სახელები გააჩნიათ. ესენია:

1. **გადასახედი - არჯანის გზას** რომ დავადგებით, ზემოთ ერთი მოკავებულ მთის წვერივითაა, სერის მსგავსი. თურმე ად-

რე აქ სპორტული თამაშები იმართებოდა ქართველეს (მართამადი-
დებლები) და ფრანგებს (კათოლიკეები) შორის (ზაქროშვილი, 2005:76).

2. **თოფი გზა** - ვალელთა სათიბ ტერიტორიებზე გადის. გად-
მოცემის მიხედვით, იგი თამარ მეფეს გაუკეთებია (ზაქროშვილი,
2005:76). ვალელი ინფორმატორის თქმით, გზას ნამდვილად სანა-
დირო თოფის ფორმა აქვს (ინფ: ანზორ თელიაშვილი, დაბადე-
ბული 1952 წელს), სხვა ვერსიით კი, როგორც თოფის ლულა სწო-
რად ისვრის, გზაც მის მსგავსად სწორეა, რის გამოც ჰქვია ეს
სახელიო (ინფ: შოთა გოგილაშვილი, დაბადებული 1942 წელს).

3. **საურმე სერი** - ნამოსახლარ და დღეისთვის სავარგულ
ჭორატის ტერიტორიაზე არსებულ სერს ადგილობრივები **საურმე
სერს** უწოდებენ. ტოპონიმი მიგვითითებს სამიმოსვლო არტერიაზე
- ძველი გზის მონაკვეთზე. ვინაიდან სახელი ძველი დროიდან
მოდის, სერს სახელიც **საურმის** აქვს, ანუ ურმებისთვის ყოფილა
გამოსაყენებელი, რომლებიც მაშინ შეუცვლელ და საჭირო ტრანს-
პორტს წარმოადგენდნენ.

4. **უზუნთუფის სერი** - იწყება ვალე-არჯანის გზიდან სომხურ
სოფელ **წყალთბილის** მიმართულებით დაგრძელდება **ახორეთამდე**.
უზუნთუფი თურქული წარმოშობისაა: **Uzun** - გრძელი (ჩლაიძე,
2001:1402), **Tepe** - 1) მთის წვერი; ბორცვი; მალლობი; 2)
მწვერვალი; წვერი; კენწერო; კორტოხი; თხემი (ჩლაიძე, 2001:1349).

5. **ნისქვილის სერი** - მართალია, ამ სახელით მოსხენიებული
ტერიტორიის ნაწილი სახნავ-სათესია, **ქანჭახებთან** ახლოს, თუმ-
ცა ვხვდებით ფერდობის ნაწილსაც, რომელსაც საკუთრივ **ნისქვი-
ლის სერი** ჰქვია. ტოპონიმს სახელი ნისქვილთან სიახლოვის გამო
აქვს შერქმეული.

5. **ყაზარბილიკი** - ვალის იალაღებზეა, **თავების გორაზე** მისას-
ვლელი საცალფეხო გზაა. **ყაზარა**, როგორც სახელი დასტურდება
მე-16 საუკუნის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“
(ჯიქია, 1941:37), **ყაზარათებს** კი როგორც მეტგვარს ვხვდებით
ვალეში. ამ ტოპონიმის დარქმევის მოტივი შესაძლოა, საკუთარი
სახელი ყოფილიყო ფორმით-**ყაზარას ბილიკი**. შემდეგ, როგორც
ხშირ შემთხვევაში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგადა
მივიღეთ თხზული ტოპონიმი.

თუმცა, ზოგიერთი ვალელი ინფორმატორი ამბობს, რომ ის არა თუ ყაზარ, არამედ ყაზახბილიკიაო. ამ გზით ყაზახები დადიოდნენო, რამაც განაპირობა ადგილის სახელდება (ინფორმატორი: იაკობ თელიაშვილი, დაბადებული 1936 წელს).

6. ქალიგვერდი- ფერდობზე გამავალი საცალფეხო გზა №1 შახტიდან №2 შახტამდე (ზაქროშვილი, 2005: 79). სახელში დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნაწილი -ს, რაც ვალელთა მეტყველებით არის განპირობებული.

როგორც დავინახეთ, გზა-სერთა აბსოლუტური უმრავლესობა კომპოზიტიური სახისაა, ისინი შერქმეულია მათი დანიშნულებით ან რაგვარობის მიხედვით.

აგრონიმები

აგრონიმები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე სახელთა ჯგუფია ტოპონიმიაში, რომელშიც ვალის ტოპონიმთა ძალიან დიდი რაოდენობა ერთიანდება, ისეთები, როგორებიცაა სახნავ-სათესების, ბაღებისა და სათიბ-საძოვართა სახელები. სავარგულთა სახელები მრავალგვარი წარმოებისა და საკმაო წარსულის მქონეა, რადგან უმეტესი მათგანი ნასოფლართა ტერიტორიაზეა და ხშირად ოიკონიმის სახელი მატარებელიცაა. სათიბ-საძოვრები ვალის სამხრეთით განლაგებული ვრცელი ტერიტორიებია, რომელთა სახელებსაც ეტყობათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალიათა გავლენა. სემანტიკურად ორივე შემთხვევაში არაა გასაკვირვი, რომ მიწის რაგვარობა და ტერიტორიათა რელიეფური მდგომარეობაა გათვალისწინებული.

განვიხილოთ ვალის სახნავ- სათესიტერიტორიების, ბაღებისა და სათიბ-საძოვართა სახელები.

სახნავ-სათესები და ბაღები

საკმაოდ მრავალგვარია ვალის ტოპონიმური სურათი. ამის თქმა განსაკუთრებით სახნავ-სათესებისა და ბაღების სახელებზე



შეგვიძლია. ისინი გამორჩევიან, როგორც სიმრავლით, ისე ფორ-
 მობრივ, სემანტიკური თუ გენეტიურ-მოტივაციური თვალსაზრ-
 რისით.

უნდა ითქვას, რომ ზოგადად ვალის აგრონიმებს ერთი საერ-
 თო სტრუქტურული მახასიათებელი გააჩნიათ. ეს გახლავთ მრავ-
 ლობით რიცხვში წარმოდგენილი **-ებ** სუფიქსით გაფორმებული
 ადგილის სახელი. **-ებ**-იანი მრავლობითი ვალის აგრონიმებში
 ნაკვეთთა სიმრავლეს გამოხატავს. მაგრამ, ზოგჯერ ისეც ხდება,
 როცა ვალელი კაცი დამკვიდრებულ მრავლობითის ფორმით
 არსებულ სახელს მხოლობითში ხმარობს, ამ დროს იგი გარკვეუ-
 ლი ტოპონიმის შემადგენლობაში არსებულ ცალკეულ ნაკვეთზე
 მიუთითებს ხოლმე. ამიტომ, ზოგიერთ ტოპონიმს ორივე რიცხვის
 ფორმაში ვხვდებით: **ჭანჭახი//ჭანჭახ-ებ-ი, ფარეხა//ფარეხ-ებ-ი,**
მოკრული//მოკრულ-ებ-ი და სხვ.

საერთოდ, დღევანდელი ვალის სახნავ-სათესი მიწათაგან,
 უმეტესი ნასოფლარია, ბევრი მათგანი ბაღჩა-ბაღების სახით იყო
 წარმოდგენილი, რომლებიც მოსახლეობამ თანდათან სათეს მიწად
 აქცია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი სტრუქტურულ-სემანტი-
 კური და გენეტიურ-მოტივაციური თვალსაზრისით.

1. **აღამა** - სავარგულია **ჭანჭახების** მახლობლად. სახელში
აღამ-ა, **-ა** სუფიქს მატოპონიმებელი ფუნქცია აკისრია, თუმცა,
 საინტერესოა სახელის სემანტიკა. ვფიქრობთ, რომ იგი ძველი
 ებრაული წარმოშობის სიტყვიდან **აღამ**-იდან უნდა მომდინარეობ-
 დეს, რაც თიხას, წითელ მიწას ნიშნავს, რადგან ღმერთმა პირველი
 კაცი შექმნათიხისაგან, ამიტომ უწოდა მას **აღამი**. აღნიშნული
 სახელის მნიშვნელობით ტერიტორიის სახელდება სავსებით ლო-
 გიკურად მიგვაჩნია.

ვალეში ასევე ამბობენ, რომ რადგან **აღამას** ნაკვეთები საუკე-
 თესო სახნავ-სათესი ტერიტორიაა, სახელი თურქული ენიდანაა
 შემოსული, სადაც **აღამ**-აღამიანს, კაცს ნიშნავს, **აღამას** ნაკვე-
 თები "კაცური, ძალიან ღონიერი მიწებიაო (ინფ: ნიკოლოზ ნაღი-
 რაძე, დაბადებული 1941 წელს).

2. **არჯანა** - ნასახლარია, ვალის მოსახლეობა მას ნაწილობრივ
 საძოვრად, უმეტესად კი- სავარგულად იყენებს. **არჯანა**, ისევე

როგორც **ოჯორჯალი** მაჰმადიანებით დასახლებული სოფელი ყოფილა. **არჯანა არჯ-** ძირიან სახელებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლის მსგავსი სახელი გვხვდება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ **ანდის** ზემოთ ნასოფლარ **არჯ-ულ-**ის სახით.

3. **ასრათას ყანები** - სახნავ-სათესია ვალის **მესამე შახტის** დასახლების უკან. როგორც სახელიდან ირკვევა, აქაური ნაკვეთები ვინმე **ასრათასი** ყოფილა. **ასრათი-**კაცის სახელია საქართველოში, ამიტომ მისეულ ტერიტორიას დღემდე შემორჩა **ასრათას** სახელი.

4. **ბამბაღეჭია** - სათესი ტერიტორიაა ვალის მეზობელ **მეორე შახტის** სახელით ცნობილ ტერიტორიასთან. სახელი ორცნებიანი კომპოზიცია, მიღებულია **ბამბისა** და **ღეჭვის** შეერთებით. ვალელთა თქმით, ამ ადგილას თურმე, ადრე ჭადრის ხეები მდგარა. როგორც წესი, ისინი ყვავილობას ბამბის მსგავსი წარმონაქმნით ამთავრებდნენ. ბამბები ფრენით მოედებოდნენ ხოლმე აღნიშნულ ტერიტორიას, რამაც განაპირობა სახელდება. **ბამბაღეჭი-ა-**ში გამოიყოფა კნინობითობის მანარ-მოებელისუფიქსი **-ია** სუფიქსი, რომელმაც სახელი გაასუბსტანტივა და ტოპონიმად აქცია.

5. **ბებერო** - სავარგულ **ქლიავების** ბოლო სათეს ზოლს წარმოადგენს. სახელი გაარსებითებული ზედსართავია და ტოპონიმად წოდებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. გაურკვეველია მისი დარქმევის მოტივაცია. კ. გვარამაძის ჩანაწერებში აღნიშნული ტოპონიმი **ბებერაის** სახელით არის მოხსენიებული (გვარამაძე, 1897:9).

7. **ბოლო ბოსტნ-ებ-ი-** სავარგულია სოფლის ბოლოში. იგი პატარ-პატარა ტერიტორიებად არის დაყოფილი მოსახლეობისთვის. ვინაიდან სოფლის განაპირასაა, ამ ფაქტორითაა განპირობებული ტოპონიმის სახელდება. სახელი კომპოზიტურია, მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური ნყობის ფორმით არის წარმოდგენილი.

8. **გვერდული** - სახნავ სათესია სავარგულ **გრძელას** მახლობლად, **სასიროს** სამხრეთით.

ტოპონიმი ნაწარმოებია არსებით სახელ **გვერდიდან**. გვერდში აქ შემალლებული ადგილის ფერდი, დამრეცი მხარე უნდა

მოვიაზროთ. მართლაც, მსგავს ადგილზე აღნიშნული ტერიტორია. ტოპონიმი გაფორმებულია წარმომავლობის გამომხატველ ეულ სუფიქსით, რაც ტერიტორიას გვერდისეულ, გვერდის მსგავს ადგილად წარმოგვიდგენს.

9. გრძელა//გრძელა-ებ-ი - სავარგულია, ასევე სავარგულ ზღვარმალის მიმდებარედ. გრძელა ზედსართავ სახელ გრძელიდან მოდის, ყანების განსაზღვრებად თუ მოვიაზრებთ, ნაკვეთებში კვლები ძირითადად სიგრძეზე იკვალება, რადგან გრძელას ერთი ნაწილი ფერდია, სიგანეზე დაკვალისას წყალი არ გადის ბოლომდე, რის გამოც კვლის სიგრძეზე გავლებაა უმჯობესი. გრძელაში -ა ზედ. სახელის ტოპონიმიზაციის შედეგად გაჩნდა. გრძელას ნაკვეთთა სიმრავლის აღსანიშნავად, ვალელები გრძელა-ებ-საც ამბობენ, რაც განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება.

10. ზიარეთი//ზიარეთის ზოლი - სახნავ-სათესი ადგილია, კერძოდ, ჭანჭახების ერთი მონაკვეთი.

ზიარეთი რელიგიური ხასიათის ტერმინია, რომელიც ისეთ სამლოცველო ადგილებს ჰქვია, სადაც ყოფილა ეკლესიის ნანგრევები ან საჯვარე (ბერიძე, გუჯეჯიანი, 2013:87). მისი ასეთი დანიშნულების გამო, საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა ზიარეთად მოხსენიებული ადგილები. ვფიქრობთ, სწორედ ამ ფაქტითაა განპირობებული ვალის ტერიტორიაზე ზიარეთის არსებობა. ამ ადგილას ვალელთა ცნობით, მართლა ყოფილა ძველი ტაძარი, რომლის ნანგრევებზე ახალმა თაობამ ეკლესია გააშენა. შესაძლოა, ეს ის ადგილი იყო, სადაც მოსახლეობა ასრულებდა ზიარეთობის ტრადიციას, რის გამოც სახელი დამკვიდრდა და განაგრძობს არსებობას.

ტოპონიმი ზიარეთი შემოსულია ქართულში და მან შეცვალა ქართული ქრისტიანული სალოცავის სახელი ზოგადად. თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ZYRET-ი არაბულ-სპარსული ენებიდან შეთვისებულად არის მიჩნეული. მას მრავალი განმარტება აქვს. მათ შორისაა: 1. წმინდა ადგილების მოლოცვა, 2. სალოცავი ადგილი, 3. წმინდა საფლავი და სხვ.

ვინაიდან ისტორიულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დიდი ხნის განმავ-ლობაში დაპყრობილი იყო თურქეთის (ოსმალეთის მიერ), ტერმინი **ზიარეთი** შესაძლებელია, უშუალოდ თურქული ენის გავლენითაც გაჩენილიყო და არაბული-სპარსულისაც.

მერაბ ბერიძისა და როზეტა გუჯუჯიანის აზრით, **ზიარეთობა** შეიძლება იყოს ნებისმიერი ქრისტიანული დღეობის აღმნიშვნელი: ამაღლების, კვირიკობის, ელიობის, მარიამობის და სხვა. ეს დღესასწაულები წლის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. გარკვეული ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, მოხდა შემოსული ტერმინის უნიფიცირება, რამაც გამოიწვია ტოპონიმ **ზიარეთის** სიმრავლე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ბერიძე, გუჯუჯიანი, 2013:87).

11. **ზღვარმაღალი** - სახნავ-სათესი ადგილი, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეოს, რომ კომპოზიტი წარმოდგენილია პოსტპოზიციური წყობით, საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს. ამიტომ, იგი ძველი ქართული ენის სტრუქტურას ეხმიანება. სახელის სემანტიკიდან თუ ამოვალთ, ამ ადგილას მაღალი ზღვრები უნდა ყოფილიყო. აქ ზღვარი არის საზღვარი, მიჯნა, ის რაც ანსხვავებს, აშორებს, ყოფს ერთმანეთისაგან ორ ან მეტ, თუნდაც ნაკვეთს. **ზღვარია** ასევე ყანებს შორის მოუხნავად დატოვებულ ზოლი.

ზღვარმაღალის სტრუქტურის მქონე სახელი მეორე არ ფიქსირდება ვალის ტოპონიმიაში. წარმოების თვალსაზრისით, კომპოზიტის პირველი ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მეორე კი სახელობით ბრუნვაში დგას.

12. **თინარი//თინარ-ებ-ი** - ბალებია, რომლის ტერიტორია მოსახლეობამ ნაწილობრივ დაამუშავა და სათესად აქცია. **თინარები** მდინარე ფოცხოვის ნაპიზეა. ტერიტორიას გზა ორ ნაწილად ჰყოფს, ამიტომ ვალელები მის ერთ ნაწილს **ქვედა//ქვეშათინარებად** მეორეს კი-**ზედა თინარებად** მოიხსენიებენ. **თინარი** საინტერესო ფორმის ტოპონიმია, რომელიც შემდეგნაირად შეგვიძლია დავშალოთ: **თი-ნარ-ი**, ვფიქრობთ, ფუძე **თი-** უნდა იყო შეკვეცილი ფორმა **თივ-**ისა, სადაც **ვ** სონორი თანხმოვანი დაკარგულია მეორე სონორ **ნ** დართვის შედეგად. **-ნარ** სუფიქსი ხემცენარეების აღმნიშვნელ სახელებთან გამოიყენება და ქონების

გამომხატველია. თი-ნარ-ში -ნარ სუფიქსი მის ტერიტორიაზე
თივის არსებობას გვიდასტურებს.

13. თეთრობი - ნასოფლარია, რომელსაც სავარგულად იყენებენ ვალელები. სახელის წარმოქმნის მოტივაციად ნიადაგის რაგვარობაა გათვალისწინებული. -ობ სუფიქსი ქართულ ენაში უფრო მეტად ზედ. სახელებს დაერთვის და აბსტუნტავივებს მათ. მაგალითისთვის, მალლ-ობ-ი, ტაფ-ობ-ი, დაბლ-ობ-ი, რბილ-ობ-ი და სხვ. თეთრობი გაუფორმებელი სახითაა შემორჩენილი ვალის აგრონომიაში. კ. გვარამაძის ჩანაწერებშიც იგი იმავე სახელით იხსენიება და ოიკონიმად დასტურდება (გვარამაძე, 1897:9).

14. ირქა - ნასოფლარია, რომელსაც დღეს ვალის მოსაღებობა სავარგულად იყენებს. აქ მდებარეობს ამავე სახელწოდების ეკლესია. ირქას ჩვენ ნასოფლართა განხილვისას შევეხეთ და ვთქვით, რომ ირმის რქას ან კიდევ ვაზის ჯიშს- რქა წითელს შეიძლება დაუკავშირდეს სახელის წარმოქმნა.

15. კავა//კავაი - სავარგულია, რომელსაც სახელი სამუშაო, სახნავ იარაღ -კავის გამო უნდა დარქმეოდა. კავაი დასტურდება კ. გვარამაძის ჩანაწერებშიც (გვარამაძე, 1897:9). საზოგადო სახელ კავზე-ა სუფიქსის დართვამ, იგი ტოპონიმად აქცია.

16. კორაშენი//ყორაშენი - ხეხილის ბალები, სახნავ სათესი ტერიტორიით, ვალისა და სოფელ არლის გამოყოფზე.

ისტორიულ ტოპონიმ კორაშენში გამოიყოფა კორ- ფუძე, რომელიც მე-16 საუკუნეშია დაფიქსირებული, ხოლო -შენ ტერმინ-ფორმანტი პროდუქტიულია ქართულ ტოპონიმიაში. ამ შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელი, რადგან -შენ კომპონენტიანი ტოპონიმები საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით საკმაოდ ბევრია (ხევაშენი, ბოლაშენი, გოგაშენი...). ყველაზე პროდუქტიულია იგი ახალ- მსაზღვრელთან (ახალშენი). დანარჩენ შემთხვევაში პირველ ადგილას ადამიანის საკუთარი სახელი გვხვდება ასე, რომ კორაშენში შეიძლება გამოიყოს საკუთარი სახელი კორა, რომელიც -ა კნინობითობის მანარმოებელი სუფიქსით გაფორმებული კორ- ფუძეა (ბერიძე, 2011:234).

17. **ლოდიანი** - სავარგულის სახელმწიგამოიყოფა სახელი-
ლოდი, რაც დიდ ქვას ნიშნავს, **-იან** სუფიქსი კი ქონების გამომ-
ხატველია და აღნიშნულ ადგილში ლოდების არსებობას გვიდას-
ტურებს. ვალეში მსგავსი სემანტიკის სახლებია: **ყორიანი** და
ქვიანი.

18. **მაზანა// მაზან-ებ-ი**- ბალები და სახნავ-სათესია მდინარე
ფოცხოვის მახლობლად, ე.წ. **მეორე შახტის** დასახლების სიახ-
ლოვეს. **მაზანა** კაცის სახელია, იგი დასტურდება მე-16 საუკუნის
„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (ჯიქია, 1941:38). ანთ-
როპონიმის ტოპონიმის საფუძვლად დადება არაა უცხო ქართული
ტოპო-ნიმისთვის.

19. **მოკრული// მოკრულ-ებ-ი**- სახნავ-სათესი ადგილები ბალებ-
ბით, სასიროს სამხრეთით, მდინარე ფოცხოვის ზემოთ. ადრე ეს
ტერიტორია მთლიანად ბალების სახით იყო წარმოდგენილი,
რომლებიც ერთმანეთისგან მესერულად გამოიყოფოდა, შემოკრუ-
ლი იყო თითოეული მესაკუთრის ბაღი.

20. **ოჯორჯალი//ოჯორჯული**- ნასოფლარი და აგრონიმია
ვალის სამხრეთით. ტოპონიმ **ოჯორჯალს** ვალელები **ოჯორჯულის**
სახელითაც მოიხსენიებენ. სახელები გაფორმებულია **-ალ** და **-
ულ** წარმომავლობის სუფიქსებით, რომელთა მონაცვლეობა ერთი
სახელის ფარგლებში, არაა გასაკვირი, შესაბამისად ლოგიკურია
აღნიშნული ტოპონიმის ორი მსგავსი ფორმობრივი ვარიანტის
არსებობა ვალის ტერიტორიაზე.

21. **პამაჯულ-ებ-ი**-ნაკვეთთა ადგილი, რომელიც **სოფელ
პამაჯის** მახლობლადაა და სახნავ-სათესად ვალის მოსახლეობაც
იყენებს.

პამაჯ-ულ-ებ -ში გამოიყოფა **პამაჯ// პამაჯი**, რაც ვალის
მეზობელი სომხური სოფლის სახელია და **-ულ** წარმომავლობის
მანარმოებელი სუფიქსი, რომელიც ყანების პამაჯთან სიახლო-
ვეზე, პამაჯურ წარმოშობაზე მიუთითებს.

22. **პანტალული** - სათესი ტერიტორიის ერთი მონაკვეთი
არჯანისაკენ მიმავალ გზასთან, სადაც პანტის ხეების სიმრავლე
შეინიშნებოდა. აქ ადრე პანტების ქალა ყოფილა, ამიტომ ამ
ადგილს ვალელები **პანტალულებს** უწოდებენ. თურქული **-ლული**
ქართული- **იან** სუფიქსის ბადალია, ანუ **პანტალული** პანტიან

ადგილს ნიშნავს. მსგავი ტოპონიმია მაგ: **ნავთლური-** ადგილი/
სადაც ნავთია.

23. **საცდელი ნაკვეთები-** სვარგულია ასევე სათეს **ჭორა-**
ტებში. როგორც სახელიდან ირკვევა, ვალელებმა პირველა მინა
მოსავლიანობაში გამოსცადეს, სანამ სავრგულად აქცევდნენ.
სახელი კოლმეურნეობის პერიოდიდან მოდის და დღემდე შემორჩა
ტერიტორიას.

24. **სამგლია // სანგლია** სვარგულის სახელია, რომელიც
მგელთან უნდა იყოს დაკავშირებული. **სა-მგლ-ია-ში** გამოიყოფა
სა-ია კონფიქსი, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს,
ანუ აშკარაა, რომ **სა-მ გლ-ია-ს** მგლები უნდა სცოდნოდა, რის გა-
მოც ეწოდა ეს სახელი. ქართულ მაკროტოპონიმიაში მსგავსი
სახისაა: **სა-მტრედი-ია**, ადგილი, სადაც მტრედები იცის, ან იცო-
და, ვალის მიკროტოპონიმია ასევე **სა-ყორნ-ია**, რომელიც მთაა
სათიბებთან, კერძოდ **ჩინგანას** სამხრეთ-დასავლეთით. მთის სახე-
ლად დასტურდება იგ გურიის მხარეშიც, ჩოხატაურის მუნიციპალ-
იტეტში.

კ. გვარამაძის ვალის შესახებ ჩანაწერებში მოხსენიებულია **სა-**
გველ-ია, როგორც სვარგული (გვარამაძე, 1987:9). იგი დღეს
ვალის ტერიტორიაზე აღარ დასტურდება. მაგალითისთვის უნდა
დასახელდეს, ყველასთვის ნაცნობი **სა-თაფლ-ია-** ნაკრძალი იმე-
რეთში, ქალაქ ქუთაისის მახლობლად.

25. **სასირო-სახნავ-სათესი** ტერიტორია, საქონლის სადგომი
ფერმებითა და საძოვრით.

ვალის მოსახლეობის მათეული ეტიმოლოგიის მიხედვით, ამ
ადგილას, თურმე კამეჩებს აჭიდავებდნენ, მოსახლეობა კი **სასეი-**
როდ მიდიოდა ხოლმე. სიტყვა **სასეირომ** ვალელთა აზრით მოგვცა
სასირო.

მაგრამ სინამდვილეში, **სასიროს** მნიშვნელობა სირს უკავშირ-
დება, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსი-
კონი მიხედვით **ჩიტს** ნიშნავს (ორბელიანი, 1966:95).

კასპის მუნიციპალიტეტში არის სოფელი **სასირეთი.** ეს არის
ანტიკური ხანის სოფელი, რომლის სახელწოდებაც **სირისაგან**
წარმოიშვა. **სირი-ჩიტია**, რომელიც ამ სოფლის ქალებში ოდით-

განვე ბინადრობდა. ერთ-ერთი ვესიის მიხედვით სოფელს **სასირეთი** ფრინველ სირის შემოსევის შედეგად დაერქვა. აღნიშნული ფრინველის შემოსევა **„დიდოსტატის მარჯვენაშიც“** არის აღნიშნული. „სწორედ იმ წელს, როცა გიორგის ბრძანებისამებრ სამი ეკლესია მოათავა ფარსმან სპარსმა სამცხეში, საქართველოს ქილყვავე შემოესია. მეხის ღრუბელივით დააბნელა მან აღმოსავლეთი, შირვანიდან წამოსული ქვემო ქართლს მოედო, მტკვარს აღმა აჰყვა და ბასიანამდე გააოხრა ნათესი. ახმობინა მეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესრა **სირი** (გამსახურდია, 2007:15).“

ვალის სასიროს შემთხვევაშიც, შესაძლებელია, ადგილს სახელი ნახსენები სოფლის მაგალითის მსგავსად დარქმეოდა. სახელს **სა-სირ-ო** -ში, **სა-ო** დანიშნულების სუფიქსია, რომელიც გვიდასტურებს, რომ **სასიროში სირები** ბუდობდნენ.

26. **ტოროლა//ტოროლ-ებ-ი-** სავარგულია ამავე სახელობის დასახლებასთან ახლოს. სახელი საინტერესოა, იმ მხრივ, რომ იგი პირდაპირ, ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვით არის შექმნილი, არაა გაფორმებული ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი რაიმე ფორმანტით. სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილში ტოროლები ბუდობდნენ. ალბათ საკმაოდ, მრავლად, რადგან მან სახელდების პროცესი გამოიწვია.

27. **ტბა-ჭორატის** შემადგენლობაში არსებული სახნავ-სათესი ტერიტორია.

„**ტბა** - უძველესი ჰიდრონიმული ტერმინია. სულხან-საბას განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **ტბა**- ზღვა არის მომცრო. ტბას უწოდებენ ნავთსაყუდელსა. **ტბორე**- ავი გუბე. **ტბასა** და **ტბორეს** წყაროსთანაც განმარტავს საბა და ფაქტობრივად იმავეს იმეორებს: „სადა გარე შემოევლების უწოდებენ ტბასა, ცუდსა, მცირესა ტბათაგანსა ტბორე“.

ტბად შეიძლება იწოდებოდეს წყლის დიდი მოცულობა, რომელშიც დროებით დგება წყალი ან ნატბეურია, მდგარა წყალი და გამქრალა (ბერიძე, 2008:204).“

ვალელ უზუცესთა გამოკითხვისას, ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ვალის სახნავ-სათეს **ტბის** ტერიტორიაზე, **ტბა** არასოდეს ყოფილა, ადგილს სახელი **ტბორის** ანალოგიით აქვს დარქმეული. წვიმისა თუ ნაკვეთის მორწყვისას ნიადაგი წყალს კარგად

ითვისებს, უჭირს გატარება და ხშირად ნყალი გუბდება, ძნელად შრება, დგება ტბორი, რამაც მოსავლის დაღობაც შეიძლება გაა-
მოიწვიოს. ამის გამო ვალელები აღნიშნულ ადგილს **ტბას უწოდებენ** (ინფორმატორი: შოთა გოგოლაშვილი, 67 წლის).

28. **უკანჭალა** - ფოცხოვისა და ქვაბლიანის შესართავის მიმდებარედ არსებული, სულ ბოლო ტერიტორია. სახელი საინტერესოა ტოპონიმთათვის არადამახასიათებელი სიტყვათწყობის, ფორმობრივი თვალსაზრისით. ჩანს, რომ სახელი **უკანა** თავდაპირველად **ჭალის** მინიშნების ფუნქციას ასრულებდა, გარკვეულ კონტექსტში იგი რალაცაა ტერიტორიის **უკანა ჭალა** იყო, რომელსაც სახელით არ მოიხსენიებდნენ. ამიტომ მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარმა ფორმამ ადვილად დაიმკვიდრა სახელი. მსგავსი წყობის სახელი ვალის მიკროტოპონიმიაში არ დასტურდება.

29. **ურწყავ-ებ-ი-ეს** არის სავარგულ **ჭორატის** ბოლო ტერიტორია, რომლის ფართობი დაახლოებით 70-80 ჰექტარია. საერთოდ ვალეში **ურწყავებად**, ყველა უწყავ ადგილს მოიხსენიებენ, მაგრამ როგორც ტოპონიმის სახელი მარტო ზემოთნახსენებმა ადგილმა დაიმკვიდრა. აღნიშნული ტოპონიმი მინის დახასიათების აღსანიშნავად მეტად სპეციფიკურია, რის გამოც მას სხვა სოფლების ტოპონიმებშიც ვხვდებით. მაგ: ვალის მეზობელ სოფელ **არლის** ტერიტორიაზე.

-**ებ** სუფიქსი, როგორც სხვა ტოპონიმებში, აქაც, ურწყავი მინების სიმრავლის გამომხატველია.

30. **ფაგ-ებ-ი-** არის ნასახლართა ნანგრევები, ნასოფლარ **არჯანაში**, რომლის ტერიტორიასაც ვალელები უკვე სათესად იყენებენ.

31. **ფიცარა** - სავარგულია, რომლის სახელწოდება საზოგადო სახელ-ფიცრისგან -ა მატოპონიმებული სუფიქსის დართვით არის მიღებული. სახელის დარქმევის მოტივაციად შეიძლება მოვიაზროთ ფიცარას ტერიტორიის რელიეფური სისწორე, ფიცრის მსგავსად. **ფიცარას** მსგავს საზოგადო სახელისგან ნამომდგარ ტოპონიმებად ვალის ტერიტორიაზე შეგვიძლია დავასახელოთ, ასევე **კავა, ფარეხადა** სხვ.

32. **ფოტორ-ებ-ი-**ამ სახელით აღნიშნება ადგილი, რომელიც ქალაქ ვალის ცენტრალურ შემოსასვლელი გზის მახლობლადაა

(ვალე-ახალციხის გზა). ეს არის წითელმინა, ყვითელმინა ნიადაგი, სუსტი, მწირი და მოსავლისათვის უნაყოფო, რის გამოც მას ფოტორებად მოიხსენიებენ.

ფოტორო - ძლიერ მაღალი და დიდი ფლატვა (ქეგლ, 1962:159).

ფოტორო-ოფოტორო-ა-ზე **ო**-ს სრული ასიმილაციით არის მიღებული, ანუ წინამავალმა **ო**-მ დაიმსგავსა ბოლო ხმოვანი-ა, რის გამოც გვაქვს **ფოტორო-ო** და არა **ფოტორო-ა**. ანალოგიურ ფონეტიკურ პროცესებს ვხვდებით შემდეგ გეოგრაფიულ სახელებშიც **ხოსპი-ა** - **ხოსპი-ო**, **გოკი-ა** - **გოკი-ო**, **გონდრი-ა** - **გონდრი-ო**.

-ებ-სუფიქსი **ფოტორო-ებ**-ში ფოტორო მინის ერთობლიობას გამოხატავს.

33. **ფუტკრ-ებ-ი//ფუტკრ-ებ-ის ზოლი**-ადგილია ვალის სამხრეთ ნაწილში, **ჭანჭახების** ტერიტორიის მეზობლად, რომელიც კოლმეურნეობის დროს ფუტკრების სკების სადგომს წარმოადგენდა. ტოპონიმ **ფუტკრებში** ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ფუტკრების სკების სიმრავლე, რაც შემდეგ ტერიტორიის სახელად იქნა გამოყენებული. ფუტკრების მეზობლად იყო **ბოსტნები** და ბაღები, რის გამოც აღნიშნული ტერიტორია ხელსაყრელ სივრცეს წარმოადგენდა ფუტკრების შესანახად.

34. **ფარეხა//ფარეხები**-ნასოფლარი ტერიტორია, რომელიც **ვალე-არლის** საზღვრის გამყოფზეა - სულ 37 ჰა., ამიტომ აქ ორივე დასახლების მცხოვრებთ აქვთ მინის ნაკვეთები. მათ გასაცალკევებლად კი ამბობენ **ვალის ფარეხები** ან **არლის ფარეხები**.

ფარეხი- საქონლის სადგომს ნიშნავს (ქეგლ, 1662:26).

ფარეხი-დან - ა-მატოპონიმებელი სუფიქსით არის მიღებული **ფარეხა**, რომელიც ნასოფლარი ადგილია. შესაძლებელია, **ფარეხა**-ში მრავლად იყო საქონლის სადგომი ადგილები, რის გამოც მას **ფარეხ-ებ**-ად მოიხსენიებენ.

ზოგი აღნიშნულ ტოპონიმს მხოლოდით რიცხვსი ხმარობს-**ფარეხა**, ზოგიც კი მრავლობითში. მრავლობითში ნახმარი ტოპონიმი **ფარეხაში** შემავალი მინების ერთობლიობის გამოშხატველია.

35. **ქვიან-ებ-ი**- სათესი ტერიტორია ვალის ჩრდილო-დასავლეთით, ნისქვილის გზის მარჯვენა მხარეს. სახელის შინაარსიდან თუ ამოვალთ, ამ ტერმინით აღნიშნულ ტერიტორიაზე ბევრი ქვა უნდა ყოფილიყო. დღეისთვის უკვე **ქვიანების** სურათი აღარ არის

იდენტური, იმისა, რაც მისი სახელდებისას იყო, თუმცა ქვათა სიმრავლე აქ დღესაც შეინიშნება.

ტოპონიმში ორგვარ სუფიქსურ წარმოებას ვხვდებით: **-იან და -ებ**. **-იან** სუფიქსი ქართულ ენაში ქონების მანარმოებელია, **-ებ** კი როგორც ზემოთ არაერთგზის ვახსენეთ, მრავლობითობას გამოხატავს. თუკი დავსვათ კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ არის წარმოდგენილი ეს ორი მანარმოებელი ერთ სახელში, მაშინ პასუხი მარტივი იქნება: ტოპონიმი რომ **ქვიანის** სახით ყოფილიყო წარმოდგენილი, მაშინ იგი ერთი ნაკვეთის აღნიშვნაზე მოგვცემდა ინფორმაციას, **-ებ** სუფიქსმა მას მრავლობითობა შემატა, ტერმინით აღნიშნული ტერიტორია გააფართოვა.

36. ქლიავ-ებ-ი - სახნავ-სათესი ტერიტორია. უნდა ითქვას, რომ ქართულ ტოპონიმიაში ხშირია, როდესაც ადგილს სახელწოდებად მცენარის, ცხოველის, ხისა თუ ფრინველის სახელი ედება. მაგ: **მუხიანი, ლელიანი, საირმე...**

ვალის ტოპონიმიაში მსგავსი სახის სახელია **ქლიავები**. ტერმინის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ როდესაც აღნიშნულ ტერიტორიას **ქლიავები** ეწოდა, მასზე სავარაუდოდ, ქლიავის ხეები უნდა ყოფილიყო განაშენიანებული. დღეისთვისაც ვხვდებით ჭანჭურ-ქლიავის ხეების ზოლებს საკუთრივ **ჭანჭახისა და ქლიავების** გამყოფი გზის ჩაყოლებაზე.

ქლიავ-ებ-ი, როგორც ვიცით, ქლიავის ხეებს ნიშნავს. ყანების აღმნიშვნელ ტოპონიმად ქლიავი რომ ყოფილიყო გამოყენებული, იგი ერთი ქლიავის ხის აღნიშვნა იქნებოდა და ვერ დაერქმეოდა ნაკვეთთა ერთობლიობას. ამიტომ სახელმა მრავლობითი რიცხვის ფორმა შეიძინა **-ებ** სუფიქსის სახით და დაერქვა ადგილს, სადაც ბევრის ქლიავის ხე იყო გაშენებული.

37. ქორ-შევარდენი - სათესი ტერიტორია, რომელიც განლაგებულია ე.წ. **პირველი შახტის** მიმდებარედ, **მეორე შახტის** გზასთან. კომპოზიტის პირველი ნაწილის შესაძლოა, ორგვარი სემანტიკური ახსნა მოვუძებნოთ. **ქორში** შესაძლოა მოვიაზროთ **ქორი**, როგორც მტაცებელი ფრინველი. მეორე მხრივ, **ქორ** -თურქულად ბრმას ნიშნავს, ანუ **ბრმა შევარდენი**. ჩვენი აზრით, სახელის დარქმევის მოტივაციის ახსნისთვის, ფრინველთა **ქორ-შევარდენის** მოაზრება უფრო ლოგიკურია, რადგან შესაძლოა, ამ ადგილას ბუდობდნენ

ორი ერთნაირი სახის-მტაცებელი ფრინველი, ვიდრე ბრმა შევარდენი, რომლის სახელდების მოტივაციაც არაა სარწმუნო.

38. **ლელეული-სახნავ-** სათესი ტერიტორიაა. სემანტიკური თვალსაზრისით, ლელეული საინტერესო ტოპონიმია.

„**ლელე** - უძველესი ჰიდრონიმული ტერმინია, რომელსაც წყაროს თუ მდინარის წყლის ჩადინება წარმოშობს. მესხეთში იგი პარალელური ფორმაა ხევის(ბერიძე, 2008:195).“

ტოპონიმს სახელის ლელისმაგვარი, ჩავარდნილი ადგილების არსებობის ანალოგიით აქვს შერქმეული, ამიტომ **ლელეული-ში** - **ლელეული** სუფიქსი კრებითობის გამომხატველია, იგი **ლელეულის** ტერიტორიაზე **ლელეების** არსებობას გვიდასტურებს.

39. **ჭანჭახი//ჭანჭახ-ებ-ი-** ადრე სოფელი, ახლა კიმსხვილი სახნავ-სათესი ტერიტორია ვალეში, რომელიც თავის მხრივ სხვა ნაკვეთებსაც აერთიანებს. ესენია: **ზღვარმაღალი, ადამა, ქლიავები, ფუტკრების ზოლი, ზიარეთი, საცდელი ნაკვეთები, ფიცარა და საკუთრივ ჭანჭახი**, რომელთა საერთო ფართობი 170 ჰექტარია.

ჭანჭახს სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს **ჭოჭებთან**. **ჭანჭახი-** წყლიან, ტალახიან ადგილს ნიშნავს. „ყანა სამკალად მშრალი სჯობს სველსა და ჭანჭახიანსა“ (ხალხ.) (ქეგლ, 1962:1227). ძალიან ნაყოფიერია ვალის **ჭანჭახების** ტერიტორია.

ჭანჭახი რომ წყლიან ადგილთან არის დაკავშირებული, ეს აშკარაა, თუმცა, მას თუ კიდევ დავშლით, მივიღებთ ფუძეგაორმაგებულ, რედუბლიცირებულ კომპოზიტს- **ჭან-ჭახი**. როგორც ვხედავთ, ფუძის გაორმაგება მოხდა ფუძის ცვალებით, სიტყვის პირველ ნაწილის **ნ** მეორენაწილში **ხ**-ით შეიცვალა. რედუბლიკაცია პარადიგმატულ ერთეულთა წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა. კონკრეტულად **ჭანჭახის** მსგავსი ფონეტიკური პროცესი კი დასტურდება შემდეგ სიტყვებში: 1. **ნუნ-ნუნ-ო** -საქონლის პატივი წყალში გასხნილი, რომელსაც იყენებენ სასუქად, ასევე მყრალი ლაფი, ნუმპე, საქონლის ნაკელიანი შარდი (ქ ე გ ლ, 1962: 1180); 2. **კუნ-კუნ-ო** (დიალექტ.)- თედოს ძვალი, მენჯის წინა ფრთა, რომელიც ზემოდან საზღვრავს საქონლის ფერდს (ქ ე გ ლ, 1955:1428); 3. **ძან-ძან-ი** - ნვიმა, ჭყაპი, ტალახი დიდი ნვიმის შედეგად (ქ ე გ ლ, 1962:717).

ასე, რომ **ჭანჭახი//ჭანჭახების** შემთხვევაში ნახსენები ბგერათ-
მონაცვლეობა არ არის უცხო ქართული ენისთვის.

ტოპონიმ **ჭან-ჭახ-ებ-** ში არსებულ **-ებ** სუფიქსი **ჭანჭახი** მინე-
ბის სიმრავლეს აღნიშნავს.

40. **ჭერემ-ა //ჭერემ-ებ-ი// ჭერემ-ებ-ი//** -სახნავ-სათესი
ტერიტორიაა ვალეში. მდინარე ფოცხოვის ნაპირას, სომხურ
სოფელ ნაოხრების მახლობლად.

ნახსენებ ტოპონიმს ვალეში სამი ფორმობრივი ვარიანტი აქვს:
ჭერემები// ჭერემები// ჭერემა. მათგან უფრო ცნობილი და
დამკვიდრებული **ჭერემაა**. **ჭერემა-** ქართული ენის განმარტებითი
ლექსიკონის მიხედვით კუთხ. (ფშ). ვეფხვივით ჭრელი საქონელი,
-ვეფანა, ტიგურა, ჭრომახი (ჩვეულებრივ იხმარება საქონლის სა-
კუთარ სახელად), მეორე მნიშვნელობით **ჭერემი** ერთგავრი თოფია
(ქ ე გლ, 1964: 1242).

ჭერემ-ებ-ი// ჭერემ-ებ-ის ვარიანტებიდან თუ ამოვალთ,
ვფიქრობთ, აქ როგორც **ქლიავებში**, ხილის სახელია გამოყენე-
ბული- **ჭერამი**. მართალია, **ჭერამის** მრავლობითის ფორმა **ჭერემე-
ბია**, მაგრამ მის გვერდით არსებული **ჭერემებიც** დიალექტური
ფორმისთვის არ უნდა იყოს უცხო.

ჭერემას განმარტებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ნიადაგის
სიჭრელემ განაპირობა სახელდება, **ჭერემები//ჭერემების** სახელე-
ბიდან კი ჩანს, რომ ტერიტორიაზე ნამდვილად ჭერამის ხეები
ყოფილა, რომელიც მოსახლეობამ თანდათან გაკაფა და ადგილი
სათეს ტერიტორიად აქცია.

41. **ჭომა-ებ-ი-** პატარა ხევი ყანებითურთ **პირველი შახტის**
მიდამოებში. სახელი მრავლობით რიცხვშია, თუმცა სახელის ძირ-
ჭომას მნიშვნელობის შესახებ ვერც ინფორმატორებისგან მივი-
ღეთ ინფორმაცია და ვერც ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით
წყაროებში მოვიპოვეთ.

42. **ჭორატი** - საკმაოდ დიდი სახნავ-სათესი ტერიტორიის
ერთობლიობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ტერიტო-
რიებს: **ჯიშთა გამოცდა** (აღნიშნულ ტერიტორიაზე ცდიდნენ სხვა-
დასხვა სანერგე-კულტურულ ჯიშებს) და საკუთრივ **ჭორატი**.
საერთოფართობი 200 ჰექტარია.

ჭორატი ნამოსახლარი ადგილია ვალის ცენტრიდან 1,5 კმ. სამეურნეო სახნავ ფართობზე. **ჭორატის** ნამოსახლარი განფენილია მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირის მაღალ (სიმაღლე 70-100მ.) ტერასაზე. ტერასას უკავია დაახლოებით 10 ჰ. ფართობი, იგი ვაკეა და დაფერდილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი **ჭორატი** უნდა იყოს მოგვიანებით წარმოქმნილი. მას არ იცნობს არც „ქართლის ცხოვრება“ და რაც მთავარია, არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი.“

43. **ჭოჭ-ებ-ი**-სახნავ-სათესი შავმიწანიადაგიანი ადგილია. ტოპონიმის დაშლისას **ჭოჭ-ებ-ი** გამოიყოფა სახელის ძირი, სემანტიკური ერთეული, რომელთანაც მისი ლექსიკური მნიშვნელობა არის დაკავშირებული **ჭოჭი**, რაც წყლიან, ძლიერ დასველებულ, ატალახებულ, ჭაობიან ადგილს ნიშნავს (ქეგლ, 1962:1286).

მოგეხსენებათ, ვინაიდან სათესი ტერიტორიის მთავარი ღირებულება გახლავთ ის, თუ რამდენად ადვილია ნაკვეთის მორწყვა, რამდენად კარგად ითვისებს ნიადაგი წყალს, მოსახლეობაც უმეტეს შემთხვევაში ადგილის სახელდებისას ზემოთ აღნიშნულ ფაქტორს დიდად უწევდა და უწევს ანგარიშს. ამიტომაც **ჭოჭებით** აღნიშნული ყანები, ჩანს, რომ წყლიანი ადგილია, შესაბამისად მოსავლიანიც.

რაც შეეხება ტოპონიმში **-ებ**-ით წარმოდგენილ მრავლობითს, იგი **ჭოჭიან** ადგილთა სიმრავლეს გამოხატავს, მსგავსი სახის ნაკვეთების ერთობლიობას.

44. **ჯარმეული** - სათესი ნაკვეთები **მესამე შახტის** მიდამოებში. ს. ზაქროშვილს მასზედ ერთი ლექსიც აქვს ჩანერილი:

„ჰალალ მექო, დალალ მექო,

ჯარმეულში ყანა მაქო,

მუშა ბევრი შევაგროვე,

ლუკმა-პური არამაქო“ (ზაქროშვილი, 2001: 79).

ტოპონიმი გაფორმებულია **-ეულ** სუფიქსით, რომლის შესახებაც უნდა ითქვას, რომ თუ იგი ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის წარმომავლობის გამომხატველია, სხვა შემთხვევაში კი მას კრებითობისა და მქონებლობის ფუნქცია აქვს (შანიძე, 1980: 129). სწორედ მეორე მნიშვნელობის მქონეა-**ეულ** სუფიქსი **ჯარმეულში**.

სახნავ-სათეს ტერიტორიათა ანალიზმა ცხადყო მათი მრავალფეროვნება. სახელებში ქართული ტოპონიმისათვის დამახასიათებელ თითქმის ყოველგვარ ტრადიციულ წარმოებას ვხვდებით. ყველაზე გავრცელებული **-ებ** სუფიქსი და **-ა** მატოპონიმებელი ფორმანტია, ხშირია, ქონებისა და დანიშნულების სუფიქსებით ნაწარმოები საზოგადო სახელები, ასევე ზოგიერთ სახელში იკვეთება თურქიზმის კვალი. ყოველივე აღნიშნული აგრონიმთა შესასწავლას მატებს ლინგვისტურ ღირებულებასა და მოითხოვს კიდევ უფრო სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევას.

სათიბ-საძოვრები

ქალაქ ვალის მოსახლეობა მინათმოქმედებასთან ერთად ოდითგანვე მესაქონლეობასაც მისდევდა, ამიტომ ისინი ზაფხულობით ინტენსიურად მიდიოდნენ, თუმცა ახლა ისე აღარ, ვალის მთაში, სადაც სათიბი და საქონლის საბალახო კარგი ტერიტორიებია. მათგან ზოგი ბალახსიუხვით გამოირჩევა, ზოგი ნაკლებად, ზოგი რელიეფურად ვაკეა, ზოგიც აღმართ-დაღმართ ტერიტორიებზეა გაშლილი, რამაც ნაწილობრივ მათი სახელდება განსაზღვრა.

ვალის სათიბთა აბსოლუტური უმრავლესობა თითქმის მთაშია მოქცეული, თურქეთის საზღვართან ძალიან ახლოს. სათიბ-საძოვრები უმეტესად განლაგებულია ვალის სამხრეთით, ერუშეთის ქედზე, ზელპურ ზონაში, ზღვის დონიდან 2600 მეტრზე მაღლა. ყველაზე მაღალი დონე, 2666 მეტრი სათიბ **შაბანებელზე** დასტურდება.

ვალის სათიბები 596 ჰექტარზეა გაშლილი, ვალელთა მიერ დაკანონებულ სათიბებს შორის ყველაზე შორს სათიბი- **იმპოლაა**, რომელსაც ურავლის ხეობის მოსახლეობა **ემპელოს** ეძახის.

სათიბ ტერიტორიათა სახელდებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ძირითადად თურქული წარმოშობისაა, თურქიზმის კვალი ყველაზე მეტად ვალის მთის ტერიტორიებს ეტყობათ, თუმცა აღსანიშნავია თურქული ვარიანტის გვერდით არსებული მათი ქართული შესატყვისები, რომლებიც ოფიციალურ დოკუმენტებშიც დასტურდება. მესხეთის ტოპონიმიაში თურქიზმთან

დაკავშირებით მერაბ ბერიძე აღნიშნავს, „თურქულენოვანი ტერმინების კვლევისას, ან თუნდაც სომხურის, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: როდესაც ქართულ ენაში შედის თურქული ან სომხური ლექსიკური მასალა, ადგილობრივები მას იყენებენ არა მარტო მეტყველებაში, არამედ ადგილთა სახელდებისათვისაც. ამიტომ ასეთი სახელები განიხილება, როგორც ქართული ენის კუთვნილება დიალექტურ დონეზე. მაგრამ არის მეორე შემთხვევა, როდესაც ადგილთა სახელდებაც თვით თურქულენოვანი ან სომხურენოვანი მოსახლეობის მიერ ხდება, მაშინ იგი თურქული ან სომხური ენის კუთვნილებაა. ამიტომ არის, რომ მესხეთის ტერიტორიაზე გვხვდებით როგორც წმინდა თურქულ, თუ სომხურ, ასევე თურქულ-ქართული სახელებს (ბერიძე, 2008: 279-280).“ ვალის შემთხვევაში ვფიქრობთ, პირველ გარემოებასთან გვაქვს საქმე. საკითხის უკეთ ანალიზისათვის, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **ბიჩანაგი** საკმაოდ დიდი სათიბი ტერიტორია ვალის მთაში, რომლის საერთო ფართობი 200 ჰექტარია. იგი თურქული წარმოშობისაა და **ზმნა-თიბვასთან** არის დაკავშირებული (თურქ: **Biçilmek** თიბვა, გაითიბება); მკა (მოიმკება); მოცელვა (მოიცილება) (ჩლაიძე, 2001: 150). **ბიჩანაგებით** სახელდებულ ტერიტორიაზე სამ ნაწილს ე.წ. **სათიბ კერძს** გამოყოფენ: **ჩრდილის მხარე, დიდი მზიგული // მზის გული და პატარა მზიგული**, აქვეა პატარა ტერიტორია, რომელსაც **ჩახრახს** უწოდებენ. აქ ამავე სახელწოდების წყაროა. „გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველის მამას ჩახრახის მთაზე ურიცხვი ცხვარი ჰყოლია:

„ცხვარი ჰყავდა ჩახრახ მთაზე

შოთას მამას ურიცხველი,

მეტსახელად მას დაარქვეს

მთის ბატონი ჩახრუხელი“ (ნადირაძე, 2001:70).

ჩახრახი ჯავახური ლექსიკონის მიხედვით:

1. მდინარის ქვიანი ვიწრო ჩასაქანი ადგილი;

2. სხვა ლოდოვან ქვიან ადგილსაც უძახიან (ზედგინიძე, 2014:370).

დიდ მზიგულს იმიტომ ეძახიან, რომ ამომავალი მზე სწორედ აქ ხვდება პირველად, რის გამოც ამ ადგილმა კარგი თივა იცის,

მერე მზე თანდათან **პატარა მზიგულზე** გადაინაცვლებს, ჩრდილის მხარე კი არაა განებივრებულ მზის სითბოთი და სინათლით.

2. **ბელიკი//ბელიკები// ბილიკები** - 50 ჰექტრის სათიბი ტერიტორიაა ვალის მთაში. იმავე ინფორმატორ ანზორ თელიაშვილის აზრით, **ბელიკი ბილიკადან** უნდა მოდიოდეს, რადგან ტერიტორიასთან ჩვენი მხრიდან მისასვლელი მხოლოდ ერთი ბილიკი მიდის, სხვა გზა მიუდგომელია, მხოლოდ სოფელ აწყურის სათიბებიდანაა ამოსასვლელი კიდევ ერთი ბილიკი. ვინაიდან, ასეთი ბილიკოვანი გზებით სხვა სათიბები არ ხასიათდება, მას **ბელიკი-ბილიკის** ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია.

ბელიკი თურქულად ნაწნავს, დალალს ნიშნავს (თურქ: **Belik** (-ğî), (ჩლაიძე, 2001: 136). რადგან **ბელიკთან** მისასვლელი გზები ნაწნავით გრძელი და ჩახვეულია, სავარაუდებელია, რომ ტოპონიმის წარმოშობა თურქული სიტყვიდან მომდინარეობდეს, მით უფრო, რომ ვალელების სათიბთა სახელების უმრავლესობა სწორედ თურქულია. **ბელიკს** ვალის ტერიტორიაზე სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს ტოპონიმ-**კულულებთან**. ჩანს, რომ ორივე სახელის დარქმევის მოტივი, მათთან მისასვლელი რელიეფური ფაქტორია.

3. **ესქიჰილები< ექსიჰილები//ექსიელები** - ფართობი დაახლოებით 50 ჰექტრამდეა. ექსიჰილების ტერიტორიაზე ადრე ჰილები ყოფილა, ამიტომ სათიბის სახელიც მრავლობითში გვაქვს. **ექსიჰილები** თურქული **ექსიჰილების** ვარიანტია, თურქ: **Eski** - ძველი, ძველმანი, მოძელებული, ჩამორჩენილი (ჩლაიძე, 2001:429), **Yayla ;Yayılım** - იალალი (კვანტალიანი, 2010:230). **ესქიჰილილები //ექსიჰილების** ფერდობებიდან ჩამონაკრეფ წყაროებსაც **ექსიჰილების წყაროს** უწოდებენ.

4. **იმპოლა//ემპელო** - 45 ჰექტრის მქონე სათიბი ტერიტორია ვალის მთაში. სოფელ აწყურის მკვიდრნი მას **ემპელოდ** მოიხსენიებენ. ეს იმიტომ, რომ ამ ტერიტორიის მახლობლად არის **ემპელოს ციხის** ნანგრევები იგი მოხსენიებული აქვს მოგზაურსა და ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძეს წიგნში „მოგზაურობა-სამცხე ჯავახეთში“, სადაც წერს, რომ „**ემპელოს ციხე** დგას გორაზე, ადგილი კლდოვანია. ნაგებია კლდის უბრალო ნატეხი ქვისა და კირისაგან.

დღეს ნანგრევებად არის. შენახულია მხოლოდ ნაწილობრივ, ნანგრევების გამო კარი აღარ უჩანს (ბოჭორიძე, 1992:113)“. ვფიქრობთ, იმპოლა სახემეცვლილი ფორმა უნდა იყოს -ემპელოსი, რომელიც ჩვენი აზრით, უფრო სწორი და პირვანდელია.

5. **სამავაზანა** - ვალის მთაში, **თოფი გზის** მალა, ფერდობზე საძოვარია. **ავაზანა**, როგორც ადგილის სახელი, მიღებულია **ავაზანი** სიტყვისაგან, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არის შერმენტულად დახურული ჭურჭელი სითხეების სადუღებლად ან გამოსახდელად (ქ ე გ ლ, 1950:145). სულხან-საბა ორბელიანი კი ავაზანს შემდეგნაირად განმარტავს: „წყლის სადგომი, წყლის საგუბარი; გობი პირუტყვის საჭმელი“ (ორბელიანი, 1965:44).

მერაბ ბერიძის მიხედვით, **ავაზანს** ხმარობენ მესხეთში, იმერხევში, აჭარაში (ბერიძე, 2010:181). მკვლევარი ასევე შენიშნავს, რომ მესხეთში **ავაზანს** გარკვეული დანიშნულება აქვს. ის აუცილებლად უნდა იდგეს გამომდინარე წყაროს წინ, უნდა იყოს გათლილი ხისგან ან ქვისგან, როგორც წესი, ხის ავაზნები დროთა განმავლობაში ღებება, ფუჭდება და კვალიც იშლება. ხშირად ხდება, რომ ასე გამქრალი ავაზნის ადგილას მხოლოდ წყარო დის, აღარ არის ავაზანი, მაგრამ ხალხი მას მაინც **ავაზანას** უწოდებს. ბოლოს და ბოლოს შრება წყაროც (ბერიძე, 2013:75).

ვალის **სამავაზანასაც** მსგავსი სახელით იმიტომ მოიხსენიებენ, რომ აქაც **სამავაზანი** მდგარა, ალბათ, ისევე იმავე დანიშნულებით, რაც ზემოთ ავლნიშნეთ. საბალახოთ გასული პირუტყვი ამ ავაზნებიდან სვავდა წყალს. **სამავაზანას** ტერიტორიაზე დღესაც არის წყარო, რომელსაც **სამავაზანას წყაროს** უწოდებენ.

„მახსოვს, ადრინდელი ხის ავაზნების ნაცვლად, მამაჩემმა მოგვიანებით ლითონის დიდი მილები აიტანა, რაზეც **ავაზნები** ამოკვეთეს (ინფორმატორი: ანზორ თელიაშვილი, დაბადებული 1951წ.).

ტოპონიმი - **სამავაზანა** გვხვდება, ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ **ტატანისის** ტერიტორიაზე, რომელიც იგივე ეტიმოლოგიით ხასიათდება.

ტოპონიმი გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ეს სახელი მხოლოდ წყაროს უნდა დარქმეოდა, რომელსაც **სამი ავაზანი**

შქონდა, შემდეგ მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმია და წყაროს სახელი გადავიდა მთელს ტერიტორიაზე, როგორც ამას მკვლევარი მერაბ ბერიძე ტატანისის სამავაზანას შემთხვევაში აღნიშნავს (ბერიძე, 2010: 182).

ავაზანს შემთხვევაში მსაზღვრელის რაობა **ავაზნების** რაოდენობაზეა ხოლმე დამოკიდებული. თუ წყაროს წინ **სამი ავაზანი** მდგარა ან დგას დღემდე, ის **სამავაზანა** იქნება, **ოთხის** შემთხვევაში **ოთხავაზანა** და ა.შ. „ცალკეული სოფელი ამაცობდა თავისი ავაზნებით, რადგან წყაროთა და ავაზნების სიმრავლე სოფლის ძლიერების მაჩვენებელი იყო. ყოველივე ეს კი აისახებოდა ტოპონიმიში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ჰიდრონიმია წარმოადგენს (ბერიძე, 2013:76).“

უნდა ითქვას, რომ ქალაქ ვალის ტერიტორიაზე მრავლადაა ადგილის სახელები, რომლებიც **-ა** სუფიქსით არიან ნაწარმოები მაგ: **კავა, ფიცარა, ადამა, გრძელა** და სხვ. „ქართულ ტოპონიმიში **-ა** სუფიქსი მრავალფუნქციური ელემენტია, იგი აწარმოებს კნინობით სახელებს, აღნიშნავს ქონებას, გამოხატავს მსგავსებას, ახასიათებს საგანს მისი ნიშან-თვისების მიხედვით და ა.შ. ზმნასთან მისი მიმართება ფუნქციურად კიდევ უფრო დატვირთულია. როგორც მკვლევარი თ.ზურაბიშვილი აღნიშნავს, ტოპონიმიკურ სახელთა საწარმოებელი სხვა სუფიქსებიდან აღსანიშნავია **-ა** ბოლოსართი. იგი გეოგრაფიულ სახელებში გვხვდება ძველი ქართულიდან მოკიდებული დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე. მაგ: **ფარვანა, ნუნდა, ყვირილა, გულგულა, თვალა, ყვირილა** და სხვა (მაკალათია, 1976:106).“

სამავაზანას შემთხვევაში **-ა** სუფიქსი მონაწილეობს, როგორც თხზული სახელის მეორეული სიტყვათმწარმოებელი ელემენტი. იგი საზოგადო სახელ-**ავაზანს** ტოპონიმურ სახელად აქცევს, ანუ **-ა** სუფიქსი აქ სახელის მატოპონიმებელ ფუნქციას ასრულებს.

ნ. სატყეველა - ვაკე სათიბი ტერიტორიაა **შავი მზიგულის // ყარაგვინის** მახლობლად. გადმოცემის თანახმად, თამარის დროს ბრძოლაში გამარჯვებულ ქართველთა ჯარს სწორედ აქ დაუსვენია. ცხენებისთვის უნაგირები შეუხსნიათ და მზეზე მიუფიცხებიათ გასაშრობად, შემდეგ კი გასუფთავების მიზნით ისინი დაუტყეპავთ. ასეთივე ვერსია დასტურდება **გიორგი ბოჭორიძის** ნიგნში

„მოგზაურობა სამცხე ჯავახეთში“, სადაც ავტორი წერს, რომ „სატყეველა, ანუ ქიალა -ტაპა არის საზღვარზე; მასზე დგას სირონის სვეტი №210. იგი ქვების მცირე გორაკს წარმოადგენს. დასავლეთ- ჩრდილოეთ მხარეს ჩაქცეულია შიგნით. აქ უნდა იყოს სასაფლაო და მასზე დაყრილი ქვები. გორაკის სიმაღლე 4 მ-მდეა. გორაკიდან აღმოსავლეთ ჩრდილოეთ დაღმართზე 150მ. (დაახლოებით) სიგრძე მისდევს ხრამი 2 მ. სიმაღლისა. ის გადმოცემით მტრის ჯარისათვის ყოფილა გამართული. აქ მომხდარა დიდი ბრძოლა თამარის (?) დროს და თამარს მტრები დაუმარცხებია (ბოჭორიძე, 1992:164).“

ვალელები სახელდების სხვა ვერსიასაც ასახელებენ. კერძოდ იმას, რომ ამ ადგილას დიდრონი სეტყვა იცის, რაც ყველაფერს ტყეპსო (ინფორმატორი: იაკობ თელიაშვილი, 83 წლის). სააკ ზაქროშვილის ჩანაწერების მიხედვით, თურმე აქ ქართველებს თათრის ფაშა დაუჭერიათ და მაგრად უტყეპიათ (ზაქროშვილი, 2005:80).

7. **ტაშლიგვინე** იგივე **ქვიანი მზიგული** - 45 ჰექტრის მქონე სათიბია ვალის მთაში. მას ერთი მხრიდან სომხურ სოფელ **წინუბნის**, მეორე მხრივ კი- სოფელ **პამაჯის** სათიბები ესაზღვრება. სახელი თურქული წარმოშობისაა: **თაშლი-თურქ: Taşlı** ქვიანი; (ჩლაიძე, 2001:1329), თუმცა **გვინე**- შესაძლებელია **Güney** - თურქ: სამხრეთიდან (ჩლაიძე, 2001: 561) უფრო მოდიოდეს ვიდრე მზიგულიდან ან მზიანიდან (თურქ: **Güneş** - მზე (ჩლაიძე 2001:561), **Güneşli** - მზიანი, მზიური (ჩლაიძე 2001:561), ამიტომ ამ ტოპონიმის ქართული შესატყვისი არ უნდა იყოს მთლად ზუსტი. **ტაშლიგვინე** სამხრეთის მხრის სათიბია, იქ სადაც ადრე რუსთა საგუშაგო იდგა, სწორედ სამხრეთით, დაახლოებით ნახევარ კილომეტრზეა ეს ადგილი.

8. **ტყე** - სატყეო მეურნეობიდან მიცემული 30 ჰექტრის სათიბი ტერიტორია ხევში, სადაც ჩადის ქვიანი მზიგული, მის გამოღმა **შაბანებლამდე**. იგი ჰყოფს ერთმანეთისგან **შაბანებელსა და ტაშლიგვინის**.

9. **ქალათაფა** იგივე თავთა გორა- ვალის მთაშია. **ქალათაფაზე** გამუდმებით ჰქრის რაღაც უცნაური ქარი, რაც მას განსაკუთრებულობის ელფერს ანიჭებს.

ქალათაფა თურქული სიტყვიდან მოდის და თავთა გორას #/ თავების გორას ნიშნავს თურქ:- **Kala** -თავის ქალა; (ჩლაიძე, 2001:765), **Tepe** — 1) მთის წვერი, ბორცვი; 2) გორაკი, მიწაყრილი (ჩლაიძე, 2001:1349). ლეგენდების მიხედვით, თურმე თამარ მეფეს თურქებთან ომის წინ გაუთხრია ხევი ბელიკის ტერიტორიაზე, ხრიანის ხევამდე, ჩვენი ტერიტორიის ჩაყოლებაზე. დღესაც არის ეს ხევი, დიდძალი არმია ყოფილა, ჩვენზე გაცილებით ბევი, ამიტომ ჩვენებს ჭკუა უხმარიათ, გაუთხრიათ დიდი ხევი, გადაუხურიათ ხე-მასალით და ზედ დაუნწყია მწვანე საფარი, დაუბელტიათ. ეს იცოდნენ მარტო ჩვენმა სარდლებმა, გამოუტყუებიათ თურქები, რომლებიც ხევზე გამოდევნიბან, რის შედეგადაც იგი ჩაინგრა და ჩაიტანა თურქობა. ქართველებს მათთვის თავები მოუკვეთიათ და ქალათაფას გორაზე აუტანიათ. მათი წაცლილი თავების ხვაი დაუყენებიათ, რის გამოც მთას ქალათაფა უწოდეს. ეს რა თქმა უნდა, ლეგენდების სფეროა, მაგრამ მასში ჭეშმარიტების კვალი რომ იკვეთება, ესაც აშკარაა.

ვალის მკვიდრ ანზორ თელიაშვილის ინფორმაციით, ქალათაფაზე მიწის გადაფხეკისას დღემდე ამოდის თავის ქალის ნაწილები.

ქალათაფად მოხსენიებულ გორას ვხვდებით ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ნასოფლარ ერკოტის ტერიტორიაზე, და იქაც დაახლოებით ისეთივე გადმოცემაზე მიუთითებენ, ოღონდ თამარის გარეშე. მთავარია, რომ თავის ქალის გორაა ამოსავალი. საინტერესოა არქეოლოგიურად ეს გარემო (ბერიძე, 2008:155).

10. ყარაგვინეი იგივე შავი მზიგული - ბელიკებთან რამდენიმე ჰექტრით სახელმწიფოს საზღვრამდე არის ვალელთა სათიბი ტერიტორია -ყარაგვინეი, ქართული შესატყვისი- შავი მზიგული. სახელი თურქული წარმოშობისაა- თურქ: **Kara** - შავი (ჩლაიძე, 2001:785) **Güneş** (გუნეშ) - მზე (ჩლაიძე, 2001:561), **Güneşli** (გუნეშლი) - მზიანი, მზიური (ჩლაიძე, 2001:561), **Güney** (გუნეი) — 1. სამხრეთი (ჩლაიძე 2001:561).

ჩანს, რომ ეს ადგილი ძალიან მზიანია, რომელსაც სიშავის ელფერი დაჰკრავს მიწის ან მზის სიმწველის გამო.

11. შაბანებელი - სათიბია ვალის მთაში, რომლის ქართული ვარიანტი არ დასტურდება. იგი დაახლოებით 220-230 ჰექტრამეა,

თუ ჩავთვლით საზღვრის ხნულგარეთა ტერიტორიას (იგულისხმებოდა საქართველო-თურქეთის საზღვარი). **შაბანბელის** ტერიტორია სხვა სათიბებისგან განსხვავებით, იხენებოდა, მუშავდებოდა. ტერიტორიის სახელდებას გვიძნელდება მოვუძებნოთ ახსნა. **Şaban** - არაბულად -მთვარის კალენდრის მერვე თვეს (ჩლაიძე, 2001: 1285) ნიშნავს, თუმცა ამკრავს, რომ სახელი გაფორმებულია **-ებ** და **-ელ** ქართული სუფიქსებით. ამის გათვალისწინებით, სავარაუდებელია, რომ სახელის პირვანდელი ფორმა **სა-ბან-ებ-ელ-ი** უნდა ყოფილიყო. სისინა **ს-სა** და შიშინა **შ-ს** მონაცვლეობა თურქულენოვან გარემოში არაა გასაკვირვი. მართალია, **საბანბელის** მსგავსს გარშემო ვალელები ვერაფერს ადასტურებენ და ადრეულ პერიოდშიც არ ახსენდებათ მისი არსებობა, მაგრამ სახელის ქართული წარმომავლობა უდაოდ იკვეთება.

12. **ჩინგანა იგივე ღარიბა** - სათიბი ტერიტორია. „**თოფიგზას** რომ გამოვცდებით, იწყება დიდი ვაკეობა, საძოვარი, რომელსაც ჰქვია **ჩინგანა - ღარიბა**. მისი ფართობი 50 ჰექტარია. **ჩინგანაზე** ძალიან ძნელად მოსათიბი სახის ბალახეულობა იზრდება, მაგ: ერთ-ერთ მათგანს ვალელები **ქოჩორას** სახელით მოიხსენიებენ, ამიტომ იგი სათიბად ძნელია. აქაური თივა საქონლისთვისაც არაა სახარბიელო, რის გამოც ჩინგანა სასაძოვარია და სათიბი აღარ (ანზორ თელიაშვილი, დაბადებული 1951წ.).“ **ჩინგენე-თურქ: Çingene** - ბოშას ნიშნავს (ჩლაიძე, 2001: 279). როგორც ვალელები ამბობენ, ეს ადგილები ბოშასავით არაფრისმქონეაო, ამიტომ **ღარიბა** მისთვის შესაფერის სახელად მიუჩნევიათ. თურქული წარმოშობის სახელში **ჩინგან-ა-ა** სუფიქსი მატოპონიმებელ ფუნქციას ასრულებს. **ჩინგანასა** და **ბიჩანაგის** გასაყარზე არის საფლავებია. ინფორმატორის თქმით, მან გადმოცემით იცის, რომ ერთ დროს იქ ნასოფლარი ყოფილა, რომლის სახელსაც **ჩინგანამაზარს** უწოდებდნენ, „ჩემს ბავშვობაში იდო საფლავის ქვები, ახლა აღარ ვიცი, რა ხდება (ინფორმატორი: ანზორ თელიაშვილი, დაბადებული 1951წ.).“

13. **ჭანიაჭალა** - საძოვარი ტერიტორია, თუმცა იყო დრო, როცა ვალელები მას სათესადაც ამუშავებდნენ. ამ ბოლო დროს, ცალკეულ ადამიანთა მხრიდან იყო მცდელობა აქ მოსავლის მოყვანის, მაგრამ ურწყავობის გამო, შედეგი არ იყო სახარბიელო,

რის გამოც ადგილი გააკორდეს და ისიც საბოლოოდ საქონლის
საბალახოდ იქცა.

ადგილის სახელი ორცნებიანი კომპოზიტია, რომელსაც შესაძ-
ლებელია, სახელდების ორგვარი მოტივაციური ახსნა მოვეუძებნოთ:

1. ტოპონიმი თავდაპირველად შესაძლოა ყოფილიყო **ჭანია (ს)
ჭალა-** აქ **ჭან-**ში შეიძლება მოვიაზროთ, როგორც საკუთარი სახელი-
ჭანი, რომელსაც ეკუთვნოდა ჭალის გარკვეული ნაწილი, შემდეგ კი
სახელმა გაიფართოვა ტერიტორია. **ჭანიას-** ანთროპონიმად
მოაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ დღეს საქართველოში გვაქვს
გვარები: **ჭანიაშვილი, ჭანაძე, ჭანაშვილი** (მაისურაძე, 1990:217).

2. **ჭანი** - ლაზი, რომელსაც შესაძლოა, ეკუთვნოდა აღნიშნული
ადგილი.

როგორ ვალელი ინფორმატორები ამბობენ, ამ ადგილს **ჭანე-
ბის ჭალასაც** ეძახდნენ, „იგი ერთ დროს ჭანებს ეკუთვნოდათ“
(ინფორმატორები: ანზორ თელიაშვილი, შოთა გოგილაშვილი).

14. **ჯაყისმანი** - საძოვარი ტერიტორია ვალეში. აქ ფერმებიც
აქვთ ვალელებს და ინახავენ შინაურ პირუტყვს. **ჯაყისმანი** — **ჯაყი-
სუბნის** ტოპონიმიდან უნდა მოდიოდეს. დღეს **ჯაყისმანი**თ მოიხსენიე-
ბა ტერიტორია, რომელიც ისტორიულად **ჯაყის** სახელს ატარებდა,
ვინაიდან იგი მე-11-მე-12 საუკუნეებში მსხვილი, წარჩინებული
ფეოდალების- **ჯაყელების** სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა.

ამგვარად, ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანია ვალის
სათიბ-საძოვართა სახელდების ეტიმოლოგიები და სტრუქტურა-
სემანტიკა. რატომაც არა, მასში ხომ ჩვენი ქვეყნის იტორიული
რეალიებია შენახული, რის გამოც მათ, ისევე როგორც თავად
ტერიტორიებს, გაფრთხილება და პატრონობა სჭირდება.

(გაგრძელება იხილეთ ჟურნალის შემდეგ ნომერში)

პოეზია აკაკი თევზაძე	3
პოეზია გიორგი ბაქრაძე	11
ატშფენტური დებიუტი ნატალი ვარდიძე	19
იყო და არც კი იყო რა... კაცი არ მივიდა სალამოზა დესაბამი ბამოღვიძება ბამოიღარა?! აღრე? სპეტაკი ბრძნობა ნამსვლელი ფოსტა ყველაზე რომანტიკული უიმედობა	
ატშფენტური დებიუტი თეკლა კუბლაძეილი გზად	67
ყველაფერი თავის ადგილზეა	
ატშფენტური დებიუტი თორნიკე ბერიძე	69
ძილისნინ მუზა მენვია... ხელოვანის დარდი	
ატშფენტური დებიუტი სალომე ხმალაძე	77
ჩამი სოფელი	
ატშფენტური დებიუტი იური ბალახაძე	86
ატშფენტური დებიუტი შოთა ტიტვინიძე	92

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
(1918 - 1921 წწ.) დე-იურე აღიარება მოკავშირე
სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი,
იტალია, იაპონია და ბელგია) უმაღლესი საბჭოს მიერ
(1921 წ. 27 იანვარი) და საქართველოს
დამფუძნებელი კრება

„კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს
ოკუპაცია“ (კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი
საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6,
აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა, 83-ე კონგრესი,
მე-2 სხდომა), აშშ, ვაშინგტონი, 1955.


კლარა გელაშვილი 130
ღ(ორთა)ნ ბრძოლა

პროზა 138
ღალი ახალკაცი
ქალი მოიხფრო
„პური ჩვენი არსობისა“
ჩვენი წილი ბედნიერება
პრე--პრეზენტაცია

ენათმეცნიერება 159
ღელა თელიაშვილი
ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის
ტოპონიმი

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com

ISSN 2346-836X



9 772346 836001